

155072



საქართველოს  
ხალხური მწიგნობარი

# მნამნი

4

ს ე ბ ე რ ვ ე მ ი

ტფილისი — 1938



გარეგნული  
კავშირების  
საბჭო

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა შრომელთა  
კავშირის ყოფილივეური სალიტერატურო,  
სახელოვნო და საბუნებისმეტყველო-საპოლიტიკო  
ქურონალი

წელიწადი მეთხუთმეტი

4

ს ე ხ ე რ გ ე მ ი

ტფილისი 1938

საგარეო  
კავშირების  
საბჭო



რედაქცია:

თბილისი, მარბლის, 13  
მწერალოთა სასახლე  
ტ. 3-71-84

ქანტორა:

თბილისი, კორეის ქ. № 7  
სახელგამი  
პეროოდსექტორი

პ/მმ. რედაქტორი — ალიო მუგაზუვილი

პ/მმ. მდივანი — ლევან ასათიანი

---

გად. წარმ. 17/IV 38. ხელმ. დისაბ. 14/V 38.  
შეტ. № 1056 მოთელ. რუმ. № 860 ტირ. 8500

---

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ყორესის ქ. № 5.

## ქართველი ხალხი ღენინ-სჯადინის ღროშით ეგებება უმალღესი საბჭოს არჩევნებს

სტატიკ, გამომკვეყნებულღ 1938 წლის 23 აპრილის „კრავღაში“

...„ახღა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებულღ მრავალღროვანი სოციღლისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს ვაუღლო და რომლის სიმტკიცეც შეშურღებოღა რომელიც გნებავთ ნაციონღლურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწიღში“.

### ი. სტღლინი

ახღოვღება მოკავშირე რესპუბღიკათღ უმალღესი საბჭოების არჩევნები. 1938 წლის 12 ივნისს ქართვეღი ხღლხი საქართვეღლოს სს რესპუბღიკის იმ კონსტიტუციის სავფუძველზე რომელიც აგებულღა სტღლინური კონსტიტუციის ღიად პრინციპებზე, აირჩევს სახელმწიფო ხელისუფღლების უმალღეს ორგანოს — საქართვეღლოს საბჭოთღ სოციღლისტური რესპუბღიკის უმალღეს საბჭოს.

ქართვეღი ხღლხი მთელი თავისი მრავღლსაღუკუნოვანი ისტორიის მანძიღზე მამაცურად იცავღა თავის თავისუფღებას. იგი გმირულად იღერიღბღა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთღნების, სპარსეთის შაჰების ურღოთღ ურიცხვ თავღასხმას.

მიუხეღავად ცარიზმის უსასტიკესი კოღონიური პოღიტიკისღ, ცარიზმის, რომელიც ცდიღობღა ჩავზშო ქართვეღი ხღლხის თავისუფღების მოყვარული სული და მოესპო მისი ნაციონღლური თვითშეგნებღ, — ქართვეღლმღ ხღლხმღ შესღლო საუკუნეების მანძიღზე გამოეტარებინღ თავისი ენღ, თავისი ძვეღი კულტურღ, თავისი ნებისყოფღ გამარჯვებისღ და თავისუფღებისღღმი.

რეღოლუციური მოძღრობის გარიერაღზე ამხანაგი სტღლინი სავფუძველს უყრიღღა საქართვეღლოს და კავკასიის ბოღღვეიკურ ორგანიზღ-

ციებს, რაზმავდა რა ლენინის იდეების დროშით მუშათა და გლეხთა ფართო მასებს და მიჰყავდა რა ისინი კაპიტალიზმისა და მეფის ფეოდალური ბელობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

საქართველოს პროლეტარიატის მიერ თბილისის ქუჩებში გამართული პირველი აშკარა პოლიტიკური დემონსტრაციიდან, რომელიც ამხანაგმა სტალინმა 1901 წელს მოაწყო, 1917 წლის დიდ ოქტომბრამდე სულ 16 წელმა განვლო. ეს წლები გადიოდა განუწყვეტელ, შეუპოვარ ბრძოლაში ცარიზმის დასამხობად, ბოლშევიკური კადრების შესაქმნელად, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მენშევიკების — ქართველი ხალხის ამ უბოროტესი მტრების — სამი წლის თარეშის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ედგნენ მუშებისა და გლეხების ბრძოლას მენშევიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა მასებმა, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძმური ხელშეწყობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით გადაიგდეს მენშევიკების საძულველი უღელი და აღმართეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. დაიწყო ქართველი ხალხის აღორძინების ეპოქა. ბოლშევიკური პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით, ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა განთავისუფლებულ ხალხთან ერთად თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

რა განუზომელი განსხვავებაა ხალხთა ფართო მასების მდგომარეობასა ჩვენში და კაპიტალიზმის ქვეყნებში!

ფაშიზმი — ეს ფინანსური კაპიტალის აშკარა, ტერორისტული დიქტატურა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეურიგებელი, უსასტიკესი მტერი — თავხედურად სთელავს ფეხქვეშ ხალხთა ელემენტარულ უღლებებს.

გერმანიის ფაშიზმის ჩექმამ უხეშად გაჰქელა ავსტრიის ხალხის დამოუკიდებლობა; პოლონეთის ფაშიზმი, აელარუნებს რა იარაღს, ხელკყოფს ლიტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას; გმირი ესპანელი ხალხი უკვე მეორე წელიწადია სისხლისაგან იცლებს იტალია-გერმანიის „მოხალისეთა“ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში; იაპონიის სამხედრო ხროვა ცინიკურად სთელავს ფეხქვეშ ჩინეთის ხალხის ელემენტარულ უფლებებს. აღვირახსნილი ფაშისტი აგრესორები უშუალო საფრთხეს უქმნიან ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას.

ქართველი ხალხი, ახსოვს რა სტალინის ბრძნული შითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, აძლიერებს რა რევოლუციურ სიფხიზლეს ფაშიზმისა და მისი აგენტურის ოინებისადმი, დედნისევეთაჲ კავშირის ხალხთა მკიდრო ოჯახში შეკავშირებული მიღის — სტალინისტიკური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ, მხნედ ემზადება რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — თავისი სასიხარულო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის.

სამუდამოდ წარვიდნენ და არასოდეს აღარ დაბრუნდებიან ექსპლუატაციის, ძალმომრეობისა და ჩაგვრის მძიმე წლები! ურყევია ხალხთა დიდი სტალინური მეგობრობა, რომლის დროშის ქვეშ საქართველოს მშრომელები მშვიდობიანად აშენებენ თავის ცხოვრებას და სწრაფად და წარმატებით ანვითარებენ ხალხში არსებულ უდიდეს შემოქმედებითს ძალებს.

„ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, — ამბობდა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი საბჭოთა საქართველოს დელეგაციის კრებულში მიღების დროს, — რომ საქართველოში უკვე ცოტა რამ როდია გაკეთებული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სუსტი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიდ მომავალ მშენებლობაზე. საქართველო — ეს მსოფლიოს ერთერთი უბედნიერესი კუთხეა, ბუნებრივი სიმდიდრეებით დაჯილდოვებული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ტალანტებიც ბრწყინავენ საქართველოსა, ამიერკავკასიისა და მთელს საბჭოთა კავშირში.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა ჩვენ ამხანაგი სტალინი“.

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა შედეგი სსრ კავშირის ყველა ხალხის ბრძოლისა თავისი ბედნიერი აწმყოსათვის, ჩასწერა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევები მისი არსებობის 20 წლის მანძილზე. ეს ბედნიერი, კულტურული, უზრუნველყოფილი ცხოვრება საქართველოს მშრომელთა მილიონების გულში იწვევს უდიდესი სიყვარულის, მადლობისა და ერთგულების გრძნობას იმისადმი, ვინც ქართველი ხალხი, ისე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი, მიიყვანა ბედნიერ ცხოვრებამდე, — მშობლიური სტალინისადმი.

საბჭოთა საქართველო თავისი უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს უდიდესი მიღწევებით ეგებება.

ეს მიღწევები შედეგია ჩვენი პარტიის მიერ, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისა, შედეგია იმისა, რომ წარსულში ჩამორჩენილი „განაპირა მხარეები“ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში აყვანილ იქნენ მოწინავე რესპუბლიკებისა და მხარეების დონემდე.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა მ სოფლის მეურნეობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად უპირატესი ადგილი დაიჭირა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 1937 წელს 75 პროცენტს გადააჭარბა. 1928 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 33 პროცენტს.

პირველი და მეორე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 3.119.1 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები, მანქანათმშენებლობის (კერძოდ, ჩაისა და მეღვინეობის მოწყობილობის), ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრის მრეწველობა, ძვირფასი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანა, მოლიბდენი) და არამადნეულ წიაღისეულთა (ბარიტი, გუმბრინი) ამომღები მრეწველობა და სხვ. მრეწველობის მარგანეცისა და ჭვანახშირის დარგები ამჟამად ხელახლა რეკონსტრუირებულია. 1937 წელს ამოღებულ იქნა 1.650 ათასი ტონა მარგანეცი, ესე-იგი თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ამჟამად ჭვანახშირის ამოღება სამჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ამოღებას.

საქართველოს ბუნებრივი რელიეფი ბოლშევიკთა ხელში იაფი ელექტროენერჯის უმდიდრეს წყაროდ გადაიქცა. მთელ რიგ დიდ ჰიდროელსადგურებს (რიონის ჰიდრო-ელსადგური, ზემო-ავეჯალის ჰიდრო-ელსადგური, აჭარის-წყლის ჰიდრო-ელსადგური) და ათობით პატარა ელსადგურებს, აგრეთვე თბოსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე 123 ათას კილოვატს უდრის, მოძრაობაში მოჰყავთ ქარხნებისა და ფაბრიკების მანქანები, შუქს აწვდიან საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. რევოლუციამდე საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე ძლივს აღწევდა 8 ათას კილოვატს, ელექტრონის განათება ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის იყო ხელმისაწვდომი.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის და რგში. საბჭოთა საქართველომ, რომელიც განუხრელად ასრულებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, სწორად განსაზღვრა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების ზაზი, რასაც ჰაეისა და ნიადიგის პირობები უკარნახებენ, და გადაიქცა, საბჭოთა კავშირში ერთადერთ მხარეთ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამზადებს მთელი საბჭოთა

კავშირისათვის ისეთ აუცილებელ პროდუქციას, როგორც არის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მაღალხარისხოვანი საექსპორტო თამბაქო, იშვიათი ჯიშის ხეები (ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ეკალიპტი და მრავალი სხვა). ეს სპეციალური და ტექნიკური კულტურები საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებას შეადგენენ.

რევოლუციამდე ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში რამდენიმე ასეულ ჰექტარს ძლივს აღწევდა. ამჟამად ჩაის უკვე 45 ათასამდე ჰექტარი უკავია.

1921 წელს დამზადებულ იქნა სულ 550 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გასულ წელს—27 მილიონზე მეტი კილოგრამი, ხოლო მიმდინარე წელს გეგმით დასახულია 35 მილიონი კილოგრამი ფოთლის დამზადება, რაც გადამუშავებულ იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ 36 ჩაის ფაბრიკაში და მოგვცემს 9.600 ათას კილოგრამზე მეტ ხმელ ჩაის. იგი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში „საქართველოს ჩაის“ სახელწოდებით და თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ცვილონური, ჩინური და იაპონური ჯიშის ჩაის.

დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეებმა, რომლებსაც თავის პლანტაციებზე მოჰყავთ ჩაი, მარტო 1937 წელს ჩაბარებულ ჩაის ფოთოლში მიიღეს 52 მილიონ მანეთზე მეტი და 29 მილიონი მანეთის საწარმოო კრედიტი.

ციტრუსები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) რევოლუციამდე მხოლოდ ცალკეულ კერძო მეურნეობებში მოჰყავდათ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც იშვიათი მცენარეები. ამჟამად საქართველოში ციტრუსებს უკვე 6 ათასამდე ჰექტარი უკავია, მიმდინარე წლის ნარგავებიანად ვი ციტრუსების ფართობი თითქმის 9 ათას ჰექტარს მიაღწევს. გასულ წელს საქართველოს ციტრუსების პლანტაციებმა 300 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსის ნაყოფი მისცა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს.

საქართველოს მაღალხარისხოვანმა, საექსპორტო თამბაქოებმა გასულ წელს 21 ათასი ჰექტარი ფართობიდან 17 ათას ტონაზე მეტი თამბაქო მოგვცეს. თამბაქოს ჩაბარების გეგმა მიმდინარე წლის 25 მარტისათვის შესრულებული იყო 101 პროცენტით.

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა მენშევიკებმა საქართველოში ბატონობის წლებში თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

ამჟამად ვენახების ფართობი 41 ათას ჰექტარს აღემატება და, რაც მთავარია, მიღებული ზომების მეოხებით, ლიკვიდირებულია ფილოქსერა, რომელიც წარსულში ათასი ჰექტარობით სპობდა ვენახის პლანტაციებს.



საქართველოს ლენინო სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ლენინოდ. ამჟამად ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაწყებულია შამპანური ჯიშის ყურძნის კულტივირება და საბჭოთა შამპანურის დაყენება.

გარდა ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის, ალუბლისა და სხვ. ხილის მოყვანისა, რომლებსაც ამჟამად საქართველოში 43 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ, ინტენსიურად ვითარდება სუბტროპიკული მეხილეობა — იაპონური ხურმა, მუშმულა, ფეიხოა და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდნენ სხვა უძვირფასესი კულტურების ნარგავები — ტუნგო, ეთეროვანი კულტურები, ევკალიპტი და სხვ.

1930 წელს ტუნგოს პლანტაციებს სულ 1 ჰექტარი ეჭირა. ამჟამად ამ ძვირფას კულტურას, რომელიც საავიაციო მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკურ ხეთსა და მთელ რიგ სხვა ძვირადღირებულ პროდუქტებს იძლევა, დაახლოებით 10 ათასი ჰექტარი უჭირავს და მიმდინარე წელს ეს ფართობი კიდევ გადიდდება 3 ათასი ჰექტარით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სრულიად არ მოჰყავდათ ეთეროვანი გერანი, ხოლო წელს ეთეროვანი გერანის პლანტაციებს 1.200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ.

1938 წლის დამდეგისათვის დარგულ იქნა 2.500 ათას ძირზე მეტი ევკალიპტის ხე და მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია კიდევ 2.770 ათასი ძირის დარგვა.

მავნებლების მიერ საქართველოს მეცხოველეობისათვის 1930 — 1931 წლებში მიყენებული ზიანი ამჟამად ლიკვიდირებულია. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ჰყავდა 1.752 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ნაცვლად 1.301 ათასი სულისა 1913 წელს; 1.952 ათასი სული ცხვარი და თხა, ნაცვლად 1.854 ათასი სულისა; 682 ათასი სული ღორი, ნაცვლად 284 ათასი სულისა 1913 წელს. ცხენების სულადობა, 1913 წელთან შედარებით, 39 პროცენტით გადიდდა.

საქართველო სამართლიანად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიადსაკავშირო კერის სახელით. საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი კეთილმოწყობილი კურორტები, როგორცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ქობულეთი, გაგრა, სოხუმი.

უდიდესი სახსრებია დაბანდებული საქართველოს კურორტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. ამჟამად ეს კურორტები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა დასვენების კულტურულ და კეთილმოწყობილ ადგილებს.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ პირობები შექმნა წარმატებებისათვის კულტურის დარგში.

ქართულ კულტურას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების <sup>არჩევნების</sup> დროს მიეცა სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საშუალება.

თავისი უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, ორდენოსანი <sup>საქართველოს</sup> ეგებება როგორც მაღალკულტურული ქვეყანა, როგორც ერთერთი მოწინავე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. მთელს რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო სწავლება ოთხწლედის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში — შეიღწლედის ფარგლებში.

საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ჯეროვანი ყურადღება ექცევა რუსული ენის შესწავლას, როგორც დიდ რუს ხალხთან ძმური ურთიერთობის მძლავრ საშუალებას, როგორც რუსეთის უმდიდრეს კულტურასთან გაცნობის საშუალებას.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულია სხვადასხვა სპეციალობის 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, არქიტექტორი, პედაგოგი და სამეცნიერო მუშაკი.

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა ჩადგა სსრ კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, აქტიორებს, ხელოვნების ყველა მუშაკს, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის, თეატრის, კინოს, მუსიკის დიდი ოსტატები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართული ხელოვნების აყვავება ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორისა, რომელმაც საშუალება მისცა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს სავსებით გაეშალა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ნიჭი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებამ. იზრდება მტკიცე, ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებელთა მძლავრი კადრები.

და ხალხის წიაღში იქმნება თავისი ძალითა და მეტყველებით განსაკუთრებული სიმღერები ლენინზე, სიმღერები სტალინზე, სიმღერები ქართველი ხალხის ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებაზე.



ხალხის უბოროტესი მტრები, ფაშიზმის მენშევიკ-ტროცკისტ-ბუ-  
ხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების კონტრაბანდინ ჩა-  
ეშალათ ძღვევამოსილი სოციალისტური მშენებლობის საჭიროებებში.

საქართველოს ბოლშევიკებმა, ამხანაგი სტალინის ბრძნული მითითე-  
ბებით შეიარაღებულებმა, გაანადგურეს მტრის ძირითადი ბუდეები.

სწმენდნენ რა თავის რიგებს ყოველგვარი უწმინდურებისაგან, საქარ-  
თველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს და ხელმძღვანელ სამუ-  
შაოზე დააწინაურეს აქტივის ახალი კადრები, ათასობით ახალი შემოწმე-  
ბული ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საკ. კ. 3. (ბ)  
სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი ბოლომდე ერთგულნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დააწინაურდნენ აქ-  
ტივის ახალი კადრები. არჩევნებმა ცხადპყვეს ქართველი ხალხის ურყევი  
დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის ირგვლივ, დიადი საბჭოთა ქვეყ-  
ნის ლენინურ-სტალინური მთავრობის ირგვლივ.

საქართველოს ამომრჩეველთა 99,1 პროცენტმა სსრ კავშირის უმაღ-  
ლესი საბჭოს არჩევნების დროს ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტთა და  
უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოში წარსული არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილე-  
ობას იღებდა ამომრჩეველთა 96,2 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამოცდილების გათვა-  
ლისწინებით, მასებში ბოლშევიკური მუშაობის ორგანიზებით, საქართვე-  
ლოს პარტიული ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ას-  
პროცენტიან მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავ-  
ალ არჩევნებში.

ხალხის მტრებმა თავისი საზიზღარი, ძირგამომთხრელი მუშაობით ცო-  
ტა ზიანი როდი მიაყენეს საქართველოს მშრომელებს. ყურადღება,  
მზრუნველობა და მუდმივი დახმარება, რომელსაც ქართველ ხალხს უწე-  
ვენ პარტია, მთავრობა და ამხანაგი სტალინი, ჩვენ გვავალებს უსწრაფე-  
სად მოვახდინოთ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია სახალხო მეურ-  
ნეობაში, გვავალებს აღმოვფხრათ ის ნაკლოვანებანი, რომელსაც ჯერ  
კიდევ ადგილი აქვთ ჩვენს მუშაობაში.

მრეწველობის დარგში ჩვენ ვისახავთ შემდეგ ამოცანებს: ქვანახშირის  
მაღაროების მუშაობა ტყიბულსა და ტყვარჩელში მოვაწყოთ ისე, რომ  
სავსებით უზრუნველვყოთ ჩვენი ქვანახშირით არა მარტო საქართველო,  
არამედ ამიერკავკასიაც; ჩავატაროთ მოსამზადებელი მუშაობა „საქნაე-  
თის“ სარეწაოებზე იმ ანგარიშით, რომ უკვე 1939 წლიდან გავშალოთ ნაე-  
თის სამრეწველო ამოღება; მოვამარაგოთ საბჭოთა კავშირის საწარმოე-  
ბი მარგანეცით და სხვადასხვანაირი მაღალხარისხოვანი ლითონ-შენადნო-

ბებით, მაქსიმალურად დავაჩქაროთ იშვიათი ლითონების კვლევა და მოპოება, რათა დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ძვირფას ლითონებზე, პირველ ყოვლისა, ისეთებზე, რომლებიც უნდა მოვიპოოთ; გავაუმჯობესოთ მუშაობა მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის დარგში, რათა უზრუნველვყოთ ნატურალური აბრეშუმის მაღალხარისხოვან ქსოვილთა გამოშვება.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც პარტიამ და ამხანაგმა სტალინმა დასახეს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში, ის არის, რომ მივიღწიოთ ჩაის იმპორტის შეწყვეტას და სავსებით უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საქართველოს ჩაით. საქართველოს ჩაის პლანტაციებისა და ჩაის მრეწველობის განვითარების ტემპები ისეთია, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში სსრ კავშირს შეუძლიან შესწყვიტოს ჩაის იმპორტი.

უახლოეს 2 — 3 წელიწადში საბჭოთა ქვეყნის მშრომლებს ჩვენ საკმაო რაოდენობით უნდა მიეცეთ მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. წელს ჩვენ დავამზადებთ 400 მილიონ ცალზე მეტ ციტრუსს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1940 წლისათვის ციტრუსთა პლანტაციების ფართობს ავიყვანთ 20 ათას ჰექტარამდე.

ფოთის რაიონში კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები საშუალებას მოგვცემს მომავალში ეს დაბლობი გადავაქციოთ ისეთ მხარედ, სადაც გაშენებული იქნება ციტრუსებისა და ჩაის მთლიანი პლანტაციები და ევკალიპტის ხეები.

ევკალიპტი შესანიშნავი ხეა, რომელსაც სხვა ძვირფას თვისებებთან ერთად აქვს სწრაფად ზრდის უნარი. ევკალიპტის ხე სათანადო მოვლისას 4 — 5 წლის განმავლობაში ათ-ხუთმეტ მეტრ სიმაღლეს აღწევს.

ვაუმჯობესებთ რა საქართველოს ღვინოების ხარისხს და ვადიდებთ რა ვენახებით დაკავებულ ფართობს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ჩვენ 1940 წელს უნდა გამოვუშვათ აგრეთვე 4 მილიონი ბოთლი მაღალხარისხოვანი საბჭოთა შამპანური.

იმისათვის, რომ ეთეროვანი ზეთით უზრუნველვყოთ სსრ კავშირის ქვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარფიუმერიის მრეწველობა, გვგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი განვითარება ეთეროვანთა პლანტაციებისა, კერძოდ გერანის პლანტაციებისა, რომლებიც 1940 წელს დაიკავებენ 3.000 ჰექტარ ფართობს და მოგვცემენ 100 ტონამდე ძვირფას და ძვირადღირებულ გერანის ზეთს, რაც პარფიუმერიის მრეწველობისათვის საჭიროა მაღალხარისხოვან საპნის, სუნამოს და სხვ. გამოსაშვებად.

საქართველო არის ერთადერთი რაიონი, რომელიც საბჭოთა კავშირის მრეწველობას ამარაგებს კეთილშობილი დაფნით, რომელიც მეტად რენტაბელურია და დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეებს.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ გავაფართოოთ დაფნის კულტურის პლანტაციები იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2—3 წელიწადში უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მთელი კვების მრეწველობის მოთხოვნილება დაფნაზე.

ჩვენ ამოცანად ვისახეთ სავსებით უზრუნველყოთ საქართველოს მშრომელნი საკუთარი მარცვლეულით და კარტოფილით, რაც უკვე უახლოეს წლებში (კარტოფილის მხრით 1939 წელს, ხოლო მარცვლეულია—1940 წელს) საშუალებას მოგვცემს განეტვირთოთ რკინისგზის ტრანსპორტი ამ პროდუქტების გადმოზიდვისაგან საბჭოთა კავშირის ცენტრალური ოლქებიდან.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამოთვლილი დარგები ამჟამად მტკიცედ დამკვიდრდნენ საქართველოს ეკონომიკაში და მათი განვითარების პერსპექტივები არავითარ ეჭვს არ იწვევენ. ისინი შეადგენენ საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი და სწრაფი ზრდის ეკონომიურ საფუძველს, ჰქმნიან რა ხელსაყრელ პირობებს ქართველი ხალხის კულტურული დონის კიდევ უფრო მეტი ამაღლებისათვის.

ქართველი ხალხი განუყოფელია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახისაგან.

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცეა, როგორც სალი კლდე.

საქართველოს ბოლშევიკებს და მთელ ქართველ ხალხს მალა და მტკიცედ უჭირავთ თავის ხელში ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

თავისი უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების წინ ქართველი ხალხი ურდევ ფიცს სდებს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადის დიდი სტალინის წინაშე — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები, მკერდით დაიცავს საბჭოების ქვეყანა მტრის თავდასხმისაგან მისი თვალუწვდენი საზღვრების ყოველ უბანზე.

ალექსანდრე კუთათელი

## ჩემი სამუბლო

დღე ცისმარადი გადატეხავს კავკასიონი  
ვარვარა მზისგან გამოსროლილ სხივს ძალისძალა:  
ვარდივით ჰყვავის ქაშვეთი და ქვანი სიონის,  
მამადავითი, მეტეხი და კლდე-ნარიყალა.

ტფილისს არტყია მთაგრეხილის ჯადო, თილისმა;  
მთა თრიალეთის, ცივგომბორი და თიანეთი,  
მტკვარზე გაშლილა მზით დამწვარი ძველი ტფილისი,  
როგორც ფურცელი სანთლის შუქზე მატთანეთა.

შენახული აქვს მას დიდება აღმოსავლეთის,  
დასავლეთზედაც ის ლაღადებს, როგორც გელათი,  
ორ ქვეყნის სიბრძნე რუსთაველმა შეჰკრა ასეთი,  
რომ მზიურ ირანს გადაამყნა ვაზი ელადის.

შვიდას წელიწადს ხელთ ეჭირა წიგნის დედანი,  
სად ვანისვენებს შვენიერი თვალი თამარის,  
მერე დააფრთხო მტერმა ქართლის მშვიდი ქედანი,  
დაშალა ტაძრის ჩუქურთმები, ციხე-კამარით.

ადიდა ოქრო და მშრომელთა ტანჯვა, წვალემა.  
წყეულ ომებით მან გააძღო სამარის მიწა,  
მან მიუტანა მცირე ერებს გარდაცვალება,  
პატივყრილი დედამიწა ბატონებს მისცა.

მაგრამ მოვიდა ხალხთა-მხსნელი სტალინი-კობა,  
მშრომელთა მამა, რომ ქვეყანას ბნელი აშოროს.  
შოთას გმირობა, სიყვარული, მზე — დიდი ძმობა  
მან მიუტანა განახლებულ ხალხთა სამშობლოს.



მარმარი ქვებით და ფოლადით შექცრა ქალაქი,  
 თავისუფალი, უძლეველი შრომის ტაძარი  
 და შიგ ჩაჰლეგარა სიხარული, გრძნობის მარტყტი  
 დიადი აზრი, მოწინავე ქვეყნად რაც არი.

და აქამომდე უნუგეშო, კირშიმყოფელი  
 ჩემს სამშობლოში აღადგინა შარავნიანი,  
 ამალღებული მიწურიდან სახლი, სოფელი,  
 ყანა, ბაღები და მეურნე დოვლათიანი.

დღე ცისმარადი გადატეხავს კავკასიონი  
 ვარვარა მზისგან გამოსროლილ სხივს ძაღისძალა:  
 ბედნიერ ხელხეავს მოიმღერის ეხლა რიონი  
 და მუდამ მშფოთარს გადმოჰყურებს მტკვარს ნარიყალა.



კონსტანტინე გამსახურდია

## ეპროვა გარდაუდებელი

რომანი

ქარი პირველი. \*)

I. კვიზანა მკვიდრი...

ყოველთვის როცა ვახტანგ ურდოელი ლუდვიგის მოედანზე გაივლიდა მიუნხენში, მყისვე ვენეცია მოაგონდებოდა და მგზავრობის წყურვილი შემოეგზნებოდა გულზე. ცხადია, ვენეციის პიაცა სან მარკო გაცილებით უფრო ვრცელია ვიდრე ეს მოედანი. მტრედებს ძველ ვენეციაში რესპუბლიკის ხარჯზე ინახავდნენ, ხოლო ბაეარის სატახტო ქალაქში თვით მოსახლეობა კვებავს ამ ფრინველებს; არც ტრაბიტითა და მარმარიტათა მოგებული ლუდვიგის მოედანი.

იმ დღეს ნაწვიმარი იყო და მტრედებიც არ დაფარფატებდნენ ირველივ, არც მიუნხენელი ლამაზმანები მოსულან მათ დასაპურებლად. სამხედრო მუზეუმის კარნიზებსა და აივნებზე დაგოგავდნენ ზოგნი, ზოგნიც ნაკრტენს ისწორებდნენ, სხვანი ნიშებს ეხიზნებოდნენ, გრუტუნებდნენ დაუცხრომლად.

მტრედები ხომ მშვიდობიანობის მაცნეთ ჰყავდათ წარმოდგენილი კლასიკურ ხალხებს; რა რიგ არ შევნოდნენ ისინი მუზეუმის აივნებიდან გადმოყუდებულ ზარბაზნების დრუნჩებს. (ეს ის ზარბაზნებია, 1871 წ. რომ წაართვა ბისმარკმა ფრანგებს).

ერთი მოზრდილი გუნდი ვიტტელსბახების სასახლისაკენ მიფრინავდა. ლიცილიცებდნენ გამსჭვირვალე ჰაერში ფრთების მათის ნაჩრდილუვის ტალები. კაშკაშებდა მზე ლუდვიგის განიერ ქუჩაზე, ელავდა ლაკი ავტომობილების, კარეტების კიდურებსა და ქალების ფეხებზე.

საწეფო ბალის მთაეარ პორტალამდის არ იყო მისული ურდოელი, როცა ბალიდან ორცხენიანი, შავი ლანდო გამოვიდა. კოფოზე ერთად-

\*) იბეჭდება ნაწვევების სახით. რედ.



ერთი, ყვითელიერეიანი ლაქია იჯდა ქუჩერის გვერდით. ცხელი სარკმელში თეთრწვერა, შავფრაკიანი მოხუცის სილუეტმა გაიკვლია.

ლუდვიგ მესამე, ბავარიის მეფე შეიცნო ურდოელმა. გამწვანებული შესდგნენ, მიესალმნენ, მოხუცმა თვალი შეაღწო ქაბუჯის ლედიერ კერეტის ახლო მოგროვილ ბრბოში მხოლოდ ურდოელს არ მოუხდია ქული.

ურდოელი შესდგა და ლანდომ გაიარა თუ არა, კვლავ მიყვა განიერ ქუჩას. მიედინებოდა დგანდგარით, რაზრაზით, ლაშლაშით, შეტბორებულ ბრბო იმ დაუდგრომლობითა და გულწვიადობით აღვსილი, მთიდან დაძრულ შვავიან მდინარეს რომ სჩვევია ზოლმე. ეს დაუცხრომელი ქოთქოთი და ბუბუნე ქრთილის ოდენა მოწყვენას ჰბადებდა ტენისის ჩოვია ბელში მიმავალ ქაბუჯის გულში.

კაცმა რომ სთქვას, მოწყენა როდი იყო ეს, არამედ სულ მცირე ნატამალი ნაღვლისა, ერთ ადგილას ხანგრძლივად დაყოვნებულ მოხეტიალეს რომ აღეძვრის ხოლმე ისეთ ასაკში, როცა ადამიანს მთელი ქვეყანა საბურთალო მოედნად ეჩვენება (და ამ მოედანს ჰელოც ალარსად უჩანს).

მართლაც და დიდხანს შერჩა მისი მოუსვენარი ბუნების პატრონი მიუნხენის სამხატვრო აკადემიას. მანამდის თითო-ოროლა სემესტრს და აყოვნებდა ურდოელი სენის, ელბის და შპრეეს მონაპირე ქალაქებში.

მხატვრის სახელის ამბავი მწერლისას წააგავს ოდნავ. ზოგს პირველ ქალარამდის მოუსწრებს იგი, ზოგსაც სოკვიდილის შემდეგაც ძლივს გაიხსენებს.

ვახტანგ ურდოელს აკადემიაში წამოეწია სახელი, ასე რომ უკანასკნელი სემესტრების სტუდენტი უკვე ასაკსრული ოსტატის რეპუტაციით სარგებლობდა.

გასული გაზაფხულის გამოფენებზე პარიზსა, დიუსსელდორფსა და მიუნხენში მისი სამიოდე სურათის გამოჩენაც საკმარისი იყო და ევროპის დიდმა პრესამ ყურადღება მიაქცია მომავალი დიდოსტატის საასპარეზოდ გამოსვლას. ეს იყო მისი შედეგები: „მთვლემარე ვეფხი“, „Pietà“ და „მონმარტის კაფე“.

მიუხედავად ამისა, ირანულ ზედგავლენებისაგან განთავისუფლებას ურჩევდა კრიტიკა მხატვარს, ნახაზის უჩვეულო სიმკვეთრეს, ფენომენალურ ფანტაზიას, წამლების დიდის ვემოვნებით შერჩევას უქებდნენ თანაც, არც ის დაუფარავთ, რომ ახალგაზრდა მხატვარი ქართული ფრესკოს დიდოსტატების ტრადიციების განახლებას ლამობსო ამოოდ.

ფლამანელი მხატვრების ეპიგონობის გზაზედაც მდგარა ურდოელი აღრიან სიჭაბუკეში, მაგრამ სწორედ მიუნხენის სკოლამ აღუძრა მას ლათინელი დიდოსტატებისადმი უებრო ტრფიალი:

ახლაც ცალი თვალი ჩრდილოსკენ ჰქონდა ხანდახან; დრეზდენის აკადემიაში გადასულიყო საშემოდგომო სემესტრისათვის? მაგრამ საქსონური წვიმები ავონდებდა, ლეგა, უსიხარულო ცა.



ვინ არის მერმე ამ ქვეყნად ყველაზე გულუბვი ფერია მარტო?

ცხადია, ზეცაა იგი.

ამ უფერულ ცის გამო გამოექცა ურდოელი მოღუპული ბერ-  
ლინს, სადაც ხაზის ოსტატები ეგულება ამჟამათა ციკლი-  
ცამ მისცა რაფაელ სანტის და ლიონარდო დავინჩის ფერების სიმ-  
ფონიის იდუმალი კლიტენი ხელში. ასეთი ჯადო აქვს ცას და რა იშვია-  
თად აიხედავს ხოლმე ფილისტერი ცისკენ, არა მარტო ფილისტერი, ჩვენ-  
თაგანი ყოველი.

მიუნხენიდან წასვლა გადაწყვეტილია კიდევაც, მაგრამ სად?

დღეს დილით მეფოსტემ „დოიჩე ბანკის“ უწყება მოუტანა. ატყობი-  
ნებდნენ იმ 3.000 ფრანკის მიღებას, „მთვლემარე ვეფხისტვის“ რომ  
გადაერიცხა პარიზელ სეცესიონს.

გზაჯვარედინს გადმოცდა თუ არა, სამგზავრო ბიუროს მიხაკისფე-  
რი აბრა შენიშნა ურდოელმა. სულ ოციოდე ნაბიჯის მანძილზე უყუ-  
რებდა იგი ამ აბრას და ამ რამდენსამე წუთში საოცრად შეიკუმშა, შე-  
დდდა მის ნებაში მგზავრობისადმი წყურვილი ლუდვიგის მოედანზე  
აღძრული.

ბოლოს რა აფერხებდა მას? ახალ სემესტრამდე კიდევ ორიოდე თვე  
იყო დარჩენილი. საზაფხულო არდადეგები რად უნდა გაეტარებინა ამ  
წვიმიან მიუნხენში, სადაც აგვისტოში უკვე ქაშანის ლუმელებს ანთებენ.

სამიოდე წლის წინად ერთი დღედაღამე გაატარა ვენეციაში გზაგა-  
ვლით დაყოვნებულმა და ახლა გაახსენდა მაშინ დადებული ფიცი: ხანგ-  
რძლივად სწვევოდა უთუოდ დოკების ბრწყინვალე ქალაქს.

ფრანკის კურსი მაღლა იდგა, ათასი ფრანკი პანსიონის ხარჯებსა და  
თერძის ვალს გაუსტუმრებდა, გზის ფული არ შევიდოდა დანარჩენ ორი-  
ათას ფრანკში, რადგან ჯერ კიდევ გასულ კვირას 100 მანეთი გადმო-  
ვგზავნა დედას.

სამგზავრო ბიუროს ვიტრინაში გამოფენილ მაკეტს გემისას თვალი  
დაადგა ურდოელმა და თითქმის ხმამაღლა ამოიკითხა ზედწარწერილი:  
„ლოიდ ტრიესტინა.“

კონტორაში ფეხი შესდგა თუ არა, ევროპის უზარმაზარ რუკას მი-  
ადგა რელიეფებით გაკეთებულს. გერმანიის სახელმწიფო საზღვრებზე  
გადაატარა თვალი, ღამურასავით ფრთავაშლილი იმპერია ავსტრო-უნ-  
გრეთისა თითქმის თითით გადახაზა ზალცბურგიდან ვიდრე ვენეციის  
გოლფამდის. მერმე გამობრუნდა, მთვარეულივით მივიდა სალაროს სარ-  
კმელთან და ჩიყვიანი, მწითური კაცის მოტვლებილ თავს დააჩერდა,  
სთხოვა ბილეთი ვენეციამდის. ჩიყვიანმა თავისი კურდღლისებური წი-  
თელი თვალები შემოაწყვიტა და ოდნავ გაოცებული შეეკითხა:

საქართველოს  
პარლამენტის  
ბეჭდვული

მანათობი

„ვია?“ \*)

„ვია ეენა, ლაიბახ.“

იყო პასუხი.

„პოლაზე თუ ტრიესტზე?“

ურდოელი მუდამ მოიკოკლებდა გეოგრაფიაში და ახლაც მხოლოდ იმ ქვეყნებისა იცოდა კარგად, სადაც თავათ ემგზავრნა, ამიტომაც ვერ მოისაზრა:

ზღვით გამგზავრება პოლადან აჯობებდა, თუ ტრიესტიდან?

ურდოელის აქცენტმა მიახვედრა ჩიყვიანი მოხელე, უცხოელის დაბნევის მიზეზს, თავისი მწითლური თავი გამოყო სარკმლიდან და მკაფიოდ, ხმა-მაღლა ეუბნება:

„მომისმინეთ ახალგაზრდავ, თუ პოლაში საქმე არა გაქვთ რაიმე, გიჯობთ ტრიესტიდან გახვიდეთ ვენეციის გოლფში. ამ შემთხვევაში ეს გზა მთლად 90 მარკა და 50 პფენიგი დაგიჯდებათ“.

„კარგი, ასე იყოს, ტრიესტით, ტრიესტით“.

მიაძახა ურდოელმა და ყურები ისევ გაუწითლდა, როგორც გეოგრაფიის გამოცდებზე მოსდიოდა ხოლმე.

„28 იელისს, ნაშუადღევის პირველ საათსა და 10 წუთზე მიუნზენის მთავარ სადგურიდან, მესამე პერონზე. Verstanden \*)?“

ურდოელმა საჩქაროდ გადაუთვალა ფული და ქუჩას მიაშურა. მიდიოდა, თანაც ისე გახარებული დასცქეროდა სამგზავრო ბილეთებს, როგორც ფრიადოსანი მოწაფე დახედავს ხოლმე თავის წარჩინების ატესტატს.

ნაბიჯს უმატა ურდოელმა, მაგრამ როცა ბილეთები უბეში ჩაიწყო და ხელები გაუთავისუფლდა, შენიშნა: ტენისის ჩოგი რომ აღარა ჰქონდა თან. კონტორაში მიბრუნდა, ტენისის ჩოგი იქვე დარჩენოდა სარკმელის რაფაზე, სადაც ბილეთების ფული გადაუთვალა ჩიყვიან პოლარეს.

ქვეყანა ვრცელია, როცა ახალგაზრდა ხარ და მარტოხელი. ოღონდ ესაა: მატარებლის კივილი, ან გემის სირენის ყვირილი თუ არ შეგზარავს როცა სხვის მიწაწყალზე მიმქროლავი თავს გამოყოფ ფანჯრიდან უთვარო ლამეში. ქვეყანა ვრცელია, თუ ჩემოდნების თრევა, სასტუმროებში წანწალი და სხვის მიწაზე ხეტიალი სიმძიმლილად არ გიჩანს.

მაშ, აჰა, მგზავრის გულა-ნაბადი, ფანქრის ნატეხი და ქალაღლის ნაქერი, სხვა რაღა გინდა მოხეტიალე მხატვარო? რა ვუყოთ მერე რომ ეს ქვეყანა ვრცელია და ფარშავანების ბოლოსამით მრბელი...

\*) „ვია“ — რაგზით?

\*\*) გაიგეთ.

## II



გაცდენილი პარტია ტინისის ეპიკურული  
გეგმული მოქმედება

ასეთ უწყინარ ფიქრებში გართულმა ქუჩა გადასერა ჯიქურად. აეტომ ისე ახლოს ჩაუქროლა, სიგნალიც არ გაუგონია, ჰაერის ხშუილისაგან კულულები შეერხა, თითებით გაისწორა შუბლზე ჩამოღვარული, მეორესაც განერიდა, ახლა მთელმა ქარავეანმა აეტოებისამ გადაუქრა გზა, აცალა ჩავლა, მერმე თითქმის ძუნძულით მიაღწია ტროტუარამდის.

შესდგა. საათი ამოიღო, ფრაუენ კირხეს გუმბათს მიხედა. მისი საათი 15 წუთით ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

შეკრთა.

შეწუხდა, რად დავაღალატეო ალბერტი მიუნხენიდან წასვლის წინ. ტენისის მოედნამდის ოციოდე წუთის სავალია. ტრამვაი არ უდგება, რადგან შევბინგში, ხელოვანთა უბანში ტრამვაი არაა. მოედანი შევბინგის ბოლოშია. ალბერტი ალბად აღარ მოუცდის. იგი თავათაც პუნქტუალა, სხვისგანაც ამას მოითხოვს. აფსუს, უკანასკნელი პარტია უნდა ეთამაშნა მასთან!

აქ სხვა რამეც იყო. დღეს უძველესად უნდა ენახა ალბერტი, ისე ქაჯიც ვერ მოსძებნის მას კვირა დღეს მიუნხენში. ფრაუ ბენდერთან უნდა წასულიყვნენ ხუთი საათის ჩაიზე. ურდოელი ისე მიეჭვია ალბერტთან ერთად სიარულს, ბენდერიანთ მისამართიც არ ჩაუწყვრია. ვის გაუგონია ასეთი გაურკვეველი ფლირტი? ვისკენ უძევს გული ფრაუ ბენდერს, ვერც ალბერტისა და ვერც ვახტანგს ვერ გაურკვევიათ ჯერაც. ორივეს ეპატაჟება ხოლმე 5 საათის ჩაიზე, სუარეზე, გამოფენებზე, ოპერაში, კაფე სიმპლიცისიმუსში ერთად დადიან:

ფრაუ ბენდერის ცისფერმა თვალებმა შემოანათა ურდოელს. თავი აიღო. ვილაც მალაღმა ქალმა მზერა შესტყორცნა და ბრბოში გაუჩინარდა.

არა, ეს არ ყოფილა ფრაუ ბენდერი, მას უფრო მალაღი თქმობები აქვს, ოდესღაც ასე ეგონა ურდოელს, ფრაუ ბენდერი გასთიშავდა მათ. ურდოელს ახლა სასაცილოდ უჩანს ეს ყოველივე. მას სხვა სანახები მოეღოს, სხვა ადამიანები და სხვა განცდები. განუზომელად ახარებს ეს შესანიშნავი გზა, რომელიც პირველად უნდა გაიაროს.

მიუნხენი, ვენა, შტაიერმარკ, ლაიბახ, ტრიესტი, ვენეცია. წ. მარკოზის შესანიშნავი ტაძარი და მოედანი, პალაცო დუკალე, სან ჯიორჯიო შაჯიორე, მარია გლორიოზა დეი ფარარი, ბოლოს ღამეული სანახი მთელს ქვეყანაზე უბადლო — კანაღე გრანდი, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გაქიმული შავი წყლის ზოლი უმთვარო ღამეში, ბნელი და დამრეცილი, როგორც ცხოვრების გზა.

ეს ვაიფიქრა ურდოელმა და სწორედ ამ დროს თორმეტჯერ დაიწყიალა ფრაუნენ კირხეს გუმბათის საათმა. თითქმის ყოველ ღამით ესმოდა ურდოელს ამ საათის ქლარუნი და ასე უცნაურად აროდეს მოხვედრია გულზე. შესაძლოა, ეს იმიტომ, რომ მიუნხენში მისი წავიდეს ურდოელი. ყველაფერზე მეტად შესაძლოა ამ საათის ქლარუნი დაამახსოვრდეს მას. ფრაუნენ კირხეს საათს უფრო მელანქოლიური ხმა აქვს, ვიდრე ბერლინის, აახენის და ნიურნბერგის რატაუზების და ეკლესიების საათებს. ეს წოწოლა, ორგუმბათიანი ფრაუნენ-კირხეც ხუროთმოძღვრების საოცარი ქმნილებაა. იგი ერთის შეხედვით მიზგითს უფრო წააგავს, ვიდრე კათოლიკურ ეკლესიას.

ამდენი უხეტიანია ამ ქვეყნად ურდოელს, ჯერ არსად არავინ შეხვედრია ამ ქალაქებში ისეთი, ვისი დათმობაც განსაკუთრებით გამწელეზოდეს.

ამ საათების ღამეული ქლარუნი გამოყოლია მხოლოდ, ხანაც ძველი კოშკებისა, კათედრალებისა და ლანდშაფტებისადმი სიყვარული. გაეცლებოდა ქალაქს და მეორე ქალაქში მოესმოდა წინანდელის საათების უცნაური ხმა. მთელ ევროპაში, ყოველ უბანში აქლარუნებენ ისინი ღამლამობით, როგორც სვედიანი რეკვიემ ღამისა და იღუმალის ყურში ჩამახილი და ეს ხმა გაცილებით მეტ მწუხარებას ჰგვირის ზოლმე უსამშობლოდ მოხეტიალე მგზავრს, ვიდრე ექსპრესების, გემების, ჭარხნების სიჩრენების ბლავილი და ბუბუნნი.

ისევ დახედა საათს ურდოელმა და ალბერტ დე მალრები მოავონდა კვლავ. ყველაზე მეტად ძვირფასი ალბერტი დარჩება მისთვის ბავარიაში. იგი ხომ პირველი ვაჟი იყო არა თვისტომი, რომელიც თვისტომზე მეტად შეუყვარდა ურდოელს, უცხოებაში.

ეს ორიოდე დღე ჩალაგებას და რამდენიმე ოჯახთან გამოთხოვებას მოუწოდება. ნაბიჯს უკლო, ალბერტი მაინც არ დაუხვედება ალბათ ტენისის მოედანზე, შესაძლოა რამდენსამე ნაცნობ მხატვარს წააწყდეს ისეთს, ვინც გამოთხოვებად არცა ღირს. ასე რომ ეს უკანასკნელი გასეირნება იქნება მიუნხენში.

ლუდვიგის ქუჩა მოთავდა. ეს მოლაშლაზე ბრბო ახლაც ისეთივე უცხოა მისთვის, როგორც მიუნხენში ჩამოსვლის პირველსავე დღეს. მოედნებიან დუელებისაგან სახედაჩეხილი სტუდენტები, (ძალეებიანად), კაპუცინელი და დომინიკანელი ბერები, (შავი კრიალოსნებით კისერდახლართულნი), პირმოქუშული საჭმის კაცები (ისე გამოიყურებიან, როგორც თევზები აკვარიუმის მღვრიე შუშებიდან), ელავენ მზვარეში პენსნეები, მოდიან ღიპიანი ბანკირები, ბუჰალტერები, ბიუროების მოხელენი, რომელთაც ჯდომისაგან შარვალი უბრწყინავთ საჯდომზე, მოკლე შარვლიანი ბავარელი მემამულენი და მეურნენი, (ნიავეზე ირხვეიან მათ მწვანე ქუდებზე მიკრული ჯეირნის წვერის ფოჩები), ელავენ ვერც-

ხლის გვირილები მწვანე პიდჯაკების სალილებში, ბარძაყის მგელი, ჩიყვიანი ტიროლელები მიაბოტებენ ქუჩაზე, აღრთობენ მოსახლეთა ლაშებზე დაკიდულ ყალიონებს, დალასლასებენ თეძოვანიერი, გაპტდრულ მამათმავლები, თეთრი შიციები და ხელიკივით წაქრულნი დაკლები მოყვებიან „გრანდამებს“, კოკოტებს, დემიმონდენებს, ოქრო, აღმასი და ბრილიანტი ბრჭყვიალებს გათქვირულ მკერდებზე, გაპრეხილ ოფიცრებს მკლავგაყრილი მოყვებიან თავიანთი გამხდარი, აყლაყულა ცოლები. მხოლოდ აქა იქ, ხედება ურდოელის თვალი, ღიმიან, ლაბაბიან ქინჩასუქებულ მამაკაცების ბრბოში, მწვანე ხალათიან, უქუდო, გამურულ მუშებს, გასაღებებით დატვირთულ მეკლიტეებს, ღამის დარაჯებს, რკინისგზელებს, ლიფტიორებს, შოფერებს, მეკარეებს, ზეინკლებს, დურგლებს, მენაგვეებს. ისინი ისე გამოიყურებიან ამ ჩაქურატებულ, გათქვირულ კაცების, ქალების პირისპირ, თითქოს სხვა ჯილაგისანი ყოფილიყვენ.

მიყვება ურდოელი ქუჩას, ხანდახან ფრანგული, ინგლისური, ფრაზა დასცდება პირიდან ვინმეს. სასპორტო ჩანთებით, ბინოკლებით დატვირთულ ტურისტებს შეავლებს თვალს, მიჩოჩქოლებენ ამერიკელები, თანაც ხორბოცებენ ისე ხმაშილლა, თითქოს საყუთარ ქვეყანაში ჩამოსულანო. პოლანდიელების ხავილი მოისმის, იტალიურის ფრინველისებრი ჭიკჭიკი და ამ მწითურ და სელისფერ ევროპელებს ფონზე ხოჭოებივით დაფუსფუსებენ ჩინელები, იაპონელები და ზანგები.

უკვე შვაბინგის ცენტრში მოსულიყო ურდოელი, ვიწრო ქუჩების ლაბირინტში გზა არეოდა ფიქსგადაყოლილს. ნიმფენბურგისკენ უნდა წასულიყო და ინგლისურ პარკისაკენ გადაეხვია. ახლა რომელიღაც გრძელსა და ვიწრო ქუჩას დაადგა. დაიკარგა დღევანდელი ტენისის პარტიაც და ფრაუ ბენდერსაც ველარ ნახავს.

აფსუს! გუშინწინ შემოუთვალა ფრაუ ბენდერმა ვიღაც ამერიკელ ორიენტალისტს ნდომებია მასთან გაცნობა.

ალბერტი მარტოკა წაეა ალბათ, *quatre mains* დაუკრავენ შუკმანს. მერმე თავის მშვენიერ ბავშვებს შემოუყვანს ფრაუ ბენდერი. შესაძლოა, ბონნამ ფრანცისკამ ინგლისურ პარკში წაიყვანოს ბალები და სავსებით მარტოკა დარჩენ ალბერტი და ლიუზა.....

ურდოელს საოცარმა ქენჯნამ უჩქმიტა გულზე, მოეჩვენა თითქოს ფრაუ ბენდერის ხმა შემოსმოდეს ამ წუთში.

„გელ? გელ?“ ისე ლამაზად უქცევს ლუიზა ბავარულად და ეს „გელ“ — წარა-მარა მოვარდება ენაზე.

მაიერბერის შესახვევის კუთხისაკენ გაექცა თვალი ურდოელს. მოზდილი ბრბო მოგროვილიყო. ფესტემლიან დიასახლისებში ორიოდ ენვალდი მოსჩანდა, სქელკისერა, ხარისთვალაიანი მოხუცი დაწინაურებულიყო, პენსნე ცალხელში ეჭირა, ყურადღებით კითხულობდა მწვანე

აფიშას. ურდოელიც ბრბოში ვაერია და იგიც მიაშტერდა მსხველი შრიფტით აწყობილ ბრძანებას.

1914 წლს ივლისის 25-ისათვის მიუნხენის ჩამოყვანილობის მთავარსარდლობა მოუწოდებდა სათადარიგო რეზერვების მსხვედრებს და ჯარისკაცებს დილის 12 საათზე გამოცხადებულიყვნენ. ეს იყო და ეს. ასეთი მწევანე აფიშები რამდენჯონის ენახა ურდოელს ქუჩებში, მაგრამ მათი მკითხველი ჯერ არ შეხვედრია.

25 ივლისი?!

გაახსენდა დღეს სალამოს რუდოლფფონ მანტოიფელთან უნდა წასულიყო.

თვალწინ დაუდგა დუელებისაგან დიხეხილი სახე მანტოიფელისა. მისი ცხენური, ფართე კბილები, ჯუჯა კისერი, კარტოფილის ოდენა ადამისეაშლი მასზედ. ამ წუთში ურდოელის სმენაში გახშირდა მანტოიფელის თარსული მისალმება „აააა“...

რას ჩამაცივდა ეს კაცი? ფიქრობს ურდოელი და მიყვება ცარიელ ქუჩას. მის თავახიანობაში უამრავი სირბილეა, პასიური მამათმავლების ქალაქუნობასთან მომიჯნე. ტანში გაბუძვავს ადამიანს, როცა იგი თავის გრძელსა და მუდამ სველ ხელს ჩამოგართმევს, მარწუხივით მოგიკერს. რა თანატოლი ნახა ჩემში ამ თავმოტვლებილმა ყანჩამ? მხატვრობა ვითომ? ბავარიაში ხომ ყოველი უქნარი, ხელმოცარული კაცი „მხატვრად“, „მოქანდაკედ“, ან „მოჭადრაკედ“ ასალებს თავს. შესაძლოა მარკები? მანტოიფელი ხომ კოლლექციონერი, მარკების კოლლექციონერი. მაინც რამდენჯერ უთქვამს მისთვის ურდოელს; ძველ საქართველოს საკუთარი მარკები არა ჰქონიაო, მაინც გულს არ იტებს. ჩემს კოლლექციონას ქართული მარკები აკლიაო.

შესაძლოა მოჩვენებითი აზიომანობა?

მანტოიფელს კავკასიაში უცხოვრნია ხანგრძლივად, ბალტიის ქაობებში გაზრდილს საქართველოს მთებისა და ქალების სილამაზე აკვირებია. ვინ იცის ეგებ, ესახელება კიდევ ერთი ექზოტიური „აზიატიკ“ დადაიოდეს მის ვილლაში.

საორტის მოედნამდის მიადწია ურდოელმა. პორტენზიების ბუჩქები ჰყვავოდნენ, აკაციების გამაბრუებელი სუნი ეცა.

მოედანზე თითქმის მთელი მესაორტე ბოქემა დაუხვდა ურდოელს, ამოდ ეძია შორიდან მისმა თვალმა ალბერტი.

კაპელმაისტერი ვაგნერი, როგორც ყოველთვის, თავის ცოლს ეთამაშებოდა, მხატვარი ცეზარ კლაინი ვიდაც ამერიკელ ქალს ეჯიბრებოდა, მას წარამარა უოფლიანდებოდა პენსნე, ხელსახოცს იღებდა და წმენდდა სათვალეს. ფრანგ მხატვარს ოიენ ბიგნს ვიდაც უასაკო იტალიელი ვაეი აერჩია პარტენერად.

Benissimo! <sup>1)</sup>.

წამოიძახა ატალიელმა.

ურდოელი უსიამოდ შეერთა, როცა მანტოიფელის მოდრეკილი ზურგი შენიშნა და ლამიყლაპიასავით გრძელი კანკები. მანტოიფელს აქაც თავისი ხაკის შარვალი ეცვა და სახვევს განსაკუთრებული სახვევეი გამაშვები...

უკუდგა ურდოელი, ბილიკს მიჰყვა გაზონის კიდემდის და აქ აკაციების ჩირგვს ამოეფარა. მანტოიფელის პარტნერი ფრიად ოსტატურად თამაშობდა. საკინძევახსნილ ქალს ოდნავ შეფაკლოდა სახე. ჩოვის მოქნევაზე „ალა გარსონ“ შეკრეკილი კულულები წარამარა ჩამოელვრებოდა ხოლმე შუბლზე.

თავისი უზომოდ გრძელი მკლავით მოუქნია ჩოვი მანტოიფელმა პარტნერის ბურთს, განზე გასტყორცნა, ვიდრე მანტოიფელი ბურთს მიეწეოდა, მისი პარტნერი ჩოვზე დაეყრდნო და პირდაპირ შეაკერდა ჩირგვის უკან მდგარ ურდოელს.

შესაძლოა სხვას უცქეროდეს ვისმეს, გაიფიქრა ურდოელმა, ამ ბურჯებს გადაღმა მავთულია, მავთულებს იქით კროკეტს თამაშობენ. უკან მოიხედდა; კროკეტის მოთამაშენი არ სჩანდნენ მწევანის სიხშირის გამო.

ეცნაურა თითქოს ეს ქალი ურდოელს. უანგისფერი სახე ჰქონდა, წვრილი ხალებით დაწინწკლული მარცხენა ყბა, ხოლო მარჯვენა ლოყაზე ერთი საკმაოდ მოზრდილი ხალი. ბავშვური თეთრი წინდები ეცვა, კოქის თავამდე ოდნავ მიწვდენილი. წვიწვები და გულმკრედი სასტიკად დაფუთქოდა, ეტყობოდა ზღვის კურორტიდან ახლად მობრუნება.

სწორედ სახისფერისა და ხალების გამო მიაქცია ყურადღება ურდოელმა ამ ქალს. ვინ უნდა ყოფილიყო იგი თუ არა იტალიელი?

შესაძლოა რუდოლფ მანტოიფელის მორიგი „მოდელია“. ფიქრობს ურდოელი. ასეთ მოდელებს ყოველ სეზონში გამოაჩენს ხოლმე მანტოიფელი ტენისის მოედანზე, გამოფენებზე, ხან კაფე სტეფანიაში და მერმე გაჰქრება ეს მოდელიც“.

შემოტრიალდა მანტოიფელის პარტნერი. ახლა პროფილი შეაკცია აკაციების მხრიდან მაკქერალს და ურდოელის ხსოვნაში განათდა უეცრად. მოაგონდა: ეს იყო, სწორედ შარშან ნახა პირველად ლეშბახის მოედანზე ეს ქალი, სენ ბერნადის ჯიშის ძალღი მისდევდა გვერდით, მერმე აგვისტოში; თუ სექტემბრის მიუხეხეელი მხატვრების გამოფენაზე შენიშნა. ფრანც შტუკის სურათს უჭერეტდა. გასულ ზამთარში რომელიღაც კლავიერ-აბენდში შეხვდა მარტოხელას.

<sup>1)</sup> ფრიად კარგი.



ზომ არის ისეთი შემთხვევა ცხოვრებაში? ხანდახან უცხო ქალაქში ქალს შენიშნავენ, მასთან გაცნობა მოგენატრება, შესაძლოა შეხვედრე კიდევაც ორ-სამჯერ.



ხანდახან პირისპირ მიგაგდებს შემთხვევა, ერთი სუფთხედიანი „სალამო, ან დილამშვიდობის“ გინდა უთხრა, რადგან მისი ცხოვრება არა გვანან უცნობის თვალებს, მის შემთხვევაში უამრავი სევდაა, არც თავხედური გამოცნაურება გინდა შეჰკადრო, რადგან იგი სულ სხვაა, ვიდრე ათასნი, იგი უცნობია, მაგრამ მრავალ ათას ნაცნობზე უფრო ძვირფასი. ასე გგონია საკმარისია სასწაული მოხდეს, ბაგე გახსნას და მის პირიდან გაიგონო იმ სიხარულის ხმა, რომელიც დაგიკარგავს დიდი ქალაქის გაბოროტებულ ადამიანების შემყურეს. მერმე გაშორდები მას დაუბრებელივით, რადგან ეს არ შეიძლება, სხვანაირად არ შეიძლება წახვალ და შენც შეერწყმი ამ ციკლოპიურ სახლების ჩრდილებში მოლაშლაშე მილიონებს, მასავეთ დაიკარგები და თან გაგყვება, საოცარი, გაუმხელელი დარდი უცნობი, უტყვი და მშვენიერი ადამიანისადმი.

ამ ტრფიალში გაცილებით მეტია, ვიდრე ეროტიული გრძნობა. მერმე ატარებ ამ უჩინარ სევდას გულში, შენი თვალი ეძებს მას თეატრებში, კინოებში, ქუჩებზე, მუზეუმებში, თითქოს მიწამ პირი უყოვო, გაუჩინარდება იგი როგორც ზღვაში ჩანთქმული კიმილა. მერმე შესაძლოა, ბრმა შემთხვევამ მოიტანოს, შენ იმ ქალაქიდან უეცრად მოგიხდეს წასვლა, სამოგზაურო ბიუროში, ან რკინისგზის ბაქანზე შეგხვდეს იგი და გაგაცნოს ვინმემ.

ურდოელი გაოცებულია: რალა დღეს, როცა ვენეციის ბილეთი შეიძინა, რალა დღეს შეხვდა ხელახლა მას?

არა, აღარ უნდა ურდოელს ამ ქალის გაცნობა. არც მანტოიფელთან შეხვედრა. მიყვა ხრეშმოყრილ ბილიკს, მაგრამ ბილიკი ეკლიან მავთულთან თავდებოდა, განზე წასულიყო? გაზონი უნდა გადაეღობა.

მანტოიფელსა და მის პარტნერს მოეთავებინათ პარტია, მწვანე სკამზე დამსხდარიყვნენ, რუდოლფს თავისი ბავარული ჩიბუხი ამოეღო, თუთუნს ატენიდა შიგ, თანაც როხროზობდა, ცხენურ კბილებს აჩენდა და როხროზობდა. საკმარისია ადგეს მანტოიფელი, უკან მოიხედოს, სხვა არ იყოს რა, იფიქრებს, უთვალთვალეზდეს მას ურდოელი თითქოს.

გამოყვა ბილიკს თავჩალუნული.

ურდოელი, აკაციების ბუჩქს გამოსცილდა, სწორედ ამ დროს მოიხედა მანტოიფელმა და ნაძალადევად გაუღიმა. ურდოელს უცნაურად აემღერა გული. მოდიოდა, მიწას დაჰყურებდა და ისე მოდიოდა მწვანე სკამისკენ, სადაც მანტოიფელი და მისი დამა ისხდნენ.

„grüssgott“. მიამახა მანტოიფელმა, თავისი გრძელი მკლავი გამოუწოდა და ეუბნება:

„Nun was sagen Sie Herr Urdoelli wenn iuh Sie Ihrer Landsmännin vorstelle? Fsäulein Arischiani!“<sup>1)</sup>.

არიშიანიო?

ურდოელი შეკრთა და დაიბნა. ამდენი ხანია იტყუებოდა ქართველი ქალი არასოდეს შეხვედრია მას.

ქალიც თითქოს აიძვრაო, (ასე ეწვევა ურდოელს), მაგრამ შეეცადა ეს არ შეემჩნიათ თანადამსწრეთ, ოდნავ, სულ ოდნავ გაიღიმა, არა სთქვა რა და თავისი გრძელი წამწამები დააფახულა მხოლოდ.

ურდოელის უპირველესი საწადელი ეს იყო, ქართულად გამოლაპარაკებოდა არიშიანის ქალს, მით უმეტეს, რომ ორ წელზე მეტია, რაც სიტყვა არ დაუძრავს ქართულად, სიტყვები ყელზე მოებჯინა, მაგრამ სადღაც ხორბის არეში დაიჭირა ეს ბგერები, ნერწვი გადაყლაპა და უსუსური ხმით მოავროვა რამდენიმე გერმანული სიტყვა.

„Es freut mich sehr...“<sup>2)</sup>.

სთქვა უნიათოდ, მშრალად, იძულებით და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. მერმე შეეკითხა მანტოიფელს:

ალბერტ დე მალერბ თუ გინახავთო ტენისის მოედანზე, დღეს?

ალბერტ დე მალერბ? როგორ არა, ნახევარი საათის წინ აქ იყო. ცოტა ხანს უყურებდა თამაშს, როგორც სჩანს პარტნერმა ქალმა უღალატა, მინდოდა დაეღაპარაკებოდი, სწორედ მაშინ ჩვენ ვთამაშობდით. მერმე გაუჩინარდა“.

„ქალს კი არა მე მიცდიდა ალბერტ დე მალერბ.“ წარმოთქვა ბეჯითი და მშრალი კილოთი ურდოელმა.

მთელი მიუნხენელი ბოჰემა აქ მოსულაო, სთქვა მან და მოედნისაკენ გაიხედა; მანტოიფელმაც კისერი მოიღრიცა თავის დამისაკენ და წყვილებს დაუწყო ჩამოთვლა: ის ჭერა კაცი, მარცხნიდან პირველი, ეს გახლავთ ჩემი მეგობარი, ბალტიელი მხატვარი აქსელ-ჰაუზენ, მისი პარტნერი, ელვირა ერცბეგ, მიუნხენელი ბალერიინა, თქვენი მეგობრის, ფროლიან ენგელჰარტის პარტნერი ბალტიელი პოეტია რობერტ იოსტ, მოედნის კიდესთან მწვანე სკამზე — პოლონელი მხატვარი ფროილიან ქსეშინსკა, ხოლო ვაჟი, პოლონელი ემიგრანტი პონიატოვსკი, ჭილის სკამში იტალიელი ჯიოვანი სისმონდი, ახლა რომ ჩოვი მოიქნია, ფრანგი მოქანდაკე კორბეა, მისი პარტნერი — ბანკის დირექტორის მეუღლე ფრაუ-დოქტორ შვარც, სხვათა შორის კორბეს ამ საღამოს გავაცნობთ,“ მიმართა მანტოიფელმა არიშიანის ქალს. მერმე ურდოელს მიუბრუნდა:

„ჰერ ურდოელი, თქვენი აზიური არაპუნქტუალობის ამბავი მრავალგზის დამიცდია, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ დღეს ჩემი სტუმარი ხართ.

<sup>1)</sup> აბა რას იტყვი ბატონო ურდოელი, თქვენი თანამემამულე ქალი; რომ გავაცნოთ? ფროილიან არიშიანი.

<sup>2)</sup> სისამოვნოა ფრიად.

აბალ ვილაში გადავედი, ალბერტმა იცის მისამართი: ვაქუნტ შტრასსე 13. მე ხელში ჩამივარდა იშვიათი თურქული მარკები. თქვენ, როგორც ქართველს, თურქული გეოგრაფიკით, თურქები ხომ თქვენი უახლოესი მეზობლებია. ეს მარკები იშვიათია, სავსებით იშვიათი... მარკებს გა-  
მოცემული. ჩემმა მეგობარმა მეხტი ეფენდიევმა მისასწავრა, ბაჭოელმა მილიონერმა.

„თურქული არ ვიცი, მაგრამ თურქულ მარკებს ირანულიდან გამო-  
ვარჩევ.“ ეს უპასუხა ურდოელმა, თანაც არიშიანის ქალს შეხედა. უკვირ-  
და რად სდუმდა ამდენ ხანს. აინტერესებდა: როგორი ხმა ჰქონდა ამ  
ქალს, რომელსაც მდუმარეს ხედავდა მუდამ, მდუმარეს და შავებით მო-  
სილს. ეს პირველად ნახა ტენისის მოედანზე თეთრებში.

მანტოიფელმა დაასწრო კვლავ:

„თქვენ თუ იცით ფროილიან არიშიანი თურქული?“

„არა, მე არ ვიცი თურქული“

უპასუხა მან და ურდოელის ეს ხმა ძილის პირივით ტკბილი ეჩვენა.  
ერთი რამ შენიშნა. ამ ქალის გერმანულს ბალტიური დიალექტის იერი  
ეტყობოდა. რად უნდა ლაპარაკობდეს ქართველი ქალი ბალტიურ დია-  
ლექტზე. (ეს დიალექტი ჰირისდღესავით სძულდა ურდოელს.).

მანტოიფელმა კიდევ ერთი ახალი ამბავი წამოიწყო:

ტოკიოდან მოსვლია წერილი და ახლად გამოშვებული მარკა ყო-  
ფილა ზედ.

„ეკ. დაიწყო მანტოიფელმა თავისი საყვარელი არია“. გაიფიქრა ურ-  
დოელმა და სწორედ ამ დროს წამოდგა ფროილიან არიშიანი. დედას  
დოიჩე ბანკის უწყება მოსვლია დილას, ორი საათისათვის შინ უნდა  
ვიყვეო.

### III

#### უცნაური შემთხვევა პანსიონ კობურგში

სამის ნახევარზე ურდოელი პანსიონ „კობურგში“ იყო.

ჩვეულება ჰქონდა ასეთი: მგზავრობის წინ კურსტებს აიღებდა, წერი-  
ლად შეისწავლიდა წინამდებარე გზას. ბედეკერს გადაშლიდა, ზუსტად  
გაიგებდა სასტუმროების ფასებს, ამა თუ იმ სადგურების სპეციფიკას.  
ბილეთების მიხედვით, შეეძლო მთავარ ქალაქებში სამ-სამი დღე დაეყოფ-  
ნებინა: წინასწარ დასთქმა სამ-სამი დღე დარჩენილიყო. ვენაში, ლაიბახ-  
ში, ტრიესტში. ვენაში სამი დღე რას ეყოფოდა, ჰაბსბურგების სასახლეს  
დაათვალიერებდა, მუზეუმებში რამდენიმე ანტიური სკულპტურა უნდა  
მოენახულებინა, ახალი მხატვრობის გალერეაში ჰოდლერის, და შტუ-  
კის უკანასკნელი სურათები ენახა.

მსახურმა, ბერტამ ახალი ფოსტა შემოუტანა. არდადეგებისათვის შინ მიბრუნებას სთხოვდა დედა. ბერტა სწუხდა: რად შორდებოდა ბატონო-მხატვარო ჩვენს პანსიონს. შარლოტე უზომოდ სწუხსო დიასახლისის დაი. ფრწულს მაიორსაც სწყენია თურმე მისი წასვლის ამბავი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შემობრუნდა ბერტა. ფრწულს მაიორი გთხოვთა მობრძანებას. პანსიონის სალონში შევიდა ურდოელი. კედლებზე ვილჰელმ მეორისა და ბავარიის მეფის, ლუდვიგ მესამის პორტრეტების გარშემო ოთხივე მხრით გაწყობული იყო ჰოპენცოლლერების, ვიტტელსბახების, კობურგების, პოლშტაინელთა<sup>1)</sup> პრინციების, გერმანიის უთვალავ პერსონაჟების, ერცპერსონაჟების გაჯგვიმული სურათები. შუა სალონში ძველებური საწერი მაგიდა იდგა, უზარმაზარ ტყავის სავარძელში იჯდა, კი არ იჯდა, სანახევროდ იწვა, გოლიათი დედაკაცი, რომლის ფიგურის მონსტრუალობას სპილოს ავადმყოფობა ფანტასტიურ აღნაგობას აძლევდა.

ფრწულს მაიორი, რომელიც მუდამ სასტიკად და მედიდურად ექცეოდა თავის მდგმურებს, (რა თქმა უნდა იმის და მიხედვით, უკეთეს ისინი ან ბარონი, ან რომელიმე აზნაურის ნათესავი არ იყო, ან დიდი სამხედრო, ან არა და მსხვილი ბურჟუაზიის წრიდან გამოსული), რატომღაც ფრწულს თავაზიანად ეკიდებოდა ურდოელს, უფრო მეტს ვიტყვი, იგი ბევრ შემთხვევაში მიეკრძობდასაც იჩენდა მისდამი, მაგალითად რომელიმე არტისტს, ან მხატვარს თვითრი გადასახადის სამ დღეს დაგვიანების გამო, თვალის დაუხამამებლად გაასახლებდა, ურდოელს პირიქით, შეეკითხებოდა ხოლმე ჯიბის ფული ხომ არ გაკლია?

ფრწულს მაიორმა საესებით უმნიშვნელო დებოშისათვის პანსიონიდან გაასახლა თვით თავაზიანი და პუნქტუალი დე მალერბი, შესაძლოა იმიტომაც, რომ ფრწულს მაიორს თავისებური თეორია ჰქონდა და ამის მიხედვით ახარისხებდა ვეროპის თავადებს. ფრწულს მაიორ ასე მსჯელობდა: ყველაზე სოლიდური აზნაურები ამ ქვეყნად გერმანთა ხალხებს ჰყავთო, ცხადია პირველი რანგი უწევდა (როგორც ყველაფერში, მისი თეორიით) პრუსიელებს, მერმე მოდიოდა ბავარია, ვირტენბერგი, მერმე ინგლისი და სულ ბოლოს სკანდინაველთა აზნაურები.

რომანულ და სლავურ ხალხების აზნაურებს, „ბარონ სანსაეუარს“ არასმქონე ბარონებს — უწოდებდა. ფრწულს მაიორმა ზეპირად იცოდა, ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე რამდენი ბარონი, რამდენი გენერალ მაიორი, ბანკის დირექტორი, რამდენი პოფრატე, ლეგაციონს რატე, რამდენი ხნით ჩამომხდარან მის პანსიონში, ავად გახდებოდა თუ არა ამ საპატრიოკვამთავანი რომელიმე, ფრწულს მაიორი თავათ მიართმევდა სიცხსაზომს დაკლიზმას. სამაგიეროდ უტიტულოთა და უგვაროთა მიმართ ქედმაღა-

<sup>1)</sup> გერმანიის ყოფილი დინასტიებია

ლი იყო. ამიტომაც „პანსიონ კობურგის პერსეფონე-შეარქეს მას აღბერტმა და ეახტანგმა. ამ „წარჩინებულთა“ ფაქსიმიდეს, სურათს ან რაიმე უმნიშვნელო საჩუქარს უწმინდესს რელიქვიასავით ინახავდა დიდ სალაროში.

„მაშ მიბრძანდებით, ბატონო მხატვარო?“

ამბობს ფრაუ მაიორი და თავის უზომოდ გასივებულ ხელს აჩრის ურდოელს ხელში.

თუ საშემოდგომო სემესტრისათვის კვლავ მობრუნდეთ, შეგიძლიათ თქვენი ოთახი ისევე მოიკითხოთ.“

ურდოელმა მადლობა მოახსენა ფრაუ მაიორს, მაგრამ ერთი ოთახი ამიერიდან არ შეყოფა, ერთი სინათლიანი სახელოსნოდ მიიწავა და ერთი საცხოვრებლად.

„შემოდგომიდან ორი ოთახიო? ჰე, ჰე, რასა ბრძანებთ ბატონო მხატვარო. დღეს ჩემი ქმრის კუზენი მეწვია, ფონ ბერგ, კომერციის მრჩეველი, წარმოგიდგენიათ ასეთი საშინელება, ე მანდ დივანზე ეძინა ბედშავს, ეს სთქვა და საკმაოდ კომფორტაბელურ დივანზე მიუთითა. თქვენი ოთახის ოდენას მთხოვს ერთ რომელიმეს ბარონ ფონ ზეებერგ, ესეც თქვენდამი პატივისცემა, თორემ ოთახებს ხელიდან მგლეჯენ, ხომ იცით, ამ წელს რიპარდ ვაგნერის საიუბილეო კონცერტებია მიუნხენში, აგვისტოში დაიწყება. ამერიკელებმა და ინგლისელებმა ტელეფონებით ამიკლეს, სამი დღის წინად სამინისტროდან დამირეკეს, შეგდი შეცნიერები ჩამოვიდნენ ბოტანიკოსების კონგრესზე, სამი ოთახი პროფესსორ შტიკლინგს მივეცი, ოთხი მის თანამშრომლებს, ახლა ფრანგი ტურისტები მეწვიენ ამ დილას, ამ ბატონებს ძლიერ მოეწონათ ჩვენი ვერანდები, აივნები და რაც უმთავრესია, ბაღი, სექტემბრიდან ორ სართულს ავიღებთო. ახლა ბალკანელები, რუსები, ებრაელები რამდენს გვირეკავენ, მაგრამ თქვენ იცით ჩემი პოზიცია. მე არა კათოლიკებს და არა პროტესტანტებს ჩემს სახლში არ ვუშვებ, ინგლისელი კათოლიკენი პო და პო.

მერმე ეს ხალხები ბინძურებია, კალოშებით დაბრაგუნებენ დერეფნებში, ნოხები დამისვარეს გობელენები გამოიხრეს, ჩემი გობელენები ხომ იცით, ვერსალის გობელენებს ეჯიბრებიან.“

(ახლა დავიღუპე, — გაიფიქრა ურდოელმა, — ფრაუ მაიორი თავის გობელენებისა და ბარონების პერალდიკას მოყვება და არ გაათავებსო).

„ყოველშემთხვევაში რაკი წასვლას აპირებთ, მიუნხენელ პოლიციის სისასტიკე ხომ იცით, სჯობს გასაწერი ფორმულარი შევაგსოთ წინასწარ“.

ესა სთქვა ფრაუ მაიორმა და ფორმულარის ბლანკი გადმოიღო.

მერმე დაუწყო გამოკითხვა: დაბადების წელი, ადგილი, ეროვნება, სარწმუნოება, განათლება და სხვა.

ურდოელს სძაგდა ანკეტური დაკითხვა, მაგრამ პაპიროსს მოუქიდა, მოთმინება მოიკრიფა და უხალისოდ აძლევდა პასუხს, ანკეტის მოთავე-ბამდის, სალონში ბერტა შემოვიდა.

ტელეფონთან სთხოვეწო ბატონ მხატვარს.

რომელ დერეფანში? შეეკითხა ურდოელი.

„წამობრძანდით, მე ვაგაკილებთ“ ეუბნება ბერტა. თან გაჰყვა ურდოელს.

მეორე დერეფნის ბოლოს რა მიაღწიეს, ბერტამ ტელეფონის საყვირი-ხელში მისცა ურდოელს.

ალბერტი აღმოჩნდა. ურდოელმა ბოდიში მოიხადა და გვიანების გა-მო ვენეციას გამგზავრების სამზადისს გადააბრალა თავის დაუდევრობის-ამბავი. ხელახლა შეხვედრის დრო დათქვეს. საყვირი თავის ადგილზე დაჰ-კიდა და რა გამობრუნდა, ვილაც შალალი, სათვალისანი, შავფრაკიანი მო-ხუცი შეეხეჩა ურდოელს პირისპირ.

„პარდონ“ წაილაპარაკა უცნობმა, ტელეფონისაკენ წაიღო ხელი. მი-სი სათვალის უეცარმა გაელვებამ სახეში შემოანათა ურდოელს. ამ უკა-ნასკნელმა შენიშნა, შეტოკდა ერთბაშად მოხუცი, საყვირი ხელიდან გაუ-ვარდა, კედელს მიეყრდნო, მაგრამ მუხლებმა უღალატეს. მოცელილი-ვით წაიქცა. ერთი შეევიღება მოასწრო ბერტამ, ხელი ამოდ წაატანა გულ-შემოყრილს ფრაკის ბალთებზე ელვის უსწრაფესად გამოცვივდნენ ოთა-ხებიდან შვედი ქალები. ზოგი ტელეფონს მივარდა სწრაფი კარეტის-სახმობლად, ზოგიც კიბეზე ძირს დაეშვა მეკარისა და კურიერის ამოსა-ყვანად, ერთიც ვალერიანის წვეთების საძებრად გაიქცა. დანარჩენები წა-ქცეულს მიეჭრნენ და ამოდ ეცადნენ ზეწამოყენებას. შავფრაკიანი მო-ხუცი ნოხზე ხენეშოდა, უმწეოდ აფხარკალებდა ხელ-ფეხს.

თავათ ურდოელი საოკრად დაიბნა. გაოცებული აკვროდა კედელს, არ იცოდა, რა მოემოქმედნა მიშველებოდა სულთმობრძავეს? ეგებ სწყე-ნოდა კიდევ უცნობს მის მიერ ხელის შეხება? კიდევ კარგი ბერტა რომ დაესწრო ამას ყოველივეს. აღშფოთებული ქალები ჩოჩქოლობდნენ, გა-ბოროტებულ მშერას ესროდნენ ურდოელს თანაც. უკანასკნელმა შვედუ-რი არ იცოდა, ჭვეშეცნეულად მაინც ხედებოდა, რომ სწორედ მას სთვ-ლიდნენ ამ უცნაური ზიფათის მიზეზად.

მთელი პანსიონი ფეხზე დადგა. ფრაუ მაიორიც დაძრულიყო თავის-ოთახიდან, ხუნდებგაყრილივით მობაჯბაჯებდა დერეფანში, სივრცეს ვერ-ერეოდა. ამასობაში კურიერმა და მეკარემ ნოხზე დააწვინეს ავადმყო-ფი და წაიყვანეს.

ურდოელმა თავის ოთახს მიაშურა, კარი ჩაიკეტა, შეზლონგზე პირ-აღმა წამოწვა და ფიქრს მიეცა.

„რა უცნაურად დაიწყო ეს დღე? დილიდანვე... დილიდანვე...“

ჯერ იყო და ოციოდე ნაბიჯის მანძილზე გადასწყვეტა ისეთი მგზავრობის ამბავი, რომლის გამო წლობით უფიქრია და უოცნებია. შემდეგ არიშინის ქალის ვაცნობა, დასასრულ ყველაზე მეტად უცნაური: ამ უბედური მოხუცის უეცარი წაქცევა.

შესაძლოა, ბნელიანია? არა, მიზეზი სხვა უნდა იყოს. შას შენედა ჯერ და მერმე წაიქცა, მოაგონდა მისი სათვალის ბედითი გაელევა. იქნებ გულის სიღამბლე მოუვიდა, ან სისხლი ჩაექცა ტენში, ტელფეონის მიღმა ხომ არ აენო, ეგებ ელნაპერწყალმა გაჰკრა? ასეთი რამეც გაუგონია ურდოელს, ნევრასტენიკებს ელდენი აგჩებთ ხშირად, ვინ იცის! კიდევ კარგი, ბერტა რომ იქ იყო და დაამოწმებს, რომ ურდოელის სამოსის ბალთაც არ გაკარებია მოხუცებულს. ეს გაიფიქრა და კარზე დააკაკუნეს.

შეკრთა.

ბერტამ სარეცხი შემოუტანა.

„ფროლიან ბერტა, ვინ არის ის საცოდავი?“

„პროფესორი შტიკლინგი, შვეციის სამეფო აკადემიის წევრი.“

„როგორაა თუ იცით?“

„კონსილიუმმა დაასვენა, გულის შოკი დამართნია. გამომჯობინდა, მაგრამ ადგომა აუკრძალეს. ხეალ კი მთელი ექსპედიცია ბავარიის ალპებში უნდა წასულიყო.“

„თქვენც ხედავდით, მე არაფერ შუაში ვყოფილვარ, გელ?“

„არა ბატონო მხატვარო, ეს ჭირისუფალსაც დაეუმოწმე.“

ბერტა ფრაუ მაიორმა იხმო.

ურდოელმა განაგრძო თვლემა. ისევ არიშინის ქალი წარმოუდგა თვალწინ. ნანობს: რად გაეცალა ტენისის მოედნიდან წამოსვლის უმაღვე მანტოიფელთან ერთად მიეცილებინა ბანკამდის. გაეგო ნეტავი, სად ცხოვრობს, სადაურობა გამოეკითხა გზაში. მით უმეტესს რომ ამ საღამოს მანტოიფელისას ველარ წავა ურდოელი და ამ ქალის დარდი თან მიჰყვება ვენეციას.

სახელი მაინც ეკითხა მისთვის. რა ჰქვია ნეტავი? შესაძლოა ფრიად ვულგარული რამ ერქვას, მართა ან მარგარიტა?

ადგა, უბის წიგანკი ამოიღო პიჯაკიდან. მანტოიფელის მისამართი მოძებნა. ვალდშტრასსე №13.

ამ მისამართის ასოკიაცია ამ არიშინის ქალის სევდიანი სახე მოაგონა. ეს გაიფიქრა: სად უნდა იყოს ნეტავი ვალდშტრასსე? ასეთი ქუჩა მას არც გაუგონია მიუნხენში.

ისევ შემოვიდა ბერტა. სადილად გთხოვენო.

ურდოელმა გადაიკვა.

სასადილო ოთახში მთელი პანსიონი მოგროვილიყო, ფრაუ მაიორი ლუფრის თავში იჯდა. ურდოელი ყოველ დღე აქ სადილობდა, მაგრამ ასეთი რამ არ შეუმჩნევია. ამერიკელებმა, ფრანგებმა, შვედებმა, და

თვით ყველაზე მეტად თავშეკაცებულმა ინგლისელებმა თავი აიღეს და ურდოელს დაუწყეს თვალღებება. მან უხერხულოდა იგრძნო თავისი ადგილი დაიკავა თავმოდრეკილად, მაგრამ ირიბი მზერით ამჩნევდა ქამი-დანქამზე, ზოგიერთი დამა ლორწეტს იღებდა და ყუბადღვნივს ვთვალ-თვალებდა დღევანდელ უცნაურ შემთხვევის მიზეზს.

ურდოელს არც მხარმარცხნით, არც მხარმარჯვნივ მჯდომარე მე-ზობლისათვის ხმა არ გაუცია, უხალისოდ ისადილა, ყავასა და დესერტს არ მოუცადა და თავის ოთახს მიაშურა. ბერტას სთხოვა მ საათამდე არ გამაღვიძოთო. ,



სალამოს შვიდ საათზე ფრაუ მაიორი იხმო პროფესსორ შტიკლინგის მეუღლემ, ავადმყოფის დატინებული მოთხოვნისამებრ. წინასწარ შეუ-თვალეს იმ უცნობი ვაჟის კარტოტკეა თან წამოეღო. ფრაუ მაიორს, პროფესსორის საწოლში შესვლის უმაღ ქაფურის სუნი ეცა, სახე დაელ-მიქა.

„ერთი მიბრძანეთ ფრაუ მაიორ, მიღუღული ხმით ეკითხება პროფეს-სორი შტიკლინგი, შეგიძლიათ თუ არა ზოგიერთი ცნობა მოგვაწოდოთ იმ უცნობი ქაბუჯის ვინაობის გამო? ეს ძალიან საჭიროა ჩვენთვის.“

„სიამოვნებით ბატონო პროფესსორო, მზადა ვარ მუდამ გემსახუროთ, იმ ყმაწვილის გამოსაწერი ფორმულარი თან მოვიტანე.“

„უკაცრავად, ფრაუ მაიორ, ჩაერია ავადმყოფის სასთუმალთან მჯდომი მოხუცი ქალი. მე ვთხოვე ჩემს ქმარს დღეს არ გამოეკითხა ეს ამბავი თქვენთვის, რადგან ეჭიმებმა ერთხმად ურჩიეს, აღელვებას გა-ნერიდოს როგორმე. მაგ ყმაწვილის ამბავი მეც ფრიად მალეღვებს, მაგ-რამ ხვალამდე მოცდა აჯობებდა“.

მაიორის ქვრივმა გადახედა პროფესსორ შტიკლინგის მეუღლეს და შენიშნა ის მსგავსება ქმართან, რომელიც ხანგრძლივად შეუღლებულებს სჩვევიათ ხოლმე.

„დამშვიდდი, ბეტი, რას ამბობ? წარმოსთქვა ქირვეულად პროფეს-სორმა. სულ ერთია, მე მანამდის ვერ დავშვიდდები, სანამდის იმ ყმა-წვილის ვინაობას არ გავიგებ. საერთოდ ყველაფერს, რაც მას ეხება“.

ესა სთქვა ავადმყოფმა, იდაყვით დაეყრდნო ბალიშს.

„გთხოვთ მომიტევეთ ბატონო პროფესსორო ასეთი შეკითხვის გამო, იმ ყმაწვილს ხომ არ უენია რაიმე თქვენთვის?“

შეაგება სიტყვა მოკრძალებულად ფრაუ მაიორმა.

„არა, რასა ბრძანებთ, ფრაუ მაიორ. უმცირესი წყენაც არ მიიღია მისგან. პირიქით, იგი ფრიად გაზრდილი ვაჟი სჩანს, როგორც კი ტე-



ლევონისაკენ მიმავალს თვალი მკიდა, მყისვე უკუდგა მოკრძალებულად და გზა დამითმო.“

ფრაუ მაიორმა გახსნა პორტფელი და ფორმულარე ამოღებულ სათვალე გაწმინდა, ცხვირზე ჩამოიციო და საპასუხოდ მფრქვავდა:

პროფესსორი: „რა გვარია ყმაწვილი?“

ფრაუ მაიორი: „ურდოელი.“

„სახელი?“

„ვახტანგ“

„ერთი-მობრძანეთ, ეს ვახტანგ სახელია თუ გვარი? შეეკითხა შტიკლინგი.“

„ეს მეც გვარი მეგონა ბატონო პროფესსორო, სახელი ყოფილა თურმე.“

„ეს არაფერია, სახელსა და გვარს იოლად გამოიცვლის კაცი. ამბობს შტიკლინგი და განაგრძობს: ვახტანგ? როგორი საოცარი ბგერა აქვს ამ სახელს. ვახტანგ! სთქვა მკაფიოდ და განაგრძო დაკითხვა:

„დაიბადა?“

„1890 წელს.“

პროფესსორ შტიკლინგს თითქოს ენიშნაო ეს თარიღი, თავის მეუღლეს გადახედა, ეუბნება: ასაკი დაემთხვა, ხომ გითხარი წელან. გარდა ამისა, ყალბ პასპორტებშიაც უხერხულია ასაკის გამოცვლა.“

მერმე ისევ დიასახლისს მიუბრუნდა: „სად დაიბადა?“

„საქართველოში“.

„საქართველოში!“ ოდნავ გაკვირვებით წარმოსთქვა მოხუცმა.

„ეს რუსეთის იმპერიის ნაწილია თურმე. არც შე ვიცოდი აქამდის...“

„არა, როგორ არა, საქართველოს სუბალპიური მცენარეულობის გამო დისერტაცია დაიცვა ჩვენთან ერთმა. ეს ვიცოდი, მაგრამ არც ესაა მნიშვნელოვანი“.

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

„საიდანაა ჩამოსული მიუნხენში?“

„პარიზიდან“.

„რომელ წელს?“

„1912-ს“.

„1912 წელს!“ ესეც ენიშნა შტიკლინგს. ცოლს მიუბრუნდა: „ხომ ზედად ბეტი? აკი გეაცნობეს შარშან პარიზიდან: 1912 წელს მანდ ურთაყოფილიყო! ამჟამად სად მიემგზავრება?“

„ვენეციას“.

ამის გაგონებისას სანახევროდ წამოდგა ავადმყოფი. გაიმეორა: „ვენეციას? დააკვირდი ბეტი, დააკვირდი. პარიზიდან ჩამოსულა, ვენეციას მიემგზავრება. 1890 წელს დაბადებულა!!!“

ეს ამბები ფრიად მადეკვებს ბეტი, შენი არ ვიცი და მე ფრიად მადეკვებს.

მაპატიეთ ფრადე მაიორ, ამდენ დროს რომ გართმევთ განაგრძო შტიკლინგმა, ახლა რამდენიმე ცნობაც უნდა მომამწოდოთ.

„სიამოვნებით, სიამოვნებით, ბატონო პროფესსორო“, ამბობს ფრადე მაიორ. კითხვები ყელში მობჯენია ცნობისმოყვარეს, მაგრამ ვერ გაუბედნია შეეკითხოს სახელგანთქმულ მეცნიერს რად ესაჭიროება ეს ყოველივე მას? გაახსენდა დღეს რომ ათასი მარკა ავანსად მიიღო მისგან, ბინის ქირა, ბოლოს როგორც იყო დაითრგუნა ეს გრძნობა, ახლოს მისწია სავარძელი, მარჯვენა ხელი ყურთან მიიღო, რადგან პროფესსორი შტიკლინგი შეედღური აქცენტით უქცევდა გერმანულს, ზოლო ფრადე მაიორი ყოუ იყო ოდნავ.

პროფესსორი შტიკლინგი:

„რა და რა ენები იცის ამ ყმაწვილმა“.

„გერმანული, ფრანგულიც და ვგონებ...“

„იტალიური?“ ჩაუგდო სიტყვა მოუთმენლად შტიკლინგმა და ბალიშებზე ორივე იდაყვი დასდო და წამოიწია.

„იტალიური? რა მოგახსენოთ, შარშან ერთი იტალიელი მხატვარი ეწვია სტუმრად. სწორედ გითხრათ, არ მახსოვს რა ენაზე ლაპარაკობდნენ.“

„კეთილი ფრადე, თქვენ ალბათ დიდი გამოცდილება გექნებათ ადამიანის შეცნობაში და უთუოდ მოგეხსენებათ, სახელი და გვარი და სხვა მისთანანი, ეს ყოველივე ისეთი რამეა, რისი გამოცვლაც არც ისე ძნელია, ეს ასე ეთქვათ ვარეგანი ატრიბუტებია ადამიანისა. თქვენ ეს მიბრძანეთ, ზნე როგორი აქვს იმ ყმაწვილს, გულფიცხია?“

„თავდაპირილი სჩანს, მაგრამ ზოლერიული ტემპერამენტი აქვს, შარშან ერთ პოლიციელს სასტიკად სცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ნაცნობს, ვილაც ებრაელ მხატვარს უდიერად მოექცა პოლიციელი.“

„თუ ლოთობს?“

„მას ერთი ამხანავი ჰყავს, სამხრეთ აფრიკელი, ინჟინერი, ალბერტ დე მალერბ, მხოლოდ იმასთან სვამს. მე არ ვიტყვოდი ლოთობსო, სვამს კი...“

„სვამს!“ ამ სიტყვას მოექიდა შტიკლინგი, აქაც გადახედა ცოლს.

„ჯიუტია?“

„ფრიად თავისნება. თუ რაიმე სთქვა, არასოდეს გადაუხვევს, თუ რაიმე აიჩემა, თავისას გაიყვანს. მე ასეთი ნების სამხრეთელი არც მინახავს ოდესმე.“

პროფესსორი შტიკლინგი დადუმდა მერმე ისევ შეეკითხა:

„მაშ ჯიუტია არა? კმ, ჯიუტი.“ ისევ მიხედა ბეტის და თვალი თვალში გაუყარა, თავი გადააქნია.

„უქარება ხომ არაა?“

„ფრიად უქარება. ორი წელია ჩემს პანსიონში ცხოვრობს, ყველაფერს გამოცნაურებია. მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, ეს კაცი ფრიად მნიშვნელოვანს თავის ცხოვრებიდან, ყველას უმაღლესს, მუდამ ლანდივით დადის.“

„ჰო, ჰო, ჰო. ფრიად მნიშვნელოვანს თავის ცხოვრებიდან ყველას უმაღლესს... ჰო, ჰო...“ დაუდასტურა შტიკლინგმა.

„ბოდიშს ვიხდი ფრაუ მაიორ ასეთ არა დელიკატურ შეკითხვის გამო, მაგრამ ესეც არსებითი ამბავია. ქალთა სქესისადმი ურთიერთობაში... როგორია? თქვენ დაკვირვებული ქალი ბრძანდებით, ესეც გაცოდინებთ ფრაუ მაიორ.“

„რა თქმა უნდა ჩემს პანსიონში მე დიდ ყურადღებას ვაქცევ ამ საქმეს. მოგეხსენებათ, მე პირველი კლასის პანსიონი მაქვს, აქ საუკეთესო ზნეობის ხალხი სცხოვრობს, მხოლოდ არისტოკრატია, მეცნიერები და ზელოვანნი, ესენიც მხოლოდ რეკომენდაციით... ჩემი სახლი, ალბათ გავიგონიათ, ბატონო პროფესსორო, მუდამ შეუვალა იყო უზნეოთათვის. ბერტა თვალყურს ადევნებს ტელეფონებს, მიწერმოწერას, ღამით მორიგეები სასტიკად უთვალთვალედენ საექვო დამები არავინ მოიყვანოს პანსიონში, სახელი არ გაუტყდეს ამ სახლს. არასოდეს უბრალო შენიშვნაც არ მიმიღია ზნეობის პოლიციისაგან. ბატონი ურდოელი ფრიად თავდაპერილია, მე ვიტყვდი ოდნავ ინდიფერენტულია ქალების მიმართ. შარშან ამ პანსიონში ქალაქ კორკის მოურავის სიმსონის ოჯახი გვეწვია, ტიროლში ემგზავრნათ, ორი ქალი და თავათ სიმსონის მეუღლე. უმცროს ქალს — მერის ხატავდა ბატონი ურდოელი, მერე ის იყო საშინელი სიყვარულით მოეკიდა მერი სიმსონი ვაქს, მაგრამ საოცრად დაიმცირა თავი ამაყმა ინგლისელმა დამამ. მერი სიმსონ ფრიად სიმპატიური არსება იყო, დიდხანს აპირებდა ჩემს პანსიონში დარჩენას. ერთ საღამოს რომელიღაც ვარიეტეში წავიდნენ ორივენი. ღამის სამ საათზე შეკარეს შეუქმნევია ჰერ ურდოელი მთვრალი მოჰყოლია მერი სიმსონს.“

როცა კიბეზე აღიოდნენ, შეკარეს ასეთი რამეც გაუგონია: „ამიერიდან ნულარ შევხედებით ერთმანეთს“. ეს უთქვამს ურდოელს. ხელზე ემთხვია თურმე და გაეცალა. მეორე დღეს მერი სიმსონმა მიხმო. ბალღივით ატირებული ალაგებდა თავის კოფრს<sup>1)</sup>. იმავე ღამეს ინგლისს გაბრუნდა. დედა და დაა აქ დასტოვა.“

<sup>1)</sup> კოფრი — დიდი ზანდუკი, ან ჩემოდანი.

სამივენი დადუმდნენ მცირე ხანს. მერე კიდევ ერთი კითხვამისცა პროფესორმა დიასახლისს:

„ხომ არ მღერის?“

„არა“

„ხატავს?“

„ცნობილი მხატვარია.“

შტიკლინგმა თავი გაიქნია. მადლობა გადაუხადა ფრაუ მაიორს. ვიდრე ეს უკანასკნელი კარამდის მიაწევდა, ისევე წამოიწია საწოლიდან და ფიცხელი ხმით მიაძახა:

„პარდონ, პარდონ ფრაუ მაიორ. კიდევ ერთი კითხვა, ერთი და უკანასკნელი ფრაუ მაიორ. როდის მიემგზავრება ის ყმაწვილი ვენეციას?“

„ამ რამდენიმე დღეში, თუ ხელამდის მოითმენთ, ამისაც მოგახსენებთ დანამდვილებით. ამ დაბოლოს იგი იშვიათად რჩება პანსიონში. თუ ბილეთები სადმე იპოვნა ბერტამ, ზუსტად გაგივებთ.“

„დასასრულ, ჩვენი სათხოვარია ფრაუ მაიორ, ეს საუბარი ჩვენს შორის უნდა დარჩეს, არამცდარაამც არ აგრძნობინოთ იმ ყმაწვილს ჩვენ ოდნავ მაინც რომ გვანტერესებს მისი ვინაობა.“

„რას ბრძანებთ ბატონო პროფესორო.“

მიუგო ფრაუ მაიორმა და კარი გაიხურა.

პროფესორი შტიკლინგი მცირე ხანს პირადმა იწვა. გაიჩრადნებულ ლიუსტრას შესცქეროდა. მერმე ისევე მიუბრუნდა ცოლს.

„ბევრი რამ ემთხვევა ურთიერთს. შენ რას იტყვი ბეტი. აა? უმბერტოც ხომ 1890 წელსაა დაბადებული; ხოლერიული ტემპერამენტისაა, სევამს, ხატავს, უკარებაა და ჯიუტი! პარიზიდან 1912 წელს ჩამოსულა, ვენეციას მიემგზავრება ახლა ჩვენ ხომ არ ვეგულებით მანდ? შესაძლოა ყრმობის სამშობლო მოენატრა. უმბერტოსაც განუზომლად უყვარდა ვენეცია“.

„ჰო, მაგრამ გუსტავ, გარეგნობა როგორი აქვს იმ ყმაწვილს? ხომ არ შეგეშალა შენ?“

„გარეგნობას ნულარ იტყვი ბეტი, უმბერტოს თვალის გუგიდნაა ამოღებული. ვანა დღეს ენახე პირველად, შენ არ გითხარი, აღელდებოდი. გუშინწინ ლიფტით რომ ამოვდიოდი, მეორე სართულზე ლიფტს უცდიდა. დავინახე თუ არა, წამოვდექი მუხლი მომეკეცა, ნერწყვი გამიწყდა. ლიფტიორმა არ შეაჩერა ლიფტი, რადგან ხალხით სავსე იყო, სანამ ლიფტიორს გავაგონებდი, ლიფტი კიდევაც ასცდა მეორე სართულს, შესამედან ისევე ძირს ჩამოვედი, ლიფტიორს დავეითხე. გარეგნობა ავეწერე. არა, ასეთი გარეგნობის არავინ მინახავსო.“

მომეჩვენა მეთქი. თავი დავიმშვიდე, დღესაც მოჩვენება მეგონა, იმიტომ მომივიდა ეს ყოველივე.“

„მაშ იმიტომაც არ გეძინა შენ იმ ღამეებში?“

„დღეს სულ ახლოს ჩაეთარე, იგი შეერთა, გზა მომცა. ისე ახლოს მივედი, სუნთქვაც კი მესმოდა მისი. მთავარი ის იყო: რა უნდა ვეძინებო, მოილუშა, ისე როგორც უმბერტოს სჩვეოდა ეს, კომპიუტერის მითითებით კედელს აეკრა და გაფითრდა.“

ბეტი აღვა. ცრემლები მოიწმინდა. მერმე დიდხანს სდუმდნენ და უსმენდნენ თუ როგორ დარეკა ფრთხილად კირბეს საათმა 9 ჯერ.

#### IV

##### მავარაჯხას მაიმუნი.

ამაოდ ეცადა ურდოელი, ნასამზრალზე წაეძინა ჩვეულებრივად. ამ უცნაური დღის მიწურულში ხალისის ნამუსრევი ღიმილამებდა სადღაც გულის არეში.

ადგა. ბილეთები ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან, დახედა ზედ.

„ვენეცია“.

წარმოსთქვა თითქმის ხმამაღლა და საწერი მაგიდის ვაზაში ჩასდო. გარედ გაიხედა. რამდენიმე ასაბია ვარსკვლავებისა თან ახლდა მთვარეს, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ იღრუბლებოდა და სისხლისფერი ტალები ღრუბლისა ელვარებდნენ აქა იქ.

ურდოელს მინიშნებული ჰქონდა: ასეთი ცა მატყუარაა მიუნხერში. ძველებური, პარიზული საათის პენდელი ტოკავდა დაუცხრომლად.

წყაროსდარი ლიკლიკი ისმოდა ირგვლივ. ეშვებოდა ბნელი პანსიონ კობურგის განიერ ვერანდებზე. გლიცინიებისა და ფათალოს ფოთლები ფოლადისფრად ლაპლაპებდა ახლად ამოსულ მთვარის შუქზე.

იღვნენ მათ გადაღმა მაღალი, მაღალი კიპაროსები, მკერდში ერჭობდნენ დაბალ ცას, როგორც უზარმაზარი შუბისწვერები. პანსიონის განიერ ფანჯრებიდან იცქირებოდა ღამე.

მოწყენა შეშოვტლო გულზე ურდოელს, რა შეიცნო საკუთარი გადაწყვეტილება: ამ საღამოს არსად წასულიყო და სამგზავრო სამზადისს შესდგომოდა. რამდენიმე სურათი უნდა შეეფუთნა, ესკიზები გრაფილების დარად დაეხვია და ეს ყოველივე ფრთხილად მაიორისათვის ჩაეხარებინა.

როცა ყოველივე მოათავა, უკვე აღარ უდგებოდა გული. ვერ წარმოდგინა როგორ გაეტარებინა ეს საღამო მარტოკას, თითქოს პირველი ყოფილიყოს იგი მისთვის ამ ქალაქში.

ისევ მანტოიფელი მოაგონდა და ხალებით დაწინწკლული, ქანგისფერი სახე არიშაინის ქალისა. მთელი სხეულის ნაკვეთები ზედიზედ აღად-

ვინა მისმა ფანტაზიამ და განუსაზღვრელად მოსწყურდა ამ ქალის ნახვა, მისი ხმის გაგონება, კიდევ ერთხელ მოსმენა. მისი მოსმენით რომ სცოდნოდა, ამ წუთშივე გადაიკვამდა ურდოელი, უსაყო გინაზიელივით დაუღარაჯდებოდა, მცირე მანძილზე მაინც გასწყურდა ქუჩაზე, მანტრიფელის ვილლასაკენ მომავალს.

ინანა. რად შევხვდიო ამ ქალს მანტრიფელთან ერთად? რაღაც ჩრდილს აყენებდა მის წარმოდგენაში ეს ამბავი არიშინანის ქალს.

ველარ გაუძლო სიბნელეში ფიქრსა და ჯდომას, აგდა, მთელი ლიუსტრა გააჩალა, პირსაბანიდან საპარსი ხელსაწყო გადმოალაგა, მარმარილოს მრგვალ მაგიდას მიუჯდა. პირსაბოცი აიფარა მკერდზე და ფუნჯით გაისაპნა სახე. შესცქერის ურდოელი საკუთარ სახეს, ოდნავ ფერმკრთალს სარკის არეში, კულულების რკალით შემოზღუდულ შუბლს, ღრმასა და დარდიან თვალებს, გრძელ წამწამების ჩრდილს თვალის უბეზე მიმდგარს, ფოლადისფერი იერი გადაჭრავს მის თვალთა სიმრუმეს.

ათასგზის მჯდარა ურდოელი ამავე მაგიდის პირისპირ, ამავე სარკეში ათასგზის ჩაუხედავს. არასდროს მოლანდებია ასეთი უცნაური ჩვენება. ზის და წვერს იპარსავს და ასე ჰგონია: რაღაც განთვისება მომხდარიყოს მასა და მის „მე“ს შორის.

ზის ეგერ კაცი მოწყენილი და ოდნავ დაზაფრული თვალებით შეპყურებს ურდოელს.

ფანჯრებიდან აეტოების ღმუილი შემოდის და ეს ისე ეუცხოება — ლომების დვინვა მოესმოდეს ჯუნგლებში შემოლამებულს.

შესცივდა, სახეზე ცივი ფუნჯის მიკარებისას ასე ეჩვენა მთელი ქვეყანა ცივი იყოს და უკარება, როგორც თუნდაც ეს მუქლეგო თუნუქის ველი ამ ფანჯრებიდან გამოჩენილი. მთვარე დაგოგავს დიდი ქალაქის თვალუწვდენელ სახურავებზე და აგერ ფანჯრის წინ ზის კაცი მოწყენილი, უთვისტომო და უსიყვარულო რომელსაც დარდისაგან გასთანგვია გული. ხელში სამართებელი აუტოკდა, შეკრთა, შეშინდა, ყელი არ გამოეჭრა მის გასწვრივ მჯდარისათვის.

რისთვის?

ამას ვერაინ განუმარტავს ურდოელს. ეს იგივეა ვინმემ რომ აუხსნას მას: რისთვის დადის მთვარე თუნუქის სახურავების თვალუწვდენელს ველზე? ან ლამეს რათ მოაქვს ჩენს გულში სიმრუმე და მოწყენა?

„ვისაც უსიტყვოდ გაზმიანებულ ტანჯვაში ოდნავ მაინც დაუდევს წილი, მას უკვე ეცოდინება რომ ამ ქვეყნად უმიზეზო ვარამი უფრო

ძნად ასატანია, ვიდრე იგი, რომლის სათავე თვითონვე გვიგულება ხოლმე.“<sup>1)</sup>

ეს გაიფიქრა ურდოელმა და სწორედ ამ დროს შემოიქცა კარის კა-  
კონი. „Entrez!“<sup>2)</sup> შესძახა მან და უკან მოიხედა.

იღგა ოთახის შუაგულში გვიმრისფერთმიანი, ჭროლა თვალემა, ბექ-  
განიერი, ბრვე ვაჭაკი. მდუღოსფერი პელერინი მკლავზე გადაეგდო,  
პელერინის კაპუშონი ისე დაჰკიდებოდა, როგორც ხილის საკრები ქარ-  
თული გიდელი. სიცილი და სიხარული თან შემოჰყვა ალბერტ დე მა-  
ლერბს. რეზინისა და კიდევ რაღაც უცნაურად საამურო სუნი ეცა ერდო-  
ელს, ეს მუდამ თან ახლდა ალბერტს ურდოელის ყნოსვითი შემეცნებით.

„მე ძაღლის ჯიშისა ვარო, იხუმრებდა ხოლმე ვახტანგი, სუნით ვცნო-  
ბილობ ადამიანებს.“

„წვერს იპარსავ? განაგრძე, განაგრძე ვახტანგ“.

სთქვა ალბერტმა და მოსასხამი დაუდევრად გადააგდო საეარძლის  
ზურგზე.

„სახვალიოდ ვიპარსავ“.

მიუგო ურდოელმა და ზეაწეულ ნიკაპს დაუწყო დანის წვერით კირ-  
კიტი.

„რატომ სახვალიოდ? მანტოიფელისას არ წავიდეთ;“

„ეჰ, არ მიყვარს ის მუზმუზელა, კაფეში წავიდეთ სადმე“.

„შენ თუ გგონია მე მიყვარს, მაგრამ ამ კაცში რაღაც საიდუმლოებაა  
მიჩქმალული და ეს ახელებს ჩემს ფანტაზიას. ჩემს თვალში ყოველი კა-  
ცი ალგებრულ ამოცანასა ჰგავს“.

ურდოელმა წვერის პარსვა მოათავა, ოდეკოლონით სახეს იწმენდს,  
თანაც ამბობს:

„შენ ჩემზე უფრო კაცმოყვარე ხარ ალბერტ, მართალი ვითხრა მე  
ევროპაში ვერიდებოდი ადამიანს, როგორც დინამიტს... კაცმა რომ  
სთქვას, ადამიანთან გადაკიდებას ვერიდები. მე მთელი წლობით მიცხოვ-  
რია ამა თუ იმ ქალაქში და ნაცნობები არ გამიჩენია. მთელი დღე მუნ-  
ჯივით, უტყვად მიხეტიალნია მუზეუმებში, პარკებში, ბიბლიოთეკებში,

<sup>1)</sup> აქ ამ წიგნის ავტორი საჭიროდ სთვლის ასეთი რამ შენიშნოს თავის გმირს:  
„უმიზეზოდ“ არა რა ხდება ბუნებაში. ჩვენი გრძნებითი შემეცნებანი უფრო ად-  
რე ხშიანდებიან ჩვენს წარმოდგენაში, ვიდრე გონებისმიერი დაკვირვებანი, ამიტომაც  
ჯერაც არა ჰქონდა ურდოელს შეგნებული, თუ რა იწვევდა მასში უჩინარ მღელეა-  
რებას.

ცხადია, არიშინის ქალთან რამდენჯერმე შეხვედრამ ანაზღველად აღძრა მის  
გულში ის გრძნობა, რომელსაც რომანტიკოსები და უბირი ხალხი „სიყვარულს“  
უწოდებენ.

<sup>2)</sup> შემოდით

გამოფენებზე, სალამოს დაქანცული შინ მივბრუნებულვარ. ტიასახლისი გაცივებულ კერძს გამოცხებლებდა და მიაშობდა ბრიკეტის ფასს რამდენი მოიმატა, ან გაზეთები ვის უყუფენ? ერთ ორ სიტყვას მეც მიუღებდები, მერმე აკადემიაში მივიდოდი. ხომ იცი პროფესორი ჩალიხია, დღედაღამ რომ იყო მათთან დაბმული, ხმას არ ვაგაცემებ. ჯერ არავის გამოვლაპარაკებია არც პანსიონში, არც ვაგონში, არც აკადემიაში, რადგან ვიცი ევროპელები დიდი ფორმალისტებია და ასეთი რამ თათათ სძაგთ.

დღეს უცნაური რამ შემემთხვა, ალბერტ, სწორედ იმ წუთში, როცა შენთან ტელეფონით ლაპარაკი მოვათავე, ვილაც შავფრაკიანი მოხუცი მოფათურდა ტელეფონის კიოსკთან, ერთი შემომანათა თავისი ლურჯი სათვალე, მერე დაბარბაცდა და მოცელილივით წაიქცა. ვილაც შვედი მეცნიერი აღმოჩნდა. სახე ჰქონდა ამ მოხუცს! ხელცელიანი სიკვდილის შაბლონიური სურათი რომ გინახავს ისეთი. თავის ქალისა, ლაწვისა და და ყმების ძელები ჩონჩხივით გამხმარი, დალეული მკლავები და მკერდი, წვრილი, წვრილი ფეხები. ისეთი მოჩაჩული ძველმოდური ფრაკი აცვია, როგორც პროფესორებს სჩევიათ ხოლმე. ლურჯი სათვალე სატანურ გამომეტყველებას აძლევს მის სახეს.“

„ეჰ, ეგ არაფერია my dear“), ეუბნება ალბერტი ურდოელს და ბეჭზე უცაცუნებს ხელის გულს. შენ ლამაზი ვაფი ხარ, შე სილამაზისაგან შორს ვარ, მაგრამ ასეთი რამ მეც მომსვლია, არა ერთი გამიბერტყავს ასეთ ფლირტისათვისაც. ვინ იცის ეგებ ეს მოხუცი ხშირად გზედებოდა პანსიონში, გაგიმიჯნურდა ალბათ. ევროპაში ამეამად სულიერი კრიზისია, გაუგონარი. ასეთ ეპოქაში მამათმავლობა და ნიფომანია, საგანგებოდ იფურჩქნებიან. ძველ ათინაშიც ასე იყო, დაცემის პერიოდებში. მერმე ამ პროფესორებს მუდამ ახალ ახალ თაობასთან აქვთ კავშირი, მათაც ერევა ეს სენი. პლატონური გამიჯნურების ამბავია და სხვა არაფერი.“

„ოჰ, მაგრამ, მე ის კაცი არსად მენახა ჯერ, არც პანსიონში, არც ჭუჩაზე. შე არ მეგონა გერმანიაშიც თუ იყო ასეთი რამე.“

„ოჰო ჰო, გერმანიის არისტოკრატია თავიდანვე ცნობილი იყო ამ მხრით, კაიზერის მეგობრის ოილენბურგის ამბავი არ ვაგიგონია? მოლტკე? თვით ვილჰელმის ვაფი იოახიმი ცოლს გაეყარა ამ ნიადაგზე. ბოლოს ქვეყანამ იცის ლუდვიგ II, ბავარიის მეფის საოცარი რომანი რიპარდ ვაგნერთან.“

„ასეთი რამეები აღამიანს შეგაძაგებს, აბა რა იქნება.“

\*) ჩემო ძვირფასო.



„სიყვარულია რომ გითხრა, ქრისტიანული მოყვასის სიყვარული, არც მე მწამს. მე დიდი ინტერესი მაქვს ადამიანისადმი, მართლაც და ასეთი უცნაური სულიერი მეორე არაა ცხოველთა საუფლოში. ადამიანი მე ისე შაინტერესებს, როგორც რომელიმე ფენა მარმარისა, მწვენი მინდორისა.“

ლიფტის კარი შეაღო ურდოელმა და როცა კაბინა ძირს დაეშვა, ორივენი დადუმდნენ; ურდოელის გულში კიდევ იბრძოდა ეს აზრი: წაპყლოდა ალბერტს მანტოიფელისას, თუ გაეცილებინა ცოტა და მერმე ისევ შინ მიბრუნებულიყო და ბარგის ჩალაგება მოეთავებინა?

ლიფტიდან გამოსული ეუბნება დე მალერბს:

„მოდი ალბერტ, კაბარე „შვარცერ კატერში“ წავიდეთ გამოსამშვიდობელი დავლიოთ ამალამ“.

„ნუ ჯიუტობ, ვახტანგ, სიტყვა მიგვიცია, უხერხულია, მანტოიფელის ამბავი მე უკეთ ვიცი, მაგრამ მისი სიყვე ჩვენ არას დაგვაკლებს. ყველა კარგი რომ იყოს ამ ქვეყნად, მოქნარება გადაგვიტანდა my dear. მე მანდ სხვა ანგარიშები მაქვს, ენგელჰარტის ქალის ჯავრი მჭირს კაი ხანია, ამალამ მანდ იქნება იგი. შენ წასვლამდის კიდევ მოვასწრებთ ცოტას დალევას. აფსუს ლონდონში არ ვიყვე წასასვლელი, მეც სიამოვნებით წამოვიდოდი ვენეციას. ვენეციაში ბიძა ჩემი ცხოვრობს, იმასაც ვეწვეოდით.“

ვენეციის გამო საუბრით გართულნი უკვე შილლერ შტრასემდის მისულიყვნენ. ურდოელს გული არ ერჩოდა ვალდშტრასესზე წასვლისათვის, მაგრამ მაინც მონუსხულივით მიჰყვებოდა ალბერტს, როგორც ნევერასტენიკი — ექიმს ჰიპნოტიზიორს.

„ამ მასლაათში გზა აგვრეგია“, — წამოიძახა ალბერტმა, ხელი წააქლო ვახტანგს, შემოაბრუნა და მიყვნენ მარცხნისაკენ შილლერის ქუჩას.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ, ურთიერთის ფეხისხმა ესმოდათ, თანაც მისწყდა ტრამვაების რახრაბი, ავტოების ზუზუნი. ვილლების რაიონი დაიწყო, მიუნხენელ რანტიეთა, ბანკირების, პროფესსორების, უბანი; მერე ალბერტმა დაარღვია დუმილი:

„უბანიც თავის გემოზე აურჩევია მაგ ეშმაკის კერძს. ამ უბანში არც ელექტრონია ჯერ გაყვანილი, არც ტელეფონი, ავტომობილების ნაცვლად ლანდოები ჰყავთ, ბარიზელებს ჰბაძავენ შიკით, ხომ გინახავს ეარდენ დე პლანტის გადაღმა უბნები, სადაც ცივილიზაციისაგან „განდგომილნი“ ნეტარობენ?!“

ქუჩებში ბნელოდა, ვილლათა ბაღების გასწვრივ, აკაციების ჩრდილებში, აქა იქ გაიელვებდნენ წყვილები, საიდანაც კოტის ხმა მოისმოდა.

„საოცარი დარდი მომივლის ამ ჭოტის ხმაზე უცხოეთში,“ — ამბობს ურლოელი, — ჩემი სოფელი მაგონდება და უნალგლო ბაქშეოვა, ალბერტ“. ალბერტმა ამოიოხრა, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცისკენ აიხედა.

„კაცმა რომ სოქვას ცაა უდიდესი ნუგეში ამ ქვეყანაში,“ — ცხას რომ ახედავ, უცხო მხარე არ გეუცხოება ადამიანს, ასე უნდა იყოს შენი ქვეყნიდანაც შესცქერიან, შენი მახლობელი, საყვარელი ადამიანები და ასე გგონია ეს მიწა პატარაა და შენ სამშობლომდის სულ ორიოდ ნაბიჯია. ამ ცას მიყვებოდნენ მუდამ ახალი ხმელეთისა და ახალი გზების მაძიებლნი, ფინიკელები, ბერძნები და ვენეციელები. ყოველ ჩვენთაგანისათვის რამდენი ნუგეშია, ეს ვარსკვლავიანი ცა.“

მერმე დაიწყო ვალდშტრასეს სავესებით უკაცრიელი რაიონი. შტორებდაშეებულ ვილლებიდან ჩქამი არ ისმოდა, ნელი სინათლე კიაფობდა ზოგგან, სთვლემდნენ ბალჩებში ჩაფლული ერთსართულიანი ვილლები, კატები გადარბოდნენ ჩამობნელებულ შუკებზე, ორთავეს ისეთი გრძნობა ჰქონდათ, აგარაკზე სადმე ყოფილიყვნენ თითქოს.

„როგორ დადის ეს ოჯახქორი ამ სიშორიდან ცენტრში?“

„რა საქმე აქვს თუ იცი? ამდენი ხანია ვიცნობ და მისი პროფესია ვერ გამოვარკვეე“.

„Dieser Teufel intrigiert mich.“<sup>1)</sup>

ამბობს ალბერტი“. ბოქემოა რომ ეთქვა, ბოქემა არ უნდა იყოს, მე მგონია ბოქემობა მასკაა მისი. რანტიეო? ასეთი მოუსვენარი ბუნების კაცი ამ კასტის ფარგალში ვერ დაეტევა, თუმცა მას თავისებური თეორია აქვს „წმინდა უქნარობისათვის“, ასე ამბობს: ღმერთს უნდა მიბაძოვო კაცმა. იეპოვამ ექვს დღეს იმუშავა და მერმე თითი თითზე არ დაუკრავსო.

მართალი ვითხრა, მე მისი კოლლექციები მაინტერესებს მეტწილად.

„მარკების კოლლექციები?“

„ეს ვეროპული ბურჯუების გამოკრეტინების მაუწყებელია მხოლოდ. მას სხვა კოლლექციებიც აქვს, სავესებით უნიკალური. თავათაც დიდი ერულიტია, ფაიფურის, ვენეციური მინის, ხელნაწერების, ნუმისმატიკის შესანიშნავი მკოდნე. უზარმაზარ ვილლაში თვითონ და მისი მწეგარი ცხოვრობენ მარტოკა. ერთი ახმაზი, უცხვირპირო მსახური ჰყავს, გოლა.“

ურლოელს ეს სახელი ეცნაურა. შემკრთალმა იკითხა:

„გოლა? ეს სახელია თუ გვარი?“

„ვერ გეტყვი სწორედ სახელია თუ გვარი? მიუგო ალბერტმა. უზარმაზარი ფაფაზი ახურავს თავზე, მთელი ცხერის ტყავის, კონუსისდარი

<sup>1)</sup> აქ სიტყვის თამაშია. „ტოიფელ“ გერმანულად ეშმაკს ჰქვია. ამავე დროს იგი ეხმარება მანტოიფელის გვარს. ეს ეშმაკი მაინტერესებს.

ქული. შეიძლება არაბი იყოს, ან ირანელი. უცხვირპირო განმეა, როგორც სჩანს უკაცრიელობისაგან გამოლენჩებულა, ვერც ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს ვასაგებად, არ ვიცოც რა ჯილაგის კაცია? რუსეთიდან ჩამოუყვანია, როგორც სჩანს, ვგონებ ნაყმევის შვილია, თუქ ქაქულა ასეთი. ერთხელ ვავეუშურე, მსახური ქალი რად არა გყავს შეთქი?

ქალს როგორ შემოუშვებო სახლში!

საკმაოდ საინტერესო ხალხი იკრიბება მის სახლში. ვის არ შეხვდები მანდ. იტალიელებს, რუსებს, პოლონელ ემიგრანტებს, გერმანულ მხატვრებს, შვედებს და ამერიკელებს, ირლანდიელ რევოლუციონერებს, მასსონებს, კვეკერებს, თეოსოფებს. შესაძლოა თავის ბოჰემური ნილაბით იტყუებდეს ამ ხალხს და რომელიმე დიდ სახელმწიფოს აწვდიდეს ცნობებს ერთი რამ შექვეებს კიდევ მის საქციელში. ასეთი სტუმართმოყვარე გერმანელი ჩემს დღეში არ მინახავს. თუმცა იგი მოდგმითაა გერმანელი, ბალტიელი ბარონია. ყოველ თვეში ორჯერ მართაეს დარბაზობას, სხვა დროს კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. დღისით სძინავს თურმე, ზუსავით სინათლეს ერიდება, ღამის თორმეტ საათიდან ცხოვრებას იწყებს. ენების უებრო პოლიგლოტია, უფრო ავსტრიულად უქცევს, ვიდრე ბალტიურად. (აქ ალბერტი შესდგა) და დასძინა:

„სხვათა შორის, დღევანდელი გაზეთი არ წაიკითხე, ვახტანგ?“

„რად იკითხავ, ალბერტ?“

„გიშნაზიელს, ვინმე პრინციპეს, ავსტრიის ერცჰერცოგი მოუკლავს.“

„რას ამბობ, ალბერტ!“

„დიდი ამბებია პრესაში. შენ შენი მხატვრობის მეტი არაფერი გაინტერესებს, საოცარი ხარო მხატვრები, თქვენა გგონიათ ტუშით და ფანქრით დახატული უფრო მეტს მოასწავებდეს, ვიდრე დაუხატავი ცხოვრება. კარგ დროს გაასწრებ ვენეციაში. თუმცა კაიზერი სამოგზაუროდ წასულა, ეს კარგი ნიშანია, შესაძლოა ომი არ იქნეს.“

„შენ რას ამბობ, ალბერტ?“

ალბერტი მცირე ხანს მდუმარედ მიყვებოდა რომელიღაც ბაღის მოაჯირს რკინისას, მერმე შემობრუნდა და მიუგო:

„მე სადოქტოროს ჩავაბარებ თუ არა, ჩემს აფრიკას მივაშურებ, კოლს შევირთავ და მთებში გავიხიზნები. მეყოფა ამ ევროპაში ხეტიალი. სიბერეს და სიკვდილს შენს ქვეყანაში უნდა დაუხვდე კაცი“.

„რა დროს ბერობაა შენი, ალბერტ!“

„მე შენს გარდა სხვა ქართველი არ მინახავს, მაგრამ შენზე დაკვირვებისაგან ვასკენი: თქვენ, ქართველები, საერთოდ დიდი დაუდევარი ხალხი ხართ, შენ ზომ იცი, მე ფრანგების მოდგმისა ვარ, — ჰუგენოტების დევნის დროს გადახვეწილა ჩემი პაპის — პაპის — პაპა ბრეტონიდან

კაპიტატში, — ფრანგები დიდი ხელმომჭირნე ხალხია, ჩვენ ოცდაათი წლის რა გავხდებით, უკვე სიბერისა და სიკვდილის საგზაოს ვიშარავებთ“.

„ასეთი რამ ჩვენშიაც იციან, ხევსურების გამოგზავნისას ესე გავსოვს. ხევსური თუ უძეოდ დაბერდა, თავით მოაწყობს საკუთარ ქელესს, გრანდიოზულ თვითდამარხვას გამართავს, დოლით, ქეიფით, და საკლავებით, ყველაფერს, ყველაფერს მოიშარავებს სიბერისა და სიკვდილისათვის.“

„სტოკოპ, უკვე მისულევართ“, — სთქვა ალბერტმა და ბალჩაში განმარტოვებულ ვილლის დაბალი ჭიშკარი შეაღო. სახლი ბაროკულ სტილზე იყო ნაგები, მეთვრამეტე საუკუნის სახლების უკანასკნელი მოპიკანი, რომლის ბადალს იშვიათად შეხედებით გერმანიის სამხრეთის ქალაქებში. შესავალთან გრანიტის ორი გოლიათი იდგა თვემოდრეკილი და გრძელწვერიან, კუნთებიან ფიგურებს საძირკველი დაეყრდნოთ კისერზე. ორთა შორის გარკვეული მარმარის ფიცარზე ლათინურად ეწერა:

Anno 1717.

სრული მყუდროება იყო ბალჩაში, შტორებდაშვებულ ფანჯრებიდან ჩქამიც არ ისმოდა. მარტოხელა შადრევანი ელურტულებდა ყვავილნარისან გაზონზე. განიერ ფანჯრებსა და ვერანდებს ველური ვაზისა და გლიცინიების გველები დაგრეხილი შტოები შესეოდა.

ალბერტმა ძველებური ზარი დაარეკა. უხმოდ გაიღო კარი და ვესტიბულის კიბის თავზე შენიშნეს სტუმრებმა: ყვითელი მარმარილოს მაიმუნი დაცუქტულიყო.

„ეს მაიმუნი მაპარაჯას უჩუქნია მანტოიფელისათვის ინდოეთში მოგზაურობის დროს,“ ამბობს ალბერტი.

ორივენი შესდგნენ, მაიმუნს დაუწყეს ჰერეტა. ლანდივით გამოვიდა ფაფახიანი, შავგვრემანი კაცი. ქუდი და პალტო ჩამოართვა სტუმრებს მღუმარედ. ტალანში შესვლისას ურდოელმა იგრძნო რაღაც სლიპი რამ მოეკარა ხელზე. შეკრთა. უშველებელი მწვეარი იდგა მის წინაშე. გაიხარა ამ მშვენიერი, ლეგაბეწვიან ცხოველთან შეყრისას. ყურის ძირები დაუსრისა აწყმუტუნებულს

„აა, მობრძანდით, მობრძანდით ჩემო ბატონებო, აზია და აფრიკა გვაკლდა, სხვანი აქ არიან ყველანი. თქვენ პირველად მობრძანდით ჩემს ვილლაში, პერო ურდოელი, გელ? მე და ბატონმა დე მალერბმა უკვე მოვასწართ თითო თასი ყავის დაღვევა ჩვენს ვერანდაზე“ შემდეგ ამისა მწვეარს მიუბრუნდა მანტოიფელი. ფრანგულად უბრძანა:

„V-as á la place“ 1)

1) წადი შენს აფგილზე.

## V

## მარკაზის კოლექციონერის შავონეგატი



გოლას ორივე ხელში სენდვიჩებით დატვირთული სინკები სტუბრა, კარებში შეეჩება სტუმრებს, წურბელივით შავი წარბები ზეასწია და ურდოელს მიაჩერდა. თავისქალისა და სახის მიხედვითაც შეატყო ურდოელმა იგი ტომით ქართველი უნდა ყოფილიყო. მას ოდნავად შეეძალა ბოდა საფეთქლები, მაგრამ მაინც ახალგაზრდული იერი ჰქონდა.

ევროპაში, დღესაც არსებობს სულელური, მაგრამ მყარი ტრადიცია: მსახურების აღამიანებათ არ ჩავდებისა, ამიტომაც ზოგნი არც მიესალმებიან ხოლმე მათ, არც გამოეცნაურებიან უცხო ოჯახში მისვლისას, ურდოელს ძალიან უნდოდა მისულიყო გოლასთან და ვინაობა გამოეკითხა, მაგრამ რატომღაც მოერიდა მას და ნახევრად ბნელ ტალანში შეჰყვა მანტოიფელსა და ალბერტს.

დიდ სალონში ვენეციური ლიუსტრა ეკიდა სტეარინის სანთლებით გაჩაღებული. ისე ერთობლივად ლიცილიცებდნენ ისინი, ამ მტოკავმა, მოცახცახე შეჰქმა თვალი მოსკრა ახლადმოსულებს. განიერ ფანჯრებზე იატაკამდის დაშვებული ყვითელი შტორები ეკიდა.

წითელი საფიანის მალალ სავარძელში რამდენიმე კაცი და ქალი იჯდა, სტუმრები პაწია ფიგურებად მოსჩანდნენ მათში, თვით საკმაოდ ზორბა, გათქვირული ფროლიან ენგელჰარტ, გრძელკისერა, ბეჭვანიერი იტალიელი სისმონდი, ახმაზი დოლიხოცეფალი პოლონელი პონიატოვსკიც.

მანტოიფელმა ახლადმოსულნი ჩამოატარა და სათითაოდ გააცნო მათ ფრანგი მზატვარი ოიჟენ ბინგ, მწითური, მელოტი კაცი, მოქანდაკე კორბე, (სემიტური ცხვირითა და უზომოდ ვანიერი ტუჩებით იქცევედა იგი ყურადღებას) ჩეხი ეურნალისტი სტოიანოვი, (ოდნავ მოდრეკილს კისერი თითქმის სრულიად არ უჩანდა, ისე მჭიდროდ ჰქონდა თავკისერი მხრებს შორის ჩამჯდარი, მაგრამ ცეცხლებრ ანთებული სახე ბალღური უმანკოების იერს გადაჰკრავდა), მხოლოდ იტალიელ ემიგრანტს ჯიოვანი სისმონდის ვერავითარი ტიტული მოუქებნა მანტოიფელმა.

„ფროლიან მატილდა ფონ ენგელჰარტ, ახალგაზრდა მინიატიურისტი და მინანქარზე მზატვარი“.

გამოსაჯავრებ კილოთი წარმოსთქვა მანტოიფელმა, ქალმა ოდნავ წამოიწია, მომღიშარი სახე შეაგება ურდოელს, ალბერტის მიმართ ესა სთქვა: ჩვენ ვიცნობთო კიდევაც ერთმანეთს.

„ხუმრობს ბატონო მანტოიფელი, მე ჯერ სტუდენტი ვარ მხოლოდ.“ სჩანდა, ალბერტსაც იამა ენგელჰარტის ქალის დანახვა, უჩვეულოდ გა-

უბრწყინდა სახე, — „თქვენც გიცნობთ, ჰერ ურდოელა“, — უხუნება ვახტანგს.

„ფროლან არიშიანი“ სთქვა მარტოიდელმა თითქმის მსგავსებით, როგორც მახლობელს გააცნობენ ხოლმე გარდამთიელს ან სხვა მხრის მიგვარა პირველად მას.

როცა არიშიანის ქალის თეთრი და პატარა ხელი თავის ძალოვან მარჯვენაში ჩაბლუჯა ურდოელმა, თავათაც შეერთა ოდნავად, (რადგან იგი ქალებთან ფამილარობას არ იყო ჩვეული, არც თუ აყვარა ჯერ მისთვის ვეროპას ის უცნაური რიდი, რომლითაც ექცევა ხოლმე ქართველი ვაჟკაცი განსაკუთრებით ახლად გაცნობილ ქალს), გაეცალა მასპინძელსაც და ალბერტსაც და აღარც კი ახსოვდა ვით მიიღწია რგვალი, მაჰავონის მაგიდის ჩრდილში მდგარ, ირანული ხალიჩებით მორთულ ტახტამდის და მის კიდეზე როგორ ჩამოჯდა.

ხელი წაავლო იქვე გდებულ ნოტების რვეულს და მოჩვენებითი ყურადღებით ფურცვლა დაუწყა, თანაც მოლუშულ წარბების ქვევიდან მზერა გააპარა იმისაკენ, ვისაც უკანასკნელად მიესალმა.

შავი ფაიდეშინის სამოსს სიღინჯე და ასაკი შეემატებინა თითქოს არიშიანის ქალისათვის. ხალები უცნაურად ეხამებოდა მის დაღვრემილობას ოდნავს და სოლიდურ აღნაგობას. დილანდელზე უფრო სვედიანი მოსჩანდა ამ საღამოს. უანგისფერი იერი გაენელებინა ოდნავ წაცხებულ პუდრისა და სტეარინის შუქის სინათლეს, ასე რომ სახეს მისას ძველთა ძველი სპილოს ძვლის ფერი გადასდიოდა ნუშისგულის სითეთრესა და ნარინჯის სიყვითლეს შორის მერყევი. მაღალზურგიან ფორტეში ჯდომა მინიატურობას ჰმატებდა როგორც სახის შტრიხებს, ისე ვიწრო ტუჩპირს და მთელს აღნაგობას მისას.

ახლა ამ ვეება სალონს მოავლო თვალი ურდოელმა.

აღმოსავლეთი და ძველი ვენეცია საოკრად შერწყმოდნენ ურთიერთს. ზოგიერთი საგნები აქაც არღვევდნენ ჰარმონიას. ოთხივე კუთხეში ჩინური ცისფერი ვაზები იდგა თითქმის კაცის სიმაღლე, ბუდდას ვნებათა სიმბოლიური სურათებით ტანმოხატული. სალონის შუაგულში, ვენეციური ლიუსტრის ქვეშ, რგვალ მაგიდაზე რამდენიმე ავსტრალიური თეთრი კიმილა იდგა საფერფლებად ქცეული. ვერცხლის გეგებში შამპანიურის ბოთლები ეყარა, ვენეციური ბოკალები წინ ედგათ მაგიდის შორი ახლოს დამსბდარ სტუმრებს.

ემალირებულ სინებზე ბურბუშელასავით დაგრაგნილი ვაფლი ეყარა, სენდვიჩები და ქათმის ხორცი, სხვაზე ბანანები, მწვანე ფოჩებიანი ბერძნული თხილი, კიტრები და ვაშლები მაგიდის კიდებზე დადგმულ ვენეციურ ვაზებში ეასმინები ჰყვავოდნენ, მათი სურნელება გათქვეფილიყო სტეარინის სანთლებისაგან დაკმეულ სურნელში.

საუბრის ნაწყვეტებიდანაც მიხვდა ურდოელი, რომ ამ მყუდრო ვილ-ლაშიაც მოედწია სერაიევოში გასროლილი რევოლვერის ხმა.

ცხარობდნენ ფრიად ჩეხი სტოიანოვი და იტალიელი კაცები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, იტალიელებისათვის ჩვეულებრივად აღმოდებული ლაპარაკობდა. მაჯაგანით აკოწიწებდა გერმანულ ფრაზებს, თითქმის ყოველთვის უადგილოდ ხმარობდა გერმანულ ნაწილაკებს auf-ს და zu-ს და, ხანდახან არც კი აკერებდა მათ ფრაზის თავსა და ბოლოში. ხშირად უაღრესად პატეთიურად განზრახული მის მიერ ნათქვამი, შეკავებულ ღიმილს იწვევდა თანადადსწრეთა შორის ენის მკოდნეთა ბაგეზე. ხანაც სავესებით მარტივი სიტყვები საძებარი უხდებოდა, უმწეოდ ხაოდა, როცა გერმანული „ხ“ გაეჩხირებოდა ყელში, ხან სავესებით იბნეოდა და ასეთ შემთხვევაში ცალ ხელს ჰაერში გაასავსებდა, (როგორც ასტმის შეტევის ამტანი ავადმყოფი), ხოლო მეორეს მუხლის თავზე იტყაბუნებდა, მოურიდებლად იშველიებდა ფრანგულსა და იტალიურ სიტყვებს და არც კი ნაღვლობდა იმის გამო, სწვდებოდა თუ არა მისი ნათქვამი მსმენელთა შემეცნებამდის.

ურდოელმა დიდი უხერხულობა იგრძნო ასე მარტოკად დამჯდარმა, გულამრეზილმა შეუკუროთხა თავის გუნებაში ალბერტს, რად მომიყვანაო აქ? ეს გაიფიქრა ურდოელმა და ალბერტმა აიყოლია ენგელპარტის ქალი და ორივენი გვერდით მიუჯდნენ ვახტანგს.

„მატილდა, შენ აკი მთხოვედი, გამაცანიო ბატონი ურდოელი, მე მუდამ გადამვარდა გულიდან ეს ამბავი, დანაპირები ვერ შეგისრულე“, — ეუბნება ალბერტი ენგელპარტის ქალს.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ურდოელს ყურები გაუწითლდა, ხოლო მატილდა ენგელპარტს მთელი სახე აენტო ისე, თითქოს მზვარეში მჯდარაო მარტის თვეში ხანგრძლივად.

ვახტანგს გაუკვირდა ეს ამბავი, რადგან ევროპაში იშვიათად ვინმე შეხვედრია ქალთაგანი, ვისაც გაწითლება სჩვევოდეს ხოლმე ასეთ შემთხვევაში. მატილდას არ ჰქონდა მაინც და მაინც კლასიკურად ლამაზი სახე, მაგრამ ამ წუთში დაამშვენა იგი სახის შეფაკვლამ და ეს საოცრად მოუხდა მის ჯანსაღს, დედაკაცური სისავესით აყვავებულ სხეულს. მიუხედავად მისი საკმაოდ ზორბა აღნაგობისა, სინატიფე და სიტფო, უაღრესად ქალურ კეკლუცობასთან შერწყმული, გამოსჭვივოდა მის ახალგაზრდულ და ჯანსაღ ბუნებისაგან. კახურ შემოდგომასავეით გალალბებულმა ქალმა საოცრად დაამშვიდა ურდოელის წამიერად აფორიაქებული სული. ასე ეგონა ამ წუთში, თითქოს მატილდა შორეული და უცხო ტომის ნაშიერი როდი ყოფილიყო მისთვის, არამედ ძველი მეგობარი და მესაიდუმლე.

არიან ისეთი ადამიანებიც ამ ქვეყნად, რომელნიც მოგვინ, პირველ შეყრისთანავე შეგეყრებიან თავიანთი ტფილი და გულმართალი ღიმილით, შემოგხედავენ, გაგიცინებენ და ასე გეგონება შენ მათი შეგობარი იყავი მას შემდეგ, რაც თავს ახსოვხარ, მათი სულის სტრუქტურა და ცეცხლი გაგრძნობინებს იმ ადამიტურ სიხარულს, დედის, ცოლის და მოსიყვარულე დის სიახლოვეს რომ აღეძვრის ხოლმე მამაკაცს.

ასეთი იყო სწორედ მატილდა ენგელჰარტის ასული.

ურდოელი საზოგადოებაში მუდამ უხერხულობას ჰგრძნობდა ერთგვარს, ამიტომაც იჯდა ასე მობუზული, მაგრამ მატილდას მოსვლამ იგი გაამხნევა და მოაშინაურა.

უხერხული დუმილი უნდა ჩამოვარდნილიყო და სწორედ ამ დროს ეკითხება ვახტანგი მატილდას:

„... კი მაგრამ ფროლან ენგელჰარტ, საიდან მიცნობთ მე?“

„თქვენ, ბატონო მხატვარო, ისინიც გიცნობენ, ვისაც თქვენ არ იცნობთ, ეს არაა გასაკვირალი, თქვენმა სურათებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება თავდაპირველად. უკეთ რომ ვთქვა, თქვენმა თანამემამულემ, ჩემმა ნახევარმა დამ, არიშიანის ქალმა...“

„როგორ? ფროლან არიშიანი საიდანაა თქვენი ნახევარი და?“

„შეეკითხა ურდოელი.“

„კაცმა რომ სთქვას, ნახევარი და არაა იგი, ჩვენ ნათესავეებიც არა ვართ, მაგრამ ნახევარ დებს გვიწოდებენ. მანანას მამინაცვალის პირველი ცოლი იყო დედაჩემი, დედაჩემის გარდაცვალების მეორე წელს მანანას დედა შეირთო ჩემმა მამინაცვალმა 9 წლის მანანა თან მოჰყვა დედამისს. მე ერთი წლით უფროსი ვარ. ამის შემდეგ ერთად ვიზრდებოდით.“

„მაშ ფლორიან არიშიანს მანანა ჰქვიან?“

„მანანა.“ ამბობს მატილდა და თანაც სახეში შესცქერის ურდოელს. როგორ, არ მოგწონთ ეს სახელი?“

„რატომაც არა, ჩვენს ულამაზეს ქალებს რქმევიათ მანანა“. მიუვო მორცხვად ურდოელმა.

„მე ვიცი, ამბობს მატილდა, მე ყველაფერი ვიცი თქვენი საქართველოს გამო. ჰო და, მანანა ხშირად მაჩვენებდა თქვენ სურათებს ახალ მხატვრების გამოფენები. იგი დიახაც ამაყობს რომ თქვენ ასე ასახელეთ ახალი ქართული მხატვრობა.“

ურდოელს ისევ გაუწითლდა ყურები და დადუმდა.

„გოლა“, — მიაძახა მანტოიფელმა მსახურს, — ერთი ბოთლი ტოკაიური მოიტანე, ერთიც ძველი რაინული, თორემ აქ ისეთი სტუმრები შემოგვემატა, სამანდილოსნო ლეინობით ჩვენ ფონს ვერ გავალთ. მერმე სენდვიჩი და ქათმის ხორცი მიაწოდე სტუმრებს.



გოლამ ტალახში ამოგინგლული ბოთლები შემოიტანა, გასწავა გაწმინდა, და დაუსხა ფროლიან ენგელპარტს და ურდოელს, აღბერტის ცარიელი ჭიქაც გაავსო ტოკაიურით, თუმცა აღბერტი ყვეფე მსმინძელს ესაუბრებოდა ამ წუთში.

„შე და მანანა, ჯერ ტფილისში ვსწავლობდით, განაგრძო მატკილამ ვიდრე ჩვენი მამინაცვალი ქართული მარგანეცის საქმეებით იყო გართული, მერმე ის იყო, მიუნხენში ვადმოვედით. გიმნაზია მიუნხენში დავასრულეთ. ჯერ კიდევ შარშანწინ გიმნაზიელები ვიყავით, ხშირად შეგხვედრივართ თქვენ, ხანდახან გახელებდით კიდევაც. ერთხელ ყვავილების მთელი ბლუჯა გესროლეთ ტრამვაიდან, თქვენ საერთოდ დაფიქრებული დადიხართ და მოღუშული, ვერც კი შეამჩნიეთ ეს“.

ურდოელმა გაიღიმა, მცირე ხნის ღუმილის შემდეგ ეკითხება მატკილდას:

„თქვენ ამეამად სად სწავლობთ?“

„იმავე აკადემიაში, სადაც თქვენ“.

„რა განხრა გაქვთ?“

„მინიატიურისა, მინანჭარის მინიატიურისა“.

„ფროლიან მანანა?“

„იგი კონსერვატორიაშია“.

„ეს თქვენი სადღერგრძელო იყოს“.

„თქვენი მერმინდელი წარმატებისათვის“.

ამბობს მატკილდა და ბოკალებმა დაიწყიალეს.

„რა მშვენიერი ღვინოა, სთქვა ურდოელმა, შემდეგ თავათვე დასძინა: უფრო მშვენიერი ჭიქები“.

„ეს ნამდვილი ვენეციურია, მურანული,“), ვერონეზის სურათებში. ალბათ გინახავთ სწორედ ასეთი ძაბრისფერი ჭიქები, ე, მანდ ყვავილების ვაზა რომ არის, ის ვაზა განა არ მოგაგონებთ მიუნხენის პინაკოტეკში მოთავსებულ სურათს პოლბაინისას „ვაჭრის გიზეს პორტრეტს“, მანდაც სწორედ ასეთი ვაზებია, ხომ?“

ურდოელს ენიშნა და თავი დაუქნია, ყვავილების ვაზას დაუწყო მზერა.

„მანტუას სასახლეში, საშუალო საუკუნეში“, ამბობს ურდოელი „ნადიმის შემდეგ რაინდებს დიდ გმირობად მიაჩნდათ ასეთი შესანიშნავი ვენეციური ვაზებისა და ჭიქების დამტკრევა: Per segno di grande allegrezza ე. ი. ქეიფის სიჭარბის გამოსახატავად, ხოლო საფრანგეთის

1) მურანო დაბაა ვენეციის ახლოს, სადაც მე XIII ს. არსებობს მთელს მსოფლიოში ცნობილი მინის სარეწაოები.

მეფის „სენ ლუის“ ძმა გრაფ დ, ე უდიდეს სიხარულს განიცდიდა ვენეციური მინანქრით ნაკეთებ ჭიქებისა და ვაზების დამსხურებლად.

„ბარონ მანტოიფელს მთელი კოლლექციები აქვს, ამბობს მატილდა, საესებით იშვიათი ფილიგრანული ჭიქისა, ვენეციური მინანქრის, ანჯელო ბეროფიეროს მიერ შესრულებული ვაზებისა“

„ანჯელო ბეროფიერო? აჰა, ვიცი, ეს მან გამოიგონა ემალის წამლებით მინაზე ხატვა“.

„არ ვიცი, ამ საღამოს თუ გვაჩვენებს და მის კოლლექციაში იმყოფება ფერუმარილის, საშუალო საუკუნის დამების კოსმეტიკის საესებით უნიკალური ჭურჭელი რძისფერი ფაიფურისა. ა. წ. Porcellana Contrafacta რომლისათვისაც 200.0000 დოლარი აძლია მას ვაშინგტონის მუზეუმმა.“

„მრგვალი მაგიდის კიდეზე ლამიყლაპიასავით ყელმოღერებული ვაზა რომ სდგას, იგი აჭატისაა, მე-14 საუკუნისა მურანოელ ოსტატების ნახელოვნები, ანეუს ჰერცოვის კოლლექციებიდან.“

მანტოიფელისა და ალბერტის მოსვლამ საუბარი შეაწყვეტინა მატილდას და ვახტანგს. ხელმოვრედ გაუვსო ჭიქა მანტოიფელმა ურდოელს და ეუბნება.

„ეს ტოკაიური სრული ასი წლისაა, რაინული დაახლოებით 75-სა, მე დიდად ვაფასებ თქვენს კახურს, მაგრამ არა მგონია ამ ღვინოებს სჯობნიდეს კახური.“

„გემოვნების საქმეა, ამბობს ურდოელი, და ღვინის სასმისი მიიტანა ტუჩთან. მოსვა და განაგრძო: ეეროპელები ჩვენებურად როდი სვამენ ღვინოს, ჩვენში მთელი კვირის მანძილზე ქეიფობენ ხანდახან. კახური გამტანია, იმ რაოდენობის, როგორც კახური ისმება ჩვენში, რაინის ან მოზელის ღვინო რომ დალიოთ, საიქიაში მოგიხდებათ გასეირნება“.

„აბა ეხლა ტოკაიური სინჯეთ.“

სთქვა მანტოიფელმა და ალბერტს დაუსხა რაინული. ჰერარ დე მალერბ, თქვენ თუ გისვამთ კახური?“

„როგორ არა, ვახტანგმა გამასინჯა შარშან. მე დიდი დეგუსტატორი არ ვახლავართ, როგორც სამხრეთ აფრიკელი, მაგრამ კახურს ბადალი არა აქვს მთელს მსოფლიოში. მას ვერც ესპანური, ვერც ზაარული, ვერც რაინული ღვინოები შეედრებიან. თუნდაც ფრანგულიცა და რაინულიც. ფრიად ეგზოტიური ჭურჭელი ჰქონიათ ქართველებს ღვინისათვის, თხის ტყავისაგან ნაკეთებული. ჩვენ დავცალეთ იგი ერთ კვირაში, შემდეგ ვახტანგს ვაუბერავს თურმე ეს თხის ტყავი, თავის საწოლ ქვეშ შეუგდია. პანსიონ კობურგში ხომ კათოლიკეები სცხოვრობენ მეტწილად, დიდი სენ-

საცია გამოუწვევია ამ უცნაურ „ცხოველს“. მსახურს — ბრძოლას ფეხი წაუჭრავს დალაგების დროს, ვაბერილი თხის ტყავი ატოკებულა, გულ-ვახეთქილი ბერტა გარედ გამოვარდნილა ყვირილით; ეჭვფენს სატანა შემძვრალაო ურდოელის საწოლ ქვეშ. აფორიატებული დევესახლისი ფრაუ მაიორი, მთელი პანსიონი ფეხზე დამდგარა, კინალამ ღეთისმოსავი პოლიცია უხშიათ საშველად“.

„ეს კარგი ამბავი მოგსვლიათ ბატონო ურდოელო, — ამბობს მანტოიფელი, — ხომ იცით Esspuckt ständig bei den Katholien<sup>1)</sup>. მე ტფილისის დუქნებში ისეთი რუმბები მინახავს, ეს რომ მიუნხენელმა კათოლიკებმა ვაბერილი ნახონ, ეშმაკების ბებიები ეგონებათ, ჰე, ჰე, ჰე“.

მანტოიფელის ხარხარმა დანარჩენი სტუმრების ყურადღებაც აღძრა. სტოიანოვი და სისმონდიც მოეშვნენ პოლიტიკას და სპარსულ ტახტზე ჩამომჯდართ მიაშურეს. დაინტერესდნენ, მაგრამ ტიკტორის სახელი ვერც ერთ ენაზე ვერ გამოსძებნა ურდოელმა. ვერც გერმანულმა „შლაუხმა“, ვერც ინგლისურმა „ბეგ“ ვერას მიახვედრა იტალიელი და ჩეხი.

მერმე განუმარტა მათაც ურდოელმა: თხას ამოიღებენ ოთხში, ტყავს გადააბრუნებენ, კუპრით შემურავენ, მერმე ისევ გადმოაბრუნებენ და სამ ნახვრეტს ხით დაუგმანავენ, ორს დაუტოვებენო ღვინის ჩასასხმელად და გამოსადენად.

ვერც ამან ვასჭრა. მაშინ აიღო ურდოელმა ბლოკნოტი და ფანქარი, ქართული ტიკტორა დახატა. როცა იგი ამ საქმით იყო გართული, ზეახედდა: არიშიანის ქალს მიაწყდა მისი მწერა. მანანას მომღიმარ სახეს ისეთი დიდი სიხარულის ნათელი გადასდიოდა, როგორც კაცს შეეტყობა ხოლმე მრავალი წლის შემდეგ სამშობლოში მიბრუნებულს.

„ასეთი რამე სტამბოლში მინახავს, შენიშნა სისმონდიმ, ქართველ ემიგრანტებს ჰქონდათ“.

მერმე ისევ სტოიანოვს მიუბრუნდა და კვლავ პოლიტიკის გამო გააბეს საუბარი ამ ორთა თანაც ახალი თხილს აკნატუნებდნენ. ნაჭუჭებს მუჭში ივროვებდნენ. სუეცის კანალს ახსენებდნენ ხშირად, ლამანშ პადედე-კალეს, მალტის კუნძულს, ვიბრალტარსა და ბალდადის რკინის გზას.

მატილდა ენგელჰარტი წამოდგა, რალაც უჩურჩულა მანტოიფელს, ხოლო მან აცალა სტოიანოვს საკმაოდ გრძელი ტირადის მოთავება და სთქვა:

„Messieurs, mesdames<sup>2)</sup>. თქვენ უკვე იგემეთ ჩემი სარდაფის ღვიწკები, ახლა ნება მიბოძეთ, ჩვენს დამებს საწადელი ავუსრულოთ, ჩემი

<sup>1)</sup> კათოლიკებს მუდამ ეშმაკები ელანდებათ.

<sup>2)</sup> ბატონებო.

ბიბლიოთეკა და კოლექციები გაჩვენოთ. ოღონდ წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ; მე არა მაქვს ჩვეულებრივი გაგების ბიბლიოთეკა, ეს განსაკუთრებით მცირე კოლექციები ხელნაწერებისა და ბიბლიოგრაფიული უნიკუმები. საერთოდ, ვუტენბერგის მერმინდელი, ბექტონის ლიტერატურაზე არ მაინტერესებს.

ვახტანგს ამის გაგონებისას გაელიმა, ალბერტს გადახედა და მანაც წამყუო ეშმაკურად, თანაც უჩუროხულა: ნამეტანს ფასონობსო, ბატონი ბატონი.

წყვილწყვილად დამწყობიებული სტუმრები უკან ვაჰყვენ მასპინძელს, რომელსაც ცალი ხელი მანანა არიშინისათვის წაველო, ცალიც მათილდა ენგელჰარტისათვის.

ყავისფერ დარბაზში თითქმის არც კი იყო ავეჯი, ხელიკისფერი შტორები ეკიდა ფანჯრებთან. კუთხეებში ოთხი „რაინდის“ მანეკენი იდგა.

ერთი სკანდინაველი ვიკინგი, თეთრი ფოლადის საჭურველში, ერთი გერმანელი — მესამე ჯვაროსნული ომის უამინდელი, ერთიც იტალიელი ვიზელინი, ერთიც „ქართველი რაინდი“ მე-13 საუკუნისა. სწორედ ამ უკანასკნელიდან დაიწყო მანტოიფელმა, თანაც ურდოელს მიაჩერდა და არიშინის ქალს, რომელიც ამასობაში მათილდას ამოსდგომოდა გვერდით.

„ეს „რაინდი“ თავადმა ბაგრატიონმა უსახსოვრა მამაჩემს, ნიქეგოროდის პოლკის კომანდირმა. ამის ბადალი მხოლოდ ერთია ბერლინის „ცოიგჰაუზში“<sup>1)</sup> ეს ორი საესებით იშვიათი ეგზემპლარებია ქართული თორისა და აბჯრის საჭურველისა.

ამასობაში ალბერტი გვერდით ამოუდგა მანტოიფელს და ხმადაბლა შეეკითხა:

„საოცარია, ამ პატარა ერს, საკუთარი იარაღი რომ ჰქონია. თქვენ უკეთ იცით, საკუთარი იარაღი მრავალ დიდ ერსაც არ შეუქმნია ისტორიაში“.

„ეს ხალხი ოდესღაც დიდი ყოფილა. ახლა ნამუსრევია დარჩენილი, სულ ორიოდ ვუბერნია რუსეთის იმპერიისა. ისინი ამჟამად სოფლებში ცხოვრობენ შეტწილად. ფრიად თავჰარიანი აზნაურობა ჰყავთ, ვარუსებული ინტელიგენცია. ქართველმა კაცმა გენერლის ჩინს ზევით ვერ აიწია“.

„ხელოვნება და ლიტერატურა ხომა აქვთ საკუთარი? — შეეკითხა დე მალერბ თავის მეგობრის თანამომხეთა გაჩირდვისაგან გულნაწყენმა. „რა ლიტერატურა, ან რა ხელოვნება ექნება ასეთ დაჩაივებულ ერს, ეს „რაინდი“ ვგონებ უკანასკნელია მათ შორის. განათლებულნი

<sup>1)</sup> იარაღის მუზეუმი ბერლინში.

მათ შორის საკუთარ ენაზე ლაპარაკსაც ვაურობიან. მათი ისტორიული რელიქვიები, მათი მადონები და ლამაზმანები ირანსა და ოსმალეთს რჩებოდა ომის ნადავლად, ახლა ევროპელებსა და რუს მოხელეებს უყარდებათ ხელში. იტალიელებსავეთა ჩემდგომად ჩვევართ, ლენინის სმა და ჩრდილიან ხეებს ჭეშ წოლა“.

სწორედ ამ უკანასკნელ ფრაზებს მოუსწრო ურდოელმა და ქვეშევრდულად მიხვდა, რომ ეს ამბავი ქართულ ხალხს შეეხებოდა, ქარხალივით გაწითლდა მთელ სახეზე, მაგრამ მანტოიფელს ცალმხარეს არიშინის ქალი მიყვებოდა; ხოლო მეორე მხრით ენგელპარტის ასული ახლდა და ამიტომაც დუმილი არჩია და მიყვა წინ მიმავალთ მდუმარედ. სამივე დანარჩენი მანეკენის დათვალეირების შემდეგ ისევ „ქართველ რაინდთან“ მიიყვანა მანტოიფელმა სტუმრები, მუზარადი მოხსნა გადააბრუნა და თარიღი აჩვენა:

ჩსნგ (იქვე ცარციტ მიწერილი იყო არაბული თარიღი 1253).

საცხებით უზადოდ შენახულიყო როგორც ჯაჭვის პერანგი, ისე თორი, ჯაჭვის პერანგი თვალმრგვალი იყო და სამფარეშოსანი. ჩაბალახს ორიოდ ადვილას თვალი ამოვარდნოდა.

ისევ ურდოელსა და არიშინის ქალს მიუბრუნდა მანტოიფელი:

„თქვენ ხეცსურებს დღესაც აცვიათ ასეთი საჭურველი, თუმცა საეჭვოა ყველა მათგანი ქართული ნახელოსნები იყოს. თუ არ ვცდები, ამჟამად მათ ირანული აქეთ მეთწილად. ფეტ-ალი-შაჰის დროინდელი, ფეტ-ალი-შაჰ, ხომ ცნობილი იყო ხორასნული იარაღითა და თორ-აბჯრით. ეს ფრანკული ხმლებიც ხეცსურეთში შეუძენია განსვენებულ მამაჩემს, მან რამდენიმე აჯანყება ჩააქრო მთიულეთში მას ეამსა შინა“.

ურდოელმა კედელს შეხვდა, ხეცსურული დავითფერულებით, ფრანგულებით, ქართულ ვადაჯგარიან ხმლებით შეიმკოლს.

ისევ „ქართველი რაინდის“ მანეკენს მიაცქერდა ურდოელი.

როგორი მოულოდნელი იყო მისთვის ქართული თორისა და საჭურველის მიუნხენში დანახვა! ეს უნდოდა: ამ საგნების გამო მაინც გამოლაპარაკებოდა არიშინის ქალს ქართულად, სიტყვები ყელზე მიებჯინა, მაგრამ ენგელპარტის ქალის მოერიდა. ამასობაში ისევ გაუყარა ხელი მანტოიფელმა მანანას რა მეორე დარბაზისაკენ გაუძლია.

ურდოელი კვლავ ამ „რაინდს“ უცქერდა და ფიქრობდა ვინ იცის, ცოტნეს, შალვა თორელს, ან იოანე ათაბაგს ცმოდეს ეს თორი და აბჯარი ოდესმე და მონღოლების ხმლები ზედ შელეწოდეს მათ?“. .



წითელ-ყვითელი მოზაიკით შემკული ირანული კიღობანი გახსნა მანტოიფელმა. ხავერდ გადაკრული კოლოფიდან ჩიტის კვერცხის ოდენა ბრილიანტი ამოიღო: აბა გამოიცანით სადაურია? — ეკითხება სტუმრებს.

„ეს იტალიური, ანუ ეს კოლექციებიდან უნდა იყოს“ ამბობს სისმონდი.

„არა, ფრანგულია, მუცოს და კოსკუცისა, — შენიშნა ოიკონ ბინგმა; თავი დააქნია მანტოიფელმა. ეს ბრილიანტი ვანტონი სუქართველოს უკანასკნელი კათალიკოსის ტიარიდან ამოღებული. ალექსანდრე მესამის სასახლეში, დარბაზობის დროს ასეთი სკანდალი შეემთხვა ამ ბრილიანტის გამო გრეფინ უვაროვას: თქვენ გაგიგონიათ ალბათ ოლდენბურგის პრინცი იგი დიდი ყიამყრალი და როყო კაცი იყო. უვაროვას ქალს ხელზე ემთხვია, მის მკერდზე ეს ბრილიანტი შენიშნა. სადაურობა ჰკითხა.

ჩემმა იუველირმა გამომიგზავნაო პარიზიდან. — იცრუა უვაროვმა. პარდონ, ეს საქართველოს კათალიკოსისეულ ტიარიდანაო მოპარული, — შიამბალა უტაქტო პრინცმა.

გრეფინ უვაროვას გული შეუწუხდა.

მე ეს ბრილიანტი რიგაში მომყიდა ერთმა ებრაელმა, რუსეთიდან გამოქცეულმა“, — დასძინა ბარონ მანტოიფელმა. ბერლინის ფრიდრიჰ მუზეუმმა 200 ათასი მარკა მძღლია შარშან.

ხელნაწერების დარბაზში ობისა, სკიპიდარისა და ნაფტალინის სუნი იდგა. მანტოიფელი რიგრიგად აღებდა კედლის ეტაჟერების კარებს, სათითაოდ გამოჰქონდა რიგვედას სასწრაფო ეტრატები, ბავაუადიტას ჩალისფერი გრაგნილები, სტუმრები თეთრი სპილოების, თუთიყუშების, იადონების მინიატურებით სტეებებოდნენ მხოლოდ.

მატლდა ენგელჰარტ ყველაზე უწინ მივარდებოდა ხოლმე მათ, ხარბი თვალებით ამტერდებოდა ყოველ მათგანს, უსაზღვროდ აღტაცებული.

‘Himlisch, himlisch...’<sup>1)</sup> გაიძახოდა.

„ესენი ქაიროში მოგზაურობის დროს მაყიდინა ერთმა სომეხმა.“ დასძინა მასპინძელმა.

ახლა ლათინურისა და იტალიური ხელნაწერების ჯერი მოდგა. ჯიოვანი სისმონდი ყველაზე ადრე იღებდა მათ ხელში. გაოცებული ათვალიერებდა მათ. ერთი უზარმაზარი კიდეშემოცვეთილი ფოლიანტი დაითრია მანტოიფელმა და ხმამაღლა წაიკითხა სათაური:

„იოჰან გეორგ ვალსი. რას ფიქრობენ ბალები დედის საშოში?“ ამ ამბავმა მხოლოდ ღიმილი გამოიწვია დამსწრეთა ბაგეზე. სიმიდის მარცვლივით ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა მანტოიფელმა და თავის ადგილას დააბინავა ეს წიგნი. ახლა სხვა გადმოიღო მომცრო და გვიმრისფერი.

<sup>1)</sup> ზეალბაცია!

„ეს ვახლავთ შიმშილობის ოსტატის მაცხოვრებელ მარკინის ცნობილი ტრაქტატი: „შიმშილობის ხელოვნებისათვის“.

„შიმშილობასაც თუ ოსტატი ესაჭიროებოდა, ესაჭიროებოდა ჩვენი მეფეები და მინისტრები უკეთ ასწავლიან ხალხს ხელოვნებას“.

სერიოზულად შენიშნა სისმონდი.

„მაშ თქვენ არ იცნობთ მარკინოს, სინიორ სისმონდი?“ ამბობს მანტოიფელი. ეს შლეგი წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს სკამდა. მსოფლიო რეკორდი ამ საქმეში ელპიდუსმა დაამყარა. იგი 25 წლის მანძილზე მხოლოდ შაბათობით დაპურდებოდა. მე როცა მადა გამიფუჭდება, ამ რეგენების თხზულებებს ვკითხულობ, ამის შემდეგ უფრო მაღიანად გეახლებით მიუხეხურ შნიცელს, მთავე მხალითა და კარტოფილის პიურეთი.

ალბერტსა და ვახტანგს ღიმი მოერიათ, ურთერთს გადახედეს. სტუდენტური ანგლობის ამბები მოაგონდათ, როცა შიმშილობაში ეჯიბრებოდნენ ურთიერთს. და ეს ამგვარად ხდებოდა: მესამე ამხანაგს დააღუქვინებდნენ ორივეს ოთახის კარებს. იგიც რამდენსამე დღეს თვალყურს ადევნებდა რომელი ერთი ადრე მოხსნიდა შიმშილს.

ახლა მომწვიანო ეტრატის გრაგნილი გადმოიღო მანტოიფელმა, უკვე საესეებით დაობებული, ალაგ ალაგ ამოკმული დადაფხრეწილი. იგი განსაკუთრებით მოწიწებით აიღო ხელში.

„ეს ვახლავთ, ჩემო ბატონებო, ადამიანური სისულელის უდიდესი დოკუმენტი: Vox in Rama—პაპის გრეგორ მეცხრის ბულა. მერმე მის მის გვერდით მომდგარ მამაკაცებს ჩასჩურჩულა:

„ამ ბულით აკრძალა პაპმა ბაყაყისა და კატის სახის ეშმაკებთან კოიტუს“.

მატილდა ენგელჰარტმა და არიშიანის ქალმაც გაიგონეს ეს, მაგრამ არ შეიმჩნიეს.

„რუდოლფ, ეუბნება მანტოიფელს მატილდა ენგელჰარტ, ეს ბულა უთუოდ უნდა მათხოვოთ“.

„ძვირფასო ფროლიან, ჩემი ბიბლიოთეკიდან წიგნის განათხოვრება აკრძალულია. თუ გნებავთ აქ მობრძანდით და იკითხეთ, მაგრამ თქვენ ვგონებ კათოლიკე ხართ და მეშინია დემონოლოგიას არ გადაჰყვეთ“.

ახლა შავყდიანი, დიდი ფოლიანტი გადმოიღო მანტოიფელმა, ისე ასწია ზევით როგორც ზუცესმა სახარება, და აჩვენა სტუმრებს სათაური:

იერონიმუს მენაგო.

Fustis Demonorum.

„მთელი მაშინდელი ევროპა შეაძრწუნა ამ შავმა წიგნმა. ალბრენტ დიურერი და შექსპირიც გაიტაცა ამ კარაბადინმა. ჰაინრიხ მერვემ ინ-

გლისის მეფემ ათასები გაგზავნა ვილიოტინაზე, ელიზაბედ ინგლისის დედოფალმა ათი ათასი დედაბერი დააწვევინა ტახტზე ასვლის დღეს. ინგლისის საგრაფო სუფოლკში გლეხების აჯანყება მომწვევს. გადაცემულმა ბერებმა. ასეთივე ამბები დატრიალდა ესპანეთსა და საფრანგეთსა და გერმანიაში.

უზარმაზარი რკინის ზანდუკი გახსნა მანტოიფელმა, სამი, საკმაოდ დაეანგული სატანჯველა გადმოიღო.

„ეს გახლავთ გერმანიის იმპერატორის ოტტო 1-ის ტანზე ნაცვამი“.

რამდენიმე მიხაკის ფერი სკაპულირი ამოიღო, სახელოებთან საესე-ბით გაცვეთილი. ქალებმა ცხვირსახოცი მოიშველეს, რადგან ნაფტალინის სუნით გაიფლენთა ჰაერი.

„ეს იეზუიტი ბერების სკაპულირებია, მათ სჯეროდათ, ვინც ამას გადმოიცვამდა, სალხინებელის ცეცხლი ვერას დააკლებდა“. მანტოიფელმა სკაპულარები ჩაალაგა და ზანდუკი დაკეტა.

ახლა რამდენიმე ალბომი გამოათრია ქრელი ზანდუკიდან. პირველად ხელში მოხვედრილი მარკა ამოიღო და მოწიწებით გადასცა სტუმრებს.

„ეს გახლავთ უბრწყინვალესი ჩინური მარკა, ჩემი კოლექციას თვალი. გრაფმა ბერნსტორფმა მისახსოვრა, გერმანიის ელჩმა ჩინეთის იმპერატორის კარზე.

ჩინური კარ რინ“.

რკიანი ურჩხული იყო ამ მარკაზე გამოხატული. მერმე სათითაოდ აჩვენა სტუმრებს, ლიბერიის, კუბას, პერუს, ვენეცუელას, ბრიტიშ გვინეას, ნიკარაგუას, კოლუმბიას, ვირჯინის კუნძულების მარკები, მათ მიჰყვა ამ ევროპის, აზიის, აფრიკის პატარა სახელმწიფოების მარკები.

ვიდრე მანტოიფელი სათითაოდ ადიდებდა თავის მარკებს, სტუმრები დიდ სალონში ვაკრეფილიყვნენ, ასე რომ მარტო ურდოელი და დე მალერბი შერჩა მას ხელში. ალბერტ დემალერბ ზმას არ იღებდა, დეჩინებით შესცქეროდა მანტოიფელს სახეში, რადგან მას ურყვევად სჯეროდა რომ უბედს მხოლოდ მდუმარე თუ მოლლის. როცა დიდ სალონში უკან ბრუნდებოდნენ, მანტოიფელი შეეკითხა ურდოელს:

„მე დღეს ძალიან გავვოცდი, როცა გავიგე, რომ თქვენ არ იცნობდით ფროლიან არიშინს. იგი უწინაც დიდად მიქებდა თქვენს სურათებს. მე ამ დღეებში მეწვევა—საფრანგეთის ელჩი რუსეთის კარზე, იგი დიდი მეცნაბია და აღმოსავლეთის კარგი მცოდნე, უთუოდ შევაძენინებ თქვენს უკანასკნელ სურათს, მიუნხენში გამოფენილს“.

ორდოელმა მადლობა უთხრა, საკმაოდ მშრალად და როცა მანტოიფელი დაწინაურდა, მკლავში ხელი მოუჭირა დე მალერბს.



დიდ სალონში გოლას ყინულის ზოდები დაეხერგა და შამპანიურის გეჯებში ყრიდა ნამსხვრევებს.

„კარგ დროს მოვისწრიათ ამ მარკების მოგროვება, ჩვენთვის მანტოიფელ, თორემ შესაძლოა ისეთი გრივალი ამოვარდეს, ამასვე უწოდებენ და რჩეს ამ პატარა სახემწიფოებიდან“.

ეუბნევა სტოიანოვი მასპინძელს.

„რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს“.

სთქვა მანტოიფელმა და შამპანიური დაუსხა სტოიანოვს.

„დიდ ვახკანალიისათვის ემზადებიან დიდი სახელმწიფოები“. შენაშნა სტოიანოვმა, შამპანიური მოსვა და გაბრწყინებულ ლიუსტრას გაუსწორა თვალი.

„ძველი ამბავია, სთქვა ნაღვლიანად დე მალერბმა, ყველაფერი იქითკენ მიდის, ძლიერმა სუსტის კეართი უნდა გაიყოს მეთასეუჯერ“.

„რატომ? ეგებ უკულმა მოხდეს, დიდები დაიღწეონ და ნამუსრევიდან მცირეთ შეაზონხოლონ ეგებ თავიანთი ქოხები“.

ჩაავდო სიტყვა სტოიანოვმა.

„ინგლისის მეფის გვირგვინი რომ გადავარდეს, სამი კონტინენტის ხალხები ამოისუნთქავენ“.

ამბობს ალბერტ დე მალერბი.

„რევოლუცია უეჭიმებს ყველს“.

სთქვა პონიატოვსკიმ.

Messieurs, medames, assez de politic,<sup>1)</sup> სთქვა ხმადაბლა მოქანდაკე კორბემ, რომელიც უსიამოდ მიუგდებდა ყურს ამ საუბარს.

„თუ ომი ატყდა, ქინკების ჩინებული სამზარეულო გაიშართება ჩვენს ევროპაში. მიუნხენისა და პარიზის ბოჰემასაც გამოუძებნიან საქმეს. კალმებისა და სტეკას<sup>2)</sup> ნაცვლად ხიშტებს მოგვაჩეჩებენ ხელში, ზემდეგებსა და უნტერ ოფიცრებს დაგვაყენებენ თავზე და ხელოვნება ისე დაგვჭირდება, როგორც ძალღს მეხუთე ფეხი“.

„მე ჩემს პოლკს მივაშურებ მაშინ, მაქვს პატივი გაუწყოთ: ნიფეგოროდის პოლკის როტმისტრი გახლავართ. ამ პოლკში მსახურებდა მამა ჩემიც, ხოლო პაპაჩემმა სასტიკად დაამარცხა შამილი გერგებილთან, მისმა პატარვამ პაერში ააფრინა ნაიბი ჰუსეინი“.

სთქვა რუდოლფ მანტოიფელმა და შამპანიური დაუსხა არიშიანის ქალს. ყველანი გააოცა მისმა ნათქვამმა, რადგან იგი აქამდის თავს ასალებდა, როგორც „მხატვარი და კოლლექციონერი“ და ასეთი რამ არასოდეს დასცდენია პირიდან.

<sup>1)</sup> პატონებო, კარა პოლიტიკა.

<sup>2)</sup> სტეკა — მოქანდაკის ხელსაწყო, საძერწი.

„სიმაღლე ისეთი გაქვთ რუდოლფ, ტყვია იოლად მოგაგნებთ“. გა-  
ეხუმრა სისმონდი.

„გარწმუნებთ სინიორ, ჯერ ტყვია არ ჩამოსხმუფეყიყიფიყი“. ეხუმრა  
მანტოიფელმა და ლოჯებიანად გამოაჩინა სიმინდის მარცხენი გრძელ ყვი-  
თელი და ბრტყელი კბილები.

„თქვენ აკი გერმანელი ხართ პერო ბარონ“?

ეკითხება სტოიანოვი.

„რა ეუყოთ რომ გერმანელი ვარ. არისტოკრატიის სამშობლო იქაა,  
სადაც მისი საბატონო—ყოველი მეომარი სოლდნერია ბუნებით. ნაჭი-  
რავები ჯარი ჰყავდა რომსა და ბიზანტიას, ძველს გერმანიასა და თანამედ-  
როვე დიდ ბრიტანეთს სოლდნერები იცავენ. განა ჰოჰენშტაუფენები  
სარაცინელი ზოლდნერებით არ ებრძოდნენ სელჯუქებს? სამშობლო სენ-  
ტიმენტალი მწერლებისა და ისტორიკოსების მონაგონი ზღაპარია. ადა-  
მიანებს ვიმნაზიის სკამებზე ჩასჩიჩინებენ ამ გრძობას, ამავე სკამებზე  
ავიწყდებათ მათ ეს ამბავი“.

— „ომი“?..

ეკითხება სისმონდი.

„ომი რეჟიმის გამოცდაა, სხვა არაფერი. ჰამბურგში, ან პორტსმუსში  
გაკეთებულ გემს რომ გაუშვებენ ოკეანეში საცდელად... ასეთი რამეა  
ომი“.

სთქვა რუდოლფ მანტოიფელმა, ვაფლის ნამსხერვეი ჩაიღო პირში  
და დასძინა:

„თქვენი ხელოვნება, თქვენი გოეტე, რაფაელი და ვაგნერი იგივეა,  
რაც ვაფლის ნამსხერვეი კარგი შამპანიურის შემდეგ.“

G. est quelque chose pour les bons bouches.

## VI.

### ფ ვ ი მ ა

მანტოიფელმა და მოჭანდაკემ კორბემ ვისტრის თამაში მოიწადინეს.  
ბევრი არაჩხუნა მასპინძელმა ზარა, მაგრამ არაფერ გამოჩნდა, თავათ გა-  
ვიდა ტალანში.

„თუ რევოლუციამ ხელი არ შეუშალა, ეკლესია და მონარქია კვლავ  
გამოიწვევენ მასსების პსიხოზს, ამბობს სისმონდი, ჯერ კიდევ ისეთ  
ეპოქებში, როცა თანამედროვე დიდი პრესსა ხელთ არა ჰქონდათ, რა  
ჯოჯოხეთურ ზეგავლენას ახდენდნენ ბნელ ხალხზე. თუნდაც ვეგაროს-  
ნული ომებიც რომ მოვიგონოთ. მარტო გერმანიაში სამასი ათასი ბავშვი  
აჰყვა პაპის მოწოდებას, ყველანი ვზაში დაიღუპა, პელესპონტამდის არ  
მიუღწევია არც ერთს“.

„აი იმ შავმა წიგნმა, რომელიც წელან გვიჩვენა მანტოიფელია, რამდენი მილიონი ადამიანი გაიყვანა ვილიოტინზე, ახლა რამდენი გაავიდა“?!

შენიშნა სტოიანოვმა.

„მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამბობს ოიენ ბინევი, საფრანგეთის პირინეის პროვინციაში მეთევზე ბასკების სოფლებში ეშმაკეულის შიშმა შეიპყრო მთელი მოსახლეობა, მთავრობის კომისსიამ ვილიოტინაზე გაგზავნა ნიმფომანიით შეპყრობილი ქალები. ჭინკების შიშით მოცული ბალები ეკლესიებში დაამწყვდიეს, შიმშილით ამოწყვეტეს.“

ლუდუნის მონასტერში, სადაც საფრანგეთის არისტოკრატის ქალები იზრდებოდნენ, კარფანჯრები ჩაიკეტა რამდენიმე ათასმა ქალწულმა რელიგიური ჰალიუცინაციებისაგან შერყეულმა, ჭურჭუტანებიდან ჭინკები ელანდებოდათ, გაცოფებულნი ახტებოდნენ ერთმანეთს, იკბინებოდნენ, ღრიალებდნენ, დებოშებს ახდენდნენ. (სხვათა შორის რიშელიეს ქალიც ერია მათში).“

მანტოიფელი სალონში მობრუნდა.

გოლამ კარტის მაგიდა შემოიტანა და გაშალა, ცარიელ სავარძელს მიეხალა ნამძინარევი, კარებამდის ძლივს მიბოროილდა.

„ვისაც ვისტი არ აინტერესებს, ვერანდაზე გაბრძანდით, გოლა იქ მოგართმევთ ყავასა და ბენედიქტინს“.

გამოაცხადა მასპინძელმა.

„მართალი ვითხრათ, ასეთი საშინელი ამბების შემდეგ ამ ბნელ ღამეში გარედ გახედვისაც კი შეშინია“.

„სთქვა ენგელჰარტის ქალმა.

„ნუ შიშობთ, ფროლაინ მატილდა, ადამიანზე უფრო დიდი ეშმაკი ჯერ არ შობილა ამ მიწაზე“.

ეუბნება ალბერტი, დაწინაურებულ სტუმრებს თან მიჰყენენ ორივენი. ვერანდაზე გამოსულთ მოაჯირებზე გადმობარდულ გლიცინიების სუნი ეცათ. მძიმედ სუნთქავდა ღამე დადუმებულ ხეების ჩრდილში.

საუბარი ხომ თოვლის გუნდას ჰგავს, მთის ზეთავიდან ძირს დაგორებულს, ერთი მუქა წამოვა მალლიდან, ბოლოს მთა დადგება მთელი.

რა თქმა უნდა, ავტორს შეეძლო ამ საუბრის განაშტოების აღწერას გაქცეოდა და აქ მოეთხრო, თუ როგორ დაიწყეს ვისტის თამაში მანტოიფელმა, ოიენ ბინგმა, სტოიანოვმა და ვნებიანმა ჯიოვანი სისმონდომ. ისიც ვიცი, რომ ადამიანის ხასიათი ჭამაში და თამაშშიაც ისევე მგლავნდება, როგორც დიდი და სურვილული საქმეების მოგვარებისას მაგრამ, სამწუხაროდ, მე თავათ არ შემარჯვება ვისტის თამაში (და მით უმეტეს მისი აღწერა), ამიტომაც გადავწყვეტე ჩემს მკითხველს მოუთხრო, თუ რა მოხდა ან რა ითქვა ივიანზე გამოსულ გმირებს შორის.

შესაძლოა, თვით დარბაისელსა და დაკვირვებულ მკითხველს ასე ეგონოს, თითქოს აქ მოთხრობილი არ იყოს მაინც და მაინც საჭირო ჩემი გმირების ხასიათის გამოსამქლავებლად, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მარად, ის რაც მიუჭირებლად დასცდება ხოლმე ადამიანს ბაგიდან, უფრო მეტად ახასიათებს მას, ვიდრე ათასგზის მოფიქრებული და განზომილი.

მით უმეტეს რომ ჩემი გმირები არც ცნობილი დიპლომატებია, არც სენატის და პარლამენტის წევრები, არც რაიმე დიდი თანამდებობის პირები, რომელთაც ხალხებისა და თემების ბედი ებარათ იმჟამად. ესენი გახლავთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შემთხვევით თავმოყრილი ადამიანები, რომელთა ცხოვრებას ყოველდღიურს განაგებდა განუკითხავი შემთხვევის ძალა.

ამ მცირე მობოდიშების შემდეგ ნება მიბოძეთ კვლავ მოვეუბრუნდე ჩემს სათხრობს.

„პაპიჩემის ნაამბობიდან მახსოვს, ამბობს ალბერტ დე მალერბ, ლუი მე-XIV-ის დროს დოფინეს პროვინციაში სამღვდლოებამ ისე გადარია გლეხობა, მთელი პროვინციის მოსახლეობამ ქრისტედ წარმოიდგინათავი. ლუიმ დამსჯელი რაზმები გაგზავნა მათ დასატუქსავად. აჯანყებულებს ჩააგონეს ბერებმა: ქრისტესეული სულის შებერვით უკუაქცევთოჯარს. ქალები „ტარტარას“ ძახილით გაუძღვნენ აჯანყებულებს წინ. მერმე უბერავდნენ სულს დიდი და მცირე სასიკვდილოდ მოღერილ ხიშტებს. რა თქმა უნდა, ათი ათასები გაჟლიტეს ჯარებმა. ხიშტებმა აჯობეს „ქრისტეს სულს“.

ურდოელს, აივნის მოაჯირთან განმარტოებით დამჯდარს, ძლიერ გაეზარდა, როცა მანანა არიშიანი ვერანდიზე გამოვიდა, ჭილის სავარძელზე ჩამოჯდა მის გვერდით და პირველი გამოელაპარაკა:

„ასე გავიგონე, ვენეციას მიბრძანდებით თურმე, ბატონო ვახტანგ“. ურდოელი ზეწამოიჭრა, წაიღულლულა: დიახ ვაპირებო.

„როგორი ბედნიერი ხართ, მე მთელი ჩემი სიცოცხლე მანდ წასვლისათვის ვოცნებობდი“.

„განა ასეთი ბედნიერებაა ვენეციას წასვლა? მაშ ვენეციაში ყოფილან უბედნიერესნი? (ამბობს ყასიდად ურდოელი).“

„საერთოდ, ტალანტია ერთად ერთი ბედნიერება“.

„თქვენ ასე ფიქრობთ? ეუბნება ურდოელი და ჯიქურ შეხედა არიშიანის ქალს. მთვარის უსუსური შუქი, იღუმალი ტანჯვის იერს ჰფენდა მას სახეზე.“

„მე კი ასე ვფიქრობ, ტალანტი ისევე პირობითია, როგორც ყოველივე ბედნიერება ამ ქვეყნად. ტალანტი მხოლოდ მაშინაა ბედნიერების საწინდარი, როცა მას სათანადო ასპარეზი მზადაა აქვს, წინააღმდეგობა უამისოდ ტალანტი წყველად ექცევა მის პატრონს“.

მკირე ხანს სდუმდნენ ორივენი. მანანა არიშიანმა ხელში აიღო გლიცინიის მტვეანი, უყნოსა და სთქვა:

„ასეთ აივნებს რომ დავინახავ, გლიცინიის მტვენებით დაბარდულს, საქართველო მაგონდება, ქართული აივნები და ტალავერები ყურძნით დახუნძული“.

ისევ დადუმდნენ, შემდეგ ამისა ურდოელმა ესა სთქვა:

„როგორც ვაგივე, თქვენ მუსიკითა ხართ თურმე გატაცებული. აი სადაა ბედნიერება, თუ ნაყოფიერად იმუშავებთ. ჩემის აზრით ყველა-ფერზე მეტად აბსოლუტური ორი რამეა: ხელოვნებაში მუსიკა, ხოლო შეცნიერებაში — მათემატიკა. მე დიდ დანაკლისად მიმაჩნია ჩემს ცხოვრებაში, რომ ორივეს ასცდა ჩემი განათლება. მუსიკა ცირკის ცხენებსაც თანაბრად ესმით, ხოლო ორი და ორი რომ ხუთი არაა, ამის გამო ზანგსა და ინგლისელსაც არ მოუვათ ცილობა“.

ურდოელი შესდგა, მერმე დასძინა:

„კიდევ რამდენ ხანს დარჩებით მიუნხენში?“

„მე სხვა გზა არ მაქვს, დედა ჩემი აქა ცხოვრობს. სიამოვნებით წავიდოდი აქედან, მაგრამ“...

„რატომ? მიუნხენი უმშვენიერესი ქალაქია გერმანიაში“.

„ყოველი ქალაქი მშვენიერია, სადაც მშვენიერ გუნებაზეა ადამიანი“. მიუგო ნალელიანად მანანამ.

ამ ზოგადი გასაუბრების შემდეგ ურდოელს უნდოდა ისეთი კითხვაც მიეცა მისთვის, რაც მანანას უფრო ინტიმურ განწყობილებებს გაამკლავებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მანტოიფელი გამოვიდა ვერანდაზე. ნახევრად ბნელში დამსხდარნი ამჩნევდნენ მის სილუეტს, მაგრამ იგი თავათ ვერ არჩედა მათ ურთიერთისაგან.

მერმე მიაგნო არიშიანის ქალს და ხმამაღლა სთქვა: სტუმრები სთხოვენო ფროლიან მანანას ბეთჰოვენის რომელიმე პიესის დაკვრას. მანანა გაინაზა (როგორც ეს სჩვევიათ ხოლმე ასეთ შემთხვევაში მუსიკოსებს, განსაკუთრებით ქართველ ქალებს მათ შორის). შემდეგ თან გაჰყვა დიდ სალონში მანტოიფელს.

„იანსენიტების ორდენის მეთაურს ფრანსუა დე პარის სიკვდილმა; ამბობს მოქანდაკე კორბე, — ცეკვის ჰისტორია ასტეხა პარიზში. ათეული, ასეული ათასები მიაწყდნენ ფრანსუა დე პარის საფლავს, ქალები უსიარცხელოდ იშიშვლებდნენ ტლოკებს, რომავდნენ და ცეკვავდნენ გაციო-ფებულნი ბერის საფლავზე“.

„რალა შორს მიედევართ, გაეხმურა დე მალერბი, ამასწინად იტალიელი ლაცარეტისტების სექტის მეთაურმა, ვინმე მეურმემ ლაცარეტიმ მოსკორა: მადონა შემეყარაო გზაში, საქრისტიანოს მძღვეებს ეპისტოლენი დაუგზავნა, ახალ ქრისტედ გამოაცხადა თავი. თანავე ბრბოები მიიმხრო, მთავრობამ პოლიცია მიუსია, ქვევით ჩაქოლეს კარაზინიერები“.

კორბე სალონში გავიდა.

ურდოელი იჯდა, უხალისოდ გასცქეროდა ბნელ ღამეს.

ცას კოპები შეეკრა, მთვარე მცირე ხანს კიდევ ჩალიჩობდა ამღვრეულ ღრუბლების შორევეში, მერმე გაუჩინარდა და დაიწყო წვიმა. თინქლავდა ზანტად და უხეიროდ.

იჯდა ურდოელი გარინდებულად, ადგილიდან არც კი იძვროდა, თუმცა წვიმის შხედები ეცემოდა შუბლსა და სახეზე.

ალბერტმაც ბოდიში მოიხადა თავის დამის წინაშე. ვახტანგს გადასძახა: ჩემს მოსვლამდის გაართუო მატილდა. ურდოელმა ჭილის სავარძელი მიიჩოჩა, გვერდით მიუჯდა ენგელჰარტის ჭალს.

„რამ მოგაწყინათ ფროლან ენგელჰარტ, თქვენ ისეთი სახე გაქვთ, მოწყენა არა გშენით“.

„ეჰ, ჩემო ბატონო ურდოელო, კენესის მატილდა, ქერა ადამიანებს ასე გვებუდება, ყველას მხიარული და ბედნიერი ვეჩვენებით მუდამ“.

„განა თუ მარტო გარეგნობის მიხედვით ვმსჯელობ; ალბერტის ნაამბობიდანაც გიცნობთ, იგი მუდამ ალტაცებულია თქვენი მშვიდი და სათნო ბუნებისაგან. ამიტომაც მგონია კარგად გიცნობთ მეთქი აქამდის თქვენ წარმოდგენილი მყავდით, როგორც სიცოცხლით სავსე და მშვენიერისგან ალტაცებული ადამიანი“.

„მეც ასე გვულისხმობთ, ბატონო ვახტანგ, თითქოს ძველი მეგობარი იყოთ ჩვენი“. მიუგო მატილდამ, „ალბერტს განუზომელად უყვარხართ, თქვენი ცხოვრების თითქმის ყოველი დეტალი ვიცით, თქვენი დიდი ტალანტისათვის ბრძოლა და თავგადასავალი. არაფერი ხომ ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც ეს ორი რამ: ტალანტი და თავგადასავალი“.

ურდოელი გაწითლდა უნებურად, როცა ასეთი მოულოდნელი ხოტბა შეაგებეს. (შექება—ყოველ კაცს ეამება ხოლმე, მაგრამ ჭალის პირიდან ზედმეტჯერ).

„მე ეს წვიმები მიუფუჭებს გუნებას, — ამბობს მატილდა“.

„რათ შეგძაგებიათ წვიმა ამრიგად, ფროლან მატილდა?“

„მე და მანანას ცული მოგონებები გვაკავშირებს წვიმასთან, მერმე აქ ნაამბობმაც ბევრი რამ მომაგონა ისეთი, რისი განსენებაც შემზარავს ხოლმე. ჩვენ არ დაგვცალდა თქვენს მშვენიერ საქართველოში გაგვეტარებინა ჩვენი ბავშვობა. ალბათ დაკვირვებისხართ, ვისაც ბავშვობა

ჩამწარბებია, მთელი ცხოვრება უმრუდდება შემდგომი ჩვენი მამინაცვალის ადოლფ ჰოფმანი, როგორც გითხარით, ქიათურის მარგანეცის აქციონერი იყო. 1905 წელს ქართველმა ბოლშევიკებმა ჩვენი მამა აწყვეს მანდ და ადოლფ ჰოფმანს ხელი ააღებინეს ჩვენი ქიათურაში დავიბადე მე და იქვე დაემარბეთ დედაჩემი. მერმე ის იყო რუსუდანი არიშინისა შეირთო ჩემმა მამინაცვალმა. რუსუდანს ორი ქალი თან მოჰყვა, მანანა და ნინო, სამი წლით ჩვენზე უფროსი. ახლა ბაქოს ნავთში დაიდო წილი ჰოფმანმა. აქაც მოეცარა ხელი. მერმე დასწყველა ნავთისა და მარგანეცის საქმე, ტორფის ექსპლოატაციის გამოუდგა. ოთხივენი ატირებული წაგვიყვანა ჰოფმანმა საქართველოდან. სამი წელი კარელიის ტუნდრებში გვატარა ბედმა. რუსეთში რევოლუციის მეწყერებით დანალმულიყო ცხოვრება. სადაც არ წავიდა ჰოფმანი, ვაფიცვები და ბოლშევიკები თან სდევდნენ კვალდაკვალ მას.

კარელიაში, უკაცრიელ ტუნდრების კიდეს იდგა ჩვენი სახლი. გაძვალტყავებულ, დამშეულ მუშების ქონხახებით გარშემორტყმული. ჰოფმანი სასტიკი კაცია, როცა დათვრება წონასწორობას ჰკარგავს სრულიად. კნუტით აცემინებდა მუშებს. გაბოროტებულმა საწარმოები და კონტორები გადაუბუგეს მრავალგზის. ერთ-ორჯერ შემოგვიცვივდნენ, მაგრამ ბატონ რუსუდანს „ღვთისქალს“ უწოდებდა დიდი და მცირე, თავზე გადაგვეფოფრა ყმაწვილებს, გადაცმულმა კარელებმა ჰოფმანი რა ვეღარ იპოვნეს, ვაგვეცალენ.

ჰოფმანი პეტერბურგს, გაიქცა ხოლო ჩვენ ერთმა მოკეთემ თივის ფურგუნით გამოგვაპარა.

ადოლფ ჰოფმანი მაინც არ მოეშვა ტორფის საქმეს. ახლა პინსკის რაიონებში დაიწყო მუშაობა. აქ უარესი დღე დაგვადგა, დღე და ღამ სწვიმდა გადარუჯულ, გატიალებულ ტორფიან სტეპებზე.

მთელი თვეების განმავლობაში ფანჯარასთან ვიჯექით, ირგვლივ ტორფის უდაბნო გვერტყა, სადაც ძონძებიანი, დამშეული მუშები, საწარმოს ქონხები და ყვავები მოსჩანდა მხოლოდ. ვზივართ გულშემოყრილნი და მთელი ქვეყანა გვეჩვენება როგორც ტორფისფერი და საშინელი უდაბნო, ოთახში სამოვარი თუხთუხებს და წრიბინებს, გარედან უშვერი გინება მოისმის, ყვავების ჩხავილი და ზურგდაშავებულ ცბენების ხეიხინი.

ჰოფმანის საწარმოები მოთავსებული იყო „ზელიონიე ვოდის“ გარშემო. სოფელს გარს ერტყა ტორფისფერი, ტბები და გუბეები, მართლაც სავესებით მწვანე. წელიწადში 9 თვე წვიმდა, სთოვდა და ბური იდგა. ჯინქრის ციება მუსარს ავლებდა გლებობას. მერმე ჩვენც დაგვერია ეს საშინელი სენი ეს კიდევ ცოტაა, ამ ტორფის უდაბნოშიც მოგვსწვდა ბოლშევიკური ვაფიცვების ტალღა.

ჰოფმანმა ლოკაუტი მოუწყო მუშებს. მერმე ის იყო ნიკოპოლის ქარიან ლამეში თავს დაგვესხენ დამშეულები, კონტორა გლეწეს და ჩენი სახლი ცეცხლს მისცეს. ხოლო ჩვენ გარედ დავტყუდნენ. სოფელმა არ მიგვიღო, ერთმა ლოთმა დიაკონმა შეგვიფარა. ჰოფმანმა ისევ პეტერბურგს მიაშურა.

შიმშილმა და სიბნელემ სხვაგვარ საშინელებას შეუმზადა ნიადაგი. მალიოვანის სექტამ ფესვი მოიდგა „ზელიონიე ვოდის“ გლეხობაში. ჯერ იყო და მამლის დარად აყვილდა მთელი სოფელი. შეღამდებოდა თუ არა მინდორში გამოცვივდებოდნენ, გულისამრევი ორგეები იმართებოდა ცის ქვეშ. მამაკაცები ისე გამხეცდნენ, დედებსა და დებს არა ზოგავდნენ.

რუსის მთავრობამ ხუცების მთელი ლაშქარი და ერთი ვაგონი ხატი გამოგზავნა მოსახლეობის „დასამშვიდებლად“. ხატები ტბაში გადაპყარეს სექტანტებმა. ახლა ძალღივით აყფედა გლეხობა. ისედაც უამრავე ძალები ჰყავდათ, მთელ სოფელში გაბმული, ისტერიული ყეფა ისმოდა, კაცების, ქალების, ძაღლების ყეფა ურთიერთში არეული. გვიანი ღამით მინდორში გამოსცვივდებოდა დიდი და მცირე, ოთხზე შემდგარნი ხტოდნენ, იკბინებოდნენ, ძაღლივით შეეშუოდნენ მთვარეს.

არ ვიცი, როგორ მოხდა და ადოლფ ჰოფმანიც მოექცა ამ სექტის ზედგავლენის ქვეშ. შესაძლოა იმიტომ, რომ იგი სექტანტებთან ლოთობდა ხანდახან.

რუსუდანი ფრიად სათნო და კეთილშობილი ქალია, მან დედის მაგივრობა გამიწია ცხოვრებაში. ამიტომაც მარად ტკბილად სახსენებელია ჩემს მიერ, მაგრამ უნდა გითხრათ დიდი ფატალისტია. ახლაც გვეუბნება ხშირად: განგებას ვერსად წაუხვალთო. მედიცინაც კი არ სწამა. უბრალო ქინაქინასაც არ გვასმევდა. ციება დაგვერია სამივე ქალს, ხოლო ნინოს და თვით ადოლფ ჰოფმანს ხელი არ მოჰკიდა რატომღაც. მერმე ის იყო საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს“...

აქ მატილდა შესდგა, რადგან ვოლამ ხელახლა მიაართვა ბენედიქტინი სტუმრებს. როცა ვოლა ვერანდიდან გავიდა, ისევ განავრძო მატილდამ, ოღონდ უფრო მინორული, დაბეჭილი ხმით:

„სწორედ იმ ღამეს, როცა მანანა მე და თავათ ბატონი რუსუდანი სიკედილის პირზე მიგვაყენა ჯინჰრის ციებამ, ჰალიუტინაციები დაწყებული გვექონდა, ადოლფ ჰომანი ვაუმიჯნურდა ნინოს. პერანგისამარა ქალი საწოლიდან გარედ გაიქცა, ტბაში დაიხრჩო თავი. რუსუდანს კრინტიც არ დაუძრავს ამის გამო. ეს მიიღო, როგორც, საშინელი განაჩენი ბედისწერისა. ენა ჩაუვარდა, მთელი წელიწადი ასე იყო, მერმე საშინელი შაკიკი დაემართა. დღემდის ასე იტანჯება, მორჯით იბრუნებს სულს, არც შავი გაუხდია დღემდის.



ქმრისა და თავის ნათესავეების თვალის ასახვევად რაიხენბერგში აქი-  
მობა მოიმიზეზა და მიუნხენში გადმოგვიზნა. არც მანანას გაუხდია  
დღემდის შავი. მეც ამიტომ მძავს წვიმა, ზელიონიე ექვლეტს კომქმარული  
წლები მაგონდება, ჩვენი სიყრმის შეგობარი ნინო, დედა დედა ქოფმა-  
ნის საზიზღარ სახე.“

„სად არის ამჟამად აღოლფ ჰოფმანი?“

შეეკითხა ურდოელი.

„გერმანელი კაპიტალისტის დაქინებულმა სიბუჯითემ თავისი გაიტა-  
ნა. ჰოფმანმა დიდი კაპიტალი შეიძინა ტორფის საქმეში. ახლა სარუ-  
სეთო საქმეს ლიკვიდაციას უკეთებს პეტერბურგში, ბავარიის ქვეშევრ-  
დომობის მიღებას აპირებს. ამ დღეებში მოველით, მე და მანანამ ალარ  
ვიციტ, რომელ წყალს შივცეთ თავი“.

ესა სთქვა მატილდამ და მიძიმედ ამოიოხრა.

...„ეჰ, ლმერთო, ეს რა ვქენი, დაიკვნესა მატილდამ. თავათ არ ვიცი,  
რათ გაიმბეთ ეს ყველაფერი, მაგრამ ასე მგონია თქვენ შორეული არა-  
ხართ ჩვენთვის. თუმცა პირადად არ ვიცნობდით, მაგრამ გვახარებდა  
თქვენთან შეხვედრა. მე მჯერა, რომ ადამიანთა გულებს შორის ზშირად  
დღემილსაც მიმოაქვს სიტყვა.“

მანანა ასე ამბობდა თქვენს გამო, რაიმე რომ გაგვიჭირდეს ამ უცხო-  
ეთში, ძმასავით გამოგვექომაგებო. ოღონდ ჯენტლმენური სიტყვა მოი-  
ტათ, ბატონო ვახტანგ, თვით ალბერტსაც არ უამბოთ ეს ყოველივე.  
არ მინდა სწორედ მან რომ იცოდეს ეს“.

„რასა ბრძანებთ, ფროლან მატილდა, თქვენ შეგიძლიათ ისე მომენ-  
დოთ, როგორც საკუთარ ძმას“.

აქ ენა აუბორძიკდა ურდოელს, კიდევ უნდოდა ეთქვა სანუგეშო  
რამ და სწორედ ამ დროს მანტოიფელის სილუეტი გამოჩნდა ვერანდაზე.  
მატილდას გვერდით მოუჯდა და ეუბნება.

„Nun Kindchen, warum sind sie so traurigt? 1):

მატილდამ არა უთხრა რა.

„თუ არ შეგეშინდებათ ამ სიბნელეში, მე გაიამბობთ როგორ მოკვალი  
ერთხელ ვეფხი ინდოეთში ასეთ უმთვარო ღამეში, სავსებით შემთხვე-  
ვით, გეფიცებით სავსებით ბნელ ღამეს“. უთხრა მანტოიფელმა მა-  
ტილდას.

„მიაშბეთ, მიაშბეთ ბატონო მანტოიფელ მხეცების ამბავი, გარწმუ-  
ნებთ არ შემეშინდება. რადგან არც ერთი მხეცი ისე საშიშარი არაა,  
როგორც ზოვიერთი ადამიანი“.

მცირე ხანს სამივენი დადუმდნენ. სალონიდან ფორტეპიანოს ხმა მო-  
დიოდა. მუსიკის ნელი აკორდები ეფინებოდა ჩამობნელებულ აივნებს და

1) „ბა ბალო, რად მოგიწყენიათ?“

ბნელში მთვლემარე ბაღს. ეს მანანა არიშინი უკრავდა ბრეტპოვენის „ოლეო-ნორას“.

„ენით უთქმელი წამების შემდეგ, მიჯნური ჩემი მუქმყურდნო-მკერდზე“ წარმოსთქვა ნაღვლიანად მატილდა ენველპარტმე-ბრეტპოვენის, პიესის ლექსი და მთვლემარე ბაღს გადახედა.

ურდოელი ადგა, ვერანდის ბოლომდის მივიდა, უზარმაზარ პალმის ქვეშ დაჯდა ქილის სკამზე. ახლა ოდნავ მოესმოდა მანტოიფელისა და მატილდას საუბარი. მუსიკის ხმები უფრო და უფრო მილეული ხდებოდნენ და ურდოელს ასე ეგონა, შორიდან, ძლიერ შორიდან მოდიოდნენ თითქოს ისინი.

თვალდახუჭული იჯდა ქილის სკამში, სახეში აშხეფავდა წვიმის წინ-წყლები. დიდხანს რიალებდა მის თავში მატილდას ნაამბობი. გული ტკივოდა მანანას უცნაური ბედის გამო. მერმე წარმოუდგა ადრიატიკის ზღვის ღამეული ჩვენება, ვენეციური ოქსინოს ცა და ხმელი ლაპის ლაზულის ფერისა. ამ წუთში ასე ეგონა, მთელი მისი სხეული გმინავდა თითქოს, გამუდმებული წვიმებისაგან გაშოლტილი, სამხრული ბუნების შარბათი სწყუროდა, ბანანებით, ანანასით და კოკოსით დამტკბარი, ზღვისა და საყვარელი არსების სიახლოე ენატრებოდა და ისევე მანანას უბრუნდებოდა მისი იღუმალი ფიქრი...



უკვე თენდებოდა, როცა სტუმრები დაიშალნენ. ვახტანგი ყველაზე ადრე გამოემშვიდობა მასპინძელს, რომელსაც უკვე მოემზადებინა ქოლგა და მოსასხამი, მანანას გასაცილებლად. ალბერტი ნაღვინევი იყო, ვესტიბიულიდან გამოსვლისას მაიმუნის სკულპტურას მიეხალა. მკლავში ხელი წაავლო ურდოელს და ეუბნება:

„გეფიცები იუპიტერს, მთელი ღამე ვაკვირდებოდი და უნდა ვითხრა, მანტოიფელი ძლიერ წააგავს მაპარაჯას მაიმუნს. მასავით დაბალი შუბლი აქვს, წაგრძელებული ყბები და უზომოდ გრძელი მკლავები“.

მატილდამ ეს გაიგონა და წამოეწია დაწინაურებულ ვაყებს და ხმადაბლა ეუბნება:

„Um golfeswillen!<sup>1)</sup> ალბერტ, ასეთი რამე მანანასთან არ წამოგცდეთ“.

„რა შუაშია მერმე ფროლან არიშინი?“

<sup>1)</sup> ლეთის გულისათვის.

„მანანას დედას გადაწყვეტილი აქვს, მანტოიფელს მიატაროს მანანა, და ეს უნდა მოხდეს ადოლფ ჰოფმანის ჩამოსვლამდე. ხვალზევ ნიშნობა იქნება ალბათ“.

დასძინა მატყილდამ გლიცინიის ყვავილისფერი ქოფგაჯიყიყუკა შეუშვირა წვიმას.

## VII

ფრაუ მაიორი ბორბავდა ბერმის ბალიშებში...

პანსიონ კობურგის პარიზულმა საათმა თორმეტჯერ დაიღლარუნა, შეძღვევ ამისა საათის ციხისებურ თალიდან თორმეტი რაინდის გროტესკული ფიგურა გამოვიდა და ფერხულის დარად ჩამოუარეს.

ურდოელს მოესწრო თავისი სამგზავრო კოსტუმის ჩაცმა, ბავარულ სამთო ფეხსაცმელების შნურებს იბნევედა ნერვიულად. კოსტიუმების, საპარსი ხელსაწყოთა ჩალაგებისას შეუშინებლად გაპარულიყო დრო. წინაღამეს რამდენიმე ახალი ესკიზი კიდევ დარჩენოდა შეუგრაგნავი. პირველ საათზე სადგურზე უნდა ყოფილიყო.

ამასობაში ბერტა დაუცბრომლად აღებდა და ხურავდა კარებს, კრატუნებდა პარკეტი მისი მღვეურ ფეხების წნევისაგან.

არა ნაკლებად იყო აფორიაქებული თავათ ფრაუ მაიორი. იგი ქვეშეცნულად ატყობდა, — შარლოტე საესეებით ნირშეცვლილი იყო გუშინდელ საღამოდანვე: ბუტერბროტებს ამზადებდა ურდოელისათვის, „სამეფო ნამცხვარს“ აცხობდა. საყინულეში ჩაიხედა ფრაუ მაიორმა — დილით მოტანილ, კილო კარაქიდან ნახევარიც არ დარჩენილიყო. „ოლონდ ვენეციას წასვლა არ მომთხოვოს და ჯანი გავარდეს კარაქსა და ბატის ქონს“.

ეს გაითიქრა ფრაუ მაიორმა, შარლოტეს ნამტირალევე თვალებს გადახედა. ურდოელმა კედლის კარადა გახსნა, მანდ დარჩენილი ესკიზები გამოალაგა.

პირველად ხელში მოხვდა შესანიშნავი ციხე ლუდუშაურისა, რომელიც შარშან იოლი თამაშით გააკეთა. უზარმაზარი ბასტიონი გვიანი საშუალო საუკუნეების გოდოლებით ოთხივე მხრით გარს შემორტყმული, ხოლო მეორე თმოგვის ციხე, მიმინოსფერი გრანიტის ქორედი, თვალუწვდენ სიმაღლიდან უფსკრულების ხახაში ჩამომზირალი, შორეულ პერსპექტივაში მტკვრის ლანდშაფტი — სასტიკი სამცხური სანახი, ზეატით გადარუჯული, უტყუო, ურწყული, ლომისფერი გორმახები, ცხვრის ფარებით მოფენილი.

უცნაური სევდა შემთაწვა ურდოელს გულზე.

ამ იეარ ქმნილი ბასტიონის მორღვეულ კარიბქესთან ზის შავით მოსილი დედაკაცი, როგორც მგლოვიარე ადგილის დედა. საკუთარი დე-

დის შტრიხებით გამოესახა იგი მხატვარს. ამ დაქცეული მხატვრების, სალტე შემორღვეულ გოდოლების პირისპირ ზის იგი, როგორც პირგამეხებული მსახური ვესტასი, ჩანაცრულ პალატების მცველი.

ვეგბ ამ წუთშიაც იჯდეს მოხუცი ხორაშანი და სწავლის შემდეგ სახლის აივანზე.

ვენეციას წასვლამ ამ ზაფხულს შინდაბრუნებას ხელი შეუშალა. უკანასკნელი მისი ბარათები ნაღვლის მომგვრელი იყო დიხაც.

შესაძლოა, ველარც განახოო შეილო, იწერებოდა ხორაშანი.

ხშირად ველარ გწერო, რადგან თამარაშენის ერთადერთი სტუდენტი ქალაქს წავიდაო. სხემ არაეინ იცისო ლათინურად წერა. დუშეთში ყოფილა ვინმე მეაფთიაქე, ვისაც ლათინური სკოლნოდა თურმე. დუშეთს ჩავედი, მეაფთიაქე მცხეთაში გაუწვევიათო.

ისევ ესკიზს გადახედა ურდოელმა და აზრი დაესახა: ეს ესკიზი ვენეციას წაელო თან. დაესრულებინა, მანდ გამოეფინა კიდევაც. რა უყოთ რომ ვეროპელი მხატვრები უგულბებელს ყოფენ ლანდშაფტებს. ამ ქვეყნის არც ერთი კუნჭული არ დარჩენია გაუშუქებული, როგორც მხატვრობას, ისე მწერლობას.

საქართველო ამ მხრით სავსებით უცნობია; აბა ვის უნახავს ჯერ მხატვრის ყალამს ვადმოეცეს კავკასიონის გლეხურების იგავშიუწვდენელი მშვენება. (როგორც ეს ნაჩვენებია ევროპულ ხალხების ფერწერაში ალბების მიმართ).

ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. ურდოელმა ესკიზები შეგრაგნა — ასწორედ ამ წუთში მოისმა კაკუნი.

„შემოდით“ მიამახა, მაგრამ ჩქამიცი აღარ მოესმა.

შემოდითო, გაიმეორა და კარი გააღო თუ არა, ნახევრად ბნელში იდგა შარლოტე, ფრაუ მაიორის დაჰ, რომელსაც დღენიადაგ სამზარეულოში ამუშავებდა პანსიონის დიასახლისი. იდგა მორჩილი და თავმოდრეკილი, ხელში ეჭირა დიდი სინი, სამეფო ნამცხვართა და სენდვიჩებით დატვირთული. ურდოელს არ იაჰა მისი აქ მოსვლა, მაგრამ გაღებულ კარებთან მომდგარი უცნაურად სახენაცვალი ეჩვენა ქალი.

ზომ ყოველ ადამიანსა აქვს ისეთი მომენტი, როცა მისი სილამაზე მოულოდნელად გაიელვებს ხოლმე. შარლოტეც უჩვეულოდ მომზიბველი ეჩვენა ურდოელს.

„მობრძანდით. ფროლან შარლოტე“.

ეუბნება ვახტანგი და მოკრძალებულად ხელი წაავლო შარლოტეს მკლავს.

ქალი აიძვრა, უარესად შეფაკლდა მისი ისედაც შექარხლული სახე და ბადია ხელში შეაჩეჭა ურდოელს. რატომ შეწუხდითო, წაიბუტბუტა ურდოელმა, მაგრამ სინი არ გამოართვა და გზა უტია ღია კარში შემოსასვლელი.

ქალი უარესად დაიბნა, რადგან ჯერ პანსიონის ტალანტებში იშვიათად ჩნდებოდა ხოლმე შარლოტე და, მით უმეტეს, რადგან მისი ოთახებსა და ბინებში, მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, მას უკან დასახევი ვხა აღარ ჰქონდა, — პირდაპირ შევიდა ურდოელის ოთახში, მაგიდაზე დასდო სინი და მერმე აღარ იცოდა რა მოემართებინა, უკუსვლით გასულიყო ოთახიდან, თუ იქვე ჩაეკეცნა სავარძელში, რადგან მუხლები მოეჭრა მღელვარებისაგან.

ვაქმა თვალი შეავლო უზომოდ აღელვებულ ქალს და გასაოცარი მეტამორფოზა შენიშნა მასში. ეს ტლანქი, ხელგადაწითლებული, ლოყებდავადეა შარლოტე გამოცვლილიყო სავსებით, მას ყოველი თმის ღერიც უბრწყინავდა, თვალებში უცნაური ელვარება ჩასდგომოდა, შეენოდა კიდევაც უზომოდ შეფაცვლა ლაწვებისა და ბროწეულის ყვავილივით წითელი, ბეჭედივით ვიწრო ტუჩპირი, დიდი სიამაყისა და უბიწოების იერსა ჰქონდა მის აღნაგობას.

მან თავმოდრეკილად, უხმოდ დასდო სინი მაგიდაზე და შეხედა ურდოელს როგორც ვესტას მხვევალი დასდებდა ხოლმე შესაწირავს თავის მრისხანე ღეთაების საკურთხეველზე და აქ თავათ აეტორმა არ იცის რა მოხდებოდა, ბერტას ფეხების წნევისაგან ამდგარი ჰრაქუნის რომ არ შემოსმოდათ ორივეს. ურდოელმა თამამად ამოისუნთქა ბერტას დანახვაზე და მძიმედ ჩამოწოლილ ღუმილის დასარღვევად გახარებულმა მიამახა ბერტას: „ფროლიან ბერტა, ერთი დარეკეთ გეთაყვა, ტაქსი მოვიდეს ახლავე“.

ცნობისმოყვარე ბერტამ ქვეშეცნეულად იგრძნო მომენტის სირთულე. ქალური სოლიდარობაც უკარნახებდა ამას, მით უმეტეს ფრიად გულკეთილ და სათნო შარლოტეს მიმართ (შარლოტე ხომ მუდამ ხელს აფარებდა ბერტას, როცა საღამოობით ჯარისკაცები მოდიოდნენ მასთან სამზარეულოში, სადაც იგი ბატონების ნასუფრალით კვებავდა ხოლმე თავის მიჯნურებს. რამდენჯერ ფქვილის კამერაში დაუშალავს ბერტას თავისი მწვანე მუნდირიანი ეფრეიტორები და საღამოს მთლად გათეთრებული გაუბარებია ისინი უკანა კიბიდან, ამას ყოველივეს ხედავდა შარლოტე, მაგრამ არაოდეს კრინტი არ დაუძრავს ამის გამო ფრაუ მაიორთან).

ბერტამ იგრძნო, შარლოტეს ოთახიდან გასვლა უნდოდა და საბაბს ეძებდა და აქვე მიაწოდა იგი: ფრაუ მაიორი გთხოვთო. ეუბნება.

შარლოტე გავიდა და ბერტა მოურიდებლად ეუბნება ურდოელს: *Mir tut leid dies arme Mädchen, Sie ist ganz verzweifelt ihrer Asreise wegen*<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> მე ძალიან მეცოდება ეს საცოდავი ქალი, მას სასოწარტყვეთა თქვენმა გამგზავრებამ.

ურდოელმა ყური აარიდა ნათქვამს, ანიშნა: სამეზაურო კოფი გა-  
მოეთრია და გამალებული შეუდგა ჩალაგებას.

როცა ტაქსი მთავარ სადგურთან შეჩერდა, მხოლოდ მაშინ გაჩნდა ურდოელს, რომ შარლოტეს შემოსვლამ გადააფიქრა მისი საქმის წა-  
მოღება, ხოლო სადგურის ტუნელთან მისულს ბილეთი რომ მოსთხოვა  
მეკარემ, ურდოელმა ჯიბეზე მოისვა ხელი, ეძია საფულეში, ეძია საბი-  
ლეთე უბეებში, მაგრამ ბილეთი აღარსად სჩანდა.

დასტოვა ბარგი და მებარგე ტუნელის შესასვლელთან, მთავარ სა-  
ლაროს მიექრა, ახალი ბილეთის შესაძენად. გამხდარმა, სათვალთან  
მოხელემ მშრალად და მკვეთრად განუმარტა: ვენეციის ბილეთები 25  
ივლისიდან აღარ იშოვებაო.

დიდი აურზაური გამოიწვია პანსიონ კობურგში ურდოელის მობრუ-  
ნებამ. ოთახი იმ წუთშივე დაეკავებინა ვილაც ამერიკელ ტურისტს. და-  
ფაცურდა ფრაუ მაიორი, ამერიკელი დიდ სალონში გადაასახლეს დრო-  
ებით, ამაზე უფრო მეტად ეს აღელვებდა ყველას: ვის უნდა მოეპარა  
ურდოელის ბილეთები?

ურდოელი ამტკიცებდა, საწერი მაგიდის ვაზაში მქონდაო შენახული,  
ფრაუ მაიორს მარიამ ლეთისმშობელი და კათოლიკური წმინდანები ცი-  
დან ჩამოყავდა მოწმედ, ჩემს პანსიონში არასოდეს ნემსიც არ დაკარ-  
გულაო.

ბერტა ნაცადი მსახურია, ბერტას ხელმრუდობა არ გვსმენიაო. ბო-  
ლოს მანტიორზე შეჩერდა ფრაუ მაიორის ექვი. სამი დღის წინად;  
ელექტრო გაყვანილობა გაფუჭებულიყო ურდოელის ოთახში, ბერტას  
შეუყვანია მონტიორი, შემდეგ ტელეფონისკენ გაქცეულა. შესაძლოა მონ-  
ტიორმა იდროვა და ბილეთები ამოიღო ვაზიდან. საიდუმლო პოლიციას  
მისწერეს დაუყონებლივ, მაგრამ საქმეს ვერა უშველეს.

1914 წლის ივლისის მიწურული იყო და უბირმა მოკალაქეებმა არ  
უწყოდნენ, რატომ ვეღარ შოულობდნენ ბილეთებს საზღვარგარედ მი-  
შავალ მატარებლებისათვის.

მთელი საღამო შინ იყო ურდოელი, დადიოდა თავჩაქინდრული თა-  
ვის ოთახში, ფიქრობდა ბილეთების გაუჩინარების მიზეზისათვის, მაგრამ  
ვერასგზით აეხსნა იგი.

ფრაუ მაიორს თავისტიკვილმა წამოუარა, მას ვეღარ მოენელებინა  
თავისი „უმწიკვლო“ პანსიონის რენომეს შელახვა, გამუდმებულად სვამ-  
და ბრომს და შეშფოთებული ბორგავდა გერმის ბალიშებში...

(პირველი კარის დასასრული)

მ.ვ. თუშანიანი

## ახთამარი

ვანის ზღვასთან ყოველ ღამით  
ვიღაც მოდის — ნისლი ბურავს.  
და უნავოდ — ის თამამი  
კუნძულისკენ სწრაფ მისცურავს.

დაუღალავ ძლიერ მხრებით  
წყალთა წიაღს მედგრად აპობს.  
ეძახიან მას სხივები  
და შექურა შორს კიაფობს.

კბილთა ღრქენით და მუჭარით  
მცურავს მისდევს ნიაღვარი,  
მას ვერ აკრთობს ტალღა ჩქარი,  
ტალღა მკაცრი ვით ლახვარი!

რაა მისთვის წყალთა ბგერა.  
ლამე ქარში ტყვილად გმინავს.  
როგორც სატრფოს ნაზი ცქერა —  
ის შექურა მის წინ ბრწყინავს.

ყოველ ღამით ფარულ ბინდში,  
ცეცხლს აჩაღებს იქ თამარი,  
ელოდება კრძალვით, შიშით  
ვაჟს, შემოსილ შავ კამარით.

დაუღალავ ძლიერ მხრებით  
წყალთა წიაღს მედგრად აპობს;  
ეძახიან მას სხივები  
და შექურა კვლავ კიაფობს.

ცურვით ეტრფის ბედს შორეულს,  
 ებრძვის ტალღებს ახალ გზნებით.  
 და თამარი თავის რჩეულს  
 ელოდება მეტი ვნებით.



ქალი ტალღებს შეევედრა  
 და გამოჩნდა კიდევ ვაჟი.  
 მიჯნურების ეს შეხვედრა  
 ჩაიძირა თითქოს ზღვაში

სიჩუმეა. ღამე მძიმე,  
 ტალღა ტალღას მისდევს ზროვით.  
 ვარსკვლავები მოციმციმე  
 უცქერიან თამარს გლოვით.

ვანის ზღვასთან ყოველ ღამით  
 ვიღაც მოსჩანს — ნისლი ბურავს,  
 და უნაეოდ ის თამაში  
 კუნძულიდან შორს მისცურავს.

თამარი-კი მარტო რჩება,  
 მას აიტანს მწვავე ფიქრი,  
 ტალღებს შორის ვაჟი ქრება,  
 ბრაზიანი ტალღა მიქრის.

ხვალე ისევ ის ლოდინი,  
 გზას უნათებს ვაჟს კანდელი,  
 ტკბილი კოცნა ამოდენი  
 და ალერსის ფრუანტელი.

მტერს ქალვავის დაეშურა  
 ტრფიალი და ბედი მაშინ,  
 და ჩააქრო მან შექტურა,  
 რომ დაეზრჩო იგი ვაჟი.

მტერმა ცეცხლი მოელვარე  
 გაიმეტა ჩასაქოლად —  
 ახლა მცურავი მღელვარე  
 ხედავს ირგვლივ წყვილიადს მხოლოდ.



და შუქურა წითელ თვალთ  
 არ იელეებს, როგორც წინათ.  
 მცურავს ირგვლივ მოსავს წყალი,  
 ვერ მიაღწევს ის მშვიდ ბინას.



არ სჩანს ცეცხლი, ყველგან ბნელა.  
 ვაჟს უმღერის ქარი სამარხს.  
 ვაჟი სუნთქავს ნელა, ნელა,  
 ძლივსღა ამბობს ის — ახ თამარ!

არვინ უსმენს ვაჟის ძახილს.  
 გადამრჩენი აღარ მოვა  
 იმეორებს ის ერთ სახელს  
 და „ახ თამარ“ — ისმის გლოვა.

მშრალ ნაპირზე ვაჟის გვამი  
 გამოაგდო დილით წყალმა  
 და „ახ თამარ“ — ერთი წამით.  
 მკვდარ ტუჩებით სთქვა დამხჩვალმა.

ბევრმა წელმა განვლო შემდეგ.  
 კვლავ კუნძული სდგას მთვლემარე,  
 და სახელად იმას დღემდე  
 ეძახიან „ახ თამარი“.

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა:

მასილ ბარნოვი

## შ უ რ ი ს გ ე ბ ა

(ავტობიოგრაფიული მეთოდით. \*)

„არა დასცხრეს გულისწყრომა ჩემი წინააღმდეგთა ზედან ჩემთა და მივაგო მათ მისაგებელი!“

ქალაქი მცხეთა, მთაზედ გაშენებული. მწვერვალზედ ოთხკუთხი სამსხვერპლო, კლდის ნახეთქებიდან შეთხზილი. ნიში თარხუჯის, იბერთ დედაქალაქის მფარველ ღმერთისა. აქ მარად იკმეგოდა გუნდრუკი, ინაელებოდა წმინდა მსხვერპლი, მრგვალად დასაწველი.

დიდი ადგილი ეკირა ხატს, გარს იფანი ერტუა, მწყობრად მიჯრილი. სხვა ხეებიც იდგნენ. გალავანი არა ჰქონდა. არ იყო საჭირო: ვერვინ ვაპბედავდა წმინდა ადგილის შელახვას, თუ არ ხუცის წინამძღოლობით. მიიყვანდა მსხვერპლის შემწირველს, შესაწირავს ხატს მიართმევდა, დაამწყალოებდა. მლოცველის საპატიოდ ხმას აამალლებდა: სამჯზის დაკრეკდა ფიცარს. სარეკი მუხაზედ გამაგრებული, ხის უროც იქვე. დედაკაცებს სრულებით არ შეეძლოთ ნიშს მიახლოვებოდნენ: შორით ჰკოცნიდნენ, ევედრებოდნენ. ხატის სახულება თუ ქანდაკება არ არსებობდა:

— როგორ შეიძლება მისი ახატვა, ხიდან თუ ქვიდან დაქანდაკება?! უხილავი ძალაა ის, სულთა და ხორცთა მფლობელი. როცა ინებებს, მოველინება რაიმე სახით, მეტად საამოდ ან საზარელად. ხან ხმასაც მოსკემს უჩინარი მოულოდნელად. თუ არა, მიუწევდომელია კაცის თვალთაგან თუ ყურისათვის.

მთელ ქალაქს, წმინდა ადგილის გარდა, გალავანი ევლო ქვითკირისა, მძლე კოშკებით განმტკიცებული, გალავნის კედლები ორსავე მხარეს მტკვრამდის ჩასდევდნენ. უკანასკნელი გოდოლნი ტალღებს უწევდნენ.

\*) ე. ბარნოვს დარჩა რამდენიმე დაუბეჭდავი რომანი და მოთხრობა. ეს ნაწერები, როგორც ლიტერატურული მემკვიდრეობა, ინტერესს არ არის მოკლებული საბჭოთა მკითხველისათვის, ამეამად ებეჭდავთ „შურისგებას“. ამ მოთხრობაში ასახულია ქართველი ხალხის წინაპართა ბრძოლა და ცხოვრება ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში. მოთხრობა საინტერესოა იმით, რომ მასში ბარნოვი ნიღაბს ჰხდის კულტის მსახურთა ფარისევლობასა და ვერაგობას.

ძირს, მთისა და მტკვრის შუა, გამართული დიდი ბაზარს, საესე ნა-  
ირნაირ სავაჭროთი. შორეულ აღმოსავლეთიდან, მისრეთიდან, ჩრდილოე-  
თიდან, დასავლეთიდან შემოტანილი საქონელი ზეინებად, ქარვასლები  
სოვდავართა სადგომად, სავაჭროს დასაწყობად, დასაქმანდა.

კამარებად გადავლებული ალაყაფის კარნი აერთებდნენ მათსა დიდ  
სავაჭრო გზასთან, რომელიც ამოსდევდა მტკვარს სამხრეთ საზღვრებიდან,  
შიემართებოდა ჩრდილოეთისკენ. ქალაქს ზევითაცა ჰქონდა ალაყაფი. ხა-  
ტის ბჭეს ეძახდნენ მას.

მტკვარზედ ხიდი ქვითკირისა. ვალმა, მტკვარსა და არაგვს შუა, მთე-  
ლი ვაკობი საესებით საესე ბალ-ვენახებით. შიგადაშიგ სახლებიც იდგა.  
მოსჩანდნენ ვანაპირას საბჭელ-კალო, სათივეები. ჩასდევდნენ მტკვარს  
წისქვილები, წყლის ჩარხნი, საცეხველები.

## 2

ხიდის პირდაპირ გაშლილ ადგილზედ იდგა მცხეთის მამასახლისის სა-  
სახლე. ზევითაც ჰქონდა მას სახლი. უფრო ციხესა ჰგავდა ის. შიშიანო-  
ბის დროს თუ დაივანებდნენ იქ. დიდი ადგილი ეჭირა ვაკის სასახლეს:  
დარბაზები, ვალიაკები, ოდები, სახაბაზო, სამზარეულო ამბრები. ვეება  
ეზო ვალავან-შემორტყმული. ერთ მხარეს ვანცალკეცებული ქანდარი  
ლადი.

არაგვისა და მტკვრის შესართავთან მაღალ კონცხზედ აღმართული  
სამსხვერპლო მდინარეთა დიდი ბატონის ლაქარისა. მას ჰმორჩილებდა  
ღრუბელთა დენა და ყოველივე წყალი, ნაჟური ჰაერისა თუ ქვეყნის სი-  
ნოტიე. ვედრებოდა ამ ძლიერ ხატს ხალხი, ვაცს შესწირავდა, როცა შუა-  
წუხებდა ნაქარბი ნესტი ან გვალვა-სიმშრალე.

ქანდარ ქვეშ ვაგეშალნათ ხალიჩები. ერთ ადგილას ქალიში იდგა  
შეინდისფერ ფარჩა-გადაკრული. ათიოდე კაცი მოსჩანდა: ზოგნი სკა-  
მებზედ ჩამომსხდარიყვნენ, სხვებს ნოხებზედ მოეკეცნათ, ან მხარ-თემო-  
ზედ მიწოლილიყვნენ. სასახლისკენ ეჭირათ თვალი.

გამოვიდა მამასახლისი. შუახნისაზედ მეტი მოსჩანდა. წვერ-ულვაშში  
ხშირი ქალარა. მუქ-მიხაკის ფერით მოსილი. ერთფერი ჩოხა, შალვარა,  
გრძელი ახალუხი, სარტყელი. ბეწვეულის ქუდი. მაღალყელიანი ჩექმები.  
ნელ-ნელა მობრძანდებოდა ყავარჯნით ზელში. ოდნავ ჩამორჩენით მისი  
შმა ართეზანი. მოშორებით ხმაღდარაკიანი მხლებელი. წამოიშალა ხალ-  
ხი. რამდენიმე ნაბიჯი წარსდგეს შესაგებებლად.

— გამარჯვება თქვენი!

— ვადღეგრძელოს, ბატონო სამარ!

მიესალმნენ. მოიკითხეს ერთმანეთი. გამოჰკითხა სამარმა ამბავი გზო-  
სა, ცხოვრებისა. კარგა ხანი ვასტანა ამგვარმა საუბარმა. შესწყდა სიტყ-

ვა. სამარმა თვალი მოავლო სტუმრებს. ხნიერი კაცი, თმა-წვერ შე-  
თეთრებულნი. იბერთა ტომის სხვადასხვა თემთაგან მოსულიყვნენ: ეკ-  
რელი, სვანი, აფხაზი; ლაზ-ქანეთიდან; ფშავ-ხევსურეთიდან; კახი, ალ-  
ბანი.

— არ შეიძლებოდა, არ გამესარჯენით: დიდი საგრძნობელი დატვირდა  
წინა.

— საჭირო შექმნილა საქვეყნო საქმეზედ ბუობა. ყველას გასჯა გვინ-  
და და მოფიქრება.

— დიალ! ისკანდარ მაკედონელის საკვირველი მოქმედება არის მო-  
საფიქრელი: ტალღები ჩვენამდისინ უწევენ.

— ბრძანე ბატონო!

— საჭიროა გავიგოთ, რა ამბებმა მოაღწიეს შენამდინ.

— ჯერ შორს არის საშიში მტერი: დრო გვაქვს მოსაფიქრებლად.  
მოსამზადებლად.

— შორს არის, მაგრამ ვრიგალივით დაჰქრის თავის საარაკო ლაშქ-  
რით.

— ნამდვილ!

— კარგი ინება ბატონმა მამასახლისმა, რომ ეხლავე მოგვიწოდა.

— ოღონდაც! დროზედ სჯობია სარისტის დაჭერა.

## 3

დინჯად უსმენდა თავდახრილი. მიხედნენ, რომ უდროვოდ გააბეს  
საუბარი, უფროსს აღარ აცალეს. შეწყვიტეს სიტყვა. სიჩუმე ჩამოვარდა.  
სამარმა აიღო თავი, თვალი მოავლო კრებულს:

— იცით ისკანდარ მაკედონელის ამბები. ღვთის რისხვად მოველინა  
აღმოსავლეთს. ბრძოლის ღმერთი თუ არის განსახებული. მცირე ხანში  
დაიპყრო საბერძნეთი და მისნი ახალშენნი დასავლეთში. დაიმორჩილა  
ველური ხალხნი მდინარე ისტრამდინ. გადმოვიდა აზიაში.

— დელფოსის დიდ მარჩიელს უთქვამს მისთვის: უძლეველი ხარ, შე-  
ნი წინააღმდეგობა არ ეგებისო.

— მართალი სიტყვა! ცოტა ათასი მებრძოლით გადმოლაზა სპარსეთის  
საზღვარი და მოადგა მდინარე გრანიკს. აქ დაჰხვდა მას უთვალავი ლაშქ-  
რით ირანის მფლობელი დარიო. ისკანდარი მდინარის მარცხნივ იყო და-  
ბანაკებული, კოდომანი მარჯვნივ. მაკედონელმა არ დახედა მტრის სიმ-  
რავლეს, განვლო წყალი და ერთი დაკვრით დაარღვია დარიოს ძალნი.

— დიდება შენდა, ღმერთო! დარიოზის ბევრი ბევრეული ლაშქარი  
და მისი ერთი მებრძოლებით გატეხა!

— შეტად ნიჭიერი სარდლები ახლავს: ანტიპატრი, პარმენონი, ნეარ-  
ხი, ფილოტი... გვერდსა ჰყავს აგრეთვე არან-ქართების მეფის იარედ

ვაჟი აზო, ფილიპე მაკედონელის კარს აღზრდილი. დიდი გმირიაო, ნამდვილი მებრძოლი. არან-ქართნი ჩვენი ტომის ხალხია. ცალკე სამეფო აქვსთ. ჩრდილოეთისკენ იმზირებიან ნდომის თვალით: ასურეთ დაიპყრონ მთელი იბერია, მასთან შეკავშირებული ერთტომად დაიპყრონ. ისარგებლებენ აღრეულობით და წამოვლენ ჩვენკენ; ისეც დაიპყრონ ქალით გამტყიცებულნი.

— ძნელი იქნება ჩვენთვის.

— ეგრე მგონია. იმისთვის გიხმეთ. მოვიფიქროთ. მზად დაგვხდეთ განსაცდელს, თუ მოგვევლინება იგი.

— ქულზედ კაცი!

— ცხრაზედ ერთი კმარა. მხოლოდ რჩეულნი და კარგად შეიარაღებულნი. დროზედ შეეკრიბოთ.

— არ არსებობს მისთვის მანძილი. დაანგრია მთელი მისრეთი. მოდის ეხლა ისევ ირანზედ.

— აზვირთებული ნიაღვარივით თუ ანგრევს, პლეჩავს ქვეყნიერებას.

— სატანაილო არისო, კაცად შობილი. იარაღი ვერ მიუყენეს.

— თურმე რქაცა აქვს. ფაფარივით გადაფენილ თმაში ჰმაღავსო.

— სადაც კი განვლო თავისი ლაშქრით, ბოროტებით დასქარბა უშმას.

— ეხლავ გამოვგზავნით ჯარებს!

— ჯერ ადრე არის. თვალი ვადევნოთ ისკანდარსაც, ქართთა მეფესაც. თუ შევატყუთ სამტრო მზადება... მოჰფინეთ ხმა ეხლა თემებში, იბერთ ტომის ყველა კუთხეში, რომ შეემზადნენ, გამოემართნენ პირველსავე მოწოდებაზედ.

— შეეკრებთ, ბატონო, თემთ საბჭოებს, გავუზიარებთ შენგან გაგონილს. გადასცემენ ყოველსავე გვარეულთა მამასახლისებს. მათგან გაიგებს ყველა ოჯახი, შეემზადება.

## 4

გამოჩნდა დეკანოზი, მასთან ხუცები: უსხი უნდა დაეკლათ თარხუჯი-სათვის, ნიშნები გაესინჯათ, რომ გავგოთ, რა მოელოდა ხალხს, სანუგეშო რამ თუ განსაცდელი.

იხუცეს. დაკლეს. გაუტეს მკერდი. ამოსწვადეს გული მთრთოლარე. დაფიქრებულნი მოდიოდნენ: მძიმე სათქმელი თუ ამოეცნათ. მიუთხრეს:

— ძნელი მომავალი. დასაეღეთით შავი ღრუბელი. დაფარა ბნელმან ამოსავლეთი. უძღვის ლაშქარს ცეცხლის მხედარი. მიწას განრთხმული უძღვევს ლომი. თეთრი მხედარი ჩვენზედ დიდად განრთხმული. განუჭვრეტმა დაფარა არე. ტაიქთ სრბოლის ხმა. განწირული ზახილი კაცთა...

- გეიხსენ, უფალო!
- რა ცოდვა უნდა დატრიალდეს ჩვენს ხალხში ისეთი, ღმერთმა ხელი აილოს ჩვენზედ?!
- რა და რა!
- თუ გაიგონეთ თქვენ თემებში რაიმე ცოდვა ღმერთთ განაჩრისხი?
- არაფერი!
- ხდება ავი თუ კარგი ჩვეულებრივი.
- თუ მომხდარიყო მაგისტანა უსჯულოება, მსწრაფლ გაცნობებდით: ვალდებულნი ვართ.
- რას მოგვითხრობს მაშ ეს ღვთის კაცი?!
- ვერ ვიცი.
- ღვათავს ხომ არ წაეკიდა რაიმე ავი? თუ განაჩრისხა მისმა ჯარმა ღმერთი მფარველი? — წარმოსთქვა ერთმა.
- და შეინანა: მამასახლისმა განცვიფრებით შეხედა იმას.
- კბაუკი ღვათავს გამარჯვებული ბრუნდება. მისი ლაშქარი უკვე გამოსცდა მყინვარს. მოაქვს დავლა. ამანათებს მოელალება.
- დიდებულა!
- არ-რა ვითხარით: ის მინდოდა, ჩემი ვაფის ქველობაზედ მის საქმეს ეთქვა.
- დიდად სასიამოვნო ამბავი, ბატონო!
- შემოვა ქალაქს, ყოველსავე ენახავთ, გავიგებთ.
- მაშ რა ვიფიქროთ?..
- შეიძლება, რომ უბნობდეს მომავალ რამ შეცოდებაზედ.
- გვმართებს ყველას დიდი სიფრთხილე.
- ჰაი, ჰაი, საჭიროა თვალხშიერობა.
- არიდეთ ხალხი ყოველსავე ბოროტს! შევსწიროთ მსხვერპლი, ვევედრნეთ უფალოს. დაბრუნდებით, ადგილის ხატს შეეხვეწებით. შკაცრად უნდა სრულდებოდეს ყოველი წესი.
- დილაა!
- ჩასვლისთანავე მივიღებთ ზომებს.
- ეგრე! ეგებ ღმერთმა არ განწიროს იბერი ჩვენი.
- ბჭობის შემდეგ სადილი გაიმართა ეზოში. თუმცა სამხიარულო ამბავი მოეფინა ხალხს ღვათავის შესახებ, მაინც ვატაცებით ვერ გამხიარულდა სუფრა.
- გათავდა პურობა. აუმატეს ტაბლას. მოსვენების დროც მოსულიყო.



ქაბუკი ღვათაგ, გაჩენილი მებრძოლ ვაჟკაცად. ლეღეუტანე-მწყობრად წაგები. ამირანის თვალნი, დიდრონი. მბრებზედ ვეფელეუფადარი სამსონ გმირისა. მისმა დედამ, ეგრისის მამასახლისის ქალმა დინარიმ, მამეულთას გაგზავნა აღსაზრდელად, რომ მოიზარდა ვაჟი, მისმა პაპამ ჯაბუფომ საეაქაყო ზნეთა სასწავლებლად მიაბარა აფშინელ აგუნს. იგი უდარებელ მებრძოლად ითვლებოდა ზღვის პირას. მეგობრობით განთქმული მისი რაზმი შიშის ზარსა სცემდა იქაურობას.

თავისებურად გაიზარდა ღვათაგ: ბრძოლა და მიაჩნდა ქაბუკის ქველობად. ხმალზედ ედვა ხელი. სახიფათო საქმეს ეძებდა. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა დაუბრუნდა მამას. ჩაუდგა სათავეში ჯარს. ლაშქრისაგან პატიეცემა დაიმსახურა. პირად უდარებელი მებრძოლი, ნიჭიერი სარდალიც აღმოჩნდა. მთის გადაღმ-ვადმოღმა მის სარდლობით მებრძოლნი არ დამარცხებულან. პირისპირ ბრძოლას ხომ ველარავინ უსწორებდა. საიმედო მემკვიდრე სამარისა, მისი სიამაყე.

— ერთი ჰყავს, ცხრას სჯობია! — იტყოდნენ მასზედ.

იმას ლა შიშობდა სამარი, ღმერთებს არ შეჰშურებოდათ მისი ქველობა, არ მოესპოთ მისთვის სიცოცხლე, ან სხვა რადმე არ გარდაექმნათ.

— იცი შენ, რა ადვილია ღმერთებისათვის გარდაქმნან კაცი ცხოველად თუ ფრინველად, ხედ თუ წყაროდ?

— კახთ ბატონის ქალი საროდ გარდაქმნეს, იმ ტურფა ხიდან მისი ევენსა დღესაც მოისმის.

ღვათაგ ეხლა გადასულიყო კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ ერებთან საბრძოლველად. იბერთ ხელთ ეჭირათ მათათა გარდასავალნი. თუ მათი ნება არ იქნებოდა, მგზავრსაც არ გადმოუშვებდნენ ჩრდილოეთიდან. ეს იკოდნენ ჩრდილოელთ და ფრთხილად იყვნენ, მეგობრული კავშირი ჰქონდათ.

— იბერებთან ზავი გვირჩევნია ომს. ვერ ვიცხოვრებთ, თუ სამხრეთი ჩვენთან არ ვაჭრობს.

— კიდევ იწვრთნებიან იქ ჩვენი ვაჟები, სწავლობენ ლაშქრის მოძრაობას, იარაღის, ჯავშნის ხმარებას, — მსჯელობდნენ გადაღმელნი.

ამ ზოლოს დროს დაივიწყეს თავისი აზრი: ბოროტად მოისწრაფოდნენ გადმოღმისაკენ. ჯგუფ-ჯგუფად იწყეს გადმოსევა ხალხის საძარცვად. ეს მას აქეთ მოხდა, რაც ისკანდარმა შეარყია სპარსთ ძლიერება და სააღვილოდ დაუსახა მათ წინა აზიის დარღვეულ სახელმწიფოებში თარეში. მაკედონელის კაცნიც გაჩნდნენ მათში. ოქროს ანევედნენ, აქეზებდნენ ემძიმებინათ სპარსთ მომხრენი ჩრდილოეთიდან.

დაასვენეს იბერთ მებრძოლთ გაგზავნა ჩრდილოეთისკენ, შუბრავე ჯარი შეყარეს, გაწვრთნილ ვაჟკაცთაგან შემდგარი. ღვაწლავი მტერს მთავარ სარდლად.

— მძლედ იბრძოლებენ: თვითეული ათეულად, <sup>ერკვენული</sup> ~~წინა~~ ~~წინა~~

— ღვაწლავმა შეკობრეთაგან შეადგინა რაზმები.

— თითონაც ნაცადი ჭაბუკია.

— სასარგებლოა ამ ჯარის წასვლა: იქ მტერს დაამშვიდებენ, აქ ხალხი მოიპოვებს სიწყნარეს. მტაცებელი ძალა დაკნინდება ჩვენს ქვეყანაში.

— არც თუ მეტად იყო ჩვენი ხალხი მათგან შეწუხებული; ჩვენი ქვეყნის გარეშე ანვითარებდნენ ბოროტ ქმედობას.

— ეხლა მეტად გამოგვადგება მათი გამოცდილება: გახასებულ ჩრდილოელებს დააწყნარებენ.

— უსათუოდ! მხოლოდ მენანება, რომ სათავეში ჩვენი მამასახლისის მემკვიდრე ჩადგა. საზიფათო გზა არის, რომ დაილუპოს, მაგის ბადალს ველარ ვიპოვით დიდ ბრძოლისათვის.

— მართალს ამბობ! ისკანდარი ისევე დაუბრუნდება სპარსეთს, ან მოკლავს დარიოსს, ან შეაკვდება. ამ დიდ ბრძოლას ჩვენი იბერიც ვერ გადარჩება.

— ნუ გეფიქრებთ! გამარჯვებული დაგვიბრუნდება. უფრო მეტად გამოიცილება ქვეყნის იმედად, — წარსთქვა ხუცესმა.

და განაპყრო მარჯვენა:

— დიდებულო ჯიშალ ფრთოსანო! მზის ამყოლი წარუშმღვარე ბრძოლად მიმავალთ, გამარჯვების გზაზედ ავლიე, მშვიდობით დაგვიბრუნე შენ სადიდებლად!..

— იყავნ!

— იყავნ!

## 6.

დიდი ლაშქარი არ შეკრიბა ღვაწლავმა. არც მთლიანად დაჯგუფული გაიყოლია: ერთს ნაწილს თითონ გაუძღვა, სხვებს სხვა მოთავენი უჩინა. უბრძანა განცალკევებით ასდევნებოდნენ მას. არც გზა აიჩინა ერთი და იგივე: ყველა ჯგუფის მოთავეს თავისით უნდა გაეკვლია მიმართულობა.

— ესე გვირჩევნა: უფრო ადვილი იქნება ხალხის გამოკვება ნაწადირევით თუ ნაყიდ-ნადავლით. არც მეტ ყურადღებას მიიქცევენ პატაპატარა რაზმები.

— შეიძლება მტერმა დაჩაგროს განცალკევებულნი, დააზარალოს.

— ეგ წინამძღვართა სიმარჯვეზედ იქნება დამოკიდებული.

ომი აქ არსად არ მოგვიხდება, თარეშისთვის ცოტაცა კმარა.

— მართალსა ბრძანებ. მაგრამ ვაჰ, თუ დაეიქსაქსენით ისეც ცოტანი!



— ეგეც თქვენი მოხერხებისთვის მიმინდვია, მოსაზრებებისთვის. ვახსოვდეთ ერთი: შორიახლო უნდა მომდევდეთ. მხოლოდ მოგზავრებო, თუ ვინმე გადაგველობა, ან ძალით ავიღებთ საზრდოს, თუ არ მოგვყიდეს.

— ტყე-ტყე მავალ მეკობრეთა დავემსგავსებით.

— ნამდვილ. მხოლოდ მთებს აქეთ არც ძარცვა, არც სისხლის ღვრა! აქ მხოლოდ მგზავრები ვართ. შესაკრებელი ადგილი — აფშინეთი. იქ უნდა მოვიყაროთ თავი. მაშინა ვნახავთ, რა გზას დავადგეთ, რა ხერხს მივმართოთ.

გავმგზავრენ. შარა-გზებს ერიდებოდნენ. ტყის ბილიკებით დიოდნენ, მთის წაყარებით. უდაბურ ტყეს დაებინდა არე მზიან დღეშიაც. დაქანებული მდინარენი სჭრიდნენ გზებს და ავსებდნენ ხევ-ლრანტეებს მძლავრი ხმაურობით.

— დევებს თუ აქვთ უფსკრულებში ქორწილ-ღრეობა?

— დაგვიფარე, ეშმათბრძოლო, გუდანიხ ხატო!

ფრთხილად დიოდნენ. გასაჭირში ჩამოუხდებოდნენ ცხენებს, წინ უძლოდნენ ზომილ ნაბიჯით. მაინც შიგადაშიგ ზარალდებოდა ჰუნე. რა უშავდა! ახალს იყიდნენ მახლობელ სოფელში, საძოვრიდან თუ ეზოდან მოიტაცებდნენ.

საზრდო სანაღვლეებელი არა ჰქონდათ: ქალა-ტყეები თუ მინდვრები სავსე ნადიროთ. ირემთ რემები, შველთა ფარები, ხოხობთ ჯელგანი. არ ელეოდათ ხორცი რჩეულთ. მიდიოდნენ. ხმაურობას ერიდებოდნენ. მაინც გახმაურად მათი დაწყებულება, მოედო არეს მათი ამბავი.

— ღვაკავს შეურჩევეია ყოჩალ-ყოჩალი ბიჭები, შეუიარაღებია და საილაფოდ წასულა.

— გავიგე. დასავლეთის გზას დაადგა, ზღვის პირისკენ მიემართებაო.

— გამოუცხადებია: თუნდ მეკობრენი იყენენ, თუნდ ავაზაკები, ჩემთან მოსულს ყოველივე ეპატიება. საქვეყნო სიკეთეზედ მივდივარ და ვინც ხალხის გულისთვის გაირჯებით, წინანდელ შეცთომებს ვილა ჰკითხავსო.

— მის კვალს ცალკ-ცალკე აპყოლიან სხვა მებრძოლთ გუნდნიც.

— დიდი გზებით როდი მიდიან. ბილიკებს ეტანებიან.

— თუ ცდილობენ, რომ დაფარონ თვისი სავალი.

იშვიათად შეუხვევდნენ სოფელში, ისიც მაშინ, თუ უცილებელი იყო რისამ მომარაგება. გზა-გზა ემატებოდნენ მებრძოლნი. ტყე-ღრეში ბევრი იყო გასული საავაზაკოდ თუ ცხოვრების ძნელ შემთხვევათა გამო და ეხლა დასდგომოდათ მათ მარჯვე დრო, ისევ შეერთებოდნენ ადამიანურად მყოფთა რიცხვს. უთქმელად იამხანაგებდნენ მისულთ, ოლონდკარგი ვაეკაცი ყოფილიყო, გამოცდილი მებრძოლი. ბევრგან დიდი მდინარენიც ვალუჭრიდნენ გზას. ვერ აბრკოლებდნენ: მონახავდნენ მღორე

ადგილს, სად წყალი ქვას არ აგორებდა, შეპრეკდნენ ცხენებს, ცურვით გახდებოდნენ გაღმა. ზარალდებოდა შიგა და შიგ ზოგა. უამისოდ არ იქნებოდა: მსხვერპლი იყო ეს, მდინარეთა დიდი ბატონის შესაწირავი.

მივიდნენ იბერიის საზღვრებზედ. აფშინეთი იყო ქართლისაჲს იწყებოდა უცხოთა არე. ეს განაკიდი ნაწილი იყო იბერიისაჲს უმცირესი უმუალოდ ემორჩილებოდნენ მცხეთის დიდ მამასახლისს. მრავლად მიჰმატებოდნენ მებრძოლნი.

## 7.

აღშზრდელისას ჩამოხდა ღვათაგ. დაგზავნა მგებრები, რომ მომავალ რაზმებს გაეცვლიათ მისკენ გზა. მივიდნენ, შეკრბნენ კარგა ჯარი შესდგა. თუმცა რჩეული ვაჟკაცები იყვნენ, მაინც საჭიროდ სცნო მათი გადათვალისწინება და შერჩევა.

— აქედან იწყება გზა საბრძოლველი. ათასი დაბრკოლება შეგვხვდება ძნელ სავალზედ. დახვედრა უნდა!

გაანდო სიტყვა თავის მწვრთნელს. დაფიქრდა ის. თავს იქნედა, უღვაშებ ქვეშ იღიმებოდა.

— ძნელი განზრახვაა სავაჟკაცო. ბევრი გაბედული ქმედობა გამოიცილია, უფრო მეტი გამიგონია, მაგრამ შენ რომ ფიქრობ... არა, კაცო, ეგ ზომ თავებლობა იქნება. მთელი მთასიჭითი განვლო, ცეცხლსა და მახვილს მისცე იქ ყოველივე და უვნებლად მიაღწიო ლომებს?! შენ მაჯობე: ვერ გაებედავდი მაგას.

— არც ისე ძნელია და შეუძლებელი; ნიაღვარივით მოვედები მოვედები მოულოდნელად, მთავარ ცნებას დაეკარგვინებ და მანამ ისინი თავ-წყალს გადადნენ, სამშვიდობოს ვიქმნები.

— ადვილად ითქმის!

— ვერას დამაკლებენ, თუ არ მიწერია ამ გზაზედ ვათავება!

— მიხაროან! მენანება, რომ გავტყდი და ველარ შეეძლებ, ხმალ-მოწვდილი მოგყვე ჩემს აღზრდილს. შევლებავდი შენთან ერთად სისხლით ჩემს დაშნას.

დააწყო ჯარი ძნელი გზისათვის. მიმართა:

— ეხლა გადავლახავთ აფხაზთა საზღვრებს. ისინიც იბერთა ტომნი არიან, მაგრამ შორეულნი. ვერა გრძნობენ ჩვენთან ერთობას...

— მეტადრე, რაც ახალი მთავარი დაიყენეს.

— სამეკობროდ გადმოდიან ხშირად ჩვენს მხარეს.

— იმედი აქვსთ გადამღელების: ჯიქეთში ჰმალავენ ნადავლს. ნატაკები იმათაც ხომ აქათ გადმოაქვსთ...

— საფრთხილოა ეხლა შორი-შორს სიარული. გვადევნებენ ალბათ თვალ-ყურს და იციან ჩვენი გზა-კვალი. თუ სათავისოდ ჩავვიხელეს, და-

გვესმებთან. ერთად ყველანი! სრულდებოდეს ყოველივე ბრძანება ჩემი!  
სიკვდილი ურჩსა!

სიფრთხილით წარემართინენ: მეტად ძნელი იყო ყველგანსა: მთავორიანი ქვეყანა, მიუღგომელი. ციხეების გარემოცვაში მსჯელობა არ შეიძლებოდა: ზოგ კოშკს მთის წაყარებით თუ დაუახლოვდებოდი. უშენ ადგილებით მიდიოდნენ აჩქარებულნი. არვის ერჩოდნენ: მიზნად ედვად, გაეარნათ მშვიდობით მხარე. მაინც ორ-სამ ადგილას მცირედი შემართება, დაჭრილთა თუ მოკლულთა რამ რიცხვი. აფხაზნი მომზადებულიყვნენ საომრად, მაგრამ ვერ მხედავდნენ. მიმავალი ჯარი არც დიდ საბაბს აძლევდა ბრძოლისას: არ ალაფობდნენ, არც არავის ეტანებოდნენ.

— გზად მივდივართ თქვენ ქვეყანაზედ. სამტრო არ-რა გვაქვს. თუ არ დაიშლით და დაგვესმით, ძვირად დავისვამთ.

ამაში აფხაზნი დარწმუნდნენ, როდესაც სცადეს რამდენჯერმე და დაზიანდნენ.

მშვიდობით მიაღწიეს ჩრდილო საზღვრებს. აქ აფხაზთ მთავარმა თვით იჩინა თავი: გაუგზავნა ღვაყაგს კაცნი, უსურვა მშვიდობით მგზავრობა, იწვია თავისთან. დასთანხმდა ჭაბუკი, მხოლოდ შესახვედრად იქვე ახლო ადგილი უჩინა, მცირე რამ ველი აყრილ ტყის შუა.

ინახულეს ერთმანეთი. გაუმასპინძლდა აფხაზთ მთავარი. შეწვეს, მობარშეს იქვე ახლო ადგილებულ ცეცხლზედ. უხვათ მოეტანათ სასმელი საეაყაყო. ჭაშნაგირი ახლდა გვერდს ღვაყაგს. ზურგთ უკან შეიარაღებული მცველნი აღდგნენ მას. აფხაზთ მთავარსაც, მზირი თვალი ეჭირათ ერთმანეთზედ სტუმარ-მასპინძელს. მშვიდობით გათავდა სადილი, ზრდილობიანად. აფხაზმა ბლომად უზღვნა თათლი თუ სხვა სანოვაგე და ერთიც რჩეული ტაიკი. მაინც ღვაყაგის ზღვენმა დასჭარბა: მიართვა მან ბეყთარი თუ ჯაგშანი სრული. ესეთი სამხედრო მოკაზმულობა იშვიათი იყო. უამა აფხაზს.

— საეაყაყოდ მიდიხარ, პირისპირ საბრძოლველად. იბერთა ყველა თემებიდან გყავს მებრძოლნი. საწყენი იქნება, ჩვენგან არ გახლდეს არავინ. მსურს გაგაყოლო რამდენიმე რჩეული კაცი.

— სასიამოვნოა! მეც მსურდა ევა, აღარ გავბედე. თუ ინებებ და მოგეცემ მებრძოლთ...

— გულითადი სურვილია ეგ ჩემი!

— კეთილი! შენნი კაცნი ძმები იქნებიან ჩვენი. არავითარი განსხვავება მათ და ჩვენ შორის!—იტყოდა ღვაყაგ, გულში კი ფიქრობდა, მოშორებით ჩაეყენებინა იგინი ჯარში, სხვადასხვა ადგილას.

— შესაძლოა, განზრახ მომიჩემა, რომ გზაში ან ბრძოლაში უამს რაიმე ენება მოგვაყენონ.

— საფიქრო არის! ჯაშუშობასაც ვასწევენ ეგვიპტის მცველები, ყველა ჩვენი ნაბიჯი აცნობონ თავიანთ მთავარს.

## 8.

გადატეხეს ჯიქეთის საზღვრები. ესენი აღიძრნენ პირველად იბერთ წინააღმდეგ, გადმოლახეს კავკასიონი. იბერთა პირველი რისხვა მათ უნდა დასტეხოდათ თავს. არ მოელოდნენ. ვერ შერჩნენ მარჯვედ. მცირე გუნდები მოაგებეს შესუულ მტერსა. მსწრაფლ განიფიწლნენ. გააბეს მათი ქვეყანა. ცეცხლს და მახვილს მისცეს მათი დაბა-სოფლები.

სასტიკი იყო ღვაყავის იერიში და ბრძოლა: არვის ინდობდნენ, ხოცდნენ ტყვედ ჩაეარდნილთაც, მიჰყავდათ მხოლოდ წინამძღვარნი, წარჩინებულნი.

— არც ტყვე, არც ბარგი! სვლას შეგვიბრკოლებენ. მხოლოდ საქონი და ცხენები წინ წარიტყით!

განვლეს ჯიქეთი ცეცხლის გრიგალად. შეიქრნენ ბრუხოეთში. ესენი ჯიქთ აღმოსავლეთით სცხოვრობდნენ. მათ პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ელინებთან, რომაელებთან: ვაჭრობა იყო გამართული ამ ხალხთა შორის. ჯიქებთან ერთად ისინიც აღიძრნენ იბერთა სამტროდ, მათთან ერთად შეეცადნენ საზღვრებს გადმოსვლას, მთებიდან სამტროდ ძირს ჩამოშვებას. სცადეს ეხლა, თავი შეეფარებინათ თავიანთ უდაბურ ტყეებისათვის, შეეყენებინათ ხანძრად აღტყინებული მტერი. ვერ გაუმარჯვდათ: უღრან ტყეთა მცხოვრებელნი შეჰსევოდნენ მათ, ნაჩვევსავე ადგილს გრძნობდნენ თავს.

იძლიერნენ ბრუხოველნი და მათთან ერთად ჯიქებთა რაზმნი: გონს მოსულიყვნენ, შეეკრიბათ კვლავ მხედრობა, დასდევნებოდნენ. ამრავლებდა მათი რიცხვი მეზობელ მეზობლთ. ამაოდ! გამარჯვებულ იბერიელთ ფრთები შეჰსხმოდათ. ხმალამოწვილნი მსწრაფლ იძროდნენ წინ. სტოვებდნენ უკან სიკვდილს და ნაცარს.

აფრინეს ძლეულთ კაცნი ალანეთს. მსწრაფლად შეელას ევედრებოდნენ. ესე მიუთხრეს: დაგვესიამო მტერი ურიცხვი. ალანთ ველარ გაბედეს მოუმზადებლად წამოსვლა. მომზადებამ ხანი წაართვა. იბერთ უკვე მოასწრეს და მოარბიეს მთლად ბრუხოეთი.

მოვიდა ხმა, ალანთ, ჯარი წამოვიდა დარბეულთა საშველად. დასაფიქრებელი ამბავი: თუ ალანნი მოესწრებოდნენ, განზრახული ასრულება გაძნელდებოდა. აუცილებელი კი იყო ახლა ოსეთს მისვლა. ოსთ საუკეთესო გადასავალი ეჭირათ დასავლეთ კავკასიონისა.

ღვათაგმა ჯარი უფრო შეაჯგუფა და მთებისაკენ დასწია ძერ კალთებიდან. გადავიდა ოსეთში. ეგონათ, აქედან დაბრუნდებოდა აბურიაში, უღელტეხილით გადაიყვანდა ჯარს. მხედართ-მთავარმა არ შესცვალა მიმართულება. განვლო ოსეთის სამხრეთი, გასწმიდა გამაქვანში ჩააყენა თავისი კაცები. ხმა მისცა იქიდან იბერთა მოსახლეობის. დაიშალა ღვარა თვის მახვილი აღმოსავლეთისაკენ. გადაადგა ლომეკის ხევს. შეეფარა გივი მდინარის გაუვალ ხევს.

დროზედ მოასწრო ღვათაგმა თარეშის დათაეება: უკვე შეერთდნენ მის მარცხნივ და ზურგს უკან დადევნებული ჩრდილოელნი. მოისწოფოდნენ ალანელთა წინამძღოლობით. კარგად გაეთვალნა ღვათაგს. თუ მოასწრებდნენ, უსათუოდ გასტეხავდნენ და დაღუპავდნენ.

## 9.

სამშვიდობოს იყვნენ მოსულნი. შეეძლო ეხლა, თავისუფლად ამოქსუნტქათ. ხევში შემოსულ ხალხს ჰფარავდა ციხე არშისა. გასცა ბრძანება:

— მოიძებნოს მარჯვე ბინა ბანაკისათვის! დაისვენოს ჯარმა მაშვრალმა!

— ბრძნული ბრძანება. დრო არის ვნახოთ შედეგები ბრძოლით ფრენისა.

— რომ დაჰკარი აფხაზეთიდან, დღემდის არ დაგისვენებია ჯარი.

— მუხლი არვის ჩაუდრეკია.

— არ მიუქცევიათ ქარქაშში ხმალი.

— გიხდებოდა ახალგაზრდას ნიაღვრული სწრაფვა, წალეკვა.

— დრო არის შეაგებო ჯარი, გასინჯო ნამოქმედარი და დაჰკელიო კვლავ სავალი და საკეთები.

— უცილებელია! ზარდაცემული მტერი უკვე მოსულა გონს, შეკრებილან დარბეულნი, მოისწრაფიან: ჰსურთ, ბრძოლის ბედი შეაბრუნონ თვის სასარგებლოდ.

— იარონ ნელა: მე აქა ვდგევარ!

— თუ აჯობებდა, არშის ციხეს დაგვედო ბინა.

— არა, ციხე ისეც ჩვენია. იქ გავამრავლოთ დამცველთა რიცხვი. კარვებს აქ დავკრავთ ფართო ადგილას: დაასვენოს ლაშქარმა მუხლი, მდინარეში განიბანოს თუ დაირეცხოს; ჯოგს და ნახირს გასაშლელი ადგილი ჰქონდეს.

— ეგრე!

— თუ მტერი მოვა, ვადუქრი გზას არშის ციხესთან.

მოუწონეს მოფიქრება. გზა-გზა ათვალეირებდნენ მარჯვე ადგილს ბანაკისათვის. ამოჰყვნენ ლომეკს. ხევი ერთგან გარდაშლილიყო. აქ მზის

სხივებს მისცემოდათ მეტი საფრენი, მეტ სივრცეზედ გადმოსჩანდა კამარა ცისა. დაწყნარებულიყო ლომეკ მძვინვარე, მოეწმინდა პირზედ ქაფი, ბუნების სახეს ღელვილ მკერდზედ აღარ ამსხვრევდა. პატარა რამ ადგილი იყო ესეთი. ზევით ისევ ცად ატყორცნილ მწვერვალზედ შეეცაწროებიანათ მდინარის სავალი, თავახდილ გვირაბად ცაზედ ატყორცნიდა იგი.

— აქ დაებანაკდეთ! — ბრძანა ღვაჯაგმა.

და მოიფინა ადგილი ხალხით: კარვები, ფარდულები, ალაჩოყება. აინთო ცეცხლი მრავალ ადგილას. ცხვარი, ძროხა ბევრი იკვლოდა. მოუდო მწვანეს საქონელი ფარად, ნახირად. ისვენებდა თუ ლალობდა მოლალული მრავლად პირუტყვი. წაყრილიყვნენ კაცნი აქა-იქ, წასძინებოდათ. ზოგი წყლის პირს ჯაჭვს ჰფერავდა, ლესდა იარაღს, ისარს ითვლიდა, შურდულის გულას არჩევდნენ ქვებში.

— დამაშვრალ ჯარს აწ დრო არის გაუმასპინძლდეთ. ის მანაღვლებს, სასმელი არა გვაქვს. მოუხდებოდათ ჩაღლევა, შეერგებოდათ.

— არის სასმელი! ქინთნი, ტიკები სავესე გვაქვს არყით. ზოგ ადგილას ლუდიც მოგხვლეთ.

— უჰ! თუ მოექარბათ და დაყრილიყვნენ მუხლმოკრილნი იქვე გზებზედა. ბრძოლის დროს სმა ამეკრძალა, ვერ მოვიფიქრე, შესაძლო იყო დაზარალება.

— იქნებ კიდევ დაგველუბა ამ მიზეზით რამოდენიმე. ბევრი კი არაა: კამისტვისაც არ ეცალათ მიწყვიტ ბრძოლაში.

— ვაჟკაცებივით გვებრძოდნენ მათნი დიაცნიც.

— ბუნაგს ვუნგრევდით ვუხოცდით ნაშენს. ძუ თუ ხვადი ამ დროს ერთია.

— ის მაფიქრებდა: რაც წინ ვიდოდით, თანისთანად მრავლდებოდა მათი მებრძოლი.

— გონს მოდიოდნენ, ერთი მეორეს უერთდებოდა.

წესიც შექმნდათ მებრძოლთა შორის.

— მარჯვედ გქონოდა მოფიქრებულ-მოზომილი გზა საბრძოლველი.

— იმანაც გვიშველა, ტყენი გეფარავდნენ. ვერ შეიგნეს რიცხვი ჩენნი დანამდვილებით.

— მადლობა ჰხამს, რომ შევიწიროთ ღმერთს წყალობისთვის.

— გემართებს! თანა გვეყვებოდა თეთრი მხედარი, ჩვენთან ერთად ბრძოდა შედგარად.

— ბევრჯელ ვნახე მისი ბრძოლა უკუნ ღამეში.

— შორით მოსჩანდა მისი ხმლის ცეცხლი ბუნჯგალ-ბუნჯგალი.

— გრგვინვასა ჰგვანდა მის ხმიანობა.

## 10.



შემოუარა ღვაყაგმა ბანაკს. გვერდს ახლდნენ თანამებრუნელები. ივი-  
და წაღობზედ, პიტალო კლდე იყო აზეული, თავისი კლდეითაცაალო  
მსოლოდ ზევიდან. დიდი კლდიდან ჩამოშლილი ხრეში თუ მიწა მიჰხუ-  
ნებოდა იქით მხრიდანა დიდებული გადასახედი: თვალთ წინ იყო მთე-  
ლი ტაფობი, დიდ მანძილზედ ლომეკის ხევი. ჩამოჯდა. ფიქრობდა. მო-  
იაზრა. აპყენენ თან სხვებიც.

— გფარვიდა ღმერთი იმ ძნელ ბრძოლაში. ცოტა მსხვერპლით აა-  
ხელი დიდი და სიკეთე შეესძინეთ ჩვენს ხალხს. ჩრდილო საზღვრები და-  
ვისხენით მოსულ მტრისაგან. სამსხვერპლო მსურს დაუდგა აქ ჩვენ მშვე-  
ლელ ხატსა.

— კარგი აზრი მადლიანი ადამიანისა.

— არ დაივიწყოს იბერმა, რომ შეგვეწია ძნელ ბრძოლაში თეთრი  
მხედარი.

უხმეს ხალხს. უბრძანეს ქვების აგორება კლდეზედ ნიშის დასაგე-  
ბლად. ააგორეს გელაზები, ზე ააცურეს. შეკრეს სამსხვერპლო. გორას  
მოადგა ჯარი. შეავედრა იბერია ღვაყაგმან გამჩენს. თავის ხელით შეს-  
წირა მსხვერპლი. შეიმალა თასი ზედაშით, წარუტკია ტრაპეზზედ თა-  
ვი: ქუდმოხდილი იდგა ხალხი, ევედრებოდა.

ახალი ნიშის წინ მოიდრიკა ღვაყაგმა მუხლი, წარმოსთქვა ფიცი:

— სრულდებოდეს ყოვლი წესი მფარველი ღმერთისა, შევევედრნეთ,  
ჩვენზედ გული არ შეიცვალოს!

ალუბქვამდნენ მლოცველნი ხატს, ეხვეწებოდნენ.

გაიმართა ზეიმი ჯარისა. ნადიმის ფაშს დაიჭირეს ტყვე-მძველები  
თვის თანასწორად. უბრძანა ღვაყაგ:

— გადმოვიარე ჩემი ჯარით თქვენი ქვეყნები. ჩაინოცა ხალხი მრავალი,  
განადგურდა ბევრი სოფელი. სამტროდ თითონ თქვენ გამოგვიწვი-  
ეთ: მტერს დაუჯერეთ, ამხედრდით ჩვენზედ, შეგვირყიეთ მკვიდრი საზ-  
ღვრები. ის თუ დაგცილდათ: შორეული მტერი წავა, მეზობლები ერ-  
თადვე ვიცხოვრებთ. ხმლით გაგახსენეთ მე ეს მართალი! მძველებად  
მყევხართ. ბედის წერას დაჰმორჩილდებით — ძმებად დაგიქერთ, და თუ  
არა და, უცილებლად სიკვდილი თქვენი!

ტყვემ მოახსენა:

— სიმართლეს უბნობ. ხალხს არ უნდოდა იბერთან ბრძოლა, იარა-  
ლო თავკაცებმა ააღებინეს. ის გამართლებს შენ, რომ სისხლს იღუბდი.  
ემორჩილებთ აწ ბედს: სხვა გზა არა გვაქვს. ნუ კი დაგვამტრობთ. დამ-  
ლაღლებას ურჩევნია ვაჟკაცს სიკვდილი.

არც ნადიმზედ, არც შემდეგ მათ არეინ ამცრობდა, უკადროსად არ ეპყრობოდნენ. თვალ-ყური კი მზირად ეკირათ, იცოდნენ მათი ყოვლი სიტყვა, ქმედობა.

ერქონესული  
ბიზლიქოსეჟა

11.

ნადიმის ეამს თავს წამოადგათ მებრძოლი. გარს ეხვია ათიოდ კაცო, ისე მოჰყვანდათ. ჯაგჴანში იჯდა, მშვილდი ეკირა. დიდტანიან ცხენს გადამჯდარიყო.

— ღვათავს დავეძებ, თქვენ მთავარსარდალს. მსურს, პირისპირ შევებრძოლო მას!

გაჰკვირდნენ დიდად. ყოფილიყო ვინმე თავხედი.

— შე მარტო მოვედ. არ მენდნენ აჰ, გარს შემომერტყენენ. სად არის ღვათავ?

— აჰ ვარ ღვათავი! გამბედავი ვაჟიკაცი შენც კი ჰყოფილხარ. მიმიღია ბრძოლად გაწევა!

— დიდად გაქებდნენ თვალად, ტანად. მართალი უთქვამთ. მებრძოლადაც თუ კარგი ხარ, გამეხარდება.

— ზუმბერაზი კაცი სჩანხარ. გავერთობი შენთან ბრძოლაში.

იწვია სუფრაზედ. არ ინება. მიართევს ყანწი. დაღია. მიხედა ცხენს. გაუსწორა შეკაზმულობა. დასინჯა ისრები. დაუთვალა იერა შვილდს ღამბა.

— ბრძოლა ეხლავე. მხოლოდ მშვილდ-ისრით: არა მაქვს სხვა რამ თან იარაღი.

— ასრულდეს ნება შენი: მასპინძლის წმინდა ვალია სტუმრის დახვედრა, სიამოვნება.

მოართევს ღვათავს ბევთარი და შვილდ-ისარი. თავის კისკასი მოითხოვა: წითელი ჰუნე. წამოიშალა ხალხი. შეეკაზმა ღვათავ. გავიდნენ ასპარეზზედ. დაჰკრეს ნარა. შეუტიეს ერთმანეთს. დაფრინდნენ ისრები. ძნელად სცდებოდა. ეკალივით აესხა ბევთარს. ორსავ მებრძოლს სისხლი ჰქონაედა. დაიცალნენ კაპარკები. მკვერტელთ ეგონათ, დასრულდა ბრძოლა. მაგრამ ცხენი გაიყენა მოსულმა მებრძოლმა: ტაიჭთ ძგერებით დააპირა განაგრძობა ომის. დაჰკრა ღვათავმა ორბის თვალი, მის ტაიჯის სამკერდულზედ დაინახა საბრძოლო ბუშტი. დაჯახების ეამს მეორე ცხენს გააფუჭებდა. მოსულმა ვაჟმა მოსხლიტა ცხენი. გაჰქუსლა ღვათავ შესაგებებლად, მაგრამ წამზედ აუქცია პირდაპირ გეზს, გაუქროლა, მოჰკრა მკლავი და გადასტყორცნა. დასცეს ყოენა.

— გაუმარჯვას ღვათავ უძლეველს!

— ვაშა მზე-ჰაბუეს!



- იბერიელთ სიამაყეს, ბუმბერაზ ღვაყავს!  
 განწიროული ბრძოლა იყო ეს: ერთ-ერთი უნდა დაღუპულიყო. ღვა-  
 ყავს ხელთ ჰყავდა თავისი მტერი. არ იქნება მისი დათაყვება. გადასძახა:  
 — ააყენეთ, მოუარეთ. არა აენოთ რა!  
 — სიკვდილის ღირსი!  
 — ფქიმბაშო, შენ გაბარებ მაგის სიმრთელეს.  
 — მუხთლად მოვიდა: ცხენი ჰყავდა იარაღსმული. თუ ემტყუნა  
 შენთვის თვალის შექს...  
 — ჰფარავს ყოველს ავს მაგის დიდი გამბედაობა...

## 12.

ჩაკეტა ღვაყავმა ხევი. არ შემოუშვა მტერი. ისიც შესძლო, მათ  
 ბრბოსათვის მზირი თვალი ეღვენებინა. დაიბარა სანდო კაცები. მისცა  
 ვერცხლი, მეტიც ალუთქვა. დაგზავნა მთის წვეარნებით მტრის დასაზვე-  
 რად. მიდიოდნენ მეცხვარეებად, მეფანდურეებად, სანოვაგის გამყიდვე-  
 ლებად. შეეტყუვნენ მთის გადაღმა შეჯგუფებულთ. ილუპებოდა ზოგი  
 მათგანი, ზოგი რჩებოდა, ხერხიანად ასრულებდა დავალებულსა. მოიტა-  
 ნეს ამბავი:

— მტერი ესაუბრება ქისტებს და ჩაჩნებს, მათი პირით დურძუკთ თუ  
 ლეკებს.

— რას აპირობენ?

— გზა გაიკვლიონ ლეკთ მხარეზედ იბერიისკენ.

— წვეარნებით მათ ლაშქარმა გადმოიაროს?! თუ ჰსურთ, ალბანთ  
 ჩავსივნენ, სისხლი აიღონ, — ფიქრობდა ღვაყავ:

— ლეკის მთებით გადმოშავალ ჯარს რა საჭიროა დავახვედრო მთე-  
 ლი ლაშქარი?! დიდი ჯარი ვერ გადმოალწევს: გზები არ არის. მცირე ჯარს  
 კი მოღარაჯე ციხეები უკუაქცევენ. მაინც სჯობია, ვნახო ციხენი და გა-  
 ვსინჯო მათი სამზადისი. შევატყობინებ კახთ, ალბანელებს, გადაღმა  
 თუშთა, რომ მტერსა ჰგულავს მათზედ. თავდასხმა. თვით შესძლებენ, შე-  
 ანანონ მათ თავხედობა.

— საჭირო იქნება აჩქარება.

— არც თუ ძალიან. მალე ვერ გადმოალწევენ: მეტად ძნელი სავა-  
 ლია. თუ გადმოვლენ, ვერ წაგვივა ვერც ერთი მრთელი.

გადაარჩია ღვაყავმა ჯარი. დაქრილნი თუ ავადებულნი სახლში დაგ-  
 ზავნა. ეინც ითხოვა ჯარიდან წასვლა, ნება მისცა დაბრუნებისა. დანარ-  
 ჩენნი დარაზმა, მცხეთისაკენ წამოიყვანა.

გამარჯვებული მოდიოდა ღვაყავ. დიდებით მიიღეს ბატონიშვილი.  
 თემთა მამასახლისნი ჯერ ყველანი არ წარსულიყვნენ. მიულოცეს ვაჟ-

კაცობა. დაუმაღლეს საშსაჭური: მთელი ლაშქრის მთავარსარდალად დასახელეს, თუ საჭირო შეიქმნებოდა, იბერიელთ ყველა თემი ერთად შეპატივდებოდა რომელსამე გაძლიერებულ მტერს, თუნდაც ეს განდარს.

— მხოლოდ ერთი: ეს ჩვენი მთავარსარდალი მეტად მოყვარულად და ფიცხი. საჭირო იქნება, დიდ ლაშქრობაში, მიუჩინოთ საფრთხილებლად თემთა სარდლები.

— თემთა სარდლები ისეც ბჭეებად იქნებიან მასთან. ის სამხედრო საბჭო გასაზრავს ყოველ ძნელ საკეთს შემართების დროს.

მოუწონეს. დასჯერდნენ. სამარამა მხოლოდ ის შიში სთქვა, საბჭოს მეტად არ შეევიწროებინა მთავარსარდალი სამხედრო მოქმედების ეამს.

— ბრძოლაში ბევრჯელ საკუთარი მოსაზრებით თუ გამბედაობით გადასჭრის ბედს მთავარსარდალი.

— არც შეიძლება ძნელი ბრძოლის ეამს შინიდან დაბარებულს მისდევედ. იქ საჭიროა ელვასებრი აზრი, მედგარივით მოქმედება ანაზღეული.

— მართალსა ბრძანებ! ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევებს ვგულისხმობთ, როცა შესაძლოა წინასწარი აზომ-აწონვა მოძრაობისა. სხვაგვარ წუთებში მთავარსარდლის გამჭრიახობა წინდი არის გამარჯვებისა.

სდუმდა ღვაჯავი. მხოლოდ ოდნავ ილიმებოდა: უფროსები უბნობდნენ და თავის დაჭერა იყო საჭირო მამათ წინაშე. უამბო ნიშის დადგმის ამბავი. მეტად მოუწონეს.

- გაამეზია თეთრი მხედრისათვის.
- დიდებული მფარველია იგი იბერთა.
- ჩვენის ლაშქრის წინამძღვარი, თანამებრძოლი.
- იბერთ ბრძოლის დროს ყველგან მოსჩანს თეთრ რაშხედ მჯდარი.
- ფრთიანია მისი რაში, ყოველგან მყოფი.

ის კი არ მოუწონეს, პირისპირ ბრძოლაში რომ გაპყვა უცხო ბუმბერაზს.

ჯართა მოთავემ გაუჭირვებლივ არ უნდა გასწიროს თავი.  
— ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა! იმდენი ხალხი გებარა. თუ დაზიანებულ იყავ, აირეოდა ლაშქარი, გამარჯვება დამარცხებად დათავდებოდა.

— მეც გამიელვა მაგგვარმა აზრმა, მაგრამ თავი ვერ შევიმაგრე: თავყვარებამ როდი მომცა უარის ნება.

— ბრძოლა აღარ გესწავლება. მე მაინც გეტყვი: ძნელი არის გულს გადაპყვეს მთავარსარდალი.

## 13.

- მიდიოდა, ჯარს მიუძლოდა. ნელის ნაბიჯით მისდევედა ხალხი.
- სამხედრო მოქმედებას თუ განაწყობს აზრთა არეში.
  - ეტყობა. კარგად იცის მოწყობა ბრძოლისა და მოსაზრება.

- როცა უბნობს მომავალ ომზედ, გეგონება, უკვე ისრისო.
- შიარხევს სიტყვას კარგი ზღაპარივით.
- და შემდეგ აქცევს სინამდვილედ იმ ლამაზ ზღაპარს უკვე.
- უყვარს გათვალისწინება, როცა ფიქრში არის წყნარად.
- მაინც არ არის განმარტობით: ხორცქმნილ ოცნებათ შუა არის, მათში გართული.
- მზის ამყოლნი თუ ჰშველიან ფიქრთ დაწყობაში.
- სამარის შემდეგ ეჯდებათ იბერთ დიდებული მამასახლისი.
- ქველობაში დასქარბებს მამას.

ის ეგონათ, ღვაკაგ მუდამ ბრძოლაზედ ფიქრობსო, ქვეყნის გამარჯვებაზედ. დაპიწყებოდათ, ჭაბუკი იყო, სიყვარულის ტურფა ღიმი თავს ევლებოდა. გულის სწორზედ ფიქრობდა ეხლა. ჯერ ბურუსში იყო იგი მისთვის: არვინ შეჰხვედროდა ისეთი, საბოლოოდ გაეტაცნა მისი არსება. მის გულს არვისთვის გაეღიმა ალაყარდილ სურვილის ღიმიით. არც გონებას ეთქვა, საბოლოოდ აი ამას ესაყვარლეო.

— ვიცი, არსებობს ვარსკვლავი ჩემის ბედისა. შეხვედები ლამაზს! მაგრამ როდის, ნეტა როდის?

ვერ განსაზღვრავდა დროს: აზრი ვერ ეტყოდა ამას, ვერც თუ გული გარდაჰხდიდა ფარდას მომავალს. მხოლოდ ამცნობდნენ:

— არის, შეჰხვედები! არ გაუსწრო შენი ბედის სელას, არ აეჩქარო, თორემ ინანებ ძნელი სინანულით: ჩაველილი ბედის დაბრუნება ვერ შეიძლება.

ესმოდა ეს ხმა. კიდევ უნდოდა, ჩაჰყოლოდა ბუნდოვან ზახილს. ნებისყოფა აღარ ჰყოფნიდა: აჩქარებდა მას ბუნება აღტყინებული. ძნელი იყო საძებრის პოვნა.

— ჩამოჰკრავს წუთი, ბედისწერა თვით შეგაგონებს: ჰე, ვისაც ეძებ-შესწირე მას თავი შენი, ყისმათის შეილო!

— როს ეპოვო ხვედრი, შევწირო შას სიცოცხლე ჩემი!

საამო მსხვერპლი. უშლელ კვალს ავლებს ცხოვრების გზას მიჯნურის პოვნა, მისი ტრფიალი. უვიწყი რჩება ტკბილი ეამი მთელ ცხოვრებაში. დამწყებია იგი განცდა ღიადი სიკეთის: ნათელი კვალი, გაკაფილი სულის ყოფაში, აღარ იმტერევა, თანისთანად ფართოდება ზანაა სრბოლაში, გარდიქმნება სიკეთის შარად. ბნელს გაგინათებს სხივი ტურფა სიყვარულისა, გიმცირებს ბოროტს. აღარც განქრება ის ნათელი შენთვის არროდის: თუნდ დაიშალოს სატრფოს სახე ნამდვილ ყოფაში, ისევ ბრწყინვალეებს სრული სიცხოველით ტანჯულის სულში.

— ეპოვებ საძებარს! მახარებს გული. მის სადიდებლად ქველობა ჩემი! მისი სახე აიხატოს ჩემი დაშნის ფხაზედ.

ამოიღო ხმალი, დააკვირდა. კროდა მზის სხივი მტკიცე ფოლადზედ. მოჩვენა ქალის სახე სხივთა თამაშში.

— შორეული აჩრდილი მისი. მიახლოვდება! მამყუნსმსმს! მოვედ-  
მშვენება!

## 14.

ჩასდევდა მტკვრის პირს. ჩაათავა მთა გომბორი, შემოუხვია. შეტყვა ზევით ალაზნის ნაპირს. წყნარი დარი, უკვე მოგრილო. ვაზი მტკენით შემძიმებული. კაკლის ქალები. ბროწეული წითლად ღვიოდა. ლელენარი ხშირი. შიგადაშიგ ტყეშიც სოფელი. მიწური ბანი. მოსახლენი შეჯგუფებულნი. ციხე-კოშკი სოფლის დარაჯად. მინდვრები სავსე ცხერის ფარებით, ნახირებით, ცხენთა ჯოგებით. ღორთა კოლტები. ყარაულთა სიპრავლე დიდი. ტყე და ქალა ნადირით თუ ფრინვლით სავსე.

— უხვი ქვეყანა. სიმდიდრე დიდი, უზრუნველად შეუძლიან მრავალს ცხოვრება, ოღონდ მტერმა არ აოხროს, არ შეაღონოს.

გაეგოთ სოფლებს, უძღვისო, ღვათაგ დამველევ რაზმებსა. ეგებბოდნენ. გამარჯვებას უსურვებდნენ, მოიკითხავდნენ. სანოვაგეს თუ სასმელს მიაართმევდნენ ჯარს. ზეიმ-ქეიფით მიდიოდა იბერთ ლაშქარი.

— რაზედ გარჯილბარ?

— იქნებ მხოლოდ სავარჯიშოდ მოვიდის ჯარი?

— დათქვეს, მტერი აპირებსო ჩამოსევას ალაზნის ველში.

— საიდან?

— რატომ არ ვაგვიგია?

— ლეკეთიდან იკვლევსო გზას.

— არა, ბატონიშვილო! აბა გახედე მთის მწვერვალებს, თეთრად შელესილთ.

— დაუთოვლია. თეთრი ზოლი წაპვლებია გრძლად წაწოლილ მთას.

— გზები უკვე შეკრულია. ლეკეთიდან ვერ გადმოვა აქეთკენ ჯარი.

— თუ ვადმოვა, მოესპობა გზა დაბრუნებისა.

— მეც ვგრე ვფიქრობ. მაინც სიფრთხილე! წამოველ ლაშქრით: გასაჭირში მსურს მარჯვედ ვიყო.

გახდა ალაზნის. მიდიოდა მდინარეთა და მთებს შუა. კლდეებისაკენ მიჰხარა ჯარი.

— გვირჩვენია სვლა მთის კალთებით. ჩემის თვალთ მინდა ვნახო მთისკენ სავალნი, მათი მცველი ციხე-კოშკები.

ზევ-ზევით იწევდა. გადაიარა ყაბალო, ეშმაკის ყორე, გუჯარეთი, შუაგორი, ალმატი. გადასჭრა ლოპოტა. შევიდა დიდოეთში. აქ სჭირდებოდა შეფერხება და დაკვირება. ალბანეთის ეს განაპირა მხარე უკვე

ნამზნევი იყო. ლექთ სიახლოვეს და სიმრავლეს ძალა შეეტანა დიდობეზედ, გაეტეხა მათი ერთობა, ჩასახლებულიყო მათ შორის. შესცვლოდა ხალხს ზნე-ჩვეულება: ბევრი რამ გადაეღოთ ლექთგანეულები. ერიდებოდნენ მათთან მოყვრობას. ამას შეეცვალა ხალხის ქვეყნისებულობა. ენასაც დასტყობოდა უცხოთა გავლენა: ლექურ სიტყვებს შეემღვრიათ ალბანური თქმა. დიდონი ხანხან მხარს უჭერდნენ ლექებს. შესაძლო შექმნილიყო, ეგულათ მტერთ მათი მხარე ჩამოსასევად. კიდევ ჩამოსულიყვნენ კაცნი, ამბავი ჩამოეტანათ:

— მათთ გადაღმელნი ამხედრებულან იბერთა სამტროდ. გზასა გვთხოვენ კახეთისაკენ. თეთრს ბევრს მოგვცემენ, თუ ვადმოვუშვებთ.

ყურადღებით მოისმინა ლეაყაგმა სიტყვა. დაწვირლებით გამოჰკითხავდა. განამტკიცა დიდოელთ ციხე, კაცები ჩასხა. ლექეთიდან გადმოსავალს ეს ციხე სცვიდა.

მაინც ვერ ააღლევა ამ ამბავმა ლეაყაგ. ვერც მეტად შეაფერხა დიდოეთში.

— თოვლი სძევს მთაში. შეუძლებელია იქიდან ჯარის გადმოსვლა. ვაზაფხულისთვის კი...

— დაგჭირდება ამ ადგილთა კვლავ გამაგრება.

— უსათუოდ! ეხლა აუცილებელია, ვეწვიოთ მთის ალბანთ: შეიძლება გზები შეიკრას.

— პირაქათ თუშეთში ჯერ შესაძლოა მისვლა. გადაღმელთ არეს.. მათი გზები მალე თოვლით ჩაიქოლება.

აუცილებელი იყო მათი ნახვა: იბერთა ეს თემი გაუტეხელი იყო, მეტად ერთგული. ისინი და ლექნი დაუძინებელი მტერნი იყვნენ ერთმანეთისა. ლეაყაგმა დაასკვნა, მათთვის მიენდო მთიდან ჩამოსასვლელი გზების დარაჯობა. თუშთა მამასახლისი უნდა ყოფილიყო მეთვალყურედ. ყოველივე გასაჭირი მყის უნდა ეცნობებინა მტებთაში.

## 15.

ახალგაზრდა იყო ლეაყაგ, ეშხით აღსაესე და მისი თვალი უნებლიეთ გარს ევლებოდა ცოცხალ ყვავილებს. იგი ტურფანიც ლამაზ საბეს მიჰმართავდნენ გზად მიმავლისკენ, თვალთა სხივებით ათბობდნენ მის გულს, ჰგზავნიდნენ მასთან შესახვედრად თვის გულისთქმას:

— რა მშვენიერი ვაჟაკია, ქალოჯანი!

— მზის ამყოლია, ნამდვილი ღვთის შვილი!

— დიდი მებრძოლი არისო. მთის გადმოღმა მაგისტანა ხელლონიერი ვაჟაკი არ მოიპოვებო.

— არც მთის გადაღმა! გადასულა მთებს, ზღვის პირიდან მყინვარადინ ბრძოლით გაუვლია. დიდად გამარჯვებული დაბრუნებულა.

— თურმე ვერც ერთმა იქაურმა გმირმა ვერ შესძლო ძალა გაესწორებინა მისთვის.

— რა ბედნიერი იქნება ის ქალი, ვისაც ეგ შეხვდება ვაჟკაცად!

— ეჰ, მე არა ვარ ის ბედნიერი...

— შენ ახლო მაინც ჰნახე.

— ენახე! სუფრა მე გაუშალე. სადღეგრძელო დალია ჩემი.

— დიდებული მთვარეა, ვაჟის სახედ მოვლინებული.

— როგორ, გენაცვა?

— ჩვენი ქვეყნის მფარველია ბადრი. როს ხალხის მტრისგან გაუჭირდება, ეგ მოვა დიად მეზობლად, ეგ უძღვის ჩვენს ლაშქარს. მაშინ ჩვენი დამარცხება აღარავის ძალუფს.

— ვიცი! მაგრამ მთვარეს მაშინ სპეტაკი ტალავარი აცვია, თეთრ რაშხედა ზის. ღვათაგს კი აგურ წითელი ჰმოსავს, წითელ რაშხედ ზის.

— შენ კი გაიხარე! როცა მთვარე ნაომარი აღმოჩნდება ცის კამარაზედ, მთლად წითელია, ბნელის შვილთა სისხლით ბასრული. ესეც ბადრი ვაჟკაცია ომგარდახდილი.

— მაშ მიტომ არის ყაყაოს ფერი?

— ნამდვილ!

— უხდება კიდევ.

მგზავრობის დროს ბევრი ქალის გული დაწვა უცეცხლოდ. ბევრს ანატრა მის მკლავზედ წოლა. თვით ღვათაგსაც თვალი მოსჭრა ზოგმა ლამაზმა. ვერც ერთზედ ვერ შეაყენა თვის არჩევანი.

— ბედისწერას თქვენგან ვინმე არ უთქვამს ჩემთვის, — ეტყოდა გულში.

გადავიდა დიდოეთში. მოიარა იქაურობა, აათვალიერა. გონების თვალთ შომავედა იმას, რომ შეენახა ეს ქვეყანა იბერიისათვის. ეკითხებოდა მოისმენდა. ცნობებს ჰკრეფავდა. მაინც მხოლოდ საქვეყნოზედ არა ფიქრობდა. პირადი ზრუნვა აქაც ვაჟკაცს არ ასვენებდა: თვალს ავლებდა სასძლოდ მზა ქალებს. კიდევ მოსწონდა წუთიერად ზოგი მათგანი. მაგრამ...

— არა! მარწმუნებს მამა: შენი მეუღლე იბერიის დედოფალი უნდა შეიქნეს, აირჩიე, შეჰფეროდეს მას ეს დიდება! ისეთივე ჰკვიანი იყო, ვით დედაშენი, იბერიის დიასახილსი.

— რომ ვერ ეპოულობ!

— უნდა ეძებო! სხვა გზა არა გაქვს ბედისაგან დაყენებულს ხელხის წინამძღვრად...

აღარ იყო საჭირო დიდოეთში დაყოვნება. ჰამდა თუშეთში გადასულიყო და იქიდან გადაეჭრა გზა კუხეთისაკენ. ფშავ-ხევსურეთის დაულა არ იყო საჭირო: ვერც ჩრდილონი და ვერც ლეკნი გზას ვერ გაიკვლევდნ მათ ქვეყანაზედ.

## 16.



დიდოეთში ყოფნის დროს ღვაჭავს თემის განმგებელთანაჲ ჰქონდა ბინა. გამოჰკითხავდა მათ ძალას ბრძოლის ეამს, ზნე-ჩვეულებებისაჲ მისი ალბანებთან თუ ლეკებთან განწყობილებას. მასპინძელიჲ ვერცხმანძობდა.

— საწაღელი შეგობრობა არა გვაქვს თუშებთან. მეტად მედგარნი არიან, გაუტეხელნი. არ ვარგნან ჩვენთვის ლეკებიც, მაგრამ თუში უფრო ძნელია.

— იმისთვის თუ ჰმეგობრობთ ლეკებს, მათთან უფრო უკეთ ჰმეზობლობთ.

— ამაცობენ, მალლობენ ჩვენთან. ქალს არ მოგვეცემენ, არც ჩვენი მიჰყავთ, ძალადობენ: მტერნი არიან. გვტაცებენ ხშირად ცხოვარს თუ საქონს. ბარის ალბანნი მხარს უჭერენ მათ. სისხლს შორს მისდევენ. უფრო მეტად აფასებენ თავიანთ კაცს. ლეკნი უკეთ გვეთვისებიან. ზამთარს ხანხან აქ ატარებენ. ხელსაც გვიწყობენ მტერთან ბრძოლაში.

— ერთტომნი ხართ თქვენ და თუშები, მეზობლად სცხოვრობთ, ერთმანეთს კი მტრულად უმზერთ. არ მომწონს მე ეს!

— ეგრე მოდის უწინდელ დროდან.

— მე კი მინდოდა, გაჰიყრების დროს თქვენ და თუშნი გამეყვანეთ ერთად მებრძოლად.

— ვერ მოვთავსდებით! გვირჩევენია, ბრძოლაშიაც ცალკეცალკე ვიყვნეთ.

— თუშეთს მინდა აწ გადასვლა. ხომ გამოწყვებით?

— ჩვენი ვალია. კარგ ვაგაკცებს ვაახლებთ თანა. ის მენანება, ჩემი ვაჟი ვერ გამოგყვება.

— რატომ არ, კაცო?!

— არ შეიძლება! ქალს შეეღირა ჩემი ვაჟი მათ მამასახლისს.

გვაგრძობინეს შორით უარი. პირდაპირ კი არ გვითხოვენია, თორემ მაშინ დაწუნება სისხლს მოახდენდა.

— გათქმულია შენი ვაჟი ვაგაკცობაში. სიხარულით უნდა მიეღოთ. თუ ლამაზი ჰყავს თუშთ გამგეს ქალი?

— მისი ქება ჯერ არ გსმენია?! მისი ცალი ქალი არ არის. მოჯადოვდა, ვინც კი ნახა მისი მშვენება. თეთრი მხედრის დიდ დეკანოზს თვით ვაჟისთვის მოუნდომნია.

— მეც თუ მომზიბლავს?

— ძლიერი სჩანხარ, მაინც ვფიქრობ. უსათუოდ დაემონები.

ამ ამბავმა მიიზიდა ღვაჭავ ჰაბუკი. უფრო საჭიროდ დაესახა თუშეთში წასვლა. კიდევ აჩქარდა.

მისი ყოფნა დიდოეთში სცოდნიყოთ თუშებს. თვალ-ყურსაც თუ ადევნებდნენ მის იქ ცხოვრებას. საზღვარზედ დახვდნენ დიდებულ სტუ-

მარს. საპატიო რაზმს უძღოდა მათი მოურავი. ამაღლაში ხუთი კაცები. პატივით მიიღეს ბატონიშვილი. მისი თანამგზავრნი, მოეწინააღმოსურნა ღვაყაგი, ვაჟკაცური მისი სახე თუ მისი ქცევა.

მზეკაბუკი მოუთმენლად მოელოდა იმ ქალის ნაშენსა მისსაწადელს ვერ მიხვდა მაღე: თუშთა ქალნი ვაჟკაცებთან ერთანდ სარ მისეხენ არც სუფრაზედ, ან საუბრის ეამს. უცხო ვაჟკაცთ თვის სახესაც არ უჩვენებდნენ, მეტადრე სტუმარს ესე დიდებულს.

— ბატონიშვილო! დაისვენე ერთი-ორი დღე. ხატობა გვაქვს აქ ცოტა ხანში. თავნი კაცნი დაგვესწრობიან. მაშინ გვითხარი, საჭირო რაც გნებავს ჩვენგან.

— ყოველივე კიდევ გითხარი.

— მართალსა ბრძანებ. მეც გიპასუხე. მაგრამ ყოველი აქ ნათქვამი კერძო აზრია. საჯარო კრება, შეიძლება, სხვა აზრს დაადგეს. რასაც დაადგენს კრებული, ის ისრულდება: არ გატყდება არასოდეს თემის ნათქვამი.

ღვაყაგს იმედი მიეცა, დიდი მეჯლიშის დროს პირისპირ ჰნახავდა იმ ნაქებ ქალს. ხატობაშინ მანინც დრო იყო. ცდა გაუძნელდა. იმას შიშობდა, ხატობაშიც თუ ვერ ენახოვო. დააპირა მასპინძელთან ჩამოეგდო საუბარი ჯალაბზედ, ქალზედ. ველარ გაბედა: ეს დარღვევა იქნებოდა სტუმრობის წესისა. შეიძლებოდა სახლის უფროსს უარიც ეთქვა. შეურაცხყოფად მიიღებდა ამას ღვაყაგი. იძულებულ იქნებოდა გასცლოდა მის სახლს. უნდა ელოდნა: არ იყო სხვა გზა.

## 17.

დღეობაში მთელი თუშეთი მოვიდა. ხალხს ვერ იტევდა მცირე ვაკობი, რომელზედაც აღმართული იყო სალოცავი. პატარა ყუდღე, თალად მოყვანილი ჭერი, ფილაქნებით გადახურული. კარები შემადღებით. ქვა საფეხურად. ზვარაკთ სიმრავლე. ხუცეს დაღადი. დამწყალობლება. სინსლის სხურება.

ხატის გარშემო მოზრდილი მეიდანნი შემოეზღუდათ ხეებს. აქ ვაჟკაცი ირეოდენ, მსხვერპლთ შემწირველი. ქალებს აქაც ცალკე ეჭირათ თავი: ხეთა მწყრივს არ გასცილდებოდნენ.

თვალნი ქალთაკენ დააწყდა უთმინო ღვაყაგს. რით გაარჩევდა ჯელ-ვა-ჯელგა დიაცთ შორის თვის საქმეარს? ვერ მოხედავდა. მიზეზს ეძებდა, მდებრთ არეში გადასულიყო. თუ ხალხის ყურადღება მასზედ არ ყოფილიყო მიქცეული მოახერხებდა. არ შეიძლებოდა ეხლა: პირველი კაცი იყო კრებულში. ერი მზირ თვალს ადევნებდა მის მოძრაობას, მლოცველთა ყურს მისი სიტყვა ვერ ასცდებოდა. არა, არ შეიძლებოდა გულის აყოლა, უზომელი რაიმე ნაბიჯის გადგმა. და ეს მით უფრო,



რომ სხვა ჭაბუკნი ისე წყნარის მოფიქრებით მიმოიძროდნენ, რითქო უკვე მოეკამათ ერთი ცხოვრება.

ღვთის მსახურების შემდეგ გაიმართა ბჭობა იქვე, ჩემს წინა მსჯელეს ბევრი, წარსთქვეს სხვადასხვა. ბოლოს მაინც ვინც უნდა დგინდა, რა ფიქრისაც იყო მათ გამგებელი. ეს ღვათავმა უკვე იცოდა. გაიფიქრა:

— დიდი გავლენა ჰქონია ამ კაცს თავის თემში. ალბათ, უჩემოდ იმსჯელეს უკვე, კიდევ შეთანხმდნენ.

გაიმართა მეჯლიში. ჯერ ფრთხილობდნენ, მოზომილად სკამდნენ თუ სევამდნენ. სხვა იფიქრებდა, სმას თუ ჭამას ყურადღებას არ აქცევდნო. თანდათან შეხურდა ზეიმი. სანოვავემ სტუმრები შეაყინებელია, ააჩქამა, აახმატებელია. აღილინდნენ. შემოსძახეს სუფრული, სატრფიალო, საგმირო. ფანდურის მოთქმა. საღნი კლდენი უმრავლედნენ მომღერალთ ხმებსა. მზის ამყოლნი თუ ღრუობდნენ იქ უჩინრად, ისინი თუ უბრუნებდნენ მზიარულ ხმებსა.

იწყეს სხვა სუფრებიდან მთავარ ტაბლაზედ მოსაკითხის მოტანა. სასმელი, ჭადის ნაწერეთი, სხვა საჭმელთა ნიმუშები მოჰქონდათ ხონჩით.

— ჩვენი სუფრა გილოცავს შენ მშვიდობით მოსვლას. კეთილიმც იყოს ფეხი შენი ჩვენი ქვეყნისათვის! მამა-პაპის სალოცავმა დაგადევნოს თვისი წყალობა!

— მადლობა დიდი გადაეცით ჩემ მომკითხველებს. უთხარით იმათ: თუშთ გაჰირეება ჩემივ არის გულის ტკივილი, თუშთა სიამე ჩემიც არის სიხარული-თქო. მათ სადღერძელო!

გადახედს დედათა სუფრას. წამოვიდნენ იქიდან ორნი. ახალგაზრდას ხელთ ეჭირა სავსე ტაბაკი. ჩამორჩომით მოჰყვებოდა იმას ხნიერი.

— დიდი დიასახლისი!

— მისი ქალი შუქფე!

— მოსაკითხი ბატონიშვილთან!

შეიბერტყა ღვათავ. თვის ტალავარს მოავლო თვალი. გაისწორა ჭამარ-ხანჯალი. მოახლოვდნენ ზღვენის მომტანნი. აღიმართა ღვათავ-ჭანდარი. დედაბერმა დაუკრა თავი.

— განთქმულო ვაჟო! შენი ქება შორით გვესმოდა. ახლო ნახვამ კარგ თქმებს დასქარბა. მანდილოსანნი ვამყობთ, რომ შენისთანა მზე-ჭაბუკი გაუზრდავს დედას. ჩვენი ლაშქარი მძლეთ დაიცავს თვის ქვეყანას შენი წინამძღრობით. ჩვენგან დაზრდილნი ჭაბუკნი შენ სამსახურად!

— დიდადა გმადლობ, ბატონო დედა! მეტად ვეცდები შენი ქება დაემსახურო...

ეთქვა რამე, უნდოდა კიდევ. აღტაცებულს სიტყვა არ შერჩა...

## 18.



იღმა ქალწული ტაბლით ხელში ვაჟის წინაშე. დაქრეწნი, ქვალნი. ვიშრის წამწამთ დაეჩრდილათ ფიფქივით სახე. მაიხურს დაქრეწნი კვფურჩქენილნი ღაწვთა არეში. მთვარულ ხატებას ბაღის ბაგე, ფიქრით მოცული. თავსაფარიდან ყურჭი ტევრი გადმოჰგარგნოდა.

მიჰხარა ქალმა მოსაკითხი ჩამომრთმევისკენ. არ აცალა სხვას ჭაბუკმა, გაუწოდა ლომის ტოტები. ქალმა შეხედა ვაჟკაცს. სხივთა ტალღებით აღსაესე თვალთ ჩანთქეს ღვაყაგი. განკფდა ჭაბუკი, ქალის სახეს შეეწებნენ მისი თვალები. დასჭირდა წამი, თავს მოჰგებოდა, არ დაებზარა ვაჟკაცური თავის დაქერა.

— მართალი მითხრეს: ბედის ვარსკვლავს იქ შეჰხედები, სად არ ელიო. მაინც მინახავს ეს ქალწული ოდესმე, სადღაც! — გაიფიქრა განცვიფრებულმა.

და გასტყორცა მიმავლისკენ თვალთა ისარი. მირონინებდა ოდნავ რხევით ტანი კენარი. ვარდისა ყლორტს უმჩნეველი მოჰბერდა სიო. მძლავრი სურვილი:

— გავსტყორცნო შორს დარბაისლობა! წამოვხტები, დავეწევი: ჩახედო კვლავ, მწყურს თვალბშია!

გაელიმა. მძლავრი იყო: ჯაქვს დაჰგლეჯდა, ფოლადს დაჰლექდა. ხოლო ეხლა... ველარ უძლებდა ფერიის კბილთა ციავს, თვალთა სიცხოველეს. მოიკრიფა მთელი ძალა. შეეცადა კეთილქცევის სახე მიელო. ვერა, ვერ შესძლო! განაგრძობდა სმაპურობას, სიტყვის აწონვას, აღარ ახლდა მაინც ვაჟკაცს ცნება მთვარი.

— თან წაიღო გული ჩემი იმ ჯადოქარმა. იმასთანა ვარ! ვიარსებებ სამუდამოდ მე მისსა გვერდზედ. კვლავ. მინდა ვნახო მშვენიერი. ავეჩქამები! აქამოდისც ამაოდ თუ დაეკარგე წამნი.

რაკი დაღვა ცხად დასკვნაზედ, მცირედ დამშვიდდა. გამხიარულდა. მოაწონა მოზეიმეთ თვის ჭაბუკობა. აელვარდა კარგი სუფრა სურნელსიამით. აღტაცება. მღერა. შუშპარი. სანიმუშო შებრძოლება მარჯვე ბიჭებისა.

სიმხიარულის ნამეტნავი ელვარება იმანაც გამოიწვია, რომ შენიშნეს, რა ძლიერად მოაწონა ქალმა ვაჟს თავი. შესაძლო იყო, მათი ქალი გამხდარიყო იბერიის დიასახლისად. თუშთა კრებულს ეს უხაროდა. შუქფეს მამა ულვაშებში იღიმებოდა.

— ეს მე ვიცოდი! ჰნახავდა ქალს, მის ბადეში გაებმებოდა.

— სად წაუვა ვაჟკაცი მძლედ მიმზიდველ ძალს?!

ღვაყაგისთვის ეხლა ადვილი შეიქნა ქალის ნახვა: ქალწულს აღარ არიდებდნენ თვის კერის სტუმარს. ღვაყავ ხარბად შეჰმზეროდა მის მოძ-

რაობას. ნაქანდაკებ ტანს გაკრული ღბილი ქსოვილი. მკაფიოდ მიმოქცევა მოქნილ ნაქეთებისა. აღარ ჰფარავდა ფარავი აზვირთებულ მკერდს. ყვავილის ღეროდ ამოსული სპეტაკი ყელი. აღზნებულ ათრთოლდა ღვაყაგ.

ბიზნისისი

— მშვენიერო, დაჰყავ აქ ერთს წამს!

— რას მიბრძანებ, ბატონიშვილო?

— ნუ მიწოდ ვგრე! მვედრებელი მხოლოდ ვარ შენი.

— ბრძანე, ბატონო!

— მე უშენოდ ველარ გავსძლებ: წამომყევ ცოლად!

შელაელავდა ტურფა ქალი, დახარა თავი. მეტად მოსწონდა: ვერ შესძლებდა უარს მისი გული. დასტური კი ესე სწრაფად...

— შეშლილი ვარ შენის მშვენებით. მოგიტაცებ, თუ არ მომყვები!

— ჩვენი ხალხი გატაცების ნებას არ მოგცემს.

— ჩემის ჯარით თავს დაგესხმებით...

— ნუ გენაცვლები!

ვაემა თავი ვერ შეიმაგრა: შეჰხედა ქალს შემოქცდომოდა, მკლავნი გაშალა. გასხლტა ქალი, ვით მოჩვენება.

## 19.

ისკანდარი ხმლით იკვლევდა ისტორიულ სავალს დიდებულს. ბედს დაევალებინა მისთვის, გაევილო ის გზა ცეცხლით, მახვილით. უდიდესი საშიშროება იგრძნო ირანმა. საზღვარზედვე მიეგება მას დარიოსი, რომ სათავეშივე დაეშალა მისი სელა ძლიერი. ვერ გაუმარჯვდა: დაარღვია ისკანდარმა სპარსთ დიდი ძალა. სდევნიდა მტრის ნაშთთ. დაიპყრო და დაიმონა ეფესო, სარდო, მილეთი, გორდა. შერჩა ხელში ბიფინია, ლიდია და მთელი ფრიგია. გადალახა თავრის მთები. კილიკია დასცა, დაიპყრო

აქ კვლავ დაჰხდა მაკედონელს სპარსთა ლაშქარი. კოდომანი თვით უძლოდა ჯარს. დიდი ბრძოლა ქალაქ ისასთან. კვლავ განიფიწლა სპარსთა ლაშქარი. ბუმბერაზ მებრძოლს დარჩა სირია და ურიცხვი სიმდიდრე მისი. ყველას ეგონა, აღმოსავლეთს წავიდოდა სპარსთ მოსასობად. სხვა გზა ირჩია: დაჰყვა ზღვის პირს, დაიჭირა ფინიკია, მისი ქალაქები და... შეალო კარი მისრეთის.

ეგონათ, მაკედონელი დიდხანს მოუნდებოდა ეგვიპტელებთან ბრძოლას და ლაშქრობას ამ ქვეყნის დაპყრობით დაათაუებდა. იბერიაში მთლადაც შესწყდა თქმა თუ ხმები მაკედონელზედ. დაწყნარდნენ იბერიელთ მოსაზღვრე ხალხნიც. მათ ის უნდოდათ, ესარგებლნათ არეულობით, თუ სპარსეთი დაინგრეოდა. იმედები გაუცრუვდათ, მისთვის იყურეს.

დარიოზი მაინც ვრძნობდა, დადგებოდა სპარსეთისთვის მხელი წუთები: საშინელი ისკანდარი დაბრუნდებოდა. ცდილობდა, აკლავ შეეკრიბა დიდი ლაშქარი. კიდევ შესძლო შეგროვება დიდებული ძალის. ქურთისტანის მთებთან დადგა, მტერს იქ ელოდდა. მტერიც მოვიდა, დარიოზი ამოდ ემზადებოდა. იბერიაც თითქო დამშვიდდა. საარაგო ამბები და ვრცელდებოდა მაკედონელზედ.

— ისკანდარს დაუპყრია მრთელი ეგვიპტე და იქიდან ეთიოპია. ოქროს ხეავეები შეუკრებია. ქარაენებით, ხომალდებით ეზიდება თვის ქვეყანაში.

— პირველია ქვეყანაზედ ეხლა სიმდიდრით.

— ჯერ დამასკოში რომ ზინეთი დარჩა მას ხელთ, ათას აქლემს აკიდაო გადასავზავნად.

— დამასკოსი უზომო ოქრო მაინც თურმე მცირე იყო ტვიროსისა და სიდონის უთვალავ განძთან.

— თვალ-მარგალიტს ნიჩბით ხვეტავდნენ.

— თვის ჯარისკაცთ ოქროთი ავსებეს.

— მაინც არა აკლდება რა მის სიმდიდრეს.

— ბედნიერი მაკედონელი. დასხდნენ და ხარჯონ! იმ დიდ ღოვლათს ვერ გამოლევენ.

— ისრაელთა ქვეყნიდან არ-რა წაიღო. ტაძარი კი სავსე არის გოპართა და განძულით.

— თითონ ტაძარს უდგა თურმე ოქროს სვეტები.

— მათი მმართველი ძლევამოსილს მიჰგებებია, გაუღია მის წინაშე ციხე-ქალაქი.

— შესაძლოა! სპარსთ დაკნინება გააღალღებდა: მონად ჰყვანდათ ირანელებს ებრაელები.

— მაკედონელს ქართთა მეფის შვილი ახლავსო. აზოი ჰქვია. ვაჟკაცია დიდად გათქმული.

— ისკანდართან თურმე არის იგი შერდილი.

— ბრძოლათა შემდეგ მიუპყრია მისთვის პატივი.

— იგულებსო თავის კაცად აღმოსავლეთში.

— გაადიდებს და შეჰმოსავს ბრწყინვალეებით დიდ ღვაწლისათვის.

— ღირსი იქმნება!

## 20.

სამარს აზრად აჰქონდა, ღვათაგისათვის მეუღლე თავის ცოლურთ გვარშივე მოენახა. ეგრისი დიდი მხარე იყო, ძნელად გასატეხი: უღრან ტყეებით დაფარული ჰყანტობი ქვეყანა, სადაც გზები დიოდნენ საფლობთ შუა. თუ არ მოცოდნე იქაურის ნიადაგისა, იღუპებოდა იმ უგზო

გზებზედ. დიდ ლაშქარს სრულებითაც არ შეეძლო იქ ტორობა. ვერის მებრე ხმაცა ჰქონდა დასავლეთელთ ერთობის შესანახად აღმოცავლეთთან: იბერიის ერთობას მძლედ ედგნენ იგინი სათავეები. დიქრი ჩაეშალა სამარს. მაინც კმაყოფილი იყო არჩევანისა. *სამარსა*

— მეტად აქებენ ქალს. იშვიათად გაჩნდებაო მისთანა კარგი. ესეთი დიასახლისი შეჰმევენის იბერიის მომავალ მშობრთველს.

ასურდა ენახა თვისი სასძლო. ვერ ხერხდებოდა: იქ მისი წასვლა არ ეგებოდა, ქალის მოყვანა მცხეთაში არ იქნებოდა.

აუცილებელი კი იყო, ვინმე მახლობელს გაესინჯა ქალი. ხუმრობა არ არის: მთელ იბერთ ტომის დიასახლისად ირჩევა იგი.

სამარმა თავის დას დაავალა ქალის ნახვა, გამოცვლევა მისი სისაღისა, სახიერების თუ გონებისა. კარგად მოაწყო გამოცდილმა მოგზაურობა: ულოდნელად გაჩნდა მათ სახლში. რამდენიმე დღე დაჰყო იქ. თვალწინა ჰყვანდა ქალწული, იმის შრომას თუ ცხოვრებას თვალს ადევნებდა. შეეთვისა მსინჯავი შუქფეს. არც შეიძლებოდა სხვანაირად! უბრყვილო იყო მშვენიერი, მეტად კეთილი. აზრთ გამჭვრეტელი. კაცის არსებას თუ ჰხედავდა თვის გონთ სარკეში.

უამბობდა თავის ძმას სამარს:

— უწუნო ქალია, რჩეული. მასზედ მიმთვისებელი ადამიანი არ შემხვედრია. ვიმზერს, თვალთა სხივს გახვევს, განსჭერეტს აზრს შენს, დაფარულს.

— მიზანი ყოფილა!

— გულთამზილავეია, თუმცა თითონ არ იცის ეს! მეტად უყვარსთ შინაურებს იმ დიდ ოჯახში. ფრინველნი და ცხოველნიც კი ასთვისებდებიან. ზოგი ძროხა მოსაწველად მხოლოდ მას უშვებს.

— მოგწონებია...

— ძალიან! ვუბოვნო წუნი, ვერ შემიძლიან.

დაფიქრებული დადიოდა სამარ. იცოდნენ, ღვაჯაგის არჩევანზედ ფიქრობდა. არ-რას ჰკითხავდნენ: ხელს არ უშლიდნენ. დაადგა ბოლოს გადაწყვეტილ ჰაზრს:

— მოიყვანოს!

განუცხადა თავისი დასკვნა საგვარეულოს.

— ბედის რჩეულს საით წაუვალთ?! უარყოფის მიზეზი არა გვაქვს. აასრულე სურვილი შენი! — განაცხადა გვარეულთ საბჭომ.

თუ უბრალო გვიარის შვილი ყოფილიყო ღვაჯაგ, კმაროდა მოწონება ოჯახისა, გვარეულობისა. მაგრამ აქ მთელი იბერიის მოთავე ოჯახის შვილზედ იყო საუბარი და ხმა ჰქონდათ იბერიის თემთა საბჭოებს. მათაც უნდა დაჰკითხოდნენ უამისოდ ღვაჯაგი ვერ წაიყვანდა რჩეულ

ქალს ცოლად. თუ არ ჰკითხავდა ან ურჩობას გაუწევდა, დაპყრობა გავდა თვის უფლებას მამის ადგილზედ.

ღვაჯაგს ღვაწლი დაუფასეს თემთა ბჭებმა: დასცეს დასტური. ცას ეწია დიდი სიზარულით. მხოლოდ ის სწყინდა, მაინც მხოლოდინში დრო დაეკარგა.

## 21.

მთის ალბანეთში ყოფნის ეამს გარს ერტყნენ ღვაჯაგს თავი კაცები. პირველობდა თეთრი მხედრის დეკანოზი აბდიშუ, გავლენიანი კაცი, ძლიერი. წინ ვერვინ წარუდგებოდა მებრძოლი ხატის სურვილთა მეტყველს, მისის ნების უკლებლივად სრულების დარაჯს.

ხნიერი კაცი, თმა-წვერ თოვლილი. ღრმად ესხდნენ თვალნი. ენაზა შუქვე, მოსწონებოდა. ეხლა უფრო განაკვირვა მისმა მშვენიებამ. ბევრი ენაზა მას დიაცი: თეთრ მხედარს ციურს ნამეტნავად ესავდნენ ქალნი; შუქვესთანა არ შეჰხვედროდა. უხაროდა, სძლად მოელოდა: უკვე იყო სიტყვა ნასროლი.

— კარგი საცოლე ავარჩიე ჩემის ვაჟისთვის! მაგრამ ეხლა...

ნაზა ხუცესმა, მოსტრა თვალი ღვაჯაგს ლამაზმა. ისიც შენიშნა, მზე-ქაბუკმა ააღლევა იგი ქალწული და...

— ჩემი ვაჟი ამ ვეშაპთან შედარებით უფრო არის. არ წამოჰყვება. უარს მეტყვიან. მათი უარი დააკნინებს ჩემს ოჯახობას, იგავად დასდებს. დავნიშნავ ქალს ხატის სახელით: ხელთ შანას მივცემ. მაგრამ... თუმც აქვს ძალა ამგვარ დანიშვნას, ხალხის რწმენით შესაძლოა მაინც უარი. და მაშინ...

იცოდა ხალხმა, რომ ხუცესი უმზერდა ქალს სურვილის თვალთ. ისიც შენიშნა, რომ მის ნდობას მოეჭრა ძირი და...

— ძლიერ უნდოდა თვის ვაჟისთვის ამ ქალის თხოვნა. ეხლა ძნელია: თუ ღვაჯაგმა წარსთქვა სიტყვა, ხუცესის შვილს უარს ეტყვიან.

— მაინც ცოდვაა იმ კაცისათვის ეს ტურფა ქალი.

— ველარ წაპვერიან: დაპნიშნავს ქალს ხატის სახელით.

— თუნდ ეგრეც მოხდეს, მსხვერპლს შესწირავენ, ქალს დაიხსნიან. ეს შეიძლება.

თუ დიდებულ ვაჯაკს ნდომის თვალთ არ შეეხედნა ქალისათვის დეკანოზი ადვილად შესძლებდა მის რძლად წაყვანას. მისი შვილი ვერ იყო ქალის საფერი, მაგრამ დიდი მდიდარი იყო, თანაც მემკვიდრე: მამის შემდეგ მას დარჩებოდა მთავარბუცობა, მეტადრე თუ ისეთი გავლენიანი სიმამრი ეყოლებოდა, როგორც იყო თუშთ მამასახლისი. გამოი-

ყენებდა ხატის ძალას: დაიყოლიებდა ქალის პატრონს. ეს პატრონად პირ სავალი აღარ ივარგებდა ეზლა: ხუცესს ხელი უნდა აეღო არჩეულ ქალზედ. არ ინება ამბყებულმა, მეტად იწყინა.

— არ დავთმობ ქალს! უკეთეს ქალს ვერსად შეიძლება! უკრსად ვნახე ვერც ამათზედ ძლიერ მოყვრებს. თუ ეს არ მოხდა, ვერ მიიღებს ჩემი შვილი მთავარხუცობას და ჩემს შემდეგ დაკნინდება ჩემი ოჯახი. ან რას იტყვიან?! მოხარაო უძლეველი დეკანოზი ახალ ქაბუკმა. არა, ღვაჯაგ ჩემო, შუქფე ჩემი ნათქვამია, ვერვინ წარმტაცოს!

იმის ქადილს შესწევდა ძალა. შეუშართები მეტოქე მაინც გაუჩნდა.

— თუ მარტო იყოს, შევმართავდი ვათქმულ ბუმბერაზს! მაგრამ მისი მშველელია აწ თითონ ქალი. მამაც, სიმამრიც, თითონ ხალხიც ზურგს უშტკიცებენ.

პირისპირ ბრძოლა წაგებულად ჩათვალა. საჭირო იყო მიემართა რაიმე ხერხისთვის. შეთამაშდა შავი გველი მის ღრმა თვალეში: მიაგნო ბნელ ხერხს. ერთს წამს შეჩერდა.

— სახიფათოა! თუ გამომკლავნდა, განმდევნიან ხატის კარიდან. ჩიქოლვას არ გადაფურჩები. მაინც უნდა შევასრულო სურვილი ჩემი! — დაასკვნა მან.

და შეიბერტყა, საბრძოლველად დაიკვართა, წელში გასწორდა.

## 22.

მაინც შეკრთა უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმის წინ. შესაძლო იყო, აქ გამომკლავნებულიყო მისი ბოროტგანზრახვა. გაუელვა ფიქრმა, მოეტაცნა ქალი, გადაელუპნა ისეთ ადგილას, სად ვერროდის მიაგნებდა ძე ხორციელი.

— ხანი რომ გავა და უნებლიეთ ჩამოდგება ჩემი მეტოქე, მაშინ მოვიყვან და...

მაშინ ქალის დედ-მამა აღარ გაუწევდა წინააღმდეგობას. მაგრამ ქალის მოტაცება თუშთ უმთავრეს ბუნაგიდან... ძნელი საქმეა, შეუძლებელი.

— არა! მისი თემი მთლად აღიძვრება. იპოვის ქალს თუნდ ჯოჯოხეთში. მომსპობენ. აღმოხოცენ ჩემ გვარეულობას. არა, კაცო! თავს დაუფიქრდი, მოზომილად მოაგვარე ეს ძნელი საქმე.

ნაცად ხერხს მიჰმართა. აიღო არგანი. გზას დაადგა წყობილ ნაბიჯით. გადიარა ხატის მიდამო. ჩაფენილი ტყე ხელუხლები. ჩავიდა ვაკეს. სოფლები იყო გაშენებული. სახნავეები, ვენახები, საძოვრები. პირუტყვთ სიმრავლე.

მთავარხუცესს ყველა იცნობდა. ეგებებოდნენ, იწვევდნენ თვისას. ევედრებოდნენ, დაელოცნა მათი კერა. როდი უსმენდა! შიშოდა იგი პირდაპირ. მუხლი არსად ჩაუდრეკია. არვის ასჩქამდა,

- ურყევლად მიდის. მძიმე რაიმე დავალება თქმისაგან.
- ეგრე თუ არის, თორემ სადმე შებრუნდებოდას!
- დაგვლოცავდა. სიტყვას გვეტყოდა.
- მივიდა მდინარის პირს.

ალერტის ნიში იღვა იქ. მას შეაფარა თავი იმ ღამეს. მეორე დღეს გახდა მდინარეს. პირი მთისკენ ქნა. პირდაპირ მივიდა თუშთ მამასახლისის ოჯახში. ნახა შუქვე. მდამლად ეთაყვანა მას.

— გიხაროდეს, მოსილო მადლით! ციურ მხედრისგან რჩეულ ხარ სასძლოდ. სიყვარულის თვალთ დავმწერს ზეციდან ბადრი! — ახარა ქალს. და ყელს შეაბა თეთრი მხედრის სახე ნაქედი. გაბრუნდა დიდი დეკანოზი. ხმა არღავის გასცა. დაადგა თვის გზას. აითრია თვისი არგანი. კვერთხის ბოლო მიჰხაზდა მიწას. გველის ნაცურად ემჩნეოდა მიწას მისი ნაკვალი.

მთლად გაშრა ქალი. უსიტყვო იქმნა მთელი ოჯახი. საშინელების მომასწავებები: ციურ მხედარს თავის მონად დაეთქვა ქალი! უნდა ჰბლეზოდა იგი დიდს ხატს, ეცხოვრნა მის კარს რამდენსაჲმე ხანს. იქნება მუდამაც. შესაძლო იყო, მოეთხოვა მსხვერპლად ძლიერ ხატს. უარის თქმა არ ეგებოდა. სახლში ხანს ეღარ დაჰყოენიდა აწ ხელდასხმული: თვისი ნებით გაიწვედა იგი ხატისკენ.

- ცოდვა კი არის, ეს ძვირფასი ჩაქკენეს ხატის კარს!
- ჰაი, ჰაი, ცოდვა იქმნება.
- ვის რა შეუძლავს?!
- არ დაითმენს თვის სურვილის გაცულებას თეთრი მხედარი.
- ვერ შეეღვა!

— ზეშთა ძალებში პირველია თეთრი მხედარი. თვით ბადრი არის ბნელ-ბოროტთან მედგრად მებრძოლი. ხორცს შეისხამს ხანდისხან მანგი. იბერიელთ სასიკეთოდ მძლეთამძლედ იბრძოლებს თეთრ რაშხედ მჯდარი, თეთრად მოსილი. თვით თუთი არის, ვერცხლებრივი შუქით ბრწყინვალე.

- ხან წითლადაც...
- როს ამოვა ბნელ-ბოროტის სისხლით ლტობილი.
- ბეჩავ, ვაგაკო! კარგ ქაბუკსაც ეგრე სჩვევია: ომგარდახდილი წითლად არის შეღებილი სისხლის ღვარებით.
- შეიმაღლებს. ჰაერთ ზღვაში განიბანება. ცის კამარიდან აკაშკაშებს ჩვენს ტურფა მხარეს.
- მძლედ იბრძვის ჩვენთვის!



— მით გვავალეხს, აუსრულოთ ყოველი სურვილი.

— დიდება მის ძალა-უფლებას! ჰხამს ემსახურებდით, ვასრულებდით მის წმიდა ნებას.

— ბადრს ცაში ახლავს თანამყოლი ვარსკვლავები მხედარს ქვეყანაზედ კმსახურებენ მონა-მხვეალნი. თეთრები ჰმოსავთ. მის სავანეს წმიდად იცავენ.

— თუ ეწია დიდ საწმიდეს მათგან რომელი, ირჩევს მას მსხვერპლად. დიდს რამ პატივს მიუბურობენ სათუთად რჩეულს. იბერთ ცოდვითა აღმშალებელ ტარიგად ჰსახვენ. მგრგველად დასაწველად შესწირავენ დიდ დღეობაში.

## 23.

ეს ყოველივე იმ დროს მოხდა, როცა შუქფემ და მისმა ოჯახმა უკვე იცოდნენ ჭაბუკის დასკვნა და მისი ოჯახის თანხმობა. ქალი დანიშნული იყო. ემზადებოდა სამარის სახლი სძლის მოყვანას. ქალიანთაც დიდი სამზადისი ჰქონდათ. ხუმრობა არ იყო: ქალს ათხოვებდნენ პირველ კაცზედ, უპირველეს ოჯახში. ისე უნდა გაესტუმრებინათ, დასწორებოდნენ მოყვრის დიდ კერას.

მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა ორივე სახლს.

შუქფე ორიოდე დღე ლა დარჩა თვის მამისას.

შეიკერა თეთრები. დათქვა წასვლის დღე. თუშთ პატივი სცეს: გამყოლები დარაზმულიყვნენ. დიაცნიც გააყოლეს ქალს. უწიეს თეთრ მხედრის სამლოცველოს. არ უამა მთავარ ხუცესს. ჩვეული იყო: მონად ხელდასხმული თავის ფეხით მივიდოდა ხატის კარს მარტოდ-მარტო, როგორც რამ მწირი, თავმდაბლად ეახლებოდა ზეციურ ბატონს. ეს ქალი კი ისე მივიდა, როგორც კარგი დედოფალი დიდ დღეობაში. გაიფიქრა:

— ძნელი იქნება განმარტოვება, ჩემი გავლენის მოხდენა მასზედ. უნდა მთლად დაივიწყოს დანიშნული! აქ უნდა დარჩეს, მანამ ღვაჭაგ მიივიწყებს თვის გატაცებას, სხვა კვალს აპყვება. მაინც მოხდება!

იმედს არა ჰკარგავდა. რახან გაიცალკევა, შესძლებდა თავისუფლად მოქმედებას, ეწვეოდა თავის სურვილს რაიმე ხერხით. მთავარხუცესმა თითონაც მეტი პატივი მიუბურა მხვეალს. იქნება იმისთვისაც, რომ უხვი შესაწირავი მიჰყვა ქალს, ზვარად დათქმულ ცხოველთა რიცხვი.

ულანო იყო სამარი უბედურობის წინაშე. ჯავრსაც კი ვერ დაიმჩნევდა: ღვთის ნების წინააღმდეგობას დაადასტურებდა ამით. თუ ღვაჭაგ შინა ყოფილიყო, რასმე იზამდა ქალის სახსნელად. ქვეყნის სამხრეთ სანაპიროებს ათვალიერებდა: იქიდან მოვიდა უბედურობა, თუ ვასწირავდა იბერიელთ ბედის ტრიალი. თუმც ისკანდარი ჯერეთ შორს იყო, სიფრთხილე იყო მაინც საჭირო.

სამარმა მაინც მიიღო ზომები: გაგზავნა კაცი დიდი ხატის კარს, ვაატანა შესაფერი შესაწირავი. სთხოვა დეკანოზს, მამობრივი/ყურადღება მიექცა მის სასძლოსათვის.

ერქუნული  
გინჯილი

არც ეს მოკითხვა ეამა ხუცესს.

— იმასვე მავედრებს, რასაც თუშნი მეხვეწებოდნენ. ამ ჯადოქარს ორივე მხარე დიდად აფასებს. რაიმე ავი თუ მიგრძნეს მათ ამის შესაჩებ, არ დამინდობენ. მაინც გავიტან, ავისრულებ ჩემგან ნასურვებს! — იტყოდა ხუცესი.

და ზოვავდა უოველს ღონეს, რომ როგორმე მიეხარნა მონა ქალი თვის ოჯახისკენ: უალერსებდა, შივადამიგ მიიწვევდა თავის კერაზედ. კარგ თვალზედ ჰსურდა თავისი ვაჟი ეჩვენებინა. ამოოდ! ვაჟკაცს ქალი არც კი ამჩნევდა. ქალის მოხიბლვა სიყვარულის წამლით შეეძლო: დუსუსტებდა გონებას, ჩაუშლიდა მძლე ნებისყოფას, ნათელ გრძნობას ამოუჭრობდა. ადრეც ბევრჯელ მიემართა საწადელის სასრულებლად იმ წამლისათვის, მაგრამ...

— ეხლა მეტად ძნელია: მზირნი დარაჯნი ორსავე მხრიდან თვალხმირებენ. იცნობენ წამალს. მიმიხვედებიან. ამომფხვრიან გვარეულობით. ან რასლა მარგებს რძლად გონმიხდილი?! იხლაკნებოდა ბოროტებით ჩავსე, ცეცხლს მოაფრქვევდა. მაინც ცდილობდა, ბოროტება არ დაემჩნია: კეთილ სახეს უჩვენებდა, უალერსებდა. ველარ სჭირდა მისი ორპირობა. ვულწრფელი ქალი თავის რაინდს სპეტაკ გრძნობით შესთვსებოდა. მისი ქალობა მას ნატრობდა, მას მოელოდა.

— ზვიად ხუცესს დაჰკრავდა აზრი:

— იქნებ სჯობდეს დათმობა ბრძოლის!

მაგრამ მყისვე გადასთქვამდა, აირეოდა:

— არ შეიძლება! იცის ხალხმა სურვილი ჩემი. ნდომა ჩემი ხატის ნება! თუ ერთხელ გატყდა... არა! ან ავისრულო ნატერა ჩემი, ან დაილუპოს!

შეჩერდა საქორწინოდ მზადება. ვერ შეიძლებოდა იმ ხნის გათვლა, როდის განათავისუფლებდა ქალს ხატი. იქნება სრულებითაც არ გაეშვა თავის კარიდან. ან დაეხელთა ისე მძლავრად, მთავარი ცნება ჩაპბნელდებოდა. იყენენ ესეთნიც ძლიერი ხატის კარს. შეიძლებოდა ხატს მოეთხოვნა ქალი ტარივად. დიდ დღეობაში დაიკვლოდა მთლად დასაწველად. ყოველივე დამოკიდებული იყო ხატის ნებაზედ, მის სურვილთა გადმომცემელზედ.

გაიარა ხანმა, მანამ დაბრუნდა ღვათაგ და გაიგო უმეღღრობა. სხვას გაეტაცნა ჩასახვევნად მისი მიჯნური, უძლეველ ხატსა. კარად იცოდა, სად იყო ტყვედ მისი სატრფიალო. არ-რა შეეძლო: ხატთან შეხვედრა არ ეგებოდა.

სინჯლიქონთქა

— თუ კაცთა ჰყვანდეთ დაკრძალული საღმე ციხეში, თუნდაც ეე-შაპსა, სიზარულით შეემართავედი, შევაკედებოდი. სანატრელი იქმნებოდა მისთვის სიკვდილი. ეხლა... ვით შეგებრძოლო უჩინარ ძალას?! საღვნახო იგი, რომ საომრად გამოვიწვიო!

ერთი ღა დარჩა: მვედრებლად მისულიყო დიდი ხატის კარს.

— შეესწირავ მრავალს, შევებვეწები. ეგებ მიფონოს. მაჩვენოს მაინც თვისი მხევალი.

წავიდა ღვათაგ. გაჰყვა ამაღად ჰაბუკთ კრებული. ნახირი თუ წაელაღათ შესაწირავად. მისი მისვლა ეწყინა ხუცესს. მაინც მიუტკბა: არა ჰქონდა სხვა გზა. დართო ნება, ენახა ქალი. ღვათაგ სენაკში. დაუკოცნა კაბის კალთა ცალ მუხლზედ მდგარმა ააყენა შეუქვემ ვაფი, ანუ-გეშებდა:

— ეხლა, ჩემო, გვხამს მორჩილება.

— ველარ შემიძლავს!

— გადიდება ქორწინება შორეულ დრომდე. როს მორჩება მონობა ჩემი.

— წელიწადად მჩვენება თვითეული დღე.

— შემყვარებიხარ. დანიშნული ვარ თეთრ მხედრის მიერ. ახ, რა მიყვარხარ! შენა ხარ ჩემთვის ზეციერი მხედარი თეთრი!..

მიახლოვდა ვაფიკაცი სამთხვევლად ხატის.

— არ მომეკარო! უთმინობა გამოცდის დროს უფრო განაგრძობს. რისხვა ძლიერის! ტრფობად ჩემდა თურმე არის იგიც გზნებული.

ცეცხლებ მწველი მისი ღაზო ორსავ დაგვლუპავს!

მეტი ხანი აღარ შეიძლებოდა საუბარი. უბრძანა მათ განშორება ხუცესმა.

— აწ წავალ, ტურფავ, შეუღლები ჩემ საკეთებელს: ვალი მძევს ძნელი ჰვეყნის წინაშე. გული აქ მრჩება.

მიჰმართა ხუცესს:

— სული ჩემი შენ გაბარია. ყოვლი ამის გასაჰკირი — ჩემი ტყვილი. ჩემი არის დაღხინება ამის სიამე. შევედრე მხედარს ზეციურს, ტკბილი თვალით დაგვნათოდეს განსაცდელში მყოფთ. მოვართმევდე ზეარაკს უმრავლესს.

წავიდა ვაფი. გული იქ დარჩა. გონების თვალით გარს უვლიდა წმიდა სავანეს.

25.



ბევრი ჰქონდა ღვაყაგს საზრუნო. ისკანდარმა პირე ისევე აღმოსავლეთისკენ იბრუნა. დაუდგა უკანასკნელი ფამი დარითს და დასწვდომბელოს.

— თუ დააქცია იმ კაც-ღმერთმა დიდი სპარსეთი, სხვანიც ბევრი მოჰყვებიან მის ნანგრევებში.

— მზად უნდა ვიყენეთ.

— დიდ მზადებაში არის კოდომანი, იქნება...

— უიმედო იმედი! ბნელეთის ძალნი მაკედონელს ეშველებიან.

— დარიოს ეხლა არც ოჭროს აქვს დიდ ბრძოლისათვის.

— მოსწყვიტა ირანს დასავლეთი მაკედონელმა და წარსტაცა იქ დადგმული ოჭროს ხეაგები.

— ისკანდარის ჯარიც ეხლა უფრო მეტია. იარაღი საუკეთესო. მისი დაძლევა ვით შეიძლება?

— თუ თავს დაგვეცა, უკანასკნელ შეძლებამდის ვიბრძოლებთ მაინც.

— უსათუოდ!

— ვერ დაგვიმონოს იმ ხორცსხმულმა სატანილმა!

ამ აზრით გაიმსჰველა ღვაყაგ. დაუცხრომლად ემზადებოდა. საკმაო ჯარი გამოაწყო ქვეყნის სასხნელად. მებრძოლნი ჯერ ადგილბრივე დასტოვა, ხოლო ისე მოაწყო, მსწრაფლ მოვიდოდნენ პირველსავე მოწოდებაზედ. მცბეთა იყო დანიშნული შესაკრებელად.

მაინც აღრე დაბრუნდა ღვაყაგ, მაგრამ ეგულვებოდა: მეტად უსიამოვნო ამბავმა ააჩქარა.

მთავარბუცესმა ქალი შექმე ვერ დაიმონა. განრისხებული უკიდურეს ბოროტებას არ დაერიდა: შექმე მსხვერპლად გამოაცხადა. წმიდა ტარიგი იტვირთებდა იბერთა ცოდვას. ხატის წინაშე უნდა ლაზხრით განგმირულიყო. სამსხვერპლოზედ დაიწვეებოდა. ხატის ნება წელს ესე იყო!

ასრულდებოდა ხატის ბრძანება. ნირის შეშლას ვერ დაითმენდა: საშინელი გულისწყრომით აღიგზნებოდა. თავის ნაწილს აიღებდა აღნადგინებით. შემცოდე ხალხს მუხლმოდრეკით თვის წინაშე დააყენებდა.

— უწყოდე, ერო! მძაფრი არის ესე ვითარ ცოდვისათვის სასჯელი ჩემი. სასტიკ სასჯელს დაიუნჯებ, წინააღმდეგო!

— და დაითქვა შექმე ჩემი მსხვერპლად ხატისა?

— დიახ, ბატონიშვილო! დასდვა ხუცესმა ქედსა მისსა უღელი რკინისა.

— ნდ....

— შემოავლია შეიდგზის მუხლით ნიშის გარემო. განაჩება მიწას. ააქადაგა.

— ქადაგად დასცა?!

— ესე ათქმია: მტვირთველი ვარ ჩემის ერის ყოველნი მტვერნი. წარვხოცო სისხლით იბერიელთ უსჯულოება. იბერთა შვილებად შევიწიე სიცოცხლე ჩემი!

— საჯაროდ?

— თანაპყევბოდა დიდი ხალხი სანთლებით ხელში. ქვითინებდნენ განწირულისათვის. ხატის მონანი მისდევდნენ მას ძნობით, გალობით. სამღვთოა შუშპარი. მოხსნეს რკინანი. ვერცხლის უღე შეაბეს ნიშნად.

— ეხლა?

— სათუთად ჰყავთ შენახული. გალიაკში დააბინავეს. შიმუნვარნი თუ მხეველნი გარს ეხვევიან. მაინც სტირისო. ერთი კი უკვიროთ.

— რა?

— არ დაიხელთა. სრულ ცნობად არის. არ შთაესახა წმიდა ტარიგს სული მეცანი.

## 26.

— ღვაჯაგ უსასოს მოევლინა იმედის ჩრდილი. უთხრეს:

— მოხდება, მსხვერპლად სახული ასცდება ძნელ ხვედრს: თეთრი მხედარი თითონ მოხსნის მოვალეობას.

— როგორ?

— შესწირავს უხვ მსხვერპლს ქირისუფალი. შეეწონება შესაწირი ტარიგად დათქმულს და...

— შეწირული დღეობაში უნდა დაიკლას!

— მონათა შორის რომელიმე იტვირთებს მის ხვედრს. და თუ არა, უსხს დაუკლავენ.

— მაშ იმედია, მაპატიებს ხატი იმ ქალსა?!

— მოგახსენე: ეგ შემთხვევა იშვიათია.

ის ხავსი იყო, რომელს ღვაჯაგ ეკვიდებოდა. შესწირა უხვად. მეტი აღუთქვა. გული მაინც ელაზხვრებოდა.

— მე ცოცხალ ვიყო, შექმე ჩემი ლახვრით მოისპოს?! არ ეგების ეს! შევეწირები.

— აუცილებლად!..

— მოსულია ჩვენზედ მტერი ურიცხვი. მასთან ბრძოლა გამარჯვებით უნდა დავასკვნა! ან დავიღუპო.

— ნამდვილ!

— ერთი სიცოცხლე... შეეწიროს თავი ჩემი მიჯნურს თუ მამულს?

— მამულს, სატრფოს შეეწიროს სიცოცხლე შენი!



ერკონულნი

ბიზლიმთქა

— ორივეს ერთად?!

— გასწირე ერთი!

— არ ეგების ქაბუკისაგან!

— შეებრძოლე ორთავიან დევს. იხსენ ორივე! ბიზლიმთქა ფიქრობდა ღვაჯაგ, როგორ ესხნა განწირულნი ქალიც, ქვეყანაც. ვერ იტვირთებ, უშველი ორსავე. დაილუპები.

დავილუპო მათ საშველად შემართებაში.

ბედისწერისგან გაჭრილ სავალს მისდევდნენ დღენი. ახლოვდებოდა ბრძოლად შობილ ვაჟეაცისთვის შემართების დრო.

— დაგდგომია, ღვაჯაგ ჩემო. ცეცხლის წამები, არ დაძაბუნდე!

— არ დაეძაბუნდე!

— ემსგავსე იმ დევს: მოსჭრიდნენ თავს, სხვა ახალი ამოსდიოდა.

— სხვა ახალი ამოსდიოდა!

— არ დაუშვა არასოდეს მბრძოლი მარჯვენა.

— მბრძოლი მარჯვენა!

არ იცლიდა ბრძოლისაგან ღვაჯაგ მზიანი. დაჰფრენდა ზღვის პირს, მალალ მთებში, უღრან ტყეში, ტრიალ მინდორზედ. ყველგან იყო ერთსავე და იმავე ჟამს. შეივლიდა მცხეთას გზადაგზა. მიუთხრობდა თვის ნაკეთებს მამას და ბიძას. ყურადღებით მოისმენდა მათ დაბარებულს. შესთხოვდა ოჯახს, არ დაეკლოთ ხატისათვის შესაწირავეი. ეგებ დაესხნათ პატიმარი ძნელ ზვედრისაგან...

შუქვე ქუფრად დაღონებული. კეთილით სავსე იბერია უღბობელ მტრის წინ.

— მოგვეშველე, მზე-ქაბუკო, გვიხსენ ბნელისგან!

სისხლი თვალებში. ზე ახლტებოდა. საბრძოლველად დაკვართული, აღტყინებული.

ორ მეწყერს შუა.

მიცურავდნენ მიწის შვაენი, კარგ გულისთქმად დასამარხავად.

## 27.

მოელოდდა დარით დღშმანს. იცოდა, ისკანდარს დასკენილი ჰქონდა სპარსეთის მოსპობა, რომ სამუდამოდ გადაეჭრა დაუსრულებელი ბრძოლა დასავლეთისა აღმოსავლეთთან.

— მაკედონელმა დიდი გამარჯვების შემდეგ მისთვის იბრუნა პირი დასავლეთისკენ და გადავიდა თვით ეგვიპტეში, რომ მოსპოს იქ ჩვენი გავლენა, ეპატრონოს შეხვავებულ იქ დიდ სიმდიდრეს და განაახლოს ლაშქარი, უკეთესად შეაიარაღოს. მოჰმართავს ისევ აღმოსავლეთისკენ. აღარც დასცხრება, სანამ წადილს არ შეისრულებს! — იტყოდა დარით.

და ცდილობდა, კარგად ესარგებლნა იმ დროთი, რომელი ჰქონდა იმ მებრძოლის დაბრუნებამდინ. თანამშრომლად ჰყვანდნენ სარდლები: მაზეი, თაფსაქ, არიობაზანი, ბევრის ბევრი ლაშქარში მსგავსი. დრო აღარ ჰქონდა, გაეწოთენა ჯარი. არც ოქრო ჰქონდა, რომ ყველას იარაღზედ წამოვიდა ისკანდარი ნიაღვარივით. თავს უკრავდნენ ძლიერად სილს მხედართმთავარნი, უბრძოლველად აბარებდნენ ძლიერ ციხეებს.

ესე დააწყო დარიოზმა თვისი ლაშქარი: ერთი ჯგუფი დააყენა ეფრატის ფონთან. მის სარდლობა ორს ჩააბარა: თაფსაქს, მაზეის. ესევე ლაშქარი სდარაჯობდა მდინარის ხიდსა. სხვა სიმრავლე დააყენა ტიგროსის ფონთან. არიობაზანს ჩააბარა ეს სადარაჯო. თვით დაიჭირა ტიგროსზედვე სხვა ვასასელელი. სირიაზედ ელოდა მებრძოლს. ისკანდარი გაემართა თურქესტანისკენ. დაიბურო და დაარბია დიარბექირი.

არან-ქართთა სახელმწიფოს ეს ქვეყანა საზღვრავდა სამზრეთით. მოზრდილი ადგილი ეჭირა ვიდრე არარატის კალთებამდინ. დედაქალაქი არანი ვანის ტბის ჩრდილოეთით. არანქართნი მრავალ რიცხოვანი ხალხი იყო იბერთა ტომისა. მეფედ ეჯდათ იარედი, კაცი უკვე მოხუცებული. მისი მემკვიდრე აზო ისკანდარის მეგობარი იყო და თანამებრძოლი. იარედ მეფე ემორჩილებოდა დარიოზს. ეხლა განთავისუფლდნენ არანქართნი სპარსთ ბატონობისაგან. უბრძანა აზოს ისკანდარმა:

— შენ სამფლობელოს საზღვარზედა ვართ. მელის დარიო თვის დიდი ლაშქრით. მივდივარ მასზედ!

— შენია გამარჯვება! საამაყოდ მიმანია შენ გვერდზედ ბრძოლა.

— სხვა გზა გაქვს ეხლა, სხვა საქმე გიძს წინ.

— სხვა სავალი მე?!

— აწ მე სულ წინ ველი. შორს მიდის ჩემი გზა. ზურგთ უკან მტრის დატოვება არ შეიძლება.

— დაგმორჩილდა, გმირთა გმირო, მთლად დასავლეთი.

— ჩრდილო არის თავისუფალი. იბერია განრტოებული. მათი მთის გადაღმა მებრძოლთ სიმრავლე. იბერიის მეფე სამარ დარიოზის მოკავშირეა. მისი მოყვარე.

— რა გსურს მიბრძანო, მებრძოლ ღმერთის ძევე?

— მოვსაობ დარიოს. წინ წარვიქცევ, განვფიწლავ მის ჯარს. მაგრამ... თუ სამარმა გახსნა ჩრდილო და გადმოუშვა მებრძოლთ ღვარები, გზას გადამიჭრის. მომინდება დაბრუნება მის დასასავლად.

— ვით შესძლებს მაგას?

— ევა რჩეული ლაშქარი! შენ მათი სარდალი. შენნი ქართნიც თან გაიყოლე. შენი ტომის ხალხშივე გგზავნი. დაიყარო, შეითვისე, დაჯეგ მუნ მეფედ. ხმალი ჩემი მფარველი შენი! შეიქმნება იბერია ჩემ მოკავშირედ. შეიტანე სჯულიც ჩვენი იბერთა შორის: წაიტანე თან ღმერთნი

ჩვენნი, აუგე მათ საყუდარნი, განაწესე მსახურნი მათნი. *ქა, ტროშა ჩემი.*  
 ამ ალამ ქვეშ მარად ვიდღის ჩემი აჩრდილი! — უბრძანა *გმირმა.*  
 და გადასცა თვისი ღროშა არანელ აზოს.

ერკონენული  
 ბიზლიქოსეა

## 28.

პირადი მტერთ ღვათაგისა ისწრაფოდა. მკერდს გაუპობდა, ამოსწვდი-  
 და სიყვარულით მართოლარე გულს, ფეხით გასრესდა...

დადგა ქველთობის თვე. არა ჰქონდა ღვათაგს რაიმე ცნობა შუქფეს  
 დახსნისა.

— არ შეეღევა ჩემს საყვარელს თეთრი მხედარი: მასზედ მშვენი-  
 ერს ქვეყანაზედ ვერვისა ჰპოვებს! — დაასვენა ჰაბუქმა.

და დადუმდა. ხმას არ იღებდა დანიშნულზედ არც შინ, არც გარეთ.  
 ატყობდა მამა, რისამ თქმა ჰსურდა. არ კი იტყოდა, თავს იკავებდა. ახლა  
 დღეებში შინ დატრიალდა. მამის გვერდზედ მეტს ხანს რჩებოდა. დუ-  
 მილს მაინც არ არღვევდა ბაგე დაშული.

— თუ დაავიწყდა ჩვენს მზე-ჰაბუქს დარდი პირადი. თვის უბედო  
 სიყვარულზედ აღარ რას იტყვის, — მიჰმართა ართეზანმა თვის ძმას.

— ჯარზედ ლა უბნობს და მომავალ დიდ ბრძოლებზედა. ხანხან  
 თითქო ჰსურს, მამცნოს რაიმე სხვა, მაინც უფილის ამჯობინებს პირად  
 ვარამზედ. მეშინიან მისი დუმილისა.

— მსხვერპლად შეწირვა არ ასცდება განწირულ შუქფენს. ღვათაგს  
 გულიდან ტროფობა მისი არ აღეფხვრება. ახლოვდება დღესასწაული.

— მერე?

— ძნელ რამ სავალს თუ დაადგეს იმედმიზილი: ან თავს რამე აუ-  
 ტებოს, ან...

— ან რაი, ძმაო?

— არ ვიცი! იღუმალ აზრს შეუბყრია ქალის შესახებ, ვერ კი  
 სძრავს სიტყვას.

მთელი ოჯახი ხმაგაკმენდილი უცდიდა მის თქმას. ამოდ: ისე წა-  
 ეიდა, არაფერი გაუშხელია...

ახლოვდებოდა საშინელი დღე განსაცდელისა: რჩეულ ქალწულ შეს-  
 წირავდნენ, ვითა რამ ტარიგს. ჩაიწოდა სამსხვერპლოზედ წმიდა ასული.  
 ჩანავლდებოდა მასთან ერთად ღვათაგის გული.

დარდით დიდად დატვირთულნი სხდნენ სასახლეში. სამარს სჩვეო-  
 და, დასწრებოდა დიდ დღესასწაულს. წელს ვერ წავიდა: იმ მსხვერპლ-  
 თან ხომ დაიკვლოდა ღვათაგის სულიც...

მზე ჩაესვენა. ცა მოწმენდილი. მოჰბერავდა ნაზი ნიაფი. უამრავი  
 ზალხი მლოცავდა. მოზრდილი ვაკე ხელუხლებელი ტყით მოზღუდვილი.  
 ზედ შეაზედ იდგა ნიში თეთრი მხედრისა. ძველი მუხა ტოტემ-განრთხ-



მული. ხატის სამსხვერპლო ყუავილებით თუ რტოებთ უხვად შორთული. სამსხვერპლოზედ კვარის სიმრავლე.

შემოლამდა. აჩირაღდნდა მრავალ ადგილს წმინდა სწავლები დაკრასამგზის ხუცესმა სარეკს. წამოიმაღნენ. პირი ქნა ხალხმა აღმოსავლისკენ. ამოცურდა სავსე მთვარე, შედგა მთის ფხაზედ. მთელი ხალხი დაეცა მუხლზედ. ძნობა, ვალობა, დაღადისი ხუცესთ სიმრავლის.

— ღმერთო, გვიშველე!

— შეიწირე ჩვენ ცოდვილთა შესაწირავი!

— ნუ გასწირავ შენ წილხდომილ იბერიას!..

— სისხლნაცხებრა შიგადაშიგ მნათობი ბადრი.

— არ გვიჩვენა პირი თვისი მთლად სხივფენილად.

— თუ რამ სწყენია თავის მოსავ ერისაგან!

— მრთლად სპეტაკი პირი შენი მოგვიპყარ, მანგო!

ბადრი მთოვარე დიდებულად მიცურავდა ვარსკვლავთ შორის. დაფიქრებული დაჰმზეროდა თვის მოსავ იბერს. არ იღიმებოდა. მძიმედა თართოდნენ მის სახეზედ ვერცხლის სხივები.

## 29.

— ჰე, მოჰყავთ მსხვერპლი!

მოუძლოდა დეკანოზი ყავარჯნით ზელში. მოსდევდნენ მას თეთრად მოსილნი. აღზნებული სანთლები ზელში. სპეტაკი ეცვა.

— დაჰმშვენებია თეთრად მოსილს ფიფქივით სახე.

სჩვევოდა მსხვერპლს დიდი ლელვით მოსვლა: აქადაგება, ხან ქვეითნი, ხან კასკასი შემაძრწუნები.

— არა ჩქარობს ფიქრით მოცული!

მოდიოდა, ვით ცხოველი კვლად. უხმო იყო, ვითა კრავი. არ-რას იტყოდა...

— სიღნაგე ახლავს განსაცვიფრი განსაცდელის ეამს.

ქახქახებდა წმიდა ადგილი. სავსე მთვარე მიცურავდა ცის კაბადონზედ. მსხვერპლი ნიშის წინ. დასდეს ქედზედ რკინის უღელი. მუხლისთავით ვარშემო შემოატარეს. აჰხადეს ტვირთი. გაემართნენ სამსხვერპლოსკენ. დაუახლოვდა ბადრი მანგი აღნიშნულ ადგილს.

— ცოტაცა და მიიღწევს იქ, სად უნდა იდგეს შეწირვის წამსა.

— ვარს ერტყმიან ხატის მსახურნი.

— წარსთქვამს ეხლა დეკანოზი მცირე რამ ლოცვას და...

— გვერდს დაესობა ტარიგად თქმულს წმიდა ლახვარი.

— საწყალობელო!..

— ბედნიერი!..

გაიღო შავი ტყე. გამოვიდა შავი მხედარი. იჯდა შავ რაბიტად. ემოსა შავი. მოსდევდნენ მას ჩამორჩომით სხვა შაოსანნი,

გაშეშდა ხალხი. მზერად გარდიქმნა. შედგა, შეჩერდა და დაიქმნა სხურება. ბუნებამაც თუ იყუჩა ამ ძველ განცდის ეამს ჩაღმჩინა მსკატი გააბეს მხედართ. ეახლნენ მსხვერპლს. შავი მხედარი მსწრაფლ დაიხარა, აირქოლა განწირული, მკერდზედ მიისკვნა. გრგალივით გატრიალდა, ფრენით წავიდა. გააყვნენ მხედარს შაეოსანნი: ზურგს უმაგრებდნენ. ტყემ პირი უყო. უჩინარ იქნენ.

ჩოჩქოლი ხალხში. გამყივარი ხმაურობა. მიმოსრბოლა შეუცნობელი. ჩაიშალა ხუცესთა მწკრივი. დეკანოზი დაიბნა ერთს წამს. მოეგო თავს გასცა ბრძანება:

— მსხვერპლი ახალი!

გამოირჩა სხვა მხევეალი თეთრმოსილთაგან. მოცეკვავდა, მოიმღეროდა.

— გზა ფართო წმინდანს!

— ეციოთ თაყვანი!

გასწორდა წელში მთავარხუცესი. გადაჰხედა ხალხს მედიდურად.

— არ მოაკლდეს ციურ მხედარს მსხვერპლი საფერი!

მოუბრუნდა თავდადებულს, სიტყვა მიუთხრა:

— იტვირთე, შვილო კურთხეულო, ყოველი ცოდვა შენის ერისა! სისხლმან შენმან წმიდა ჰყოს იგი! საუკუნომც შეიქმნება ხსენება შენი!

— იყავნ!

— იყავნ!

გამოფრინდა ლახვარი ბასრი. გვერდს ეგმირა მსხვერპლს. გაუპო გული. უხმოდ მიწას დაეთხია სისხლმომდინარე....

სამ დღეს გასტანა დღესასწაულმა. ცდილობდნენ, ნირი არ შეკშლოდა ხატის კარის ზეიმს ჩვეულებრივ მიდიოდა იქ ყოველივე, მაგრამ.... დასტრიალებდა მთელ მლოცველ ერს ქუფრის აჩრდილი, ძრწოლას ჰგვრიდა, უშხამავდა ყოველ სიამეს.

მორჩა ხატობა. დაბრუნდა ხალხი. მიმავალნი მოსაუბრობდნენ:

— ვინ იქმნებოდნენ შავნი მხედარნი?

— ნუ თუ კაცნი გაბედავდნენ საზარელ საქმეს?!

— არ ჰგვანდნენ კაცთა.

— შეებრძოლნენ ბნელის შვილები უძლეველ მხედარს.

— წარსტაცეს მსხვერპლი!

— საშინელი უბედობის მომასწავებნი!

— თუ მოიწია რისხვა ღვთისა იბერიაზედ?!

## 30.



შავ მხედართ ტყეში ჰქონდათ ბინა დადებული. მიუღებელი ადგილი იყო. ჩავეიდნენ ხევში. აპყვენენ მდინარეს. მიალწიეს გამრქეხებულს. უსვენებლივ იდინეს სწრაფად. ეშინოდათ, არ მოგვედესო გზაზედ მდევარი. დარწმუნებულნი იყვნენ, აუარებელი მლოცავეი არვის შეარჩენდა დიდი ხატის შეურაცხყოფას. მისწვდებოდა. ხელით დაგლეჯდა. ავეიდნენ ზევით. არ ისმოდა არსით ხმაური.

— არ გვედეს არავენ!

— თუ ასცდნენ ჩვენს კვალს.

— ტყის დედა თუ დაგვეხმარა, გზა აურია.

მივიდნენ. ჩამოხდნენ. ქალი გაშეშმიშებული. გაშტერებული შეპყურებდა შავად შეღებილთ.

— ნუ გეშინის, საყვარელო: სამშვიდობოს ვართ. ველარ მცნობ ლევაგას!

— ლევაგა, შენა ხარ!

— შე ვარ, კესანე! ეს ვაყვაცნი ძმად ფიცულნი არიან ჩემნი.

მიესალმნენ მზე-ქაბუკნი, მიულოცეს ქალს გადარჩენა.

— რომ დაელუნენ?

— როგორ დაგთმობდი?! სჯობდა, ორნივე იქ ჩავეხოცნეთ.

— მეტად მიკვირს: ქალი ისე გამოგვატანეს, ხელის შეშლას არვენ ეცადა.

— ელვასავით სწრაფად მოხდა ეს ყოველივე. მეტად დაიბნენ.

შეისვენეს, შეიქაქანეს. მკირედ წანაყრდნენ. მალე უნდა გზას გასდგომოდგნენ: დიდად იყო საზიფათო იქ დაყოვნება. კახთ ებარათ იგი სიწმიდე. ვერ დასთმობდნენ მის შელაზვას, სისხლს აიღებდნენ. მიჰხედეს ცხენებს, მოტარეს, თვით განიბანენ. შეიმოსნენ ჩვეულებრივად. შესხდნენ. წავეიდნენ. დაემსგავსნენ უბრალო მგზავრებს. ლევაგას ჯილავი ეჭირა, ქალი ცხენს იჯდა. შესთავაზეს ამხანაგთ ცხენი. როდი ინება.

ცხენის შოვნას მოვახერხებ. ჯერ ესე ვივლი.

გავეიდნენ გზაზედ. ლევაგას ცხენი მალე უშოვნეს. მიისწრაფოდნენ. სცდილობდნენ. მალე გასცდნოდნენ საშიშ ადგილებს. გადაელეს მთა, გახდნენ იორს. კუბეთის შთები. უგზოუკლოდ მიდიოდნენ უდაბურ ტყეში, უფსკრულ ხევებით. მდევრისა ეფიჭებოდათ. აქ საშიში არ-რა იყო ოთხ ჰაბუკისათვის, მაგრამ ქალს ახლდნენ და სიფრთხილვ მართებდათ მეტი.

ლევაგას ქალის სავანეთ გაეთვალნა თავის დედეულეთ ოჯახი. ეგროისის მამასახლისის ქალი იყო მისი დედა. სამარის სიმამრს გული ჰქონდა

დალაზვრილი თავისი ქალის სიყვდილის გამო. სიყვარული შურისშვილ-ზედ გადაეტანა. ყოველ ნახვანზედ სიყვარული ძლიერდებოდა. ღვეჯა ვაჟ-კაცი დედას ჰგვანდა სახის თამაშში. სიამაყეც იყო ღვეჯა ვაჟის, პაპისა.

— უარს არ მეტყვის. ჩემს მოწონებულს სიხარულით: ყოველს სიხარულში. შესძლებს, დაიცვას ყოველსავე განსაცდელისგან.

განსაცდელზედ მისთვის ფიქრობდა, ეშინოდა სისხლის აღებისა.

— თუ მოაგნეს კვალს, მოუკლავს არ გაუშვებენ საცოდავ შუქვეს. დაჰკლავენ ისე, როგორც ჰკლავენ თეთრი მხედრის ტარიგს. მოსყიდულნი მე აღვიღად ვერ შემომხედენ, ეცდებიან ქალს აენონ რაიმე: მისი მოსპობა საადვილო იქნება მათთვის.

ისე მოიტაცა ქალი, არ შეეძლოთ მისი დასტოორივ დასახელება. მაინც იცოდა, გუჟანს მასზე მიიტანდა მთავარხუცესი.

— მოიტანს ექვსა! სხვა ვინ გაბედავდა შემართებას ძლიერ ხატსა, თუ არ მიჯნური?! არ დაზოგავს დეკანოზი არ-რა სასყიდელს. ოღონდ აიღოს ქალის სისხლი ხატის სახელით, — იტყოდა ღვეჯა.

და გვერდს უქცევდა გაკვერილ გზებს, დაქნილ ბილიკებს. ვიდოდა წინ უგზო გზებით, უკვალო სავალით. ტყეები, ველი საესე იყო ნადირით თუ ნაირ ფრინველით. გზავზა მიჰხოცდნენ. მით საზრდობდნენ.

## 31.

ქალი თანდათან წყნარდებოდა, გონს მოდიოდა. საარაკო გმირობა ჩაიღინა ღვეჯამა მისთვის. უალერსებდა ეს ქალის გულს, აესებდა მას კმაყოფილებით. ზრდიდა მის ტრფობას, აძლიერებდა. დიასახლისად მოეგვინა შუქვე ვაჟკაცებს: ნადირისა. თუ ფრინველის შეწვა ითავა. ნაღველობდა, მგბარ საქმლის მოსახარშავად არა ჰქონდა ქეზი თუ სხვა ჭურჭელი.

— თუ ხელსაწყო მქონდეს აქ რამე. ჩემს ნაკეთებ საჭმელს მეტად მოგაწონებდით.

— ისეც გვიხარის და გვიამება.

— რასაც ხელს ახლებ, გოლეულის გემო ეძლევა.

— და კიდევ გვათრობს სვიანი ლუდივით.

უხაროდათ ვაჟკაცებს, ქალი რომ ჩქამს დასძრავდა, რაიმე სიტყვას გაუფენდა ვარდის ფურცლებად.

— ჩვენს დას შუქვეს ჯავრი უკვე გადაეყარა.

— ხასიათზე მოდის თანისთან.

— მაშინებდა, გონება მთლად არ დაჰზროდა ხატის მიზეზით.

კვლავ შევიდნენ უღრან ტყეში. ცაში რომ მზე კაშკაშებდა, ხშირი ჩრდილი ძირს ბინდ-ბანდს სცემდა. მაქალო, პანტა თუ ხუთყურა მოწეუ-

ლიყო. ჩამოდიოდა წიფელი, წაბლი, ნადირთ სიმრავლეს სთქვამდა ჰქონდა ფეხქვეშ გაშლილი. მისთვის თუ იყვნენ ტყის შვილები წინაშე იტყობაზედ: ხშირად ჰხედებოდნენ, არ-რას ავებდნენ.

— ხომ ჰხედავ, აგერ, ერთმანეთზედ მისულ დიდრომ მთქმუნებულ ცხელთ მაინც ვერ გადუბიათ. იქ გაუპია დიდ მტკვარს მთები. თვისი სადები გაუქვალნია. იმ ვიწროში დიდი მცხეთა, დედა-ქალაქი. იბერთა მოდგმის თემებს იგი აერთებს. იქიდან ჰმართავს მამა ჩემი მთელ იბერიას.

— ნეტავ მაჩვენა!

— ჩემო კარგო, მერმე მიგიყვან. ეხლა ჯერ არ შეიძლება ჩვენი შინ მისვლა. კეთილი არის მამქემი, შეგიტყობს, ვით შეიღს. შენ იქნები დიასახლისად! ჩვენს ოჯახში დედიჩემის ტყბილი სული მოგეგებება, დავილოცავს საყვარელ კერას.

შეფიქრიანდა ქალი.

— როგორ ვიყო თქვენს ოჯახში დიასახლისად?! სანიმუშო სახლკარის იბერიაში? მე როგორ შევსძლებ, ხელთ მეჭიროს საპატროდ მისი ღირსება?!

— საყვარელი ხარ. გიდგა გული, კეთილით სავე. თვალნი გისხედან დამკვირვებლნი: შესძლებ დიდ საკეთეს!

— და ცოდვა ჩვენი?

— რად იქნება სიყვარული ცოდვა უფერი? ვით ჩაითვლება სიბოროტედ უმწიკვლო სულის გადარჩენა სიკვდილისაგან? შენ ცოცხალი ხარ, შენით მიდგა სული მეც დღეს: თუ ვინმე წამგერიდა, სატრფოვ, შენს თავს მე, ამ დაშნაზედ დავეგებოდი... მაინც შეეწირავ წმინდა მხედარს, ვეშახტრები. შემინდობს ნამდვილ! მიმიხედება ბნელეთთან მბრძოლი, ჩემგან შენი დატოვება არ ეგებოდა.

ხვეით გადასჭრეს არაგვის ხევი. დასახლებული ადგილები ხშირად ხედებოდათ: მთის კალთებზედაც გაბმით იყვნენ დაბა-სოფლები. გადავიდნენ ლიხს. გადახედეს დასავლეთ არეს. ვახდნენ დიდ რიონს. შფოთი მდინარე ცხენისწყალი აღქაფებული ქვეს აგორებდა.

— მდინარის გაღმა ჩემის პაპის საბრძანებელია.

— მის სახლში მივალთ?

— არა ჯერ! გავალთ მდინარეს, ჩამოვხედებით მეგობრის სახლში.

### 32.

ჩამოხდნენ. გაგზავნეს კაცი. მოუვიდათ პასუხი:

— კარგ ოჯახში ჩამომხდარხარ. მაინც მეწყინა: პირდაპირ აქ უნდა მოსულიყავ შენის რჩეულით და მეგობრებით. ქალის გამოტაცება ვაყვაცის საქმეა და რაც უფრო ძნელია, მით უფრო სახელოვანი. მესწრაფის ნახვა მზეთუნახავის!

გაეხარდა ღვაყაგს. ქალსაც მეტად ეამა. გაემართნენ კანალივე შე-  
როგებნენ პაპის სახლიდან, მიაცილეს დიდის პარტივით, ბერიკაცმა მზე-  
რავი თვალთ შეხედა ქალს. გაუღიმა. გარდაქოცნა. ეჭმეჭმეუფე-ღვაყაგს:  
— მარჯვედ შებრძოლი ქაბუჯი ხარ საუკეთესო. მარჯვედ შეხედა ქარგი  
უნარი: გცოდნია კარვად ქალის არჩევა!

მიუთხრა ქალსა:

— ლამაზი იყო დედამთილი შენი აჟპარა. ნახვის უმაღ შეიყვარა  
იგი სამარმა. შენ.. ეჰ, ვეღარ ნახა იმ საბრალომ, რა ღირსეული რძალი  
შეჰხედა მის ობოლ ოჯახს...

შეიტკბეს შეტყვე. უალერსებდნენ. ღვაყაგს წელილად გამოჰკითხა პა-  
პამ ამბავი. ფიქრობდა ერთს ხანს.

— მეც ეგრე მოვიქცევოდი. ეგრე უნდა გარჯილიყო ყველა ვაჟკაცი!  
ვით შეიძლება, მზე-ქაბუჯი უმზერდეს უქმად, როს უსპობენ მას მის საუნ-  
ჯეს ლამაზ სიცოცხლეს?! მაგრამ...

— რა, ბატონო პაპავ?

— მსხვერპლის წაგვრით ხატი მეტად განრისხდებოდა. საჭირო არის,  
მოულობთ გული.

— ბევრი შეესწირე, უფრო მეტი აღვეთქვი ეხლა.

— ილორის ხატი მსურს ვაახლო შეამავლად ძლიერ თეთრ მხედარს.  
შევეწირავ, შევთხოვ შეამდგომლობას.

მოეწონათ მოხუცის აზრი. ბევრი შესწირეს, გულმხურვალედ ევედრე-  
ბოდნენ.

ქალი წმინდად დაცულ იყო ეგრელთ მთავრის კარს. ოჯახის ქალნი  
გარს ეხვიენენ, ანებიერებდნენ. ლამაზის ეშხით ვაჟიკაცი ილეოდა, ცვი-  
ლად დნებოდა. თვალს ავლებდა ბერიკაცი. დაადგა აზრსა:

— მისმინე, ღვაყაგ!

— ბრძანე, ბატონო!

— განცალკევებით თქვენი ყოფა აღარ ივარგებს: დაილევით ორნივე  
სურვილით. იქორწინე ამ ჩემს ოჯახში! საარაკო ქორწილს გარდგიხდი,  
ვამცნობ შამა შენს.

— როგორცა სჯობდეს, ბატონო პაპავ!

— თქვენთვის ესე სჯობს. ჩემთვისაც ეს სასახელოა. ქორწილი აქა.  
ახალი რძლის ჩაბარება კერის დედისთვის მცხეთას მოხდება. გაგყვები  
მყარად. თუმც ძნელია ხანთა გამო ჩემთვის მგზავრობა.

ილორიდან ხატის დასტური. წნული სეფა უშველებელი მეტად დიდი  
სამზადისი, ხელგაშლილობა, მთლად თუ მოსულიყვენენ ქორწილში ეგრნი.  
კუონდიდელმა შეასრულა ქორწინის წესი. ახალ ცოლ-ქმარს ცხოველმყო-  
ფელი მუხის რტო უზღვნა. შეასმია შეუღლებულთ ნაქურთხი ღვინო. მე-  
ტად შეენოდნენ. გადულოცა განძეული სტუმართ სიმრავლემ. ახლდებოდა

დღითი-დღე სუფრა. გორა-გორა ნანადირევი. სიმღერა მწერარი. ცეკვა უღალი. გადირია წვეული ჯარი სიხარულისაგან. ასპარეზობა. მსურდა ღვატავს, ვაჟკაცობა დაეჩინა ვარჯიშობაში. არ იქნებოდა <sup>ამჟამად</sup> იგი მეფე იყო. შეპყენოდა მას სიღინჯე და მბრძანებელი იყო.

წაიყვანა ახალ სძალი გალიაკში ქალწულთა ჯგუფმა. თუ მიჰყვანდა ბრწყინვალე მზე ვარსკვლავთა კრებულს.

## 33.

დაიძრა აზო იბერიისკენ... დიდი ლაშქარი: ქართნი რჩეულნი, მაკედონელთ ჯარი ნაწრთობი, ქართთა რაზმები. წინადაც ხომ მეგობრობდნენ იგინი ქართთა.

სწრაფად ვიდოდა. თუ უნდოდა გაეტეხა იბერია მედგარი დაკვრით. ვით გატეხა ისკანდარმა დიდი ირანი. მოადგა საზღვრებს. ეგონა, აქ დახედებოდა იბერთ ლაშქარი, დიდ ბრძოლაში წაპლეკდა მას. არ განმეორდა აზონისთვის გრანიკის ბრძოლა: ბრძოლის ველზედ არ დაჰხვდა მტერი. ხალხიც მთლიანად გაზიზნულიყო. ციხე-ქალაქნი გამტკიცებულნი. აქ ელოდნენ შემოსულ მტერს იბერიელნი.

აილო მცირე ციხეები, გააოხრა სანაპირონი. მაგრა იდგნენ დედა-ციხენი.. ალყით მოსალტა ეს სიმაგრენი. წამოვიდა უმათერესი ლაშქრით. იმედი ჰქონდა, აქათ მაინც შეხედებოდა იბერთა ჯარებს. არავეს დახვდა. დიდ ციხეთა სალტა მეორე. ვერ დაიპყრო ვერც სამშვილდე, ვერცა ხუნანი. დაანგრია მხოლოდ რუსთავეი. დაასვენა, ამ გზით შეჰხვეოდა იბერთ შუაგულს.

ჩაკეტლმა ბრძოლამ დრო წაართვა მტერს. შესძლეს იბერთა შექოჩება მთელის ლაშქრისა. ქანსა და არაგვს შუა დაჰკრეს ბანაკი. მებრძოლნი მრავლად მოსულიყვნენ იბერთ ტომის ყველა თემიდან. დაბრკოლებამ იჩინა თავი: მთავარსარდლად მოითხოვა ჯარმა ღვატავი.

— მათანა ვართ ბრძოლას ნაჩვევნი. მასთან ერთად გამარჯვება მიგვიძღვის წინ. ის გვიანდა სარდლად!

აუსრულეს სურვილი: ხმა საბრძოლად მზა ლაშქრისა, იგივე ხმა ღვთისა.

— ეგ ყველა აზრიანი და აუცილებელია, მაგრამ დიდი ცოდვა მიუძღვის ლაშქრის მფარველ თეთრი მხედრის წინა!

არ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ლაშქარი სხვა მხედართ-მთავარს არ ითვისებდა, არცა ჰყვანდათ მისი ბადალი. ცდის დრო არ იყო: წინ მოიწევდა ქვეყნის მტერი განძვინებული.

ხმა აიმაღლა ალბანთ მთავარმა:

— ღვაებაგმა მეტად განარისხა თეთრი მხედარი. ვმირს ~~არ~~ შეეძლო, სხვანაირად მოქცეულიყო: თეთრი ხატი შეუდარი მუშაობა/ თვით დაპვმობდა იგი ღვაებაგს, თუ თვით სატრფო განეწირა' სეშხეულ წუთში.

— დიდი ცოდვია ღვთის ნების დაშლა.

— მართალს წარიტყვი, მთავარბუცესო, მაგრამ... ცოდვის შენდობა ღმერთისათვის ბუნებრივია. იშუამდგომლე მის წინაშე, მიიღე მსხვერპლი.

— გთხოვთ, დეკანოზო! თუ იბერია დაიღუპება, ვილას უნდა მფარველობდნენ ხატნი ძლიერნი?! მკვდართ ველარა სცენ მათ თაყვანი, ვერც ემსახურნონ.

შესწირა მსხვერპლი, აქადაგდა. სთქვა ხატის ნება:

— მეახლოს მე მონა შემცოდე. ხალხის წინაშე მოინანოს თვისი დიდი ცოდვა. მახვილ ჰვრეგით განვსჭვრეტ იმის გულს! თუ...

— იყავნ ნება დიდი ხატისა!

დაიბარეს. წამოვიდა. ესწრაფებოდა. მოჰყვანდა თან თაყვისი გულთამზე. მოუხაროდა.

## 34.

გააგება ხალხი მომავალ რძალს. დიდებით შემოვიდნენ მცხეთაში. ნახა სამარმა შუქფე. გული გაეღო. მიულოცა შეილს, გადააკოცნა. მიჰმართა ქალს:

— კეთილი იყოს ფეხი შენი ჩემი კერისათვის, განუყოფელ იბერიის დიდი ოჯახისათვის. მშვენიერო, მოდი შენს სახლში!

უთვალავი ხალხი მოსჯროდა. დიდებულნი შეჰყვნენ დარბაზში. აქ უნდა დასრულებულიყო ქორწილის წესი: კერის მფარველ ხატისთვის უნდა წარედგინათ ქალი, დაელოცნათ, ჩაებარებინათ ოჯახი. ართეზანის მეუღლე ასრულებდა ამ წესს. მიიყვანა კერასთან შუქფე. სახლის ხუცესმა წარსთქვა ლოცვა, დაამწყალობლა. კერა დარბაზში, დედა ბოძის წინ. შეავედრა კერის მფარველ ხატს. შემოატარა კერის გარშაშო. დაამღერეს დარბაზში მყოფთ საგალობელი. მარჯვნივ კედელში თახჩა იყო დატანებული. ახადა ფარდა. გადმოიღო გამხმარი რტო წმინდა მუხისა. ზედ ეხვია ნაწნავები განსვენებული დიასახლისისა. სიწმიდის წინ მოიხარა კრებულმა თავი. შუქფემ მუხლი მოიდრიკა ნეშტის წინაშე. მიუთხრა რძალმა:

— ამ დიდ ოჯახს დიდებული დიასახლისი ჰყვანდა. დაიცვა მან კერა სიწმიდით, სამავალითოდ. ცოტა სიცოცხლე ჰქონებოდა მინიჭებული. გარდაიცვალა. დარჩა თვალი თავის ოჯახზედ. მას უხილავად სდარაჯობს ეხლაც. მისი აქ ყოფნის ნიშანია ეს მისი თმანი. შეჰხედავდე, იტყოდე



გულში: ვემზავსო იმას! მასავითვე ქმედი იყავ, სიკედიტ სკესე. იბერიის დიასახლისთ მაგალითად შენ ჰყევაბართ ეხლა!

მიიყვანა შუქვე ღვაყაგთან. ქალის ხელი ჩაუღდა ხელში.

— მემკვიდრე ხარ დიდის ოჯახისა. ვალად ვემყვინებ სახლი შენი ბოროტისაგან, იბერიაც თვის იმედებს 'მენხედ ამყარებს. იყავით ბედნიერ!..

— შეაბეროს!

— აბედნიეროს!

— სიცოცხლე მათი მრავალყამიერ!

დალოცვის ხმა თანისთანად მალღდებოდა, ფართოვდებოდა, ერთი ფენიდან სხვა ფენებზედ გადადიოდა.

— დიდი ზეიმი. გარდირია სიხარულით ხალხთა სიმრავლე. ჩვეულ იყვნენ დიდ სიხარულს იბერიელნი. მასთან წაბმულ დიდ სიმწარესაც. მათი ცხოვრების მძლავრ მდინარეს ჩასდევდა მარჯვნივ ყვავილნარით მორთული კიდე. მარცხნივ მოსდევდა სიმძიმისილს ძნელი ნაპირი, ბნელ-ბოროტით დაბურვილი ვესლის მჟონავი. მდინარე მაინც უტეხი ძალით მიიწევდა ნათელ არსისკენ, სად ბრწყინვალეებს ნათელი მზე, ამრავლებს კეთილს.

## 35.

იბრძოდა აზო იბერიაში. ვერ იმარჯვებდა ისე სწრაფად, ვით ისკანდარი. ლორეს ციხეს შეალია რამდენიმე კვირა. ჯერ მკვიდრად იდგნენ სამშვილდე და ციხე ხუნანი. იმას ისწრაფდა, გაეგლიჯა შუა გზაში ჩახორული რუსთავ-ქალაქი.

— ალყა არტყავს სამშვილდეს, ხუნანს. გაეგლიჯ რუსთავს, წავალ პირდაპირ.

— დაგვხდება წინ მღულარეთის ციხე-სიმაგრე. მის შესავალს ხატი სდარაჯობს ჯიმაღ ფრთიანი.

— ისკანდარის დროშა მიგვიძღვის. თან მოგვყვებიან მძლავრნი ღმერთნი მაკედონელთა... იბერთა ხატნი ვერ შესძლებენ ჩვენს დაბრკოლებას მოვიდა ლორეს დაცემის ამბავი. დიდად შეაღონა ამან იბერნი.

— თუ რუსთავმაც ვეღარ გაუძლო, უბრკოლველად მოადგება მცხეთის კარებსა.

— არ არის შიში: ჩვენი ჯარი ხელუხლებელია მოელის ბრძოლას.

— ღვაყავ ჩვენი მხნედ უძღვის ლაშქარს.

დააყენა საომარ ფეხზედ. ცალკე სპასპეტი დაუნიშნა თვითულ ჯგუფსა.

სურსათს, იარაღს შინჯავს, არვის ენდობა.

- ვიცი! ის კი არ ვიცი, რას აპირებს, რა გზას ადგის.
- ეგ არვინ იცის. ზოგი იტყვის, მდულარეთის ბოლოებში გადუქრის გზასო. სხვათა ჰგონიათ, წაევა სწრაფად, რუსთავეთანვე შეეწყობება.
- ღრმა ფიქრსა ფიქრობს. თვალთაგან გაქრა არ მდუნქამრედეს, არ იცოდნენ, სად იყო ან სად დადიოდა.
- მას მივანდებო ლაშქრობის ბედი, უნდა ვენდოთ ყველაფერში.
- და სანდოც არის!
- არა უშავს—რა: თავს ადგანან გამოცდილი მამა და ბიძა.
- თემთა უფროსნიც ყოველ ნაბიჯს ზომავენ მისსა.
- მოითხოვა ლევაგმა სამხედრო საბჭო. აუსრულეს. ამცნო:
- თითონ ვიყავი შტრის დასაზვერად. ბევრი ვნახე საკუთარი თვალით. სხვა ენათაგან გამიგონია. მძლავრია მტერი. გადმოლახავს რუსთავეის ციხეს, თავს დაგვაწყდება. ჩვენი ლაშქარი შედარებით უფრო მცირეა. იარაღი მათი სჯობია: ჯავშანში ზის უმრავლესობა.
- უიმედო ყოფილა ბრძოლა!
- არა! მაინც საშიშია. მდულარეთის ვიწროებში თუ გაეჩერდებით, საფრთხე მოგველის: ნავტიკებით გახდებიან მტკვარს, ზურგიტყერძო მოგვექცევიან; არც კრწანისია ჯარისათვის გამოუვალი.
- მაშ, კაცო?!
- შევებრძოლები ალგეთის მარცხნივ.
- გაშლილ ადგილსა?! ბევრნი ყოფილან და...
- გავსტებ უთუოდ! ყოველივე გამოთვლილი მაქვს. ლაშქარს დავაწყობ. თავიდანვე გამარჯვებას ჩვენკენ გადმოვზრი. მაგრამ...
- რა კიდევ?
- მოულოდნელი შემთხვევა აქვს ბრძოლას ათასი. უცილებია თავდარიგის ეხლავ დაქერა.
- სთქვი, რასა ჰფიქრობ?
- როგორ მოვიქცეთ?
- მოგახსენებთ, მისთვის გაგსარჯეთ: ისეთ ადგილას დაიკრძალოს საჭვეუნო განძი, არვინ იცოდეს.
- განა ეგრე საშიშიც არის?
- ყოველსახე შემთხვევისათვის. კვლავ მოგახსენებთ: მოვსპობ უცილოდ შტრის ლაშქრის ტალღებს!
- დაიკრძალოს საჭვეუნო განძი!
- ჩვენი ჯალაბნი მოამზადეთ მსწრაფლ გასახიზნად.
- ეგროსისაკენ;
- არა, მთებისკენ.
- კარგი!
- აწ მე მისმინეთ! — წარსთქვა სამარმა.

— ბრძანე, ბატონო!

— ციხე დაკეტილი იქნება ყოველი მხრიდან. მეცხოვრებ ჯარი განწყობილია საომრად. თუ გაჭირდა, სათავეში ჩვენ ჩაეხედებოდა და ართეზან.

— ეგრე, ბატონო!

## 36.

შეუდგნენ სამზადისს. ჩააბარეს. ჩააყოლეს მაფრაშებში ოქრო-ვერცხლი, განძეული. შეარჩიეს წვიმეგარი ცხენები. აირჩიეს სანდო ხალხი თან გასაყოლად. შეიძლებოდა გამგზავრება პირველსავე თქმაზედ. — ძნელი გამოდგა განძის დაკრძალვა. სამალავად აირჩიეს კლდის რამ გვირაბი. ხერული, შიგნით განრტოებული.

— შეუვალა, ვერვინ მიაგნებს იქ დაკრძალულ განძს.

— აზრადაც კი არვის მოუვა.

მარჯვედ იყო სამალავი მოწყობილი: თითონ ქვაბი არაფრით იქცევედა ყურადღებას. შიგნით იმით ირჩეოდა სხვა დარწმუნისაგან, რომ ჰქონდა მას გაგრძელება მიხვეულებში. აირჩიეს ერთი ნაპრალი.

გახსნეს ხაზინა. თვალი მოსჭრა ხვავად მდგარმა განძეულმა. ოქროს ზოდები. თეთრი ხვავებად. თვალ-მარგალიტები ვერცხლის ტაბკებით. გოპარ შეყრილი ავეჯი ფასდაუდები.

— არ შეიძლება ამ სიმდიდრის აქედან დაძვრა.

— ამ საუნჯის გადაზიდვას როგორ შევძლებთ?!

— ვალდებულნი ვართ: იბერიის ქონებაა ეს. მართალს კი იტყვი: ვერ შევიძლებთ საიდუმლოდ გადატანას ყოველივესი. გადავიტანოთ უძვირფასესი.

ესე მოიქცნენ. ახალ ადგილას გადაიტანეს ოქროს ზოდები, თვალ-მარგალიტი, ზოგიერთი ნივთიერი მეტად ძვირფასი. ბნელ რაიმე ხვეულში შეალაგეს; ხრეშით დაფარეს, ლოცვა რამ წარსთქვეს. დააკლეს ზედ შავი მამალი. გულაზებით ამოქოლეს გვირაბის კარი.

დადგა დრო ლაშქრის გასტუმრებისა. დაიძრა ჯარი, სულ ცხენოსანი.

— ცოდვა არ არის, ჩაიხოცნენ ეს ვაჟაკები!

— ჰაი, ჰაი რომ ცოდვა არის! მაგრამ უფრო ძნელი იქნება, თუ გვძლია მტერმა: ჩვენს ხალხს მთლად მოსპობს, მონა-მხველად დაირიგებს ნაშთს.

— ნუ ქნან ღმერთებმა!

— არ იზამენ, თუ მებრძოლნი სიცოცხლეს არ დაეიშურებთ.

— კელავ ბევრს წარმოშობს ამისთანებს ქვეყანა ჩვენი.

— მამულს შვილი მისთვის უხარის, გაჭირვებაში დატყუროს და მტლედ დაედგას.

გმირი ღვათაგ თავის ოჯახს გამოეთხოვა. გადაქოცნა მამა, ბიძა, ნათესაეები. შუქფე მოექლო. ვერ შეიმაგრა ქალმა, ვერ დაეცინა. მოსწყდა ვაჟაკი, მოახტა ცხენს. უჩინარ იქმნა. თუ დაეცაღდა, დასკარბებდა იმასაც ღელვა. შესაძლო იყო, ცრემლი ნამად მოსდებოდა მის ორბის თვალემს.

## 37.

მიეფარა მის თვალთაგან მცხეთა. აჰხდა მის გულს ყოვლი სიჩვილე-იჯდა რაშხედ მზე-უაბუკი, გაკაეებული. ბრძოლა და იყო მისი ფიქრი, გამარჯვება — მისი ნატვრა.

— წინ, ვაჟაკურად! უტებ ბრძოლისკენ!

შეაყენა თვისი ჰუნე ციშურის დასწვრივ. უბრძანა სარდლებს:

— მთავარი ურდო მტრისა სდგას ალგეთის შესართავებთან. საბრძოლველად ეხლავ დაეწყეთ, წადით! თუ დაგვდეთ მტერი, არ შეფერხდეთ, შეებრძოლენით. თუ არა და განაგრძეთ სვლა ნელის ნაბიჯით. იაღლუჯის კალთებს ახლოს შეგიერთდებით.

ჯარის ნაწილით მიჰმართა მარჯვნივ. შევიდა ტყეში. გაუჩინარდა. გადავლო მთა, გადაადგა კუმისის ტაფობს. მზვერავეებმა მოართვეს სიტყვა:

— მტრის ნაწილი დაწინაურდა. ტბის მახლობლად იქნებიან ეხლარისნი.

— დიდი ჯარია?

— ბევრი არ მოჩანს.

მოახსენეს სხვა მეთვალყურეთ:

— უმთავრესი ჯარი მტრისა ალგეთთანვეა. ირაზმებოდა წამოსასვლელად.

უთხრეს კვლავ სხვებმა:

— ჩვენი ჯარი წამოსცილდა კლდის დაბალ კალთას.

უამა ღვათაგ ასრულება სარდლებისაგან მისის ბრძანებისა. საბრძოლველად წამოვიდა რაზმით ტბისაკენ. ხევ-ხევ დიოდა წინ წამოსულ მტერთა ჯგუფებს გზა გადაუჭრა, ზურგით მოექცა.

იბერთ ძალას აქათ მზრიდან არ მოელოდნენ. ჰხედავდნენ მხოლოდ მათ პირდაპირ მომავალ რაზმებს, აპირობდნენ ხმლით მათთან მღერას. მოწინავენი მოეწყვდნენ აწ იბერთ ჯარს შუა. შეერთნენ. შებრუნდნენ. სცადეს, გაეპოთ ზურგით მოსულნი, შეერთებოდნენ მთავარ ურდოს.

სხვა სავალი არსაიდ ჰქონდათ: მარცხნივ მდინარე, მარჯვნივ კის ყურ-  
ნი, საფლობებით, ჭანჭობით საესე. ღვათაგმა მათ აღარ აცალა/ გაირეკა  
შეაჯგუფა, იბერთ დიდ ჯარს დაუახლოვა. სისხლის ეჭრეჭრეუტყვედ არ-  
ვის იჭერდნენ: ხოცდნენ უწყალოდ: გადათელეს მტრისაგან მტერთ-  
დნენ იბერნი ერთურთს. მთელის ლაშქრის სათავეში ჩადგა თვით ღვათაგ-  
მარალი შერჩათ ხელში გამარჯვებულთ. აღფრთოვანდა ხალხი ცხალიან.

- შესაძლო არის მთლად დავეყრდნოთ ჩვენ მთავარსარდალს.
- დიალაც!
- დიდებული მოხერხება გამოიჩინა;
- საფიქრო იყო, ზეციური ჩვენი შემწე შურს იძიებდა.
- ბოროტ განზრახვით არ შესცოდა ღვათაგმა ხატსა. აღზნებულმა  
შიჯნურობამ გაათავებდა. ტრფობა ცოდვად როდი არის ღიარებული.
- ბევრი შესწირეს. მსხვერპლმა გული თუ მოუღობო მრისხანე  
ხატსა.

## 38.

ულოდნელი იყო აზოსათვის ეს მარცხი და მეტად ძნელი. გაფითრდა  
კაცი. სიტყვა ველარ სთქვა: შეეკრა კრიჭა. ქარქაშიდან დაძრა ხანჯალი:  
თუ უნდოდა განეგმირა მთხრობლის გული. მიჰრიდა იმან. მოეცა ბოლოს  
სიტყვის თქმის ძალა.

— მომგვარეთ აქ ის რაზმთ სარდალი! მე გზის დაზვერვა დავაველე,  
ის...

- მკვდართა შორის ეიპოვეთ იგი.
- ღირსი იყო, მომკვდარიყო ჯალათის ხელით...
- ბრძანა ლაშქრის აჩქარება.
- ამოვიყრი მე შენს ჯავრს, იბერთ სარდალო! ვერ შეგარჩენ ჩემს  
დამარცხებას.

უთვალავ ჯარს მოუძღოდა, მოისწრაფოდა. მიდიოდა იბერთ ჯარით  
ნელის ნაბიჯით. არა ჩქარობდა ღვათაგ-ჭაბუკი: მისგან საომრად ნაფიქ-  
რი არე მასზედ უფრო ახლო იყო, სინამ აზონზედ. დაპირდაპირდნენ. შედ-  
ვნენ. დაწყვნენ. თვალით ზომავდნენ მტერნი ერთმანეთს. გააკვირდა  
ღვათაგ: მტრის ლაშქარი გაშლილ იყო. რამ განკუთვნილი წყობილება  
არ ეტყობოდა.

- თუ მსურთ სიმრავლით შეგვაძიმოს, ისე მოგვაშთოს.
- ბატონო ღვათაგ! მთელი მისი ლაშქარი მოდის. უკან მხოლოდ  
მარგი დარჩა. მონა-მსახურნი.

ერთი კიდეც გადაავლო თვალი თვის ლაშქარს. მიზი ვერა წაწვდი-  
ლიყო სოლისებურად. ნაპირებზე ჰოროლიაღნი. სადავე შითიონ ღვა-  
ყავი. მარცხნივ და მარჯვნივ მოშორებით მებრძოლენი მწკრი-  
ვებთა შორის ცალიერი ადგილნი სჩანდნენ: მხედარნი გრძელად შეუშ-  
ლიდა კინენტან მღერას.

გამოეყო მტრის მხრიდან მცირედი ჯგუფი. წამოდგა წინა იმდენივე მეო-  
მარი გამოჰყო ღვაყავ. დაწინაურდა.

— შე ვარ თვით აზო! მოიპოვე უცაბედი რამ გამარჯვება. მზევრავნი-  
სძლიე. შეგანანებ კანდიერებას!

— ღვაყავ გახლავარ! თუ შიშობდნენ შენნი მხედარნი: მეტად ბევრ-  
ნი წამოსულან გზის სასინჯავად. ბრძოლის ამბავი ვერ მოგართვა მათ-  
ვან ვერც ერთმა. ნუ იკვები. სისხლს ავიღებო: საქმემ ნათელ ჰყოს.

— გამოვედი პირისპირ ბრძოლად!

— წარმოვდეგი შენთან საომრად!

მიჰმართა მხედართ:

— შევლა არ მინდა. ზურგით კერძო შემინახეთ თავსდამველელ  
მტრისგან.

წარმოსდგა აზო. მძიმე კინენს \*) ათამაშებდა. წამოვიდა ღვაყავ კი-  
ნენ-მოწვდილი.

## 39.

შეიბნენ გმირნი. ვერ-რა აენეს ერთუროს კინენით. მიჰმართეს მშვილ-  
დებს. ორბის ფრთიან ისართა ფრენა. ივენეს ცოტა რამ: სისხლი დააჩნდათ.  
ხმალთა პრიალი. შეელეწნენ მათი დაშნანი ერთი მეორეს. მძიმე გურ-  
ზები. ქექის ხმა ლა მოისმოდა, ხანხან კივილი. დაელაღნენ ორთავეს  
მკლავნი. გაიყენა აზონმა რაში. გასტყორცნა გურზი. გადაავლო ღვაყავმა  
ლახტი. გაუჭროლეს ერთუროთ ჰუნენი და შეიჭიდნენ. შერკინება უმძლავ-  
რესი ბუმბერაზების. შესდულდებოდნენ თვისთა ტაიქთ რეალის მხედრები-

— კმარა! — სთქვა აზომ.

მოუშვა გრკალი.

— კმარა! — სთქვა ღვაყავ.

მოხსნა მკლავები.

ჰუნეები კვლავ გაიყენეს. ერთი ლა დარჩა.

რაშთა ჯახებით შეემურსა ერთი მეორეს. ეს არ იკადრეს.

\*) კინენი — საბრძოლველია ბუმბერაზთა, მსგავსი შუბის ტარისა

— არ შეგვშენის ცხენხეთქებით დაეასკენათ ბრძოლა!

გვაქვს ასპარეზი. გვიძს დიდი ომი.

ლაშქრებშივე დაბრუნდნენ გმირნი.

მცხეთას დაწერილებით იცოდნენ, ბრძოლის ველს დასტავად დასტავობდა: მანძილ-მანძილ ცხენნი ჰყვანდათ და მოამბენი. განუწყვეტლივ მიმოვიდოდნენ. ძალიან გაახარა სამარი და მთელი ხალხი პირველმა გამარჯვებამ. გაიგეს პირისპირ ბრძოლის ამბავი. შეაქვს ბუმბერაზნი. იტყოდა სამარ:

— აზო საუკეთესო მებრძოლია უძლეველის ისკანდარისა. ღვაქაგმა ბრძოლა გაუსწორა მას. საქებარია!

ხალხი ირეოდა სასახლეში. იქვე დაძრწოდა ვერაგი დეკანოზი აბდი-შუ თავისი კაცებით. შურის საძიებლად ემზადებოდა. ყურადღებას ქალს არავინ აქცევდა: თვალყური იყო მიპყრობილი ბრძოლის ველისკენ. დიადი ომი დაწყებულყო. სახახლიდან ზმა განწირული. გაეშურნენ. საშინელება: ქალი შექტვე განგმირული თვის ვალიაკში. დაჰსობოდა ლახვარი გვერდსა, გული გაეპო...

შეიჭრა ღვაქაგ მტრის ლაშქარში. მიაპობდა, წინ მიდიოდა. მტრის ლაშქარი შეეცადა ზურგით კერძო შეეკრა რკალი. ვერ მოიმწყყედია: ვუნდნი რომ იღგნენ იბერთ უკან მარჯვნივ და მარცხნივ, მათ შეაყენეს მტრის კალთები, არ მისცეს ნება შეერთებისა. წინ იწევდა ღვაქაგ თვის ჯარით.

— დახეთ ჩვენს ღვაქაგს! გააპო უკვე მტრის ლაშქარი, დააზარალა.

— კიდევ ცოტა და ეს ბრძოლაც...

— დასჭრეს ღვაქაგი!

— ჩამოაგდეს, მოჰკლეს ღვაქაგი!

დაჰსობია გვერდს ლახვარი, გულს განსწონია.

1928 წ. დეკემბრის 11

ვლადიმერ მაიაკოვსკი.

## კ ა რ გ ი ა

ნაწევები კომედიან

მე თითქმის მოვასწარ  
ამ შიშის  
მორება,  
სიკოცხლე  
კარგია,  
კარგია ცხოვრება.  
ჩვენს დროს კი,  
ცეცხლიანს,  
დღენი რომ დღეს სცელიან  
სულ უკეთესია.  
ქუჩა იკლავება,  
ვით გველი  
ბასრი,  
დამდგარან სახლები  
ამ გველის გასწვრივ,  
ეს ქუჩა  
ჩემია,  
ეს მე დამრჩენია,  
ეს სახლიც  
ჩემია.  
ფანჯრები  
გასწია,  
გაჩნდა — მაღაზია,  
ფანჯრებში ხორავი  
და ხილი აწყვია.  
ახალი ამბები  
მოაქვთ და  
არ ქრება,



კრიალბეს ლამპები:  
 „ფასების დაკლება!“  
 ფრთები  
 როგორ ასწია  
 ჩემმა კოოპერაციამ,  
 ბარაქაა

და ფულია, —  
 რა დიდებულია!  
 გახედავთ მრავალგან  
 წიგნის ვიტრინაში  
 და ჩემი გვარიც ჩანს  
 პოეტურ რუბრიკით, —  
 მეც საქმე  
 ვაკეთე  
 ამ ქვეყნის წინაშე,  
 ეს ჩემი ნაშრომიც  
 არის რესპუბლიკის.

აღვა მტვერი  
 თამაშით,  
 ფრიალით და  
 ანთებით,  
 სხედან  
 ჩემს მანქანაში

ჩემი  
 დეპუტატები.

ჩემს  
 წითელ შენობაში  
 ფხიზელ კრებას  
 ნუ დაშლით,  
 იყოს  
 წმინდა ყოველთვის  
 ეს ჩემი მოსსოვეტიც.

წითელი სახე,  
 დამბაჩა,  
 არც ძველი, —

მე ეს  
 მილიცია  
 კარგი მყავს  
 დამცველი.



კვერთხით  
 მარჯვნივ ანიშნებს  
 და მარჯვნივ უვლიან,  
 მეც მარჯვნივ წავალ —  
 რა დიდებულია!  
 თავზემოდ  
 დამყურებს  
 ცა — ლურჯათ ნაქარგი,  
 ახლა რა კარგია  
 შეხედეთ,  
 რა კარგი!  
 გასჭრეს  
 ზეცის უბენი  
 მფრინავებმა — ღრუბელი.  
 ეს მფრინავეები  
 ჩემია,  
 ჩემს დასაცავად  
 შეგულვის,  
 გიყვარდეს,  
 დასცხონ ომის დროს  
 მტერს,  
 შენგან მოწონებული!  
 გაზეთს ნახავენ,  
 იქნება  
 აღფრთოვანება ხალხური,  
 — ყოჩაღ ბიჭებო,  
 ბურჟუებს  
 მისცხეს უკნიდან  
 პანღური.  
 სწვავენ სასამართლოებს,  
 ეს კარგია,  
 მართლაც!  
 იწვის ცეცხლში  
 ქალღმერთები,  
 აღარ რჩება სრულიად,  
 პროკურორი ძაგძაგებს,  
 რა დიდებულია!  
 მოწინავეში  
 მუქარა  
 და ფაფხურობა სწერია.



იშუქრებიან?

დაიღრწონ,

შშენიერია!

ჩემს თვალწინ

დაუზარები

შიღიან

ჯარები

დაფდაფის ხმაური

გაისჴის ახლა,

ფეხი აქვთ

მაგარი

და თავი

მალლა.

გულს ქვემეხი

მიამებს,

შოაქვთ

ვარსკვლავიანებს,

ფეხის ტაქტი

აფაწყე.

როგორც

მარშებს მღერიან,

თქვენი

მტერი,

ორგული,

იგივე

ჩემი

მტერია!

მოდერებიან?

აცალეთ,

ვაქციოთ

ვით ნაცარი.

საკვამლე მიღები

აღმართე,

დაზოვე

თვითონ ჰაერიც,

კარგად მუშაობს

ეს ჩემი

ქარხნები

ნაირ-ნაირი.



იელვეთ  
 თქვენ, ჩემო დაზგებო,  
 არასდროს  
 არ შესდგეთ როგორმე,  
 სულ შეტი  
 ახალი საკაბე —  
 ჩემს კომკავშირელ  
 გოგონებს!  
 ნიაფი ფრთას შლის  
 მეზობლის ბალში, —  
 ეს ყვავილების  
 სულია,  
 რა დიდებულია!  
 ქალაქ-გარედ —  
 მინდვრები,  
 სოფლები ბევრი,  
 სოფლებში —  
 გლეხები,  
 ცოცხების წვერით  
 ზის და  
 ბევრი ბაბუა  
 ეშმაკობას  
 იგონებს  
 მიწას მოხნავს  
 აღრიან,  
 დასწერს  
 ლექსის სტრიქონებს.  
 შრომათ გადის  
 ხუტორებში  
 დილით გლეხი  
 ურმებით,  
 ითვისება  
 იმკება,  
 ცხვება ჩემთვის  
 პურები.  
 ძროხებს წველენ,  
 ველს ხნავენ  
 თევზს იჭერენ  
 ათასებს,



რესპუბლიკა მაგრდება  
ჩემი ქვეყნის  
კალთაზე  
სხვა ქვეყნებს  
ას-ასი  
წლის აქვს  
ისტორია,

ჩემი მხარე  
ნორჩია;  
შეკქმენ,  
სინჯე,  
სწორია!

სიხარულის ნაწილს,  
თუ გსურს,  
მოგცემ,  
არ მეძნელება!  
რა ლამაზი  
ცხოვრებაა  
და რა საკვირველება!

ასი წელი  
სიცოცხლისთვის  
გქონდეს,  
იანგარიშე,  
იცხოვრე და  
იზარდე  
მოხოცობის გარეშე.  
იზარდოს  
წლიდან წლებამდე  
ჩვენი

მხნეობა მგზნებადი.  
ლექსო და ჩაქუჩო,  
ფიცით  
ეს ყრმობა ადიდეთ  
მიწის!

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ.



ჰაინრიხ ჰაინე

## ღირიკუდი ინგერგესო

### I

დადგა მაისი, თვე მომზიბვლელი,  
და ყვავილებით მოჰქარგა მიწა.  
გულში სიამემ გაშალა ფრთები  
და სიყვარულმა გამოიღვიძა.

თვე მომზიბვლელი დადგა მაისი,  
ისმის ფრინველთა გალობა ნელი,  
მე ჩემს საყვარელს გამოვუცხადე  
ჩემი ნატვრა და სურვილი მწველი!

### 2

ჩემი ცრემლები, რაც მიფრქვევია,  
ნორჩ ყვავილებად გადიქცევია.

და ჩემი კენესა, დამწველი გულის,  
იქნება ჰანგი ნაზი ბულბულის.

თუ შემიყვარებ, გოგონა-ნაზო,  
მე ამ ყვავილებს გიძღვნი, ძვირფასო;

და ფანჯარასთან ყოველ საამოს,  
გიმღერს ბულბული ჰანგებს საამოს.

### 3

ზამბახი, ვარდი, ნაზი მტრედი, მზე დიდებული  
მიყვარდენ წინათ, ვიყავ მათგან გატაცებული

ახლა არ მიყვარს აღარც ერთი... დღეს მიყვარს გულით  
პატარა-ნორჩი და ფაქიზი კობტა ასული.

ის სიყვარულის, აღტაცების ყველა სახეა;  
იგი ვარდია, ზამბახია, მტრედია, მზეა!



ერკონის  
ბიბლიოთეკა

## 4

შენი თვალის ცქერა, ნაზო,  
ტკივილს მიკლავს და მიყურებს.  
და მაშინვე ვგანსაღლები  
როს გიჟოცნი ვნებით ტუჩებს.

როს გეყრდნობი მკერდზე გრძნობით,  
ნეტარება გულს მიხარებს,  
როცა მეტყვი მიყვარხარო,  
მსურს ვიტყვო მაშინ მწარედ.

## 5

შენი მზიბლავი, ლამაზი სახე  
დიდიხანია სიზმარში ვნახე.  
მოკრძალებული, ღეთაების მსგავსი,  
ის ფერმკრთალია, ტკივილით სავსე.

მხოლოდ ტუჩები მიგიგავს ლალებს,  
მაგრამ სიკვდილი გიპოვის მალე  
და ჩაგიჭრება ცეცხლი ციური,  
რითაც ვიელავს თვალი ღეთიური!

## 7

თეთრ ზამბახის ყელში მინდა  
ამოვავლო სული ჩემი,  
და ზამბახი სიყვარულზე  
ჰანგებს მიმღერს, სავსეს კდემით.

და სიმღერა ათრთოლდება  
როგორც კოცნა, ვნების მგვრელი,  
მან რომ მიძღვნა იმ ტკბილ წუთში,  
საუცხოვო, სანატრელი.

## 8

ვარსკვლავები ათასწლობით  
უმოდროდ დგანან ცაზე  
და ერთმანეთს უცქერიან  
სიყვარულის სევდით სავსე.

მათი ენა — სასაუბრო  
მდიდარია, მშვენიერი,  
მას ვერასდროს ვერ გაიგებს  
ფილოლოგი — მეცნიერი.

მე კი კარგად შევისწავლე,  
გულშიაც ღრმად ჩავიმარხე.  
და მიმაჩნდა გრამატიკად  
მომხიბვლელი სატრფოს სახე!

## 9.

წორს გაგაქროლებ სიმღერის ფრთებით,  
შენდამი ტრფობით სავსე მაქვს გული.  
იქ აჭაფებულ განგის ველებთან  
ვიცი ადგილი კობტად შემკული.

აქ მომხიბვლელი ღეთისმშობლის ირგვლივ,  
ანგელოზები დაფრენენ წყნარად.  
მათი თვლები, ლაწვები, ბაგე  
მე მაგონებენ ჩემს სატრფოს მარად.

## 12

შენ არ გიყვარვარ, შენ არ გიყვარვარ,  
მაგრამ ეს მე მგვრის სულ მცირე სევდას,  
გიცქერი ეშხით ლამაზ სახეში  
და მიხარია მეფეზე მეტად.

შენ გძულვარ კიდევ, ეს მეტყველება  
შენმა მწველ ბაგემ მე გამაგონა,  
მიძღვენი კონა ამ ბაგეებით,  
ის მანუგეშებს, ჩემო გოგონა.





## 13

ნუ შეფიცები, მაკოცე მწველად,  
ქალებს ფიცი მე არა მჯერა!



ტბილი გაქვს სიტყვა, სიამის მფენი,  
მაგრამ უტკბესი კოცნაა შენი.

მე მჯერა კოცნის, ის ჩემი არის,  
სიტყვა ორთქლია, ჰაერი, ქარი!

ო, შემომფიცე, მომაპყარ მწერა,  
ახლა მე შენი სიტყვაც კი მჯერა.

როდესაც მკერდზე გვერდნობი ვნებით,  
მაშინ აღსავსე ვარ ნეტარებით.

ვიცი, ძვირფასო, ვიყვარვარ გულით,  
დიდხანს იცოცხლებს ეგ სიყვარული!

## 16

სატრფოვ, მითხარი — შენ ხომ არა ხარ  
თვით მოჩვენება ჯერ არ ნახული,  
ზაფხულის დღეში პოეტის მიერ  
მწველი ოცნებით გამოსახული?

მაგრამ არ მჯერა, ამნაირ სახეს,  
თვალეებს, ანთებულს ჯადოსნურ ალად —  
ვერასდროს შექმნის პოეტი, ვერა,  
აღემატება ეგ იმის ძალას.

ბაზილისკებს და ვამპირებს ძლიერს,  
ზღაპრულ მხეცებს და შხამიან გველებს,  
ადვილადა ჰქმნის პოეტის სული,  
სული, რომელშიც ცეცხლი შეტყველებს.

მაგრამ შენს სახეს, სათნოს და ცბიერს,  
მომხიბვლელ შექით ხშირად რომ ელავს,  
პოეტი — რა — რიგ ბევრი ეცადოს —  
ამგვარს ვერასდროს ვერ შექმნის, ვერა!

17

ტალღათ ქაფისგან შობილს ჩემს სატრფოს  
 მშვენიერებით არა ჰყავს ტოლი,  
 როგორც ასული ტურფა, რჩეული,  
 ის უცხო ვაჟის გახდება ცოლი.



ო, გულო ჩემო, ბევრის მომთმენო,  
 ნულარ აგანთებს გრძნობები მტრული,  
 კვალად გამხნეედი და მოლაღატეს  
 შეუნდე მძიმე დანაშაული.

18

არ ვიწყრები, თუმც ტკივილით სავსე არის გული,  
 დაკარგულო სიყვარულო, მე არ ვდარდობ, არა,  
 მარგალიტით კვლავ ანათებ წარმტაცად შემკული,  
 მაგრამ შენს გულს სხივჩამჭრალი უკუნეთი ფარავს.

მე ეს ვიცი, მე სიზმარი ვნახე საშინელი:  
 ღამე აწვა უდაბური შენს მკერდს შალალ ქედად,  
 და ვიბილე გულზე გკბენდა შხამიანი გველი —  
 და ვიგრძენი, საყვარელო, საბრალო ხარ მეტად!

19

ღიან, შენა ხარ შესაბრალო და მე არ ვწყრები,  
 ჩვენ საბრალონი უნდა დავრჩეთ, ჩემო ტრფიალო!  
 ვიდრე სიკვდილის ამბორებით სულ არ გავქრებით,  
 ჩვენ საბრალონი უნდა ვიყვნეთ, ჩემო ტრფიალო!

ვხედავ — დაცინვა გითამაშებს ტუჩებზე მკვეთრი,  
 შენი თვალები წყვეის ცეცხლით არიან სავსე  
 და ზვიადობის ჟრუანტელით გიტოკავს მკერდი,  
 მაინც ჩემსავით საბრალო ხარ, ჩემო ძვირფასო!

ტუჩებს გითრთოლებს უჩინარი ტკივილის დადი,  
 ფარული ცრემლით გიბნელდება თვალთა ციალი,  
 მძიმე ჭრილობებს გაუბზარავს მკერდი ამაყი,  
 ჩვენ საბრალონი უნდა ვიყვნეთ, ჩემო ტრფიალო!



შენ დამივიწყე სამუდამოდ, საესებით, მკერავს ნუღი  
 მე შენი გულის დიდხანს ვიყავ მეფე-მეფე-მეფე-მეფე-მეფე-მეფე  
 მეტად პაწია, ტკბილი გულის, რომლისაც ძვერა  
 არის მარტოდენ ცბიერება განუზომელი.

შენ დამივიწყე სიყვარული და ტანჯვა მწველი,  
 გულზე რომ მაწვა, როგორც ლოდი მძიმე, საზარი,  
 არ ვიცი მათში უფრო დიდი იყო რომელი,  
 ეს ვიცი მხოლოდ—ორნივე იყო უზარმაზარი!


მითხარ, რად არის ჭორთა ვარდები  
 გაფითრებული და მეტად მკრთალი  
 ან ბალახებში რად მდუმარებენ  
 ლურჯი იანი სევდით მზირალნი?

მითხარ, რად არის ტოროლას მღერა  
 აგრე მწუხარე ჰანგით ნაოსი  
 და რატომ ასდით ლამაზ ყვავილებს  
 სუნი გვამის და სასაფლაოსი?

მდელოს სხივებით მზე რად არ ანთებს,  
 ელვარე ცეცხლით რატომ არ ღვივის?  
 რად არის მიწა რუხი და ბნელი,  
 სამარესავით ველური, ცივი?

თვითონ რატომ ვარ მე ასე ავად,  
 რად ვარ მწუხარე, მითხარი ნაზო?  
 ო, მიპასუხე გულის საუნჯევე,  
 რად მიმატოვე, ჩემო ძვირფასო?

დიდხანს იყო დედამიწა უნაყოფო, მწირი,  
 მაგრამ დადგა მაისი და უხვი გახდა მყისვე.  
 სიხარულით ყველაფერი ზეიმობს, იცინის,  
 მე კი ღიმი აღარ მანთებს და არც სიხალისე.

ყვავილები საამუროდ შრიალებენ, თრთიან,  
 და ჩიტებმა საუბარი ზღაპრულ ენით იწყეს,  
 მე საამო საუბარიც აღარ შემძლია,  ერკონესული  
 ყველაფერი ჩემში მხოლოდ უცნაურ ზეზღს იწვევს.

ადამიანების ხილვა გულს მიღონებს მეტად,  
 მეგობრებსაც აღარ ძალუძთ გამიჭარვონ სევდა,  
 ეს მიტომ, რომ, მშვენიერო, ჭმრიანი ხარ, ვხედავ,  
 ჩემო ტკბილო საყვარელო, საამურო მზისებრ.

## 29

როს მერყეობის საბურველი მფარავდა მკრთალი,  
 ვეხეტებოდი უცხო მხარეს ოცნებით მთვრალი —  
 მოსწყინდა სატრფოს ლოდინი და ფიქრები ნაზი,  
 და შეიკერა საქორწინო კაბა ლამაზი.  
 და ვით საცოლემ გაუწოდა ძვირფასი ხელი —  
 ჭაბუკი ჰპოვა როს საქმაროდ, მეტად სულელი.

ახ, ჩემი სატრფო, ნაზი არის და მშვენიერი,  
 თვალწინ მიდგია მისი ტკბილი სახის იერი.  
 იისთვალეზას უელვარებს ლოყა ვარდივით,  
 ის მუდამ ჰყვავის ანთებული სიცოცხლის სხივით.  
 ასეთი ქალი მივატოვე და მისგან წაველ,  
 რა სისულელე ჩავიდინე ახლა ვგრძნობ მწვავედ!

## 30

თვალნი მსგავსია ცისფერი იის,  
 ლოყები წითელ ვარდივით ღვივის.  
 ხელები არის თეთრი სუმბული.  
 მარადღეამს ჰყვავის სიცოცხლის სხივით.  
 მხოლოდ დამჰქნარა პატარა გული.

## 31

ბუნება არის მშვენიერი და ზეცა ლურჯი,  
 თბილი ნიაფი ნაზად დაჰფრენს — სათუთი, წყნარი.  
 ყვავილებს თავი დაუბრიათ მწვანე მდელოზე  
 და ციმციმებენ შემკობილი ცქრიალა ცვარით.

ყველა ზეიმობს, მისცემია სიამის თრთოლას,  
 მე მათთან ყოფნას კი ვარჩევდი საფლავში წოლას,  
 დამაამებდა იქ ალერსი საყვარლის-მკვდარისა.

## 32

ო, საყვარელო, ტკბილო და ნაზო,  
 გადაგეთარა სამარე ბნელი,  
 მეც შენთან მინდა ყოფნა, ძვირფასო,  
 რომ არ მოგაკლო ალერსი მწველი,

გრძნობით დავკოცნი, მივიკრავ გულზე  
 შენს გაცივებულს, უსულო სახეს,  
 გადავიქცევი მე თვითონ გვამად,  
 ატირებული და მოცახცახე.

შულამის ეამს დგებიან მკვდრები,  
 იწუება მათი ცეკვა გრძნეული,  
 ჩვენ კი უძრავად ვართ სამარეში,  
 მე ვწევარ შენთან მკერდს ჩახვეული.

დგებიან მკვდრები, როს დღე განკითხვის  
 წამებისათვის მათ მოუწოდებს,  
 ჩვენ განვისვენებთ საფლავში მშვიდად  
 და მწუხარება გულს არ გვიშფოთებს!

თარგმანი გერმანულიდან  
 ხარიტონ ვარდოშვილისა.

# ინგლისური პოეზიიდან

უილიამ შექსპირი

(XVII სუკუნე)

სონეტი CXXX



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მზის შესადარი ჩემს ქალბატონს არა აქვს მზერა:  
მეწამულ მარჯანს ვერ დავარქმევ მის ფერმკრთალ ბაგეს;  
თოვლის სითეთრე მისი მკერდის არ არის ფერად;  
თმებს ვუწოდებდი მავთულეების მსგავსებად ნაგებს.

სისხლისფერი და თეთრი ვარდი მინახავს ბევრი,  
მაგრამ მის ღაწვზე არ მინახავს არც ერთი ჯერაც;  
და სურნელებაც მას შევბნელი ნაწინავთა ტვერის  
უარესი აქვს, ვირდე კეთილ საკმეველს, მჯერა.

მე მიყვარის მისი ლაპარაკი, თუმცა კი ვიცი,  
რომ არ სჯობია ოსტატურად დაკრულ ჭიანურს.  
როცა ის მიდის, მე არ ძალმიძს ნაბიჯი მისი

ვინმე ქალღმერთის შევადარო ღვთიურ სიარულს.  
შედარებათა როგორც უნდა გავზარდო რიგი,  
მაინც ყველაფერს მირჩევნა მე ქვეყნად იგი.

უილიამ ღაქმონდ

(XVII ს.)

ნუ ზჯარა დროის

შებნდე ყვავილს: საყვარელი ზაფხულის დღეთა  
ის ჭკნება. ერთ დროს კი რიერაჟიც აძლედა სალამს,  
დაშრა სიცოცხლე. რა აღუდგეს სიკვდილის ძალას?  
რაც ზევით მიდის, ის მით უფრო იხრება მეტად.

ჩემი ცხოვრებაც ასეთია. სად არის ნეტავ  
ბედნიერება ძველი? მისი ყვავილიც კვალად  
დასჭკნა იმიტომ, ასე სავსედ რომ გაიშალა.  
აღარ მჭირდება მოგონებაც, თვითონვე ვხედავ.

ხანდახან მლოცველს დაეწევა საათი ღამის,  
გზის ასარევად ჩამოდგება უკუნი ბნელი,  
სულთ, სამშობლო მოიგონე ყოველი წამით.  
გზა ცოტა დაგრჩა. სიმძიმელზე აიღე ხელი.  
დილა შორს არი. შეღამებამ თავს დაგვიარა,  
რიერაჟიც მოვა, მოვა, მაგრამ ჩვენთვის კი არა.

**თომას ზაიი**

(XVIII ს.)

მოპირდაპირე სარკმელში წყნარად  
დაჯდა საღამო ღრუბლების რხევით.  
ნელი სიმღერა აქ ისმის მარად  
და იკარგება ხეივნებს ქვევით.

აღარ სუნთქავენ შტოები ხეთა.  
ძილით დამძიმდნენ ღამის თვალები.  
და მიგზნობს გული, თუმც ვერა ვხედავ,  
რომ სადღაც ახლოს შენ იმალები.

**ჯეიმს ტომსონი**

(XVIII ს.)

**ჯჰარის წარა ბინამის ტაძარში**

ამოვიარეთ აღმართი გრძელი,  
ტვერი შზიანი კოშკების გარე,  
წინ ლეგენდების სიციცხლე ვრცელი  
და უკან დაგვრჩა მიმქრალი მხარე

ნელი ნაბიჯით ავყვეით აღმართს  
და როცა გაღმა გამოჩნდა იგი,  
ავყავებულმა ადამის ბაღმა  
შეიშრიალა ხეობის იქით.

ვით მეომრები თავზე ჩაჩქანით,  
როგორც მლოცველნი ქულების მოხდით,  
შევკრთით, ნაბიჯი ვერ ავაჩქარეთ  
და ათას ექვსას ოც წელში მოვხვდით.

შევედით შიგნით და შემკრთალებმა  
ცის მყუდროებას დაეუფდეთ ყური.  
გადმოიხედეს უფლის თვალებმა  
და ყრუდ ატირდა ეზოში პური.

მოხუცი თეთრი. ხილვის ნალველი.  
მიტოვებული ღვთიური სახლი.  
ხელი პირჯვარის გამომსახველი  
ჩვენს შესახვედრად აღიპყრო მაღლით.

განადგურებულთ, ულოდნელ სტუმრებს  
ცნობიერება მიგველო შორი;  
გულში დუმილი სახლობდა თურმე  
და სველ საკანში მთხუცი ორი.



მაგრამ შუადღით, როდესაც დილაც  
ისე შორია, ვით მწუხრის ეამი,  
ჩვენ დავპატივეთ მოხუცი ფრთხილად  
და ორის ნაცვლად მოვიდა სამი.



მესამეს მძიმე აბჯარი ეცვა,  
არ სვამდა ღვინოს, იჯდა მდუმარედ,  
იმ მხარეების ბებერი ზეცა  
მისი თვალების იყო სტუმარი.

და როცა ვცანით, გაჭრემდით ყველა.  
მხოლოდ მე ერთი, ყბედი მორბედი,  
ლაშქრით და რჩევით ვითხოვედი შველას.  
და ამბოხებას ძველ საორბეთის.

და მწუხარებდნენ დიდი ცაცხვები  
მათზე, ვინც მათებრს ველარ დარგავდა.  
გარს დაფრქვეული სანთელ-საკმელი.  
სველ საკანთ შორის გზას არ კარგავდა.

მოხუცნიც სვამდნენ. მათ თუჯის ხმაში  
იყო აბჯრების ყრიალი მძიმე,  
ის ხმა გვაძლევდა მტრებისთვის საშიშს  
და მოყვარეთა საყვარელ იმედს.

შენ გვერდით მიჯექ, ვით უცხო სასძლო  
იმ ტყეებიდან მოსული ქალი,  
შენმა წარმართმა ვერც გულმა გასძლო,  
როდესაც ტაძრის შეიღო კარი.

წარვსდევით მის წინ ჩვენ ჯვარის წერად  
შენ — თეთრი მთვარე, მე — ზეცა ბნელი,  
ჩემს ხრმალს დაეცა მოხუცის მწერა  
და ჯვარს მოეჭლო მეორე ხელი.

ხრმლები ჩვენ თავზე ჯვარებად დადგენ,  
ბედითი ფიცი შენც დაგავალეს,  
და ციდან რეკა გვეძახდა მათკენ  
ძველთა შეთქმულთა შთამომავალებს.



## ჯონ კიტს

(XIX ს.)

სონეტი მამლაკ საათს



შენი ისრები ცაზე ბევრჯერ გამოისახენ  
როცა ტყეები შრიალებდნენ შტოთა გოდებით.

შენი ისრები მაბრუნებდნენ წარსულისაკენ  
და შელამების ბინდში გზისკენ მომიწოდებდნენ.

მაგრამ როდესაც გაირინდა დეკემბრის ღამე  
და შენ აჩვენე დასასრული მთელი წარსულის —

მე შეგობართა შურისგების დავლიე შხამი  
და, როგორც ზავი, მომევლინა თეთრი ასული.

მისი შემკრთალი და უმანკო თვალები თრთოდნენ,  
გარედ, კიბეზე წყნარად იღვა ახალი წელი.

შენ არ შეჩერდი. გრილი გული გიცემდა ოდენ.  
ჩვენს მაღალ სართულს მძაფრად სცემდა გრიგალი მწველი.

და მე მოგკალი, რადგან რკინამ უეცრად იგრძენ  
ბედნიერების მოკლე წამთა დათვლილი სიგრძე.

## როსსმობი

(XIX ს.)

ზღვის პირად

ზღვა დაბურული ღრუბლის ნაჭრებით

ჩემი მუჭარით ხმაურობს მარცხნით

მოსულნი შფოთით და გამძაფრებით

წვიმით დახურულ ზღვის პირად დაცხრით.

და ესხედვართ ჩემად. გზა, ვით ცხოვრება,

ნაწვიმარია და ზღვის პირს მისდევს:

შორს მთა გამდგარა და ითოვლება.

შენ დაყრდნობიხარ მაგიდის კიდეს.

მე კი ვიგონებ ჩრდილოეთს მოვლილს

და მდინარეში ჩავარდნილ ზეცას,

სადაც ოცნებად მოსჩანდი შენცა,

ეს ფიქვნარებიც და იმ მთის თოვლიც.

ის ქარი ჩადგა. დაბნელდნენ, ევა,

სასახლეების უქმი სვეტები.

ახლა მე და შენ ზღვის პირად ვდგევართ

და სველი მზერით შიგ ვიხედებით.

ლექსები თარგმნა ინგლისურით

გივი გაჩეჩილაძემ.



საქართველოს  
წიგნისწამბის  
კავშირისთვის

ლევან ასათიანი

## აკაკი წერეთლის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას უდიდესი მრავალფეროვნება ახასიათებდა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე აკაკიმ წარუშლელი კვალი დააჩნია საქართველოს მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და გონებრივი მოძრაობის ყველა მნიშვნელოვან სფეროს. თავისი აზროვნებით, მხატვრული შემოქმედებით და პრაქტიკული საქმიანობით მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლების, მისი საზოგადოებრივი თვითშეგნების გაღვივებისა და კულტურული აღორძინების საქმეში.

არ დარჩენილა არც ერთი ფაქტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არც ერთი პოლიტიკური ან კულტურული მოვლენა, რომელზედაც აკაკის არ გაეცეს პასუხი, არ გამოხმაურებოდეს სიტყვით და კალმით, არ გამოეთქვას თავისი ავტორიტეტული მოსაზრება. როგორც მწერალი და საზოგადოებრივი მოღვაწე, აკაკი ორგანიულად იყო დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან. იგი ღრმად იცნობდა ჩვენი ხალხის ისტორიულ და თანადროულ ვითარებას, მის ჭირვარაშს, ადათ-ჩვეულებებს, ენასა და ხასიათს. ამ გარემოებამ აკაკის საშუალება მისცა მჭიდროდ მისულიყო ხალხის გულთან, მის სულიერ ტკივილებთან და მისწრაფებებთან. მან შესძლო თავის შემოქმედებაში ხალხის გულისინადების გამოხატვა, მისი გრძნობებისა და ნააზრვეის გამოვლინება, მისი სევდისა და მომავლის იმედების გამომზეურება.

ამაშია აკაკის, როგორც შემომქმედი პიროვნების, სიდიადე, ამით აიხსნება ის განუზომელი სიყვარული, რომელიც მან მოიპოვა ჩვენი ხალხის გულში. ამით იყო გამოწვეული ის დიდი დაფასებაც, რომელიც მან მიიღო ჯერ კიდევ სიცოცხლეში ჩვენი ხალხის საუკეთესო და მოწინავე წარმომადგენლებისაგან. ილია ჭავჭავაძე მას „ჩვენი ქვეყნის რჩეულს“ უწოდებდა. ცნობილია ილიას წერილი, 1886 წელს მიწერილი აკაკისადმი, სადაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და პოეტური სიტყვის ბუმბერაზი ასეთი სიტყვებით მიმართავდა პოეტს: „მოვალეობამ მამულის-შვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთ-

10. მნათობი № 4

რებული წერილი მიმერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა... უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება... მაინც და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა მსგავსად შეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამაფასებელი შენის წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები”<sup>1</sup>.

ასე სწერდა ილია ჭავჭავაძე. ასეთივე იყო აზრი იმ დროის მოწინავე ქართველი მწერლებისა და მოღვაწეებისა აკაკი წერეთელზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იყო 80-იანი წლები გასული საუკუნისა. ამ დროს აკაკის უდიდესი სახელი და პოპულარობა უმთავრესად დამყარებული იყო მის ლირიკულ და ეპიურ პოეზიაზე. ამ დროს აკაკის ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი თავისი მხატვრული პროზის ისეთი შედეგები, როგორც არის მისი „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“. ეს ნაწარმოებები დაიწერა გაცილებით გვიან, 90-იან წლებში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობა იმ ხანებში მარტო პოეტური შემოქმედებით არ ამოიწურებოდა. ჯერ კიდევ „მამებისა და შვილების“ ისტორიული შეჯახების პერიოდში, თერგდალეულთა ამ „ქარიშხლისა და იერიშის“ დაუვიწყარ ეპოქაში, აკაკიმ საკმაოდ იჩინა თავი, როგორც გესლიანი ფელეტონების უდიდესმა ოსტატმა. მისი ფელეტონები გაზეთ „დროებაში“, თავისი ყოველდღიური დანიშნულებისა და პუბლიცისტური ხასიათის მიუხედავად, ყოველთვის ატარებდნენ უდიდესი მხატვრული შემოქმედების ელფერს. აკაკის ფელეტონების უმეტესი ნაწილი პოეტური შთაგონებით არის აღსავსე, იგი ზშირად ლექსნარევ ნაწარმოებებსაც წარმოადგენს და თავისი ხასიათით ერთგვარ გარდამავალ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს სიუჟეტური პროზისაკენ.

აკაკის მხატვრული ფელეტონების ღირსება და ფასი კარგად ჰქონდა შეგნებული გაზეთ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხსაც. ამ მხრივ საგულისხმოა მისი ერთი კერძო ბარათი, დაწერილი 1875 წელს, სადაც იგი გამოხატავს თავის შეხედულებას აკაკიზე, როგორც მწერალზე და გაზეთისათვის უაღრესად საჭირო თანამშრომელზე. „უმისოდ, — სწერს ს. მესხი ამ ბარათში, — შენც კარგად მიხედები, ძალიან გაჭირდება საქმეთამამად შემოძლია ვთქვა, რომ ყველა ახლანდელ ჩვენს მწერლებში აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და ყველაზე უფრო გამოსადეგია გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არც ერთ ჩვენს მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და საზოგადოდ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის“<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) იხ. გაზ. „სიტყვა და საქმე“, № 9 — 1934 წ.

<sup>2</sup>) იხ. „ლიტ. გაზეთი“, № 5 — 1934

აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს. მაგრამ იმდენად ვანუხრებელი იყო აკაკის პოეტური ამღერების მომზიბლავი ძალა, რომ ეს უკანასკნელი თითქოს ჩრდილავდა თანამედროვეთა თვალში აკაკის შემოქმედების სხვა დარგებს. აკაკი უდიდესი ლირიკოსი იყო საქართველოში. შე-19 საუკუნის ლიტერატურაში, მართალია მან მოგვცა აგრეთვე ეპიური პოეზიის შედეგები პოემებისა და ვალექსილი პიესების სახით, მაგრამ მაინც უმართებულო იყო და იქნებოდა დღესაც, სათანადოდ არ შეგვეფასებინა და თავისი დიდი ადგილი არ მიგვეჩნია ქართულ მწერლობაში მისი მხატვრული პროზისათვის.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ აკაკის პროზა თითქოს შეუმჩნეველი და ღირსეულად შეუფასებელი დარჩა გასული საუკუნის ქართულ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ კრიტიკას და აგრეთვე ლიტერატურის ისტორიკოსებს. კიბა აბაშიძემ აკაკის შემოქმედებაში დაინახა მარტოოდენ პატრიოტული ლირიკა, ა. ხახანაშვილმა მხოლოდ ქართველი გმირების იდეალიზაცია და დიდაქტიური მიზანდასახულება შეამჩნია აკაკის მხატვრული პროზის შედეგში „ბაში-აჩუკში“ და მეტი არაფერი.

სამაგიეროდ აკაკის პროზის ღირსება და მნიშვნელობა კარგად გაიგო ისეთმა მიუდგომელმა და პირუთენელმა შემფასებელმა, როგორცაა ზალზი, მკითხველთა ფართო მასა.

აკაკის ბელეტრისტული ნაწარმოებნი და მათ შორის პირველ რიგში „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“ საყვარელ და პოპულიარულ საკითხავ წიგნებს წარმოადგენენ ჩვენი ზალზის ფართო ფენებისათვის. ისინი სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი ლიტერატურის საგანძურში, როგორც მხატვრული სიტყვისა და აზროვნების უკვდავი ქმნილებანი.

აკაკის მსოფლმხედველობა და მხატვრული შემოქმედების მთავარი პრინციპები ჩამოყალიბდა რუსეთის მესამოცე წლების უდიდესი რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეებისა და მოაზროვნეების—ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის საგრძნობი იდეური ზეგავლენით. მართალია, თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით და შეხედულებებით თანადროულობის სოციალურ მოვლენებზე აკაკი ბოლომდე ვერ გაჰყვა რუსეთის მესამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებსა და მისწრაფებებს, ამ ეპოქის უდიდეს გონებრივსა და საზოგადოებრივს მოძრაობას, — მან ერთგვარი ზომიერი პოეზია არჩია თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემათიკის გადაჭრის საქმეში, მაგრამ ერთი გარემოება მაინც უდავოა და ცნობილი. სახელდობრ ის, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულების საკითხში აკაკი სავსებით იზიარებდა რუსეთის მესამოციანელთა ესთეტიურ პოზიციებს, იმ პროგრესიულ გეზს, რომელიც მიიმართებოდა უაღრესად მომქმედი და აქტუალური ლოზუნგის, — რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპების ნიშ-

ნის ქვეშ. ამ მხრივ ჩვენ უმართებლოდ მიგვაჩნია ჩვენს კრიტიკაში გამოთქმული ერთი შეხედულება, თითქოს აკაკი „არც გარკვეული დემოკრატი იყო და არც გარკვეული კონსერვატორი“, თითქოს „ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს და პისარევს თითქმის არავითარი ვაჭრული მოუხდენიათ მისი აზროვნების ჩამოყალიბებაზე“. ამ შეხედულებას მსახვერებით არღვევს აკაკის თეორიული შეხედულებანი ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულებაზე და უფრო მეტად ის რეალიზმი და უტილიტარიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს მის შემოქმედებას როგორც პოეზიის, ისე პროზის დარგში. აკაკიმ უარჰყო „წმინდა ხელოვნების“ მიმდევართა ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მაგრამ იმავე დროს სასტიკად დაჰკმო ბაზროვისებური ნილილიზმი და პისარევის „ესთეტიკის დამსხვრევა“. იგი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობის პრინციპს იცავდა და ამავე დროს ხელოვნების დანიშნულებად საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურს სახადა. „ჩემს თავგადასავალში“ აკაკი გარკვევით გადმოგვცემს თავის პოზიციას ესთეტიურ საკითხებში:

„რადღა კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს ყველაფერს, თვალი ააბილა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა, და, წინ მიშავალი კი, ყოველიფერი გაურკვეველად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, ტურგენევისაგან აღნიშნული ნილილისტობაც. ეს ნილილისტობა ბევრ რამეს ჰგომობდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააქარბა და სამაგიეროდ უწმინდურება, როგორც გარეგანი, ისე შინაგანიც, შემოიღო... ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის თუ ცხოვრებისათვის! (აკაკი გულისხმობს ჩერნიშევსკის შრომას „*Эстетическое отношение искусства к действительности*“.—ლ. ა.). ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე, ბევრს ააღებინა მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარაყოფინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო; უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილშობიანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა-რა მწერლობაში. როდესაც ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი დაუდგნენ თავში ხელოვნების უარყოფელებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეინძრა და მაშინ წარმოითქვა შესანიშნავი სისულელეც: „შექსპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიაო“ და იმავე დროსვე, რასაკვირველია, სცდილობდნენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებას... იმ დროს ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში. მარტო პეტერბურგში იქნებოდა ოცდაათ სულზე მეტი და თუ მართლა „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“, სტუდენტობაც ქართველებში იმ დროიდან იწყება.

ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის მატერიალით ვიკვებებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მატერიალუბა, დრო და უამის მიუხედავად, მისის ნილილისტობით ჩვენშიც გადმოვიდა... სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი... ჩემს რუშენას, მწიქლალატე და, ტოლსტოისა არ იყოს, შუა ადგილი მეჭირა... სხვებსავეთ წახედულობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მჯერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილშოვნება უნდა იყოს<sup>1</sup>.

ეს ვრცელი ციტატა ჩვენ იმ მიზნით მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ კარგად ერკვეოდა აკაკი წერეთელი თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისში თანადროულ ესთეტიურ მიმდინარეობათა სხვაობაში და როგორ აყალიბებდა თავის საველ გეზსა და მიმართულებას მომავალი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ჩვენი თერგდალეული თაობის უტილიტარიზმისა და რეალიზმის პრინციპები, ცხადია, ჩერნიშევსკისა და „სოვრემენიკის“ ჯგუფის შეხედულებებიდან მომდინარეობდა და მან თავისი ნოყიერი ნიადაგი ნახა ქართულ სინამდვილეში. ცნობილია ილია ჭავჭავაძის წერილი 1863 წლის „საქართველოს მოამბეში“, რომელიც ერთგვარ მანიფესტს წარმოადგენდა ახალი ლიტერატურული თაობისათვის. „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიციეს, — სწერდა ილია, — ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. ამ შეხედულებას სავსებით და მთლიანად იზიარებდა აკაკი წერეთელიც. მისი სიტყვით, მას „ისე მიაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროდ“. მეორე ადგილას აკაკი უფრო მკაფიოდ გამოსთქვამდა თავის აზრს. „პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია და, მაშასადამე, მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლენას, რა რიგად წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ეჭვმედებარება ამ შემომოყვანილ პირობებს“<sup>1</sup>).

ასეთი იყო აკაკის ესთეტიური შეხედულებები, ასეთი იყო ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც იგი განუხრელად ატარებდა თავის პრაქტიკულ მხატვრულ შემოქმედებაში. ხალხის ცხოვრებისა და სულისკვეთების გამოხატვა მწერლობაში, თვით მწერლობის გამოყენება ხალხის ცხოვრების წინწასაწევად და გასაუმჯობესებლად, — აი ის გეზი, რომლისათვისაც აკაკის არ უღალატნია თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე.

<sup>1</sup>) გ. ერისთავის ნაწერ. წინასიტყვაობა, გვ. VIII. 1884 წ.

სავსებით გასაგებია, რომ რუსეთის სამოციანი წლების დიდი იდეური მოძრაობის გავლენა მართა გარკვეულ ესთეტიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებით არ ამოიწურებოდა. ეს გავლენა გამოიხატა იმ მოტივების გამომუშავებაშიაც, რომლებიც საფუძვლად დაედო აქკის პოეტურ ნაწარმოებებს და განსაზღვრა იდეური განწყობილებები, თემატიკა და შინაარსი მისი ლექსების, პოემების, დრამატურგიული და ბელეტრისტული ნაწარმოებებისა.

და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში ორი მომენტია შესამჩნევი, ორი წამყვანი ტენდენცია. პირველი — დემოკრატიული მომენტი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია აკაკის პოეტური შემოქმედებისა. მეორე — პატრიოტიკა, როგორც საფუძველი და შინაარსი მისი პოეტური და აგრეთვე ბელეტრისტული ნაწარმოებების დიდი ნაწილისა. ორი მთავარი მომენტი, — ბრძოლა ჩვენი ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის, — განსაზღვრავდა აკაკის შემოქმედებას, მის იდეურ და თემატიურ შინაარსს ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან სიკვდილის წინ დაწერილ უკანასკნელ ნაწარმოებამდე.

სოციალური პრობლემატიკა მეტად თვალსაჩინოდ არის ასახული და დამუშავებული აკაკის ლირიკაში. ბატონყმური ურთიერთობის უარყოფა, გლეხობის ყოფა-ცხოვრება და მისწრაფებანი აკაკი გამოხატული აქვს ჯერ კიდევ 60-იანი წლების მანძილზე დაწერილ ლექსებში. სოციალური თემატიკა მან უფრო მძაფრად დაამუშავა შემდეგი პერიოდის შემოქმედებაში და განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის დროს დაწერილ ლექსებში.

რაც შეეხება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივებს, აკაკიმ მათი კლასიკური პოეტური გამოხატულება მოგვცა თავის ეპოსში და უფრო მძაფრად ლირიკაში. ამ მხრივ მას თავისი დიდი და განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ლიტერატურაში.

სულ სხვა სურათს ვხედავთ აკაკის პროზაში. თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში აკაკიმ დაამუშავა უმთავრესად პატრიოტული მოტივები. სამშობლოს განთავისუფლება, — აი მთავარი თემა და იდეური შინაარსი მისი მრავალრიცხოვანი მოთხრობებისა, ნოველების და ფელეტონებისა.

აკაკის მდიდარი ბელეტრისტული მემკვიდრეობა, შეიძლება სრულიად თამამად ითქვას, ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად დამუშავებული და შესწავლილი, მაშინ, როდესაც იგი ღირსია სერიოზული კრიტიკული ათვისებისა, ღრმა ანალიზის და შეფასებისა. ქართულ ლიტერატურაში, მართალია, იყო ცდები აკაკის მხატვრული პროზის — და ისიც არა მთლიანად, არამედ ზოგიერთი მისი ნიმუშების — გამოკვლევისა, მაგრამ ამ ცდებს ჰქონდა შემთხვევითი და გამონაკლისი ხასიათი. რასაკვირველია,

მათ არ შეეძლოთ და არც პქონდათ პრეტენზია აკაკის პროზას ამომწურავი და ყოველმხრივი შეფასებისა. ამ მხრივ საჭიროა ორმა და სისტემატიური მუშაობა, რაც ჩვენი კრიტიკისა და მეცნიერულ-ლიტერატურული ძალების ამოცანას შეადგენს.

ჩვენც ამ წერილით არ ვისახავთ მიზნად ყოველმხრივ და სრულ შეფასება მივცეთ აკაკის მხატვრულ პროზას. ჩვენი მიზანია — ზოგადად შევეხოთ აკაკის შემოქმედებას ამ დარგში, საერთოდ მოვხაზოთ ზოგიერთი ძირითადი საკითხები და შეძლებისდაგვარად ვავაშუქოთ ის პრობლემები, რომლებიც დასმული აქვს პოეტს თავის მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშებში.

აკაკი არ იყო არც მოწოდებით, არც თავისი შემოქმედების ძირითადი ხასიათით პროზაიკოსი მწერალი. ხშირად იგი თავის ფელეტონებში და მოთხრობებშიაც კი გადადის პროზაულ თხრობიდან პოეტურ გამოთქმაზე. მისი ლაპიდარული სტილი, ლაკონიური გამოთქმები, მოკლე და მოკვეთილი თხრობის მანერა ამჟღავნებენ პოეტს, რომელიც მცირე ლექსიკური მარაგით დიდი შინაარსის გადმოცემას არის ჩვეული. აკაკის არ უყვარს გრძლად და დინჯად, ეპიური სიმშვიდით და აუჩქარებლობით გაშალოს თხრობის მდინარება. იგი ხშირად ერიდება ბუნების აღწერილობას, მომქმედ გმირთა გარეგანი პორტრეტის გულდასმით და ზუსტად გამოკვეთას. არც ამ მომქმედ გმირთა შინაგანი სულიერი განწყობილების დრო ფსიქოლოგიურ ანალიზს უნდება დიდხანს; ერთის სიტყვით, მას არ გააჩნია ის თვისებები, რომლებიც სჭირდება თუნდაც რომანისტს დიდი ეპიური ტილოს, დიდი სოციალური მოვლენების და ხასიათების შინაგანი კონფლიქტების დახატვისა და გადმოცემის დროს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკის პროზას აქვს თავისი განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც მაღალ მხატვრულ ღირებულებას აძლევენ მას, ღირსებები, რომლებიც უდავოდ მეტყველებენ აკაკის შესანიშნავ ოსტატობაზე პროზაული მეტყველების დარგში.

აკაკის პროზა პირობითად შეიძლება რამდენიმე დარგად, რამდენიმე ჟანრად დავეყოთ. იმ მრავალრიცხოვან მოთხრობებსა და ნოველებში, რომლებიც დაუწერია აკაკის, — ჩვენ აქ არ ვეხებით მის შესანიშნავ საგაზეთო ფელეტონებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში მხატვრული პროზის ნიმუშებს წარმოადგენენ, — შეიძლება შევიტანოთ ერთგვარი კლასიფიკაცია. ამ თვალსაზრისით, ჟანრობრივი სხვაობის მიხედვით, აკაკის პროზაში შეიძლება გამოვიარჩიოთ უმთავრესად სამი ტიპის ნაწარმოებნი: 1) ისტორიული (აქვე შეიძლება მივაკუთვნოთ ლეგენდებისა და გადმოცემების ლიტერატურული დამუშავება), 2) დიდაქტიურ-აღმზრდელობითი და 3) ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწერები.

უდავოდ მიღებულია და ეს შეეფერება ფაქტიურ სინამდვილესაც, რომ აკაკის პროზაულ ნაწერებში ყველაზედ მნიშვნელოვანი და მხატვრუ-



ლად მაღალხარისხოვან ნაწარმოებებს წარმოადგენენ ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“.

აკაკის, როგორც სუვეტური კომპოზიციის ოსტატის, მსგავსი სიმღერე მოსჩანს მის „ბაში-აჩუკში“. მაგრამ სანამ ამ ნაწარმოებში ფორმას და შინაგან არქიტექტონიკას შევეხებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ მისი შინაარსის იდეური ტენდენციურობა და თემატიკური თავისებურება.

აკაკის „ბაში-აჩუკი“ ერთგვარ პროზაულ ვარიანტს წარმოადგენს მისი ისტორიული პოემებისას. აქ ვგულისხმობთ არა შინაარსის იგივეობას, არამედ იმ ძირითად ტენდენციას, რომლითაც გამსჭვალულია ეს მოთხრობა. ამ ნაწარმოებშიაც, ისევე, როგორც აკაკის ლირიკაში და პოეტურ ეპოსში, რელიეფურად მოსჩანს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურობით გაკლენთილი ტენდენცია ავტორისა. აკაკი ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების შერჩევაში გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ მკითხველმა რაც შეიძლება მეტი იდენტიურობა ნახოს, ერთის მხრივ, მოთხრობაში ასახულ ისტორიული და მეორეს მხრივ — თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ვითარებას შორის, რაც შეიძლება გამჭვივრვალე და ახლობელი პარალელი გაავლოს ისტორიულ პირთა და თანამედროვე ადამიანთა მოქმედებასა და საქციელს შორის. და საკვირველია, ავტორი საოცარი ოსტატობით აღწევს ამ ამოცანას. ისტორიულ მოთხრობაში „ბაში აჩუკში“, სადაც მოთხრობილია მე-17 საუკუნის კახეთის დამონებული მდგომარეობა ირანის დამპყრობელთა უღელ ქვეშ, მკითხველი უნებურად ხედავდა მისი დროის მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის ანალოგიას საქართველოს სინამდვილეში. აიღეთ თუნდაც მეხუთე თავი „ბაში-აჩუკისა“, სადაც აწერილია ირანის მბრძანებლის შაჰაბაზის ვერაგი პოლიტიკა დაპყრობილ საქართველოში და ქართველი მაღალი წოდების მლიქვნელური, მოღალატური საქციელი. მოიგონეთ ამ თავში შაჰაბაზის ბოროტი გეგმები და შემდეგ მათი განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, თუ თვალწინ არ დაგიდგეთ მე-19 საუკუნის საქართველოს სურათი და მეფის რუსიფიკატორთა პოლიტიკა, რომლის გატარებასაც ასე ერთგულად უწყობდა ხელს ქართველი თავდაზნაურობა.

ასეთია ტენდენცია ავტორისა „ბაში-აჩუკში“. მაგრამ მართო ამ თავისი დროისთვის შესაფერი იდეური გამიზნულობით არ ამოიწურება ნაწარმოების ღირსება. ასე რომ იყოს, მაშინ მოთხრობას ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი, დროული მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ „ბაში-აჩუკს“ აქვს თავისი მხატვრული ღირსებებიც. აქ გამოჩნდა აკაკის უდიდესი მხატვრული ნიჭი და ოსტატობა. „ბაში-აჩუკი“-ს კომპოზიციის მეტად საყურადღებო ანალიზის ცდა მოგვცა, სხვათა შორის, პირ-

ველად ქართულ ლიტერატურაში, ლეო ქიაჩელმა<sup>1)</sup>. მან ეს მოთხრობა საესეებით მართებულად ისტორიულ-ავანტურული ეპიკის ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნა. „ბაში-აჩუკი“ სუფეტურად გარკვეულ ხერხნა აგებული, იგი საიდუმლოებათა თანდათან გახსნის მეთოდს ემყარება, რაც განუწყვეტლად დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს მკითხველს ინტერესს მოთხრობის პირველი გვერდიდან დაწყებული უკანასკნელ გვერდამდე. მოთხრობაში მოცემულია ერთ მთლიან ფაბულაზე აგებული ხუთი მთავარი რკალი, რომელიც თანდათანობით, მორიგეობით იხსნება და ბოლოს საესეებით ნათელპყოფს მთელი ფაბულის ძირითად მაგისტრალს. არსად, არც ერთ სხვა პროზაულ ნაწარმოებში არ გამოუჩენია აკაკის ასეთი საკვირველი ოსტატობა ფაბულის განვითარებაში. უნდა ითქვას, რომ „ბაში-აჩუკი“, ისევე, როგორც „ჩემი თავგადასავალი“, შესანიშნავი სატირა „სიკვდილი“ და „ქართული ფულის თავგადასავალი“, აკაკის დაწერილი აქვს თავისი ხანდაზმულობის დროს, 1894—98 წლებში, იმ პერიოდში, როდესაც მისი შემოქმედება და მხატვრული გამოცდილება თავისი ზენიტის დონეზე იყო მისული.

მეორე მნიშვნელოვან ნაწარმოებს აკაკის პროზაში წარმოადგენს „ჩემი თავგადასავალი“. საინტერესოა ამ ნაწარმოების ისტორია და აგრეთვე აკაკის დამოკიდებულება მისდამი. 1902 წლის „ივერიის“ ფურცლებზე მოთავსებულ განცხადებაში<sup>2)</sup> აკაკი სწერდა: „ერთად-ერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და ვასაოხრებლად შენანება, არის „ჩემი თავგადასავალი“. ნათქვამია „ყვესაც თავის ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოველიფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მიხახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემს შესახებ საინტერესო მაინც და მაინც იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლების დაგვირად, ნამდვილი სარკე ნახევარ საუკუნისა“. ასე სწერდა აკაკი თავისი „თავგადასავლის“ შესახებ. იმავე განცხადებიდან სჩანს, რომ აკაკის გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი მხატვრული ავტობიოგრაფია მრავალტომიან თხზულებად დაეწერა. როგორც ვიცით, მან ეს თავისი სანატრელი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. მაგრამ ისიც, რაც მოგვცა, სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს როგორც მისი შემოქმედების, ისე მე-19 საუკუნის ქართული პროზის ერთ საუკეთესო ნიმუშად.

„ჩემი თავგადასავალი“ თავისი მიზანდასახულობით თითქოს მოგვაგონებს ლ. ტოლსტოის „ბავშვობას, ყრმობას და ქაბუკობას“. მაგრამ ეს პირველი შეხედვით. არსებითად კი იგი განსხვავდება ტოლსტოის ნაწარ-

<sup>1)</sup> იხ. ეურ. „ქართული მწერლობა“, № 1-2, 1930 წ.

<sup>2)</sup> № № 257, 260, 266.

მოებებისაგან როგორც თავისი მოკლე და სხარტული თხრობით, ისე აღწერილი მოვლენებისა და ფაქტების გაცილებით უფრო ვრცელი ქრონოლოგიური დიაპაზონით.

„ყველა ჩემი ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ნაწარმოადგენენ ჩემი დიდი აღსარებისაო“, — შეეძლო გაემეორებინა მოხუც აკაკის დიდი გოეტეს ეს ღირსშესანიშნავი სიტყვები. მართალია, თავის მომზობლავ ლირიკაში, ეპოსში, პუბლიცისტურ და მხატვრულ პროზაში აკაკიმ გამოხატა თავისი იდეები და გრძნობები, ხშირად თავისი ცხოვრებისა და განცდების რეალური მოვლენებიც, მაგრამ ის მაინც გრძნობდა ბოლომდე რაღაც უთქმელს, გულში დაგროვილსა და გამოუხატველად დარჩენილს. მას სურდა გამოეთქვა თავისი დიდი აღსარება უფრო მონოლიტურად, ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში, სადაც მოცემული იქნებოდა განვლილი დიდი შემოქმედებითი გზის სრული მიმოხილვა. ეს შინაგანი მოთხოვნილება მან მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელა თავის „ჩემ თავგადასავალში“.

აკაკის ბიოგრაფია ამ ნაწარმოებში წარმოადგენს ერთგვარ კომპოზიციურ ღერძს, რომლის გარშემო ოსტატური კალმით აგებულია მხატვრული სურათები ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრებისა: ფეოდალური ყოფა, ბატონ-ყმობა, ხალხის ადათ-ჩვეულებანი, კულტურული და პოლიტიკური ვითარება ჩვენი ქვეყნისა მე-19 საუკუნის შუა წლებიდან. ამ მხრივ „ჩემი თავგადასავალი“ წარმოადგენს გოეტეს „პოეზიისა და სინამდვილის“ ქართული ვარიაციას, სადაც ასახულია ჩვენი ხალხის სულიერი სამყარო. ამავე დროს „ჩემი თავგადასავლის“ სახით ჩვენა გვაქვს ქართული რეალისტური მწერლობის საუკეთესო ნიმუში. არც ერთ თავის ნაწარმოებში არ მოუცია აკაკის და შეიძლება არც სხვა ქართველ ავტორს ისეთი დამაჯერებელი აღწერა ჩვენი ფეოდალური კლასის ყოფაცხოვრებისა, როგორც მოგვცა მან ამ ნაწარმოებში. რად ღირს მარტო აკაკის დედის პორტრეტი, რომელიც ისე ცოცხლად, რეალურ ფერადებში აქვს მოცემული ავტორს? მაგრამ კიდევ უფრო კოლორიტულია აკაკის მამის, ძველი ფეოდალის, როსტომ წერეთლის პორტრეტი. ეს ნამდვილი, ცოცხალი ტიპია, უდიდესი ექსპრესიით და ოსტატობით დახატული. ამავე დროს იგი კლასიკური ტიპია ქართულ ლიტერატურაში. აქ მხატვრული ზომიერება აკაკისა არასოდეს არ სცილდება რეალისტურ ოსტატობის ფარგლებს, თუმცა ამისათვის მას ბევრი ცდუნება აქვს თხრობის პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ თუ ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე გენიალური კარიკატურაა ქართულ ფეოდალურ კლასზე, როსტომ წერეთელი აკაკის „ჩემი თავგადასავალში“ უდიდესი რეალისტური ოსტატობით დახატული ტიპია ქართველი ფეოდალისა.

ბოკემურმა ცხოვრებამ, მუდმივმა ხელმოკლეობამ, მოუსვენარმა ხეტიალმა, რაც არ წარმოადგენს, როგორ ვიცით, შესაფერ პირობას დამჯ-

დარი ბელეტრისტული შემოქმედებისათვის, აკაკის საშუალება არ მისცეს სავსებით სრულყოფილად განეხორციელებინა „ჩემ თავგადასავალში“ დასახული მიზანი. ეს ნაწარმოები მაინც ერთგვარ უსრულო, დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი არ არის „მწიგნობრივ სუნთქვით დაწერილი ნაწარმოები, იგი შექმნილია ნაწილობრივად, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში. ეს ეტყობა ცალკე თავების დამუშავებასაც (მაგალ., სტუდენტობის პერიოდი), აგრეთვე სხვადასხვა ნაწილის სტილიურ უთანაბრობას ერთმანეთთან.

თუ პირველ ნაწილში საქმე გვაქვს ავტორის დამშვიდებულ-ეპიურ სტილთან თხრობაში, მეორე ნაწილი უკვე განსხვავებული მანერით არის დაწერილი, აქ აკაკი გადადის სუბიექტურ-იმპრესიონისტულ სტილზე და იძლევა ჩვენი მწერალ — მოღვაწეების პორტრეტების გალერეას.

უნდა ითქვას, რომ, ამ სტილიურ სხვაობის მიუხედავად, მეორე ნაწილი, განსაკუთრებით პორტრეტები, უდიდესი ოსტატობით არის დაწერილი. ეს მედალიონები ნამდვილი სკულპტორის ხელით არიან გამოკვეთილნი და ბენვენუტო ჩელლინის თუ თავგადასავალის აღწერის ოსტატობა არა, ამ მედალიონების გამოკვეთის საოცარი უნარი მაინც მოხიბლავდა აკაკის შემოქმედებაში.

„ჩემი თავგადასავალი“ ერთგვარი სარკეა აკაკის მსოფლმხედველობისა, განსაკუთრებით მისი ხანდაზმულობის პერიოდში. აკაკის ლიბერალური აზროვნება აქაც მკლავნდება ბევრს შემთხვევებში, თუნდაც წარსული ბატონყმური ურთიერთობის აღწერის დროს. აკაკის მცდარი შეხედულება ძველი საქართველოს წოდებრივ ურთიერთობის საკითხში აქაც იჩენს თავს. მისი აზრით, „ბატონ-ყმობა ძველ საქართველოში პირობითი იყო და არა უსაზღვრო, როგორც სხვაგან“, რომ ეს ბატონყმობა ერთგვარ მამა-შვილურ, პატრონისა და ყმის ურთიერთ თანხმობაზე დამყარებულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ცხადია, ეს მცდარი შეხედულება იყო და არ შეეფერებოდა რეალურ სინამდვილეს. ყმა-გლეხების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის სიდუხჭირე, სხვას რომ თავი დავანებოთ, ფიქსირებულია ვახტანგ მე-VI-ის კანონებშიაც, რომლის ერთი მუხლი ამბობს: ყოველივე ყმისა ბატონს ეკუთვნისო.

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს აკაკის ყველა პროზაული ნაწარმოების ანალიზი. შევჩერდებით მხოლოდ ორ მოთხრობაზე, როგორც დამახასიათებელზე აკაკის შემოქმედებისათვის. ეს მოთხრობებია „სიკვდილი“ და „ქართული ფულის თავგადასავალი“.

„სიკვდილი“ იუმორისტული ნაწარმოებია, უდიდესი ნიჭით და ოსტატობით დაწერილი. ეს არის ერთ საუკეთესო ნიმუში აკაკის სატირისა. მისი თემაა — თანამედროვე საქართველო: ინტელიგენცია, მუშები, „დაბალი ხალხი“. საგულისხმიეროა, რომ თანამედროვე ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა გაკიცხვასთან ერთად ამ მოთხრობაში აკაკი

ვანსაკუთრებულად უსვამს ხაზს, რომ მისი სიკვდილით „უშავლო დაბალ ხალხს უფრო ეტყობოდათ“ მწუხარება: „მუშები მოწყენით დამხედნენ: ჩემზე ჩამოევდოთ საუბარიო“, — ამბობს აკაკი, რთველებს უსწერს მისი „სულის“ მისვლას სტამბაში, — ნეტა ის არ მომკვდებოდა, — ვერაფერს ვიცი, — აცხადებს ერთი ასოთამწყოთაგანი.

სამაგიეროდ აკაკის გესლიანი სატირის სუსტი ხედება მისი დროის ქარაფშუტა ინტელიგენტებს, ბაქია პუბლიცისტებს, გაზეთის მოსყიდულ თანამშრომლებს, ბობოლა მოხელეებს.

ყველაზე საინტერესოა ის თავი, სადაც აკაკი აგვიწერს თავისი „სულის“ ასვლას საიქიოს და ქართველთა წინაპრებს, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვიორჯი სააკაძის და სხვების წინაშე გამოცხადებას. დიალოგში ვიორჯი სააკაძესთან აკაკი გამოხატავს თავის შეხედულებას თანამედროვე საქართველოს თავადაზნაურული წოდებისა და მისი ინტელიგენციის ზნობრივ-გონებრივი დაქვეითების შესახებ.

ნაწარმოები საესეა გონება-მახვილობით და აკაკისათვის ჩვეული სარკაზმით. ეს ნაწარმოები არა მარტო აკაკის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ ლიტერატურაში სატირული პროზის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

სიუჟეტის აგების თვალსაზრისით საუკეთესოდ არის დაწერილი აგრეთვე „ქართული ფულის თავგადასავალი“.

ამ მოთხრობაში ოსტატურად არის გამოყენებული ერთი საუკუნის მანძილზე ხელიდან ხელში გადამავალი ვერცხლის ფულის ისტორია, — წარსული და თანამედროვე ამბების მოსათხრობად, ისტორიული პიროვნებების დასახასიათებლად, სხვადასხვა პოლიტიკური და კულტურული მოვლენების შესაფასებლად.

ფულის თავგადასავალი ამ მხრივ სუჟეტურ ღერძის როლს ასრულებს.

თავგადასავალი ქართული ფულისა კი ამგვარად არის წარმოდგენილი მოთხრობაში: ახალწელიწადს ერეკლე მეფე ოჭრო-ვერცხლით საესე თანს მიუტკვლევს დედოფალ დარეჯანს. ამ თასში, სხვათა შორის, არის ქართული ვერცხლის ფულიც (მოთხრობის „გმირი“). დარეჯან დედოფალი ამ ვერცხლის ფულს აჩუქებს იმ ხანებში ამალღებულს და სასახლეში დაახლოვებულ ოსეფა ყორღანაშვილს. ყორღანაშვილისაგან იგი ვადიდის ექიმბაშ ქვრივ დედაკაცზე, ჯარა-მელანოზე. ეს კიდევ, შვილის სალოცავად ანჩისბატში მისული, ფულს შესწირავს ხატს. იმ დღიდან ერთი საუკუნის მანძილზე ფული უძრავად ძვეს ხატის უკან, ისმენს წირვა-ლოცვას და ქართულ საეკლესიო გალობას. მაგრამ ერთხელ „ვიღაც ურჯულომ“ სტაცა მას ხელი და „ორთაქალის ბაღებში ამოაყოფინა თავი“. აქ წირვა-ლოცვას ნაჩვევი, იგი ხედავს „უწმინდურ ღზინს“, — უკადრის სიმღერებს, კინტოურ ბუქნას. ათი წლის განმავლობაში ფული გადადიოდა ხელიდან ხელში, ჯიბიდან ჯიბეში. „ეს კი შევნიშნეო მხოლოდ, —

ამბობს იგი, — რომ ქართველის ჯიბეში დიდხანს არ მაკლდევენებდენ“. ბოლოს ფული ხელში ჩაუვარდა ქართველ სოვდაგარს, რომელმაც იგი სხვა ფულთან ერთად ბნელ კიდობანში ჩაეკეტა და იქ კარგად ჩაეჭამა. კიდობანში იგი ეცნობა ქალაქის ფულებს, ასიგნაციებს, სუბსიდიებს, თიანებს. ყველანი მოუთხობენ ერთმანეთს თავიანთ თავგადასავალს. ავტორი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს სხვადასხვა ისტორიულ ამბავს, — აღმაშენებლის შემოსევას, ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილს შეთქმულებას, ტფილისელ ვაჭრების ღალატს, ვორონცოვის პოლიტიკას საქართველოში, რომელსაც აკაკი მისთვის ჩვეულებრივს ტენდენციურ-დადებითს შეფასებას აძლევს, და სხვა.

დაბოლოს, დიდხანით დაკეტილი კიდობანი გაიღება. აღმოჩნდება, რომ სოვდაგარი მომკვდარა, მისი საზღვარგარეთ განათლებული მემკვიდრე ანაწილებს ფულს. ზოგს ბანკში გზავნის, ზოგს ხარჯავს. ოქროს ხუთმანეთიანით იწერს აკაკის თურნალ „კრებულს“, ხოლო ქართულ ვერცხლის ფულს, როგორც უკვე გამოუსადეგარს ჩვენს დროში, პერანგის სახელოზე ღილად იკეთებს.

მოთხოობა უდიდესი ინტერესით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან აკაკის შეფასება ისტორიული და თანემედროვე პოლიტიკური ვითარებისა, განსაკუთრებით ვორონცოვის ეპოქისა საქართველოში, შემცდარია და მიუღებელი...

ასეთია ზოგადად და მოკლედ აკაკის მთავარ პროზაულ ნაწარმოებთა იდეური შინაარსი და მხატვრული ოსტატობა. მათ ღირსებებს აძლიერებს შესაფერი ლექსიკური მასალაც — აკაკის ენა, წარმტაცი თავისი მუსიკალური კეთილზმოვანებით.

ჩვენს ლიტერატურაში საკმარისად ცნობილია აკაკის ენის ხალხურობა, სისადავე და ამავე დროს მხატვრული სურათოვნება. თავის სატირულ მოთხოობა „სიკვდილში“ აკაკიმ ძალიან გონებამახვილად დასცინა იმ ხალხს, ვინც მას ენას უწუნებდა.

„კაცო, შენ ჩემი სთქვა! — ამბობს ამ მოთხოობაში ვითომც ახლად გარდაცვლილ აკაკის ერთი არამკითხე ჭირისუფალთავანი, — არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებინე ჩემებურად წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა!.. თუ არ გადაეცაწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა, იმერული!“ (რჩ. თხზ. ტ. I, გვ. 209).

აკაკის შეგნებულად შემოაჭმონდა იმერიზმები ქართულ სალიტერატურო ენაში, და ეს შეეხება არა მხოლოდ ლექსიკას, არამედ სინტაქსსაც ბევრ შემთხვევაში. მაგრამ ვერაფერს იტყვის რომ ეს გარემოება ზიანს აყენებდეს მწერლის შემოქმედებას. პირიქით, მკითხველს ხიბლავს აკაკის მსუბუქი და მელოდირი ენა.

## გ. ჭალადიდელი

(ბიორგბი მამსიმეს-ძე ქოჩაქიძე)

1847 — 1898.

გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შესრულების გამო.

გ. ჭალადიდელის ლიტერატურულ შემოქმედებას დიდი რეზონანსი არა ჰქონია. მალე მიწყნარდა ამ პოეტის ხმა ქართულს ლიტერატურაში. მხოლოდ რამდენსამე წელს სწერდა იგი ინტენსიურად, შემდეგ კი შორს გადასტყორცნა ცხოვრების ორომტრიალმა სამშობლოდან. სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის, ილიასა და აკაკის თანამედროვე პოეტთა გუნდში ჭალადიდელის სუსტი, მაგრამ თავისებური ლირიკული ხმა უთუოდ გამოირჩევა.

ჩვენში საქართველოს ყოველ კუთხეში მღეროდნენ მის „ფაცხას“, „სიმღერას“, და სხვა ლექსებს, მეტად პოპულიარული იყო აგრეთვე მისი ლექსი „მოგონება“:

„მახსოვს, პირველად სასწავლებელში  
წასაყვანადა რომ მომამზადეს,  
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში,  
და შორსა გზასა მე გამამგზავრეს“.

დიდი ვანცდითა და პოეტური პათოსით ხასიათდება ეს ლექსი და მისი ავტორი უთუოდ ღირსია საზოგადოებრივი ყურადღებისა.

პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დაწერილ კრიტიკულ მიმოხილვაში მისი თანამედროვე მოღვაწე ილია ჭყონია შენიშნავდა:

„გიორგი ჭალადიდელი ფსევდონიმი იყო ნიჭიერის პოეტის თ-დის გიორგი მაქსიმეს-ძის ქოჩაქიძისა, რომელიც დიდს იმედს იძლეოდა მესამოცდაათიანე წლებში. იმდროინდელს ლიტერატურაში არავინ არ გამოსულა ისეთი შნოით და არავის გამოსელისთანავე არ მიუპყრია იმდენი ყურადღება მკითხველებისა, როგორც განსვენებულმა ჭალადიდელმა. ჰევრს ეგონა, რომ აკაკის და ილიას გაუჩნდა ლიტერატურაში საიმედო

მემკვიდრე. თვით ეს ორი კორიფეი ჩვენის ლიტერატურისა და შემთხვევაში ბანს აძლევდნენ, რამდენადაც ვიცით, მკითხველი საზოგადოების ასეთს აზრს და ბევრად უფრო მეტს მოელოდნენ ქალადიდელისაგან, ვიდრე ამ უკაიასკებლმა შეძლო ანუ, მიუკერძოვლად ქრონიკელებზე, შეაღლებინა მას გარემოებამ. უპირველესი თვისება მისი პოეზიისა იყო გრძნობის სიწრფოება და ცხოველი ჰანგი. მეტი წილი მისი მცირე ნაწერებისა ახლაც ახსოვთ დასავლეთს საქართველოში ზეპირად და გურია-სამეგრელოში ხომ ჩონგური არ დაიკერის ისე, რომ მისი რომელიმე ლექსი არ დაილიღინონ... ამ ომიანობის დროს (ლაპარაკია რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წ. ომზე. — ავტ.) ერთს თვისს წერილში აკაკიმ გულის წუხილით მოიხსენა, რომ ნიეთიერი ხელმოკლეობა და ის გარემოება, რომ სალიტერატურო შრომა ჩვენში უზრუნველ არ ჰყოფს მუშაკს, ბევრს ნიქს აკლებს ჩვენს მწერლობასო. სხვათა შორის მან გაიხსენა გიორგი ქოჩაქიძეც, რომლის შესახებ სთქვა: ქალადიდელმა ც-კი თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში გაახვიოა<sup>1)</sup>.

გ. ქალადიდელმა ლექსების ბეჭდვა დაიწყო სერგეი მესხის გაზეთში — „დროება“-ში. შემდეგში „სასოფლო გაზეთი“, „კრებული“, „მოამბე“, „ივერია“ და სხვა პერიოდული გამოცემები ხშირად უთმობდნენ ადგილს პოეტის მხატვრულ პროდუქციას. მისი რამდენიმე ლექსი და პოემა დაიბეჭდა აგრეთვე „დროების კალენდრებში“.

პოეტის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1913 წელს, ქუთაისში მისი ვაჟის ბორისისა და ძმების ალექსანდრესა და ანტონის მეოხებით გამოვიდა ცალკე წიგნად გ. ქალადიდელის ნაწერები იონა მეუნარგიას ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევით და ივ. გომართლის მცირე კრიტიკული მიმოხილვით.

გ. ქალადიდელი (გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძე) დაიბადა 1847 წ. სოფელ ფერსათში, იმერეთში, დედის სოფელში. პოეტის მამა, მაქსიმე ბეროს-ძე ქოჩაქიძე სოფ. ქალადიდის მებატონე იყო.

როდესაც პოეტი სასკოლო ასაკისა გამზდარა, მამას კავკასიის შთავარ-მართებლისთვის გაუფზავენია თხოვნა — მიეღოთ გიორგი ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პანსიონში. თუმცა გიორგი მაღალ წრეს ეკუთნოდა, მაგრამ მომავალ პოეტისთვის ტფილისის „კეთილშობილთა“ სასწავლებელში ადგილი არ აღმოჩენილა და 1859 წელს იგი ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში მიუღიათ. მეზუთე თუ მეექვსე კლასში გ. ქალადიდელი ავად გამზდარა. ამასთან დაკავშირებით გიორგის მამას გიმნაზიის დირექტორისთვის ფრანგულად დაწერილი ბარათი გაუფზავენია, რადვან მას რუსულზე უკეთ ფრანგული ეხერხებოდა თურმე. მაქსიმე სწერდა

<sup>1)</sup> „ენობის ფურცელი“, № 1885, 1902 წ. „ორიოდე სიტყვა გ. ქალადიდელის შესახებ“.



დირექტორს: „მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ექიმის მოწმობა რომელიც ამტკიცებს ჩემი ვაქცინაციის გიორგის ავადმყოფობას. დაწმუნებული იმაში, რომ განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას იქნებოდათ ახალგაზრდების მიმართ, ვიმედოვნებ, რომ სწავლის გამოსაქვეყნებლად დაასვამს განსაკუთრებულ დაღს, რაც ხელს შეუშლის მომავალში“<sup>1)</sup>. დირექტორი ბახუსის მოტრფიალედ კაცი ყოფილა, უგუნებო და ქირვეული. იგი წინააღმდეგი გამხდარა გიორგის სასწავლებელში აღდგენისა. მაგრამ გრიგოლ დადიანის გამოსარჩლების შემდეგ კვლავ მიიღეს გიმნაზიაში და 1869 წელს მან დაამთავრა კიდევ სწავლა.

გიმნაზიის კურსდამთავრებულ პოეტს გული სასწავლებლად მიუწევდა. შორს, დასავლეთში წასვლა სწყუროდა. საზღვარგარეთ იმდროს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობდა. გ. ქალაღიდელიც ევროპაში სწავლის მიღებით ყოფილა გატაცებული, მაგრამ ოჯახური ხელმოკლეობის გამო და ბიძის გიორგი გვათუას რჩევით დათანხმებულა რუსეთში გამგზავრებაზე.

1869 წლის სექტემბერს პოეტი პეტერბურგს წავიდა. 1870 წლის ზაფხულში იგი უკვე სამხედრო სამსახურს იწყებს. შემდეგ შედის იუნკრად მიხეილის სახელობის საარტილერიო სასწავლებელში, 1873 წელს ამთავრებს მას და იღებს ოფიცრის ჩინს.

1869 წელს, ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნისას, დაიწყო გ. ქალაღიდელიც თანამშრომლობა გაზეთ „დროება“-ში. იმავედ ქუთაისში არსებობდა ლიტერატურული სალონი გიორგი ლოლობერიძის სახლში. ამ სალონის ხშირი სტუმრები ყოფილან მამია გურიელი, აკაკი, დიმ. ბაქრაძე და სხვები. ზოგჯერ გ. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხიც ეწვეოდნენ ხოლმე. ამ ლიტერატურული შეხვედრების დროს სწარმოებდა ხელნაწერების კითხვა, საუბარი ქართულ ენაზე, მწერლობაზე, ისტორიაზე და საზოგადოდ კულტურაზე. გიორგი ქალაღიდელი ინტერესით ისმენდა ამ ლიტერატურულ საუბრებს, სწავლობდა და ემზადებოდა სამოღვაწეოდ. აქ ვალდებდა პოეტში ეროვნული თვითშეგნება და მალე ნაციონალურ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის იდეები მისი შემოქმედების ლეიტმოტივად გადაიქცნენ.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ქართული აზროვნების ისტორიაში ძველის უარყოფისა და ახლის ძიების ეპოქაა. რეალისტური ხედვა, უტილიტარიზმი ხელოვნებაში და დემოკრატიული იდეებით გატაცება დღევნად გადაიქცა ქართველ მოღვაწეთა თერგდალეული თაობისთვის. სამშობლოს მოსიყვარულე გულით მოვიდნენ ისინი, კაბუჯური გატაცებით, რომ მკურნალის მალამოდ დასდებოდნენ საკუთარი ქვეყნის

<sup>1)</sup> გ. ქალაღიდელის თხზ., ი. მეუნარჯიას ნარკვევი.

ტკივილებსა და წყლულებს. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ ერთგვარი მხატვრული დეკლარაცია იყო თერგდალეულთა თანამშრომლებისათვის. ილიამ და აკაკიმ მთელი ეპოქა შექმნიეს მკვლევარების ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში.

გიორგი ჭალადიდელი მათი უმცროსი თანამედროვე იყო. ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს: „ბატონყმობის გადავარდნის ეპოქაში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულ ქართველ მწერალთა პლეადის უმცროსი თანამედროვე იყო პოეტი თავ. გ. მ. ქოჩაჩიძე. მისი პირველი ნაწარმოები ეკუთვნის სამოციანი წლების დამლევს. ოცი წლის ქაბუჯი იყო, როცა ის მკვირცხლი ლექსებით გამოვიდა „დროება“-ში, „კრებულ“-ში, „მნათობ“-ში. მისმა დებიუტმა იშვიათი წარმატებით ჩაიარა — მასში ხედავდნენ თავ. ი. ჭავჭავაძისა და თავ. აკ. წერეთლის ღირსეულ მემკვიდრეს“<sup>1)</sup>. ის იდეური აქტუალობა, რომელიც ი. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს ახასიათებდა, მთლიანად მოცემულია გ. ჭალადიდელის პოეზიაში. ამდენად ღირსეული მიმდევარი იყო მათი ქალადიდელი.

„ქალადიდელმა თავისი კვალი დაამჩნია მწერლობას, — სწერდა 1898 წელს „ცნობის ფურცელი“. — მან თავისი წვლილი, ხელოვნური ნაწარმოებები დაგვიტოვა, ემსახურა სამშობლო ენას ისეთ დროს, როდესაც ეს ენა თითქმის მივიწყებაში იყო, და ილია და აკაკი და მათი მიმდევარი ქალადიდელები რომ არ გაგვიწეროდნენ, სულ მივიწყებული იქნებოდა ეს ენაც, მწერლობაც და ქართველობაც“<sup>2)</sup>.

მართლაც, ამ პოეტს თავის დიდ თანამედროვეებთან ერთად, მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ეროვნული გრძნობის გაღვივება-გამტკიცებაში. ქალადიდელის ლექსი „მოგონება“ ორმოცი წლის განმავლობაში „ბუნების კარის“ ფურცლებიდან სამშობლოსა და სწავლას აყვარებდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას. სწავლის მიღების აუცილებლობა და მით სამშობლო ქვეყნის სამსახური პოეტს მოზარდთათვის გადაუდებელ ამოცანად ჰქონდა დასახული:

„აყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,  
შრომა და ჯაფა ნუ გეზარება,  
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა  
სამშობლოს რაღვე გამოადგება“...

ეს ლექსი ღრმა ლირიზმით და მაღალი იდეური აქტუალობით ხასიათდება. ამით იყო გამოწვეული მისი დიდი პოპულარიზაცია.

ასეთივე დიდი რეზონანსის მქონე იყო მისი მეორე ლექსი — „სიმღერა“, ხალხური შაირისებურად შესრულებული და ღრმა ეროვნული

<sup>1)</sup> А. С. Хаханов: „Очерки по истории грузинской словесности“, 1895.

<sup>2)</sup> „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 514.

გრძნობით გამთბარი. აქ სატრფოს ნაცვლად სიყვარულის სატრფო დასახულია სამშობლო, პოეტურ ოცნებაში წარმოსახული:

„მაგრამ ცოცხლად მისი ვარ,  
მას არ გავებუტები,  
მოვეყვები, ზელს დაეიკრედ,  
მისვე ჩავეხუტები.  
ეს ჩემი საყვარელი  
უცხოთ ნუ გჩვენებათ,—  
თუ არ გიყვართ, არ ვიცი,  
თორემ თქვენც გვეოლებათ“.

ერქუნული  
ბიზლიჩისეცა

ეს ლექსიც დიდი პოპულიარობით სარგებლობდა ჩვენში. მას იზეპირებდნენ და მღეროდნენ. იონა მეუნარგია იგონებს მის გავლენას და ამბობს: 1870 წელს, მახსოვს, ტფილისის სემინარიაში ქართულის მოყვარე მოწაფე ისეთი არავენ იყო, რომელსაც ზეპირად არ სცოდნოდა ქალაქდიდელის პატრიოტული ლექსი.

ქალაქელი ბიჭი ვარ,  
საყვარელი მეცა მყავს.

ეს ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა სასწავლებლებში<sup>1)</sup> იგი მოგვაგონებს აკაკის ლექსს „კინტო“-ს, იმავე რიტმით დაწერილს. ქალაქდიდელის ლექსი „სიმღერა“ არ არის ნასესხები აკაკის ლექსიდან, რადგან იგი დაიბეჭდა ვაზეთ „დროება“-ში 1870 წელს (№12), ხოლო აკაკის ლექსს „კინტოს“ თარიღად მიწერილი აქვს 1879 წელი და დაიბეჭდა იმავე „დროება“-ში 1880 წელს, დაახლოვებით ათი წლის შემდეგ.

ამ ლექსში გ. ქალაქდიდელი სატრფოს სახით სამშობლოს გულისხმობს და მის ბედსა თუ უბედურობაზე ფიქრობს.

შორეულ ფინეთში ყოფნის დროს გ. ქალაქდიდელი უკვირდებოდა ამ პატარა ქვეყნის ცხოვრებას და აღარებდა თავისი ქვეყნის სინამდვილესთან. გულნაწყენი თავისი სამშობლოს დაბეჩავეებით, ენის გადაგვარებით, დანაწევრებით აღნიშნავდა: „ამ პატარა ხალხის ხეირს ის ამტკიცებს კიდევ, რომ დიდი ხანია, რაც ეს ქვეყანა შევციასა და რუსეთს შორის არის ჩაეარდნილი, მაგრამ ამით იმას თავისი ნაციონალური ხასიათი არ მოუპაპია, ისევ იმ თავის ენაზე ლაპარაკობს, სწავლობს, სასამართლოებში და ოფიციალურ საქმეებშიაც იმას ხმარობს“<sup>2)</sup>. და პოეტის ოცნებას შეადგენდა, ფინეთის მსგავსად, საქართველოსაც თავისი ნაციონალური სახე შეენარჩუნებინა.

<sup>1)</sup> გ. ქალაქდიდელის თხზ., მეუნარგიას წერილი.

<sup>2)</sup> გ. ქალაქდიდელის თხზ. „ციც-ციცი ამბები“.

თერგდალეული პოეტები ხშირად პარალელს ავლებდნენ რათა თანამედროვე ცხოვრების ტიპების გვერდით დაეხატათ სამშობლოსთვის თავგანწირული გმირები წარსულში და მათ შორის არსებული კონტრასტის ჩვენებით გაელვებებიათ მასებში ეროვნული გრძობის ერთგვარი რომანტიული გახედვა წარსულისაკენ.

ასე დაიწერა ქართველი ეროვნული გმირების დიდი ეპოსი. ამ ციკლს მიეკუთვნება ილიას „დიმიტრი თავდადებული“, აკაკის „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“ და სხვ.

გ. ქალაქიდეღის პოემებიც. „უბედურნი“ და „ალავერდი“ ამ ფონზეა გაშლილი. სამშობლოსათვის თავგანწირვა პოეტს იდეალად აქვს მიჩნეული. მოქმედება წარსულშია გადატანილი და რომანტიულს ფერებშია მოცემული.

პოემა „ალავერდი“ ავტორს დაუმთავრებელი დარჩენია. თხრობა სწყდება იქ, საიდანაც უნდა გაშლილიყო ფაბულარული კვანძი. პოემაში მოცემულია ისტორიული პერსონაჟები: მეფე თეიმურაზ, შაჰაბაზ და სხვები. პოემაში რომანტიული ინტრიგა საინტერესოდ იხსნება ქართველ ეროვნულ გმირებს შიოს, ხორეშანსა და სპარსთა მხედართსარდლის ალავერდს შორის. პოეტი გვიხატავს შიოსა და ხორეშანის თავდადებას სამშობლოსათვის. განსაკუთრებით ნაზი, ლირიკული ფერებით არის გადმოცემული ქართველი ქალის თავგანწირვა, რომელიც შემფოთებულია იმიოთაც კი, რომ მტერმა შეიყვარა:

„მე, უფალო, რა შეგცოდნე,  
რომ შენ მადლმა არ დამფარა,  
როდეს სამშობლოსა მტერმა  
და უსჯულომ შემეყვარა“.

ხორეშანის მოქმედება პოემაში თანდათან ძლიერდება. უკანასკნელი სტრიქონებიდან სჩანს, რომ პოეტს განზრახული ჰქონია დაეხატა ქართველი ქალის თავდადება სამშობლოსათვის. საერთოდ ამ პოემაში გმირები სრულყოფილად არიან ნაჩვენები და სუბეტური აღმავლობაც ინტერესით შიმდინარობს. ნაწარმოებში ყოველივე დეტალი პოეტის ტენდენციას ემსახურება, მაგალითად, პეიზაჟი, პოეტური პარალელები და სხვა. ერთგვან ავტორი ამბობს:

„მაგრამ ცა ზევით ისევ ისაა,  
იქ მთვარის შუქნი ისევ ღვივიან  
და ვარსკვლავები საქართველოსა,  
ვით ნაპერწყლები, თავს დასცივიან.  
ეტყობა, უყვართ მით საქართველო,  
რომ ზევით ცაზე არ ჩერდებიან,  
და, სიხარულით ჩამოფრენილნი,  
ჩვენს სამშობლოსა თავზე ქრებიან“.

აქ ავტორი პეიზაჟს როდი ხატავს მარტოოდენ ნაწარმოების სამკაულად და პოეტური ეფექტის გასაძლიერებლად, აქ პეიზაჟი იდეითაა გაძლიერებული და ეროვნულ მოტივშია გადასული. ეს ხერხი ქალაქიდელოსათვის დამახასიათებელია სხვა ლექსებშიაც. ლამეში მთქანის ქვერეტის ეამს მას სამშობლო ავონდება და ბუნების ყოველგვარი პეიზაჟი მის მდგომარეობასთან აქვს დაკავშირებული. პოეტის ამ ნიშანდობლივ თვისებას პოეტის თანამედროვე კრიტიკაც აღნიშნავდა: გ. ქალაქიდელოს „ჩანგის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ სამშობლო თავდავიწყებამდე უყვარს და ყოველივე და ყველაფერი მხოლოდ მისდა სადიდებლად და სალხენად უნდა, — ვკითხულობთ 1898 წელს „ივერიაში“. — თვით მოთარესაც კი იმას ემუდარებოდა, რომ მას, ამ ცივსა და მრგვალ ბურთს, ცაში კანდელად ჩამოკიდებულს, სამშობლო ჰყვარებოდა, ე. ი. სამშობლოსათვის მეტი სინათლე და სხივი მიეფინა და „მტრისა გულის საკლავად საქართველო“ გაეხარებინა“<sup>1)</sup>.

მხატვრულად უფრო ძლიერი პოემა „უბედურნი“ ჩერქეზთა ცხოვრებიდან არის აღებული. იქაც ეროვნული თემატიკაა ნაწარმოების ქარგად მოცემული. პოემის ნაწყვეტები პირველად „კრებულ“-ში დაიბეჭდა 1872 წელს, ხოლო მთლიანად — „დროების კალენდარ“-ში 1875 წელს.

პოემის ფაბულა დიდის ოსტატობით არის გაშლილი. პოემა გვიხატავს ჩერქეზი ქალ-ვაჟის სიყვარულს, მტრის შესევას საჩერქეზოში და სამშობლოსათვის თავგანწირვას. ვაჟი ტყვედ ჩაუვარდება მტერს, დასჯის წინ სატრფო აიძვდება ვაჟს: „უფროსს შევთხოვ შენს განთავისუფლებას და თუ დამთანხდა, თეთრკაბაში ჩაცმული მოვალ შენს დასახვრეტად გაყვანისას, ხოლო თუ მტერმა თხოვნა არ შეიწყნარა, თალხებში მოსილი“ მოვალო. მეორე დღეს ვაჟი დასახვრეტად გაჰყავთ და ქალი სატრფოს თეთრ კაბაში ჩაცმული ეჩვენება, თითქოს ამით ეუბნება, ვაჟკაცურად შეხვედი სიკვდილსაო. ტყვე ილიმება დასჯის წინ, და ქალი სასოწარკვეთილი ამთავრებს თავის ტრაგიკულ მოთხრობას:

„ოხ, სასოვარო! მიხვედი, სიცილში  
რომ სამღკრავად მეუბნებოდი:  
რად სწუხდებოდი, მე სამშობლოსთვის  
ეთეთრებოდაც მხნედ მოვეცდებოდი“.

ამ პოემის შესანიშნავად გამოკვეთილი პერსონაჟები, ენობრივი მასალა, კარგი მხატვრული ადგილები, კომპოზიციური აღნაგობა და ფინალი ცხადპყოფენ ავტორის პოეტურ შესაძლებლობას, ნიქს და უნარს.

ყოველივე ეს, ზოგჯერ რეალიზმისათვის ზურგის შექცევა და უკან, წარსულისაკენ, რომანტიული მიხედვა საერთოდ თერგდალეული მწერ-

<sup>1)</sup> გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 112. ი. ფანცხავას სიტყვა.

ლების ერთ-ერთი თვისებათაგანია. ეს ტენდენცია მძლავრად მოსჩანს ქალადიდელის შემოქმედებაში. პოეტის აზრით, აწმყო ბნელია, მომავლის იმედი ოდნავ ციმციმებს, ხოლო წარსულზე ოცნება ტკბილია. მაგრამ დროდადრო მომავალს მაინც ოპტიმისტურად უნდა ვხედავთ. წარსულის გმირთა მოგონება სტიმულს აძლევს ამისათვის და იმედიანად ამბობს:

„ამ ბნელ ღამეში მინდა ბედკრულსა  
ტკბილად ქვეყანას შემოვხაროდე  
სოხმარი მტანჯავს და ვერ ვაძლევ  
რომ გათენებას არ მოველოდე.“<sup>1)</sup>

მომავლის იმედით იყო გატაცებული იმ დროს რუსეთში სამხედრო სამსახურში მყოფი პოეტი. იგი ერთი წუთითაც არ იფიწყებდა თავის ქვეყანას, თვალყურს ადევნებდა მისი მაჯის ცემას და ადრე თუ გვიან სამშობლოში დაბრუნებას ოცნებობდა. მუდამ ერთი ფიქრით იყო გატაცებული: სამხედრო სამსახურს თავს მივანებებ და ჩემს ქვეყანას დავუბრუნდებიო... მაგრამ კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადიდან იგი რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე გაგზავნეს. ომის ვათაეების შემდეგ, 1879 წელს, რუსეთის ქვეითი ჯარის სამოსწავლო ბატარეაში დანიშნეს, ხოლო 1888 წელს — მიხეილის სახელობის არტილერიის ბატარეაში. ასე თანდათან დაწინაურდა სამხედრო სამსახურში და 1895 წელს უკვე არტილერიის ოცდამეათე ბრიგადის მეორე დივიზიონს უფროსობდა.

აშკარაა, ცხოვრება აიძულებდა პოეტს გადახვეწილიყო შორს ლუკმა პურისთვის. სამხედრო სამსახური დიდ დროს ართმევდა და შემოქმედებითი მუშაობისათვის აღარ ეცალა. მკითხველ საზოგადოებას სამწუხაროდ მიაჩნდა, რომ ასე ნაადრევად მიწყნარდა პოეტის ხმა. ბევრგან საჯაროდაც ითქვა ეს გულისტკენა, ხოლო 1879 წელს „დროების“ ერთ-ერთი ფელეტონისტი გრ. უმწიფარიძის (ვოლსკის) შემოქმედების მიმოხილვისას წუხილით იხსენიებდა ქალადიდელის ნიჭის გაფუჩქვანამდე დაქნობას: „ვინატროთ, — სწერდა იგი, — რომ ეს ნიჭი (უმწიფარიძის) ისე უდროვოდ, ისე „დაუმწიფებლად“ არ დაჩაგრულიყოს და არ დამკნარიყოს, როგორც დაქნა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა მწერლის ნიჭი, მაგალითად, გ. ქალადიდელისა (ქოჩაქიძისა) და სხვა“.<sup>2)</sup>

გულისტკენა ნაწილობრივ მართებული იყო: იმეამად ომში მონაწილე პოეტი რამდენიმე წლით ჩამოშორდა ლიტერატურას. მაგრამ ეს მუდ-

<sup>1)</sup> ქალადიდელის ეს ლექსი — „სოხმარი“ — ავტორის სიკოცხლეში არ დაბეჭდილა.

<sup>2)</sup> „ივერია“, 1879 წ., № 37

მივად სამხედრო ფრონტზე ყოფნით იყო გამოწვეული, და ვერც დავატკაცებელი, ოცდათორმეტი წლის გიორგი არაინტენსიურად მაგრამ მაინც სიყვარულით განაგრძობდა შემოქმედებითს მუშაობას; შემდგომში დაიწერა მისი ბევრი კარგი ლექსი, პოემა, სცენები და მხატვრული

იმ დროს მის პოეზიაში ეროვნული თემატიკის გვერდით თავს იჩენს სიყვარულის თემატიკა. ამაში საგრძნობია ეროტიული მომენტები. ასეთია მისი ლექსები: „ჩემი ანა“, „უძღვნი ანსა და ნარსა, ონსა და ხანსა“, „უძღვნი ა. ნ.“ და სხვა.

1869 წელს, შემოქმედებითი მუშაობის დაწყების ეპოს, ჭალადიდელმა „სასოფლო გაზეთ“-ში დაბეჭდა ლექსი „მენავე“. ლექსს სათაურს ქვემოთ მიწერილი აქვს: „უძღვნი თ. ა. წ.“, რაც უთუოდ ნიშნავს: „უძღვნი თავად აკაკი წერეთელს“. ამ ლექსში პოეტი მიმართავს აკაკის:

„შენი ჩანგიც ხომ, ძმაო, ტრიალებს,  
მაგრამ ნიავი ვერას დააკლებს  
და მოძმეთ შორის დაუეწყარი,  
იყოფ, რომა ყოველთვის გასძლებს“...

ამ ლექსმა იმავე წელს გამოიწვია აკაკის ლექსი „პასუხი ჭალადიდელისადმი“. ეს ლექსი ახალგაზრდა პოეტისათვის გადაიქცა პოეზიის უტილიტარული როლის გაგების სტიმულად. აკაკი ამ ლექსში არკვევს პოეტისა და პოეზიის დანიშნულებას და დასძენს:

„აეიც და კარგიც მას ევულება  
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს;  
მოძმეთ უმანკოთ ემსახურება  
და სიციცხლესაც მითი იტყბილებს  
ამგვარი კაცი არი პოეტი,  
დროზე იმტრედებს და დროზე გველობს;  
მის ტოშს მისთვის სძულს, ჰგონია ცეტი  
და მის ქცევაზე უმართლოდ ხელობს.  
მაგრამ პოეტი, კაცი გველ-მტრელი,  
მოძმეთ ცრუ აზრსა არ აგდებს არად!..  
ახალგაზრდობის მას აქვს იმედი  
და იმას უმღერს მარად და მარად!  
ხან მტრედებო აღმა ჰფრენს მოწონებით,  
ხან გველივითა ჭვესკენელში ძვრება,  
მაგრამ ყოველთვის თვით მოქმედებით  
ის მხოლოდ მამულს ემსახურება“.)

ამ ლექსმა, ეჭვი არ არის, ერთგვარი როლი ითამაშა ჭალადიდელის მსოფლმხედველობის გამომუშავებაში. ამ ლექსმა გააძლიერა მასში მა-

მულისათვის სამსახური, დემოკრატიული იდეებით გატაცება და საზოგადოდ იდეური აქტუალობა.

ქალადიდელის პოეზიის ლეიტმოტივს ეროვნული პრობლემა წარმოადგენს. მაგრამ მის გვერდით ძალუძმად მოსჩანს მშრომელთა უცხოეთით დაინტერესება და საზოგადოდ დემოკრატიული იდეები:

„ქება მუშის მუშურ ხმის  
და მის მარტოხელა ბედს“. <sup>1)</sup>

ცნობილ ლექსში „ფაცხა“ ავტორი გარკვეულ იმედს ამყარებს მშრომელის ოჯახიდან გამოსულ ყრმაზე:

„მაგრამ ფაცხიდან ყმაწვილი,  
ტიტველი და უფერული,  
დედას ხან ეთამაშება,  
ხან ჰყავს გულში ჩახუტული.  
და ამრიგად გამოზრდილი  
პაწიწინა უსუსური  
მაშულ-დედულის და შრომის,  
მწამს, დარჩება მოყვარული.  
ამიტომაც მიყვარს ფაცხა  
ღარიბული, არმდიდრული,  
უფიცრო და უყავარო,  
წერილის წყნელით ჩახლართული“.

პოეტი სთხოვს მოხუც მშობელს, დაარიგოს შვილი, რომ იგი მოძმეთათვის საჭირო და გამოსადეგი გახდეს:

„ეცადოს მოძმეთ გაუხდეს მზადა,  
შრომას დასძაბოს „ურა და „ურა“. <sup>2)</sup>

ქალადიდელი ადამიანში მხოლოდ პატიოსნებასა და სინილისს ზედავს. პოეტს, როგორც ტიპიურ თერგდალეულს, სწამს, რომ ქვეყნის ზრდა შედეგია ძმობა-ერთობის გამტკიცებისა. აქაც თერგდალეულთა ჩვეული ლიბერალური მსოფლგაგება რიცხავს კლასობრივი ანტაგონიზმის მომენტს.

1898 წლის 1-ლ აპრილს პოეტი გარდაიცვალა ბელორუსიაში, ქ. მინსკში. ქართული ეურნალ-გაზეთები მწუხარებით გამოეხმაურნენ პოეტის სიკვდილს. ტფილისში და სხვაგან პოეტის ხსოვნის პატივსაცემად გადახდილ იქნა პანაშვიდები. მეტად გულთბილი ნეკროლოგი უძღვნა „ივე-

<sup>1)</sup> იქვე, ლექსი „ქება შრომის“.

<sup>2)</sup> ქალადიდელის თხზ., ლექსი „მოხუცისადმი“.



რია“-ში მ. ჯანაშვილმა ქალადიდელის ხსოვნას: „ღარ გვყავს კოლხიდის შვილი და საქართველოს წარჩინებული მგოსანი, — სწერდა/ის, — განისვენა ქალადიდელმა შორს საქართველოსაგან, თეთრის ზღვის მიდამოებში... დადუმდა ენა, რომელიც ატკობდა ქართველს 30 წლის განმავლობაში. გატყდა კალამი, დიდ-მშვენიერ ძეგლების მწერალი...“<sup>1)</sup>.

სიცოცხლეში ოცნებად გადაქცეული სამშობლო პოეტს სიკვდილის ეამსაც არ დავიწყებია. მისი უკანასკნელი სურვილი სამშობლოში დასაფლავება ყოფილა, რაც შეუსრულეს კიდევ: გარდაცვალების მეორე თვეს პოეტის ნეშტი ჩამოასვენეს და სოფ. ქალადიდში დაკრძალეს. განსვენებულის კუბო დაფნის გვირგვინებით შეამკეს. ერთი გვირგვინი ქართველ საზოგადოებისაგან იყო. მეორე — ახალი თაობისაგან. მესამეზე ეწერა: „გამაცოცხლე, მანატრე, თუნდ საფლავში ვდნებოდე, აყვავებულ სამშობლოს თუ კი მოვესწრებოდე“. იყო სხვა გვირგვინებიც. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოითქვა სიტყვები. მის ხსოვნას ლექსები მიუძღვნეს დ. ერისთავმა და დეტუ მეგრულმა. ასე გულთბილად დააფასა ქართველმა საზოგადოებამ პოეტის ღვაწლი, რადგან ქალადიდელი ისეთი მწერალი იყო, რომელმაც ხალხის გულში პპოვია ადგილი.

გიორგი ქალადიდელი ლიტერატურული დებიუტიდან მოყოლებული სიკვდილამდე ტიპიურ თერგდალეულად დარჩა და დიდი დიაპაზონის მქონე მწერლების ილიასა და აკაკის გვერდით მან მაინც შესძლო თავისებური ხმის გამოცემა. მისი, როგორც თერგდალეულის, პოეტური ენა ძირითადად ბალხური იყო, მასებისთვის გასაგები. ქალადიდელის ყოველი ლექსი ხასიათდება ღრმა ლირიზმით და გრძნობათა სისადავით.

ქალადიდელის პოეზიის საზოგადოებრივი აქტუალობა სათარგმნელი პოეტების შერჩევაშიც გამოიხატა. იგი სთარგმნიდა ისეთ პოეტებს, როგორც იყო ნ. ნეკრასოვი, რობერტ ბიორსნი, ჰაინრიხ ჰაინე და სხვ. კერძოდ, ნეკრასოვი ძალზე ჰყვარებია პოეტს და კიდევ შეუნიშნავს: „ღამის თერთმეტი საათია და კიდევ გავათავე კითხვა ნეკრასოვის თხზულებისა „რუსი ქალები“ დაიბეჭდა „ოტჩ. ზაბ.“-ში 1873 წლის იანვარს). რა მშვენიერება რამ არის! რა ცელილებას ახდენს კაცის გულში ეს მშვენიერი თხზულება! შორსა ვარ, თორემ მინდა მის გულს თაყვანი ეცე და ხელებს ვაკოცო!“<sup>2)</sup> პოეტს ეს სიყვარული ნეკრასოვისადმი თავისი თარგმანებით დაუმტკიცებია. მშვენივრად არის ნათარგმნი ნეკრასოვის ლექსი „საწყალი გული აქაც არ სცხრება“.

ასევე გასაგებია ქალადიდელის ნათესაობა დემოკრატიული პრინციპებით გატაცებულ გლეხთა მომღერალ შოტლანდიელ პოეტ რობერტ

<sup>1)</sup> „ივერია“, 1898 წ., № 87.

<sup>2)</sup> გ. ქალადიდელის თხზ., „მშენიშვნა“.

ბიორსთან (1759 — 1796). ქალადიდელმა სთარგმნა ბიორსის „არავის“, რომელიც „დროება-ში 1870 წელს დაიბეჭდა. 1892 წელს ეს ლექსი, მცირედი შესწორებით, ვასო აბაშიძემ თავის „ჩანგ“-ში შეიტანა.

პოეტს უთარგმნია აგრეთვე პანრიხ პაინეს სამიჯნურო ნასიათის ლექსი „როდესაც გიმზერ თვალეზში, ტურფავ“. ქალადიდელი გატაცებული ყოფილა შილერთა, რომლის მიხედვით უწერია მიბაძევები. ასეთია, მაგალითად, ლექსები „გამოცანა“ (დაიბეჭდა „დროება“-ში 1869 წ.), „იმედი“ და სხვა.

ცხადია, ქალადიდელი თარგმნიდა ისეთ პოეტებს, რომელთაც იდეურად უახლოვდებოდა.

მცირედი ადგილი არ უჭირავს ქალადიდელის შემოქმედებაში პროზას, — მას მრავლად უწერია სცენები და შენიშვნები. აქვს „ციე-ცივი ამბები“-ს სათაურით ცნობილი წერილები და სხვა. ამ ნაწერებშიაც, ისევე, როგორც ლექსებში, თვალსაჩინოდ არის გამოხატული თერგდალეულთა იდეები.

გ. ქალადიდელს, როგორც შემოქმედს, უთუოდ აქვს თავისებური პოეტური ინდივიდუალობა. სამოციანი წლების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ამ უმცროსმა თანამედროვემ შესძლო თავისი დროის იდეების მხატვრულ სახეებში მოცემა.

გიორგი ნადირაძე

## ბარათაშვილი და ლიბრატი

1841 წლის 28 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბიანმა გადმოთარგმნა რომეო ი ძულეტა შექსპირის ტრადედია და მე გადმოკთარგმნე იული ტარენტსკი ტრადედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე ვასინჯე, იტირეს“.

იოჰან ანტონ ლაიზევიცის (Johann Anton Leysewitz- ხუმოქმედებიანი ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“ (Julius von Tarent) დაიბეჭდა 1846 წელს ჟურნალში „Библиотека для чтения“ (ტომი 43, უცხოეთის მწერლობის განყოფილება, გვ. 1 — 66). ნ. ბარათაშვილის თარგმანი დაიკარგა და შეიძლება სამუდამოთაც მაგრამ ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი სათანადოდ შევაფასოთ ეს ფაქტი, რომელიც საგულისხმოა მრავალმხრივ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება არ იყო მდიდარი გარეგანი ფაქტებით. სამაგიეროდ იგი უნდა ყოფილიყო რთული და საინტერესო შინაგანი ბუნების ადამიანი. პეტნერი ამბობს გოეთეზე: იგი მიტომ გახდა დიადი და მძლავრი პოეტი, რომ დიადი და მძლავრი ადამიანი იყო.

ეს შეიძლება გვეთქვას ნ. ბარათაშვილზედაც. პოეტის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე საკმაო წარმოდგენას გვაძლევს მისი შემოქმედება, მეტად ფართო და ღრმა თავისი სულიერი მოძრაობით.

იოჰან ლაიზევიცის ტრაგედია ნ. ბარათაშვილმა პირადი თაოსნობით თარგმნა და იმ დროის განათლებულმა ქალებმა „იტირეს კიდევ“. განა ამ პატარა ფაქტში არ მხილდება ჩვენი რომანტიკოსი პოეტის და მთელი რომანტიული ეპოქის სულიერი განწყობილება და ლიტერატურული გემოვნება?

ტრაგედიის განხილვა დაგვიანებებს, თუ რაოდენ ფართო იყო ჩვენი რომანტიკოსების ინტერესთა სამკვიდრო. მისი პარალელი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან შეტი სინათლით გააშუქებს ზოგიერთ გარეშობას და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი მნიშვნელოვანი გამოცანის გადაწყვეტას გაგვიადვილებს.

რამდენიმე სიტყვა ტრაგედიის ავტორზე.

იოჰან ლაიზევიცი დაიბადა 1752 წელს ჰანოვერში. მამამის ჰანოვერში ღვინის საეკპრო ჰქონდა. იოჰანის დაბადების შემდეგ ოჯახი ცულეში გადასახლდა. აქ მიიღო მან საშუალო განათლება, ხოლო 1770 წელს გოტინგენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ეს ის დრო იყო, როცა გერმანიის ლიტერატურულ ცხოვრებაში იწყებოდა „შტურმისა და დრანგის“ პერიოდი. ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო ძლიერი ლიტერატურული მოძრაობა. ჯერ კიდევ 1770 წელს გოტინგენში საფუძველი ჩაეყარა მწერალთა გაერთიანებას, რომელმაც „გოტინგენის მუზათა აღმანახის“ გამოცემა დაიწყო. ეს გაერთიანება მალე დაიშალა. 1772 წელს ექვსი გოტინგენელი მწერალი ხელახლა აარსებს კავშირს, რომელიც Heinbund-ის სახელით არის ცნობილი.

1774 წელს იოჰან ლაიზევიცი გოტინგენელი პოეტების საზოგადოებაში შევიდა, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ მიატოვა იგი და ისევ ჰანოვერში დაბრუნდა იურიდიული კარიერისათვის. 1775 წელს მას ბრაუნშვაიგში ეხედავთ, სადაც გაიცნო და დაუახლოვდა ლესინგს და ე შე ნ ბ უ რ გ ს. 1776 წელს ბერლინში გაიცნო ცნობილი განმანათლებელი, ლესინგის მეგობარი ნიკოლაი, ხოლო 1780 წელს ვაიმარში — ვილანდი და გოეთე.

1778 წლიდან ი. ლაიზევიცი სახელმწიფო სამსახურში მოეწყო, სადაც თვალსაჩინო კარიერას მიაღწია. 1790 წელს იგი მთავრობის წევრი შეიქმნა და დიდი გავლენით სარგებლობდა სიკვდილამდე. გარდაიცვალა 1806 წელს.

ასეთია იოჰან ლაიზევიცის ცხოვრების გარეგანი ქრონიკა.

მან დასწერა ერთადერთი დასრულებული ნაწარმოები: „Julius von Tarent“, რომელიც ქართულად უთარგმნია. ნ. ბარათაშვილს. გარდა ამისა, 1776 წელს ბოიემ „გერმანულ მუზეუმში“ გამოაქვეყნა ლაიზევიცის ორი ნაწყვეტი: „კონრადი“ და „ალექსანდრე და გეფესტიონი“, რომლებიც ავტორს დაუმთავრებელი დარჩენია.

გოტინგენის პერიოდში ლაიზევიცი მუშაობდა ოცდაათწლიანი ომის ისტორიაზე, მაგრამ ხელნაწერი დაუხვევია მას შემდეგ, რაც დაბეჭდილი უნახავს შილერის შრომა.

ასევე დაიღუპა კომედია: „Die wiber von weinsberg“ რომელიც ავტორის ანდერძით დაუწვავთ მისი სიკვდილის შემდეგ.<sup>1)</sup>

მხატვრული ნაწარმოების ენერჯია არ განიზომებოდა მისი სიღრმით და არც პოეტის ღირსება დაფასდება ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობით. ი. ლაიზევიცი ერთადერთი ნაწარმოების ავტორია, მაგრამ მან ისეთი კვალი დატოვა, რომელიც სქელტანიანი წიგნების მრავალ ავტორს შეხარბდება.

ტრაგედიის შინაარსი ასეთია:

ტარენტის სამთავროს ხელისუფალს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: უფროსს იულიუსს უწოდებდნენ, ხოლო უმცროსს — გვიდოს. ვერაინ იტყოდა, რომ ისინი ერთი დედ-მამის შვილები იყვნენ. იულიუსი გულჩათხრობილი და მგრძნობიარე იყო. ჯერ კიდევ სრულიად ნორჩს უკაცური ადგილები იტაცებდა. უყვარდა მშვენიერი ბუნება მისი ათასნაირი ფერით და სურნელებით. განმარტოვებოდა იულიუსი და მიეცემოდა ოცნებას ან წიგნებს კითხულობდა. მისი საყვარელი ავტორები იყვნენ ანტიკური ფილოსოფიისა და მხატვრული სიტყვის ოსტატები, განსაკუთრებით — ბრძენი პლატონი... იულიუსს მხოლოდ ერთადერთი მეგობარი ჰყავდა, რომელსაც საიდუმლოებას უმზებდა და რჩევასაც უჯერებდა. ეს იყო ასპერმონტე-მასავით მელანქოლიით შეპყრობილი ქაბუკი. მეგობრები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და გულმხურვალედ საუბრობდნენ ადამიანის დანიშნულებაზე, თავისუფლებაზე და სულის უკვდავებაზე. იულიუსის მგრძნობიარე გულში ძალიან ადრე დაბინავდა სიყვარული. „იგი ისე შევიდა მასში, როგორც სახლის პატრონი შედის ხოლმე თავის ბინაში“.

არაფრით ჰგავდა იულიუსს უმცროსი მმა გვიდო, რომელსაც რაინდული თავმომწონება ისე ჰქონდა გამგდარი სისხლსა და ხორცში, რომ ადამიანის სხვა მისწრაფებანი სიცილად არ ჰყოფნიდა. „იყო ადამიანი — ნიშნავს იმოქმედო“, იტყოდა ხოლმე გვიდო, „ფილოსოფია ჰკლავს ადამიანში სალი აზროვნების უნარს და მკლავის ღონესო“.

ტარენტში ცხოვრობდა მშვენიერი ქალწული ბლანკა. შესანიშნავი გარეგნობით დაჯილდოვებულს, იშვიათი სულიერი თვისებებიც ამკობდა. იგი ნამდვილი იდეალი იყო იმ ქალწურობის, რომელსაც ასე გულმხურვალედ ეტრფოდნენ ნაადრევი რომანტიზმის პოეტები. მის გარეგნულად მშვიდსა და ფაქიზ არსებაში სიყვარულის მძლავრი გრძნობა ღვა-

<sup>1)</sup> იოჰან ლაიზევიცს გერმანული ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი ეწება, უფრო ვრცლად Hettner: Geschichte der deutschen Literatur im XVIII. Jahrhundert. Drittes Buch, erste Abteilung, 2 Auflage, s. 349—352, სპეციალურად: Johann Anton Leysewitz, ein Beitrag zur Geschichte der deutschen Literatur von Georg Kutschera von Alchberger, 1876.

ოდა. ბლანკას სძულდა მსუბუქი განცდის ადამიანი, რადგან თვითონ მხოლოდ ღრმა და გულწრფელი სიყვარული შეეძლო.

იულიუსს და ბლანკას მთელი არსებით შეუყვარდათ ერთმანეთი, სიყვარულით გონებადაკარგული ჭაბუკი ასე ეფიცებოდათ თავის სატრფოს: „შენი გულისთვის თუ დავეკარგავ ტახტს, ჩემო ბლანკა, ეს მსხვერპლი კი არ იქნება, არამედ განთავისუფლება. შენი გულისთვის მზად ვარ მრავალი წელი გავატარო ბნელ საკანში, სადაც მზე მხოლოდ იმდენ სხივებს შემოუშვებს, რამდენიც საკმაოა შენი სახის განათებისათვის“.

მაგრამ რომანტიკოსი პოეტისთვის სიყვარული მარტო ზორციელი სიტკბოება როდია. სიყვარულს შეუძლია აანთოს ყველაზე მძლავრი მისწრაფებანი ადამიანის სულის სიღრმეში, რასაც სხვა განცდები ვერ მისწვდებიან. „ჩემში ყოველივე ცოცხლობს და მოქმედობს“, ამბობს იულიუსი. არცერთი რომანტიკოსის სიყვარული არ მიმდინარეობს მწვავე კოლიზიების გარეშე.

არც იულიუსის და ბლანკას სიყვარულმა ჩაიარა მშვიდად. ძმას ძმა გადაელობა ვზახე. გვიდოს ბლანკა მოეწონა და ბრძოლაში გამარჯვებულმა რამდენჯერმე ახსენა მისი სახელი. მართალია ქალს იულიუსის ტროფობა სწევდა, მაგრამ „განა ვარდს ეკითხებიან თუ ვისთვის აკმევს იგი თავის სურნელებას.“ — სილამაზე ვაეკაცობის ბუნებრივი ჯილდოა და ბლანკაც ჩემი უნდა იყოსო, ამბობდა გვიდო.

შეწუხებულმა მამამ ბლანკა მონასტერში გაგზავნა, იულიუსს კი გულის განსაქარვებლად საცოლო ამოურჩია, მშვენიერი და ამაყი ცეცილია. ჭაბუკი ბედს შეურვიდებდა, გულიდან დარდს გადაიყრის და ყველაფერი მშვიდად ჩაივლისო — ფიქრობდა მოხუცი.

ლაიზევიცის ტრაგედიაში ცეცილია ყველაზე უფრო ბრწყინვალე სახეა ქალთა შორის. მისი თამამი აზრები ახალი განმათავისუფლებელი იდეების ქროლვას გვაგრძნობინებენ. ცეცილიამ იუკადრისა მოხუცის განზრახვა და თავისი აზრი გაბედულად გაუმტლავნა იულიუსს: „მე პირველად ვიხსნი თქვენ ჩემი გულის საიდუმლოებას. მე სამუდამოდ უარი ვთქვი სიყვარულზე: მე დავიბადე თავისუფალ ადამიანად და თავისუფალ ადამიანადვე მინდა მოვკვდე. მე ვერ ვიტან აზრს — გავხდე მონა მამაკაცისა. მე მესმის ბორკილების ხმაური და საქორწინო გვირგვინი განწირული სიცოცხლის სამკაულად მეჩვენება“. ამ სიტყვებში ისმის პირველი გაბედული პროტესტი იმ საოჯახო ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელმაც ქალს დამოუკიდებელი ადამიანის ღირსება წაართვა ფეოდალურ საზოგადოებაში.

იულიუსს გულშიაც არ გაუვლია ბლანკასთან განშორება. მან თავისი სატრფო იმავე დღეს ინახულა მონასტერში და ტარენტიდან გაქცევის თხოვნით მიმართა. „რა საუცხოვეო იყო ახალი მოვალეობის და

სიყვარულის ბრძოლა მის არსებაში. ეს ორი უსპეტაკესი გრძნობა ისე აირია მის სულში, რომ არცერთს არ შეეძლო ეთქვა მეორისათვის: ეს კრემლი ჩემია და ის კი შენია...“ შუალამისას იულიუსი თავისი მეგობრებით მონასტერთან გაჩნდა. ეს შეიტყო გვიდომ და მშენებლის ბრძოლა მახვილმა გადაწყვიტა: იულიუსმა თავი შეაკლა ჯიუტ რაყიფს.

შვილის კუბოსთან ტარენტის მთავარმა უღმობელი მსჯავრი გამოუტანა თავის მეორე შვილს. მამის გულში მშობლიური სიყვარულისა და შურისძიების გრძნობათა ბრძოლა მეტად მძაფრი ფსიქოლოგიური დრამატიზმით არის გადმოცემული. „კიდევ ერთხელ მომეხეიე და მაკოცე, შვილო“, ეუბნება მოხუცი გვიდოს და გულში ჩაყრულ შვილს მახვილით განგმირავს.

ასეთია ტრაგედიის შინაარსი.

ეს არის იოჰან ლაიზევიცის ერთადერთი ნაწარმოები, რომელმაც ავტორს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ადგილი მიაკუთვნა.

1775 წლის 28 თებერვალს შრედერმა დანიშნა ჯილდო საუკეთესო ორიგინალურ პიესაზე, რომელიც დასადგმელად ჰამბურგის ნაციონალურ თეატრს უნდა გადასცემოდა. ი. ლაიზევიცმაც თავისი ტრაგედია საკონკურსოდ წარადგინა. ჯილდო მიაკუთვნეს კლინგერის დრამას „Die Zwillinge“ (ტყუბი), მაგრამ, როგორც პეტენრი წერს: „უკვე მაშინ საერთო აზრი არ იზიარებდა ამ გადაწყვეტილებას და ისტორიულმა განაჩენმა დაადასტურა ეს საერთო აზრი“.

იმხანად ჰამბურგის თეატრში მუშაობდა ცნობილი გერმანელი მოაზროვნე და მწერალი გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი. ლაიზევიცის ტრაგედიის ღირსებაზე ლაპარაკობს ის შეცდომა, რომელიც დაემართა ლესინგს მისი წაკითხვის შემდეგ: მას ეგონა, რომ ტრაგედიის ავტორი გოეთე იყო. ლესინგს ლიტერატურის ისტორიაში ისეთი ავტორიტეტული გემოვნების მქონე კრიტიკოსის სახელი აქვს განთქმული, რომ ამ ფაქტს გერმანული ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი აღნიშნავს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლესინგმა „იულიუს ტარენტელის“ ავტორზე მისთვის ჩვეული გონებასახვილობით და მოკვეთილობით თქვა: ლაიზევიცმა მხოლოდ ერთი ლექვი დაბადა მაგრამ ლექვი ლომისაო.

ლაიზევიცის ტრაგედიას აღფრთოვანებულად მიესალმა ქარიშხლიან მისწრაფებათა ეპოქის მთელი ახალი თაობა. ამ ნაწარმოების თამამ აზრებში ბურჟუაზიული ლიტერატურის მოტრფიალე ადამიანებმა თავისი სულიერი საზრდო კპოვეს. მაგრამ ტრაგედიის ღირსება მართო ამით არ განისაზღვრება. მან გავლენა მოახდინა გერმანული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. ყველაზე ძლიერ და ხანგრძლივად ეს გავლენა ახალგაზრდა შილერმა განიცადა. „იულიუს ტარენტელი“ მან ზეპირად

იკოდა. ამ გავლენით არის დაწერილი მისი ცნობილი ტრაგედია: „ყაჩაღები“ და „მესინელი საცოლე“.

პეტნერის აზრით „ამ ნაწარმოების არსებითი, ცხოველმყოფელი ნერი ქარიშხლიან მისწრაფებათა პერიოდის სულში უნდა ყოფილიყო“.

გერმანული „შტურმი და დრანგი“ ბუნდოვან მისწრაფებათა ლიტერატურულ მოძრაობას წარმოადგენს. ამაში ბრალი მწერლებსა და პოეტებს კი არ მიუძღვით, რომელთა შორის ჩვენ გვხვდებიან დიდი სახელები, არამედ იმ ეპოქას, რომლის შვილებიც ისინი იყვნენ. გერმანიის ამომავალი თაობა მოკლებული იყო საშუალებას ცხოვრებაში გამოეყენებია თავისი ძალა და ნიჭი. ამან დაბადა ლიტერატურაში თავყვანისკმა მძლავრი პიროვნებისა, რომელიც არა არსებულ, არამედ ლიტერატურულ სინამდვილეში იყენებდა თავის ენერჯიას. მეორე მხრით, ამ პერიოდის მწერლობის განვითარებას ტალღისებური მოხაზულობა აქვს. შტურმისა და დრანგის პათეტიკურ ტონს ხშირად სასოწარკვეთილებისა და განწირულების განცდები ცვლიან. აქედან — ქარიშხლისა და შეტევის პერიოდის ორი ძირითადი განწყობილება: პათეტიკა და დეპრესია. გოეთეს „ვერტერი“ და „გოც ფონ ბერლიხინგენი“ ამ პოლარულ განწყობილებებს საკმაოდ მკაფიოდ ამჟღავნებენ.

ლაიზევიცმა თავის ტრაგედიაში ამ ორივე განწყობილების ანარეკლო მოგვცა. იულიუსი ვერტერის შემკვიდრეა, გვიღო კი იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც დაგუბებული ენერჯიის ამოქმედება სწყურია. „იყო აღამიანი—ნიშნავს იმოქმედო“, ამბობს გვიღო. მისი სიტყვები მოგვაგონებს პრომეთეს, რომელსაც გოეთემ ათქმევინა: „ნუთუ შენ გგონია მე გავიზიზნები უდაბნოში, დაეტოვებ სიცოცხლეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ გაშლილან ოცნებათა ყველა ყვავილები“.

რამ აიძულა ნ. ბარათაშვილი ასე საჩქაროდ, სულ რამდენიმე თვეში ეთარგმნა ლაიზევიცის ტრაგედია? რა თქმა უნდა, ეს იძულება ის შინაგანი შემოქმედებითი მოძრაობა იყო, რომელიც იგრძნო პოეტმა, როდესაც მან თავისი სულიერი განწყობილების და პოეტური იდეების შესატყვისი ლიტერატურული ნაწარმოები პპოვა. მას არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება ამ შესანიშნავი ტრაგედიისათვის, სადაც ყოველი გმირი მისი სულის უინტიმეს ტკივილებს ეხებოდა. მათ თითქოს დაუნაწილებიათ ბარათაშვილის რთული და მდიდარი სულიერი სამყარო და მისი ცალკეული აზრებისა და განცდების განსახიერებად ქცეულან.

გარდა ამისა, მეტად თვალსაჩინოა ამ ნაწარმოების უდაო მხატვრული ღირსებები. უწინარეს ყოვლისა, მკითხველს იტაცებს აზრიანი, ნათელი და მოხდენილი ენა, რომელიც ფარავს პიესის შედარებით სუსტ დრამატულ არქიტექტონიკას. ჯერ კიდევ იმ დროის ცნობილმა მწერალმა



მერკმა აღნიშნა: ლაიზევიცის გმირები მ დ ი დ ა რ ი ს ი ტ ყ ვ ი თ დაჯილდოვებული ჩონჩხები არიანო. და მართლაც, ლაიზევიცი სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. მან უთუოდ შეითვისა, *ლენინური* პრინციპი ლიტერატურული სიტყვის ბელეტრისტული *მადლსტინსტან* გაწმენდის შესახებ. ამ მხრით ის მთელი თავით მალლა დგას ბევრ თავის თანამედროვესთან და, უწინარეს ყოვლისა, გოტინგელ თანამოკალმეებთან შედარებით.

შეადარეთ ლაიზევიცის ტრაგედიაში დასადგურებული სული ნ. ბარათაშვილის შინაგან სამყაროს! როდესაც წაიკითხავთ პიესას, გაგიძნელებათ თქვათ, ვინ უფრო ტრაგიკულია აქ თავისი ბედით: შეყვარებულ ძმები თუ მოხუცი მამა, ბლანკა თუ ცეცილია. ტრაგიკულია ყველა, როგორც ტრაგიკული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი ადამიანური და პოეტური არსება.

უკვე ეს საერთო ფონი იყო საკმარისი, რომ ლაიზევიცის ნაწარმოები პირდაპირ გულში მოხვედროდა ბარათაშვილს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტრაგედიის დასახელებული ოთხი გმირი საკმაოდ განსხვავდებიან და ეპირისპირებიან ერთმანეთს თავისი სოფლმხედველობითა და პრაქტიკული ფილოსოფიის პრინციპებით. მაშ როგორ უნდა ყოფილიყო ნ. ბარათაშვილი ერთსა და იმავე დროს ყველა ამ გმირთა სულიერი ტყვილის თანაზიარი?

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნ. ბარათაშვილს, გრძნობისა და აზრის ამ უზარმაზარ პოეტს, არ შეეძლო შინაგანად მთლიანი პიროვნება ყოფილიყო. „ქართლის ბედი“ მას შეუბრალებლად აქანავებდა პოლარულ განცდებს შორის. ბარათაშვილმა არ იცოდა რა იყო სულის სიმშვიდე, მის არსებაში რამდენიმე ადამიანი ცხოვრობდა ერთსა და იმავე დროს. მთელი შემოქმედება პოეტმა ამ სულიერ წინააღმდეგობაში გაატარა.

ლაიზევიცის ტრაგედიაში გამოყვანილი ძმები ნ. ბარათაშვილის პიროვნებაში ეტვეიან, როგორც მისი წინააღმდეგობებით აღსავსე სოფლმხედველობის სხვადასხვა მხარეები. გვიდოს სალი, პრაქტიკული აზროვნება ჩვენი პოეტის იმ ნათელ სტრიქონებს მოგვაგონებს, რომლებიც ხანდახან ეწვეოდნენ ხოლმე მას ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების პრობლემაზე ჩაფიქრებულს. „იყო ადამიანი — ნიშნავს იმოქმედო“, ამბობს გვიდო. ლაიზევიცის სალი შეხედულება პირდაპირ ემთხვევა გოეთეს იდეა: „Am Anfang war die That“ (იმთავითვე იყო საქმე). ნ. ბარათაშვილმა ასე გამოთქვა ეს აზრი:

მეგრამ რადგანაც კაცი გვეყვან — შეიღნი სოფლისა,  
უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას შშობლისა,  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.



ბ. ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილმა მძლავრი და თავისუფალი პიროვნების მშვენიერებას ისეთი მოხდენილი სტრიქონები უძღვნა, რომ მომდევნო ლიტერატურულ თაობას მისი თანატოლი არაფერი უთქვამს. ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ბარათაშვილმა მოგვეცა ნაპოლეონის პიროვნების მეტად თავისებური, ღრმად გონიერული ფსიქოლოგიური ანალიზი:

სახელი ჩემი ვასახელე ჭვეენის საოცრად,  
შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშენად  
და დაეუმონე გულმტკიცენი მას სადიდებლად.

მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,  
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი,  
ვამი ჩემია და ვამისა მე ვარ იმედი.

ნაპოლეონზე იმდენი პოეტური სიტყვა თქმულა, რომ ერთი ადამიანი ვერ მოერევა. პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ პოეზიაში ბარათაშვილის ბადალი ლექსი არ მეგულება.

ლაიზევიცმა თავის ტრაგედიაში გამოიყენა მეტად საინტერესო ქალის ფიგურა — ცეცილია, რომელიც სულ რამდენიმე სიტყვით გვაგარანობინებს ახალი სოციალური ურთიერთობის მოახლოებას. ცეცილია არ ჰგავს თავის წინაპრებს — შექსპირის დეზდემონას, ან ოფელიას, რიჩარდსონის სენტიმენტალურ ქალებს ან გოეთეს შარლოტას. ასე თამამად მაშინდელ გერმანიაში ლესინგის ქალებსაც არ ულაპარაკიათ. ცეცილია უფრო მტკიცე და გონებაგახსნილი ქალია, ვიდრე ლესინგის ემილია გალოტი, რომელმაც აღვირა ხსნილი იტალიელი პრინცის უმსგავსობაზე მხოლოდ ეს თქვა: *Die verführung — das ist die wahre Gewaelt* (ცდუნება — აი ჭეშმარიტი ძალმომრეობა). გერმანულ ლიტერატურაში პირველად ლაიზევიცმა ათქმევინა ქალს თამამი და მტკიცე სიტყვა, ადამიანური ღირსების შეგნებისა და გონებრივი სიმწიფის მაჩვენებელი: შე თავისუფალ ადამიანად დავიბადე და მსურს თავისუფალ ადამიანად მოვეკდეო.

ნ. ბარათაშვილის სოფიო („ბედი ქართლისა“) ქართველი ქალის მომზიდველი სახეა. ჩვენ გვზიბლავს მისი დამოუკიდებელი პოზიცია და ნათელი შეხედულება ისტორიულ მოვლენებზე. ერეკლე მეფის გადაწყვეტილებას მან ძლიერი მოსაზრება დაუპირისპირა:

რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალაშია დატყვევებული...

ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება.



ქართული  
საქმიანობა

და აღფრთოვანებული პოეტი ასეთი ოდით მიმართავს ჭართველ ქალს:

პოი დედანო, მარად ნეტარნო,  
ერთხევა თქვენდა ტყბილ-სახსოვარნო.

სხვანაირია ბლანკა. მართალია მის არსებაშიაც შეპარულა ახალი დროის ქროლვა, მაგრამ არა იმდენად, რომ მისი ბუნება შეეცვალა. ბლანკა შექსპირის ოფელიას მოგვაგონებს. მისი შესანიშნავი სულიერი თვისებები და ზნეობრივი უმანკოება იმ მარადიული ქალურობის იდეალად ხდიან მას, რომელსაც ასე გრძნობიერად უმღერდა ნ. ბარათაშვილი. ბლანკა და ცეცილია ჩვენი პოეტის იდეალს გამოხატავენ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დონეზე არ დგანან თავისი ფსიქიური თვისებების მომწიფებით.

მე განზრახ დაეტოვე საბოლოოდ ტრაგედიის მთავარი გმირი — იულიუსი. ნ. ბარათაშვილს ყველაზე მეტად მისი პირადი ბედი და აზრთა წყობა უნდა გაეზიარებია.

იულიუსი გერმანული შტურმისა და დრანგის იმ თაობას ეკუთნის, რომელმაც ცხოვრებაში უკვე გამოსცადა საკუთარი ძალების უმწიფობა. „მე შეძაგებოდა ეს დიდება და საქმეები, თუნდაც არასოდეს არ მენახა ბლანკა. თავადის მდგომარეობაში მე არაფერს ვხედავ ისეთს, რაც ჩემთვის შესაფერი იქნებოდა, დაწყებული მისი საღრმითო მოვალეობით და გათავებული ოქრომკერდით მოქარგული ტანისამოსით. ახ, მომეციო მინდორი თავადობის შაგიერ, მორაკრაკე ნაკადული მოზეიმე ხალხის შაგიერ. მომეციო გუთანი ჩემთვის და ბურთი ბავშვებისათვის.. დიდება? დე, ისტორია თავის წიგნში ჩემს ფურცელზე ნურაფერს ნუ დაწერს“.

იულიუსი დაცინვით ეუბნება თავის მეგობარს: „ქვეშაირიტად, მე ბევრით ვარ დავალებული საზოგადოების წინაშე მისი დადგენილებების გამო, იმის გამო, რომ მან აღდამიანებს სხვადასხვა წოდებანი მიანიქა და უფსკრულეები გათხარა მათ შორის“. ლაიზევიცის ტრაგედიაში მკვეთრად გაისმის უმაღლესი წოდების ჩივილი: „წარჩინებულთ მეგობრები არ კყავთო“. ეს ფრაზა მან სიტყვა-სიტყვით ისესხა ლესინგისაგან. [„ემილია გალოტი“].

მოვუსმინოთ კიდევ იულიუსს:

„განა მთელი ქვეყანა მხოლოდ ტარენტშია მოქცეული და მის გარეთ სიტარიელეა. ჩემი სამშობლოა მთელი მსოფლიო.“

ჩემთვის ყველა ადამიანები შეადგენენ ერთ ხალხს, რომელსაც ერთი საზოგადოება აქვს... ეს ენაა ცრემლები და ოხვრა. მე ემხროვნებოდა პროტენტოტის ტანჯვათ. განა კაცობის მოდგმის ბედნიერებისათვის აუცილებლად საჭიროა საზოგადოება სადაც არავინ არ არის თავისუფალი, სადაც ყოველი ადამიანი მონაამეორის?.. განა მე მმართებს ამ საზოგადოებისა რამე, როდესაც მე თვითონ მას არავერს არ ვთხოვ? მე ვთხოვ ზეციერს მხოლოდ ბლანკას და ჩემს თავისუფლებას“.

იულიუს ტარენტელის სოციალურ ფილოსოფიას ატყვია ფრანგი განმანათლებლების, განსაკუთრებით ე. ე. რუსოს გავლენა. მასში გამოთქმულია თამამი აზრები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ამ ტრაგედიის ქართულად თარგმნა და საზოგადოების მიერ მოწონება ნათლად ამტკიცებს რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი თამამი იდეები ნ. ბარათაშვილისა და მაშინდელი მოწინავე საზოგადოების ცნობიერებაში შესაფერ ნიადაგს ჰპოვებდნენ.

იულიუსი ტიპიური სახეა უღონო და სისხლნაკლები გერმანული ბურჟუაზიისა. მისი მელანქოლია და პროტესტი, რომელიც საზოგადოებიდან გაქცევით შემოიფარგლა, მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის ადამიანურ და პოეტურ ტრაგედიას, რომელსაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სინამდვილე იწვევდა. არც ბარათაშვილი იყო ბრძოლის პოეტად დაბადებული. მან გაიზიარა იმ ადამიანთა ბედი, რომელნიც მართალ სიტყვას გულში იკლავენ და საზოგადოებიდან გაქცევის ამჯობინებენ საზოგადოებისათვის ბრძოლას. მაგრამ ამ „გაქცევაშიაც“ მოგვცა მან მკაცრი პროტესტი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ქართული პოეზიის შესანიშნავ ლექსს: „მერანს“ ამ განწყობილებამ აუხილა თვალი

საქართველოს ისტორიული სინამდვილე დიდი მანძილით იყო ჩამორჩენილი გერმანიის ისტორიულ სინამდვილესთან. ლაიზევიცი გერმანიის შესამე წოდების ინტერესებისათვის იბრძოდა, ბარათაშვილს კი თავისი ერისა და ქართველი არისტოკრატის ბედი აწვალებდა. მაგრამ ეს ნიჰიური შწერლები ერთნაირად მწვავედ განიცდიდნენ თავის ადამიანურ და პოეტურ ტრაგედიას, რადგან საბოლოო ანგარიშში მახინჯ სინამდვილესთან ჰქონდათ საქმე.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს ნ. ბარათაშვილი და გერმანელი რომანტიკოსი იოჰან ლაიზევიცი.

# ისტორიული საბუთები ევდოშვილის შესახებ \*

გარკინისკი  
ბიბლიოთეკა

ევდოშვილის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ლიტერატურულ მოღვაწეთა გაღერებაში იროდიონ ევდოშვილს უეჭველად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ევდოშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი, თემატიკის მხრივ მეტად აქტუალური, ხოლო მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გამართული და სრულქმნილი, მოთხრობა, პოემა, ეტიუდი და ლექსი<sup>1)</sup>. იროდიონ ევდოშვილის ნაწერები, განსაკუთრებით მისი ლექსები, ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული თავის დროზე<sup>2)</sup>. ი. ევდოშვილი პოპულარულ პოეტად ითვლებოდა. მან საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა თავისი დროის ზოგიერთ ლიტერატურულ ფენებზე და ამ ფენებში მას თავისი მიმდევრებიც ჰყავდა. მე-19—20 საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილ წვრილ-ბურჟუაზიულ, ე. წ. დემოკრატიულ მწერლებს შორის ი. ევდოშვილი ყველაზე უფრო პოპულარული და თვალსაჩინო პოეტი იყო.

ირ. ევდოშვილის პოპულარობა და მისი ნაწერების ფართოდ გავრცელება მასაში აიხსნება არა მარტო იმით, რომ ის ნიჭიერი მგოსანი იყო, არამედ იმითაც, რომ ევდოშვილი თავის მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში მოწინავე აზრების მატარებელი და ამ აზრების განხორციელებისათვის საკმაოდ ენერგიული მებრძოლი იყო.

\*<sup>1)</sup> ჩვენი შრომა „ისტორიული საბუთები ირ. ევდოშვილის შესახებ“ რომლის შესავალი ნაწილი აქ შემოკლებით იბეჭდება, დაწერილია 1934 წ.

<sup>2)</sup> მათ შორის მრავალი საბავშვო-საყმაწვილო მოთხრობა, პუბლიცისტური ხასიათის ლექსი და წერილი.

<sup>3)</sup> ირ. ევდოშვილის ნაწარმოები (გარდა მეფის ცენზურის მიერ აღკვეთილ ნაწერებისა, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდი იყო) იბეჭდებოდა მისი დროის ეურნალ-გაზეთებში („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ნაკადული“, „ნაშადური“) და სპეციალურ გამოცემებში. ევდოშვილის ნაწარმოების ცალკე გამოცემები მის სიცოცხლეშიც არა ერთხელ გამოსულა, მაგალითად: 1879 წ. — ი. იმედაშვილისა და ს. კელიძის რედაქციით, 1905 წ. — გ. წულუკიძის რედაქციით, 1905 წ. — აღკალანდაძის რედაქციით, 1912 წ. — გამომცემლობა „განათლების“ და 1915 წ. ნ. კურდღელაშვილის რედაქციით. ევდოშვილის პირველი ლექსი დაიბეჭდა ილიას „ივერიაში“ 1893 წ.

ირ. ევდოშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა შეიძლება ვაიყოს ორ მთავარ პერიოდად: პირველი პერიოდი გრძელდება 1870-იანი წლებიდან 1908 წლამდე, ხოლო მეორე პერიოდი — 1908 წლიდან 1917 წლამდე. პირველ პერიოდში ევდოშვილის შემოქმედებას სწავლად და გარკვევით ეტყობა მუშათა კლასის რევოლუციური იდეების გავლენა. იგი ამ დროს თითქმის უშუალოდ არის დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან და ამ მოძრაობაში საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ეს პერიოდი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია მის შემოქმედებაში. რაც რამ კარგი შეუქმნია ევდოშვილის კალამს, სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის, და მისი მნიშვნელობა, როგორც პოეტისა, უმთავრესად ამ პერიოდის პროდუქციით განისაზღვრება.

მეორე პერიოდში ირ. ევდოშვილი არსებითად მუშათა მოძრაობის გარეშე სდგას: 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ის შორდება რევოლუციურ მოძრაობას და გადადის ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ ბანაკში. ამ ბანაკში რჩება იგი სიკვდილამდე.

მუშათა კლასის ჩამოშორებამ და ნაციონალურ ინტელიგენციასთან დაახლოვებამ ამ პერიოდში ირ. ევდოშვილის შემოქმედებას თავისი დალი დაასვა: ამიერიდან ევდოშვილი აღარ არის კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის იდეით აღფრთოვანებული შგოსანი.

მართალია, ევდოშვილი ამ მეორე პერიოდშიც ეხება დრო-და-დრო ძველ საკითხებს: მას ზოგჯერ რევოლუციური თემებიც იტაცებენ და დაბალი ფენების მდგომარეობაც კვლავინდებურად აინტერესებს. მაგრამ, ჯერ ერთი, ყოველივე ამას ახლა იშვიათი ხასიათი აქვს და მეორეც — ამ საკითხებს ევდოშვილი უკვე სხვა ასპექტში ჰხატავს, სხვა ფერებში გადმოგვცემს. მისი კალამი ახლა სხვა მიზნებს ისახავს, მისი შემოქმედება პესიმიზმური მოტივებით არის გამსჭვალული, ძარღვიანობასა და სიმახვილეს მოკლებული. ამდენად მისი შემოქმედების პროდუქცია ამ პერიოდში ნაკლები ღირებულებისაა.

ამ დროს იგი აქტიურად იბრძვის ნაციონალისტების ბანაკიდან იმათ წინააღმდეგ, ვისთანაც ის მანამდე ხელი-ხელ ჩაკიდებული ასევე აქტიურად იბრძოდა სრულიად სხვა მიზნებისა და იდეალებისათვის: 1907—8 წლებიდან ევდოშვილმა მრავალი დრო და ენერჯია შეაღია ამათ წინააღმდეგ ბრძოლას და თავისი წარსულის უარყოფას.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ევდოშვილი მეორე პერიოდშიაც შეურიგებელ მტრად დარჩა ცარიზმისა და თვითმპყრობლობის პოლიციური რეჟიმისა. მას არასოდეს ჰქონდა არ მოუხრია თვითმპყრობელობის წინაშე და უკიდურესი გაჭირვების დროსაც-კი, როდესაც ის ციხესა და გადასახლებაში იყო, განუჯერებელი სენით ჰლექით შეპყ-

რობილი მას შებრალებისა და პატიების შესახებ მეფის სატრაპების წინაშე სიტყვა არ წამოსცდენია. პირიქით, ის მუდამ ღრმა სიტყუვილითა და მტრული გრძნობით იყო გამსჭვალული მტარვალეუკი წყნადმწეგ, მუდამ იბრძოდა მეფის უკულმართი რეჟიმისა და წესწარმართულობისათვის. ამ ბრძოლაში დაღლია კიდევაც მან თავისი სული.

ვედოშვილის ლიტერატურული შემეცნებრობის სათანადოდ და ღრმად ათვისებისათვის, რა თქმა უნდა, არა კმარა მარტო მისი ნაწარმოების შესწავლა. ამისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, იმ პირობების გაცნობას, რომელშიაც ვედოშვილს უხდებოდა ლიტერატურული მოღვაწეობა, ხოლო მეორეს მხრივ — მისი პირადი ცხოვრებისა და პრაქტიკულ საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესწავლას.

ჩვენი წერილის მიზანია, საქართველოს ცენტროარქივში აღმოჩენილ ისტორიულ დოკუმენტებზე დამყარებით ირ. ვედოშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ცხოვრების ზოგიერთი ფაქტის დადგენა და მით პოეტის შესწავლის საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა.

ამ ახლად აღმოჩენილ საბუთებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთოდ ცარიზმის დროის შავბნელი დუხჭირი პირობების შესასწავლად, კერძოდ, იმ პირობების გასათვალისწინებლად, რომლებშიაც უხდებოდათ მაშინდელ ქართველ მწერალ-მოღვაწეებს საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა. ამ საბუთებში მეტად საგულისხმო ფაქტებია მოცემული მეფის პოლიციური რეჟიმის, ბიუროკრატიზმის, თავისუფლების დევნის, ადამიანის პიროვნების შელახვის და სხვა ამგვარი უმსგავსოების დასახასიათებლად. მაგრამ ამჟამად ეს საბუთები ჩვენ გვაინტერესებენ იმდენად, რამდენადაც ისინი შეიცავენ ცნობებს ვედოშვილის შესახებ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვიხილავთ მათ.

### ვედოშვილი 1905 წლამდე.

ყველაზე ადრინდელი საბუთი ჩვენი მასალიდან თარიღის მიხედვით არის ირ. ვედოშვილის „ნამსახურობის სია“ იგი დათარიღებულია 1901 წლის 27 ივნისით<sup>1)</sup>. ამ საბუთში (მის ძირითად ნაწილში) მოყვანილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ის ცნობები, რომლებიც შეეხებიან ვედოშვილის სამხედრო სამსახურს 1893 წლიდან (ე. ი. იმ დროდან, როდესაც მან პირველად დაიწყო სამხედრო სამსახური) 1901 წლამდე (ე. ი. იმ დრომდე, როდესაც შედგენილია თვით ეს საბუთი). მაგრამ „ნამსახურობის სიას“ დართული აქვს შემდეგდროინდელი გაგრძელება, სადაც მოცემულია ცნობები ვედოშვილის იმავე სამხედრო სამსახურის შესახებ 1901 წლიდან 1905 წლამდეც, ზოგიერთი წლის.

<sup>1)</sup> ფონ. 31, საქ. 564, ფურ. 13-20.

სახელდობრ 1902 და 1903 წლების, გამოკლებით<sup>1)</sup>. ამგვარად, ამ საბუთის მიხედვით ამომწურავი სისრულით შეგვიძლია დავაგვიგინოთ ევდოშვილის სამხედრო სამსახურის ფაქტები სამსახურის დაწყებიდან 1893 წ. მის მიტოვებამდე (1905 წ.).

მაგრამ თუ შეხედვლობაში მივიღებთ იმავე „ნა მსახურების სიაში“ მოყვანილ მოკლე ცნობებს ევდოშვილის დაბადების, წოდებრივი წარმომავლისა და ცხოვრების ზოგიერთი სხვა, აღრინდელი ხანის ფაქტების შესახებ, შეგვიძლია რამდენიმე საკითხი ევდოშვილის ბიოგრაფიიდან გამოვარკვიოთ 1893 წლისაზე აღრინდელი დროისაც. მით უმეტეს, რომ ამ საკითხებზე დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება ამავე საქმეში დაცულ ევდოშვილის მეტრიკულ ამონაწერიდან და მისი ძმის ილარიონის ე. წ. „საოჯახო სიიდან“<sup>2)</sup>, რომელიც შედგენილია 1909 წლის 16 ნოემბერს სოფ. ბოდბისხევში.

სამივე ამ საბუთის მიხედვით ირკვევა შემდეგი:

ირ. ევდოშვილი დაბადებულა 1873 წლის 7 მაისს სოფ. ბოდბისხევში (სიღნაღის მაზრაში). მამა მისს სახელად ერქვა ისააკი (თადას<sup>3)</sup> ძე), ხოლო დედას ევდუკია ან ევდოკია — ევდო (მიხეილის ასული). ევდოშვილის მამა, ისააკი ხოსიტაშვილი, სოციალური წარმომავლით გლეხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 1873 წელს, ე. ი. ევდოშვილის დაბადების წელს ის, სასულიერო პირად — ბოდბისხევის ეკლესიის დიაკვნადა სწანს.<sup>4)</sup>

ევდოშვილის ძმის ილარიონ ხოსიტაშვილის<sup>5)</sup> „საოჯახო სიის“ მიხედვით, იროდიონს ორი ძმა ჰყავდა: თვით ილარიონი და თომა. ორივე ძმა იროდიონზე უფროსი იყო: პირველი 24 წლით, ხოლო მეორე 14 წლით. ევდოშვილის დების შესახებ ამ „სიაში“ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სხვა საბუთების მიხედვით, სახელდობრ ეანდარმთა როტმისტრის დაკითხვის ოქმების მიხედვით<sup>6)</sup>, სწანს, რომ მას ჰყავდა ორი და — მარია და ბარბარე. მარიაში იროდიონზე უფროსი იყო (4 წლით), ხოლო ბარბარე — უმცროსი (11 წლით), „ნა მსახურების სიაში“ ევდოშვილი უცოლოდ არის მოხსენებული 1901 წელს და 1904 — 1905 წლებშიაც კი,<sup>7)</sup> მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება, რადგან თვითონ ევდოშვილის ჩვენებაში, რომელიც მან ეანდარმთა სამმართველოს მისცა 1909 წლის

1) 1902 და 1903 წლებში ევდოშვილი არ ყოფილა სამხედრო სამსახურში.

2) საქ. 564, დამატება, ფურ. 17-18.

3) ამის გამო ყველა საბუთში ევდოშვილის წოდებად სასულიერო წოდებაა დასახელებული.

4) ილარიონი სამხედრო პირი იყო.

5) საქ. № 564, დამატ., ფურ. 4-34.



23 ოქტომბერს<sup>1)</sup>, მისი უფროსი ვაჟი ივანე მოხსენებულა<sup>2)</sup> 9 წლისად. ევდოშვილის ძმის „საოჯახო სიაში“ და სხვაგანაც, თითქმის ქველვან, სადაც ევდოშვილის ოჯახურ მდგომარეობაზეა ლაპარაკი, მოხსენებულა მისი ცოლი — მარიამ ჯანყარაშვილი (ივანეს ქალიშვილი).

მარიამისაგან ევდოშვილს ჰყავდა ოთხი შვილი — სამი ქალი და ერთი ვაჟი: ივანე — 9 წლისა, თამარ — 7 წლისა, ვეტა — 4 წლისა და თინა — 2 წლისა (1909 წელს).

სხვა წყაროების მიხედვით ვიცით, რომ ევდოშვილი პირველად სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ — თელავის სასულიერო სასწავლებელში და, ბოლოს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც დაითხოვეს „არაკეთილსაიმედო“ ყოფაქცევისათვის 1893 წელს. მაგრამ ჩვენს საბუთებში, კერძოდ, მის „ნამსახურობა სიაში“ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ევდოშვილის ჩვენებას იმის შესახებ, რომ ის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და იქიდან გამოვიდა თითქმის უსახსრობის გამო. ევდოშვილის „ნამსახურობის სიაში“, იმ ადგილას სადაც დასმულია კითხვა: „სად სწავლობდა?“ შემდეგი პასუხია მოყვანილი: „ტფილისის ქვეითა საიუნკრო სასწავლებელში“.<sup>3)</sup> საიუნკრო სასწავლებელში ევდოშვილი მართლაც სწავლობდა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი დათხოვნილი იქნა სასულიერო სემინარიიდან.

დაამთავრა თუ არა ეს სასწავლებელი ევდოშვილმა, ჩვენი საბუთებიდან არა სჩანს, მაგრამ 1893 წელს, 23 აგვისტოს ის უკვე სამსახურში შესულა „ვოლნოპრედელიაიუშნად“ კუბის პოლკში. იქიდან ერთი წლის შემდეგ, 1894 წლის 17 თებერვალს ევდოშვილი გადაუყვანიათ ბაქოს 153 ქვეითა პოლკში. იმავე წელს 2 ივნისს — მისთვის მიუციათ უმცროსი უნტერ ოფიცრის ჩინი, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, 6 ოქტომბერს, ნამდვილი სამსახურიდან სათადარიგო ჯარში გადაურიცხავთ<sup>4)</sup>.

ამ დროიდან ვიდრე 1900 წლამდე „ნამსახურობის სიაში“ ევდოშვილის სამხედრო სამსახურის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება და ეტყობა ამ წლებში ის არც ჰყოფილა სამსახურში.<sup>5)</sup> 1900 წელს კი, საბუთის ჩვენებით, მას დაუჭერია სათადარიგო ჯარის პრაპორჭიკის გამოცდა და ერთი წლის შემდეგ (1901 წლის 14 მაისს) პრაპორჭიკის ჩინი მიუციათ<sup>6)</sup>.

1) იქვე, ფურ. 4.

2) სპ. 564, ფურ. 17.

3) იქვე, ფურ. 18-19.

4) სხვა წყაროების მიხედვით ვიცით, რომ ევდოშვილი 1898-1899 წ. წ. ჯერ „ნოზელის კანტორაში“ მსახურობდა ბაქოში, ხოლო შემდეგ — მაჩხანის დეპოში.

5) იქვე, ფურ. 14.

ამის შემდეგ კვლავ სწუდება ჩვენს მასალაში ყოველგვარი ცნობა ევდოშვილის შესახებ ვიდრე 1904 წლამდე. ამ წელს (27 იანვარს), როგორც სჩანს იაპონიის ომთან დაკავშირებით, ევდოშვილს უკვე გაუწვევიათ ნამდვილ სამხედრო სამსახურში და გაუწესებულნი იქნა ალანდუზის სამარქაფო ბატალიონში, სადაც მას დაუყვია ერთ წელიწადს, ე. ი. 1905 წლამდე. 1905 წლის 21 დეკემბერს, როდესაც ომი იაპონიასთან უკვე დამთავრდა, ევდოშვილი კვლავ გადაურიცხავთ სათადარიგო ჯარში<sup>1)</sup> და ამის შემდეგ ცნობები მისი სამხედრო სამსახურის შესახებ არც ერთ საბუთში აღარ მოიპოვება. როგორც ეტყობა, ამ დროიდან ის სამხედრო სამსახურში აღარ ყოფილა.

ასეთია ევდოშვილის წარსულის ზოგადი სურათი 1983 წლიდან 1905 წლამდე ჩვენი მასალის მიხედვით. ამ ფაქტებს გარდა, სხვა ცნობებს მის შესახებ ეს საბუთები არ შეიცავენ.

### ევდოშვილი 1905 წელს.

ევდოშვილს თავისი „არა კეთილსაიმედო“ ყოფაქცევით „ოხრანკისა“ და ეანდარმერიის ყურადღება პირველად მიუქცევია 1905 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში, როდესაც რევოლუციურმა მოძრაობამ აქცაკასიასა და საქართველოში უკვე ფართო ხასიათი მიიღო. ამ ხანებში ევდოშვილი იმყოფებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში — ასლანდუზის სამარქაფო ბატალიონში ქ. ელისავეტპოლს (განჯა). იქ ევდოშვილი ფართო რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა რკინის გზის მუშებსა და ჯარისკაცებს შორის ამავე დროს მას კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელსაც აწვდიდა იარაღს — ბერდანებსა და „ნაგანის“ რევოლვერებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მთავრობას, და მალე სათანადო ორგანოებს წინადადება მიეცათ — გაეძლიერებიათ მეთვალყურეობა ევდოშვილის მოქმედებაზე.

ჩვენს საბუთებში მოიპოვება მთელი მიწერ-მოწერა, რომელიც გამოიწვია „ოხრანკის“ აგენტების პირველმა საიდუმლო ცნობამ ევდოშვილის რევოლუციური პროპაგანდის შესახებ ჯარისკაცებს შორის განჯაში. ამ ცნობების მიღებისთანავე 1905 წლის 21 ივლისს ტფილისის „ოხრანკამ“ შემდეგი აცნობა პოლიციის გამგეს აქცაკასიაში:

„პატივი მაქვს ვაცნობოთ თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ აგენტურის მითითებით, ასლანდუზის ბატალიონში, ქ. ელისავეტპოლს, სამსახურში მყოფი სათადარიგო პრაპორჩიკი ირადიონ ხოსიტაი (ხოსიტაშვილი), ქართველი პოეტი, რომელიც სწერს ევდოშვილის პსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას დასახელებულ ბატალიონის ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით მკვიდრთა შორის. აგენტურის სიტ-

1) იქვე, ფურ. 15-18.

ყვით, ბატალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. დამოუკიდებლად ამისა, დასახელებული ზოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატებს იარაღს: ბერძანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვერებს. იარაღს იწერს. ჭარხნებიდან და იარაღის მალაზიების პატრონებისგანაც კი წყევროსების ყურადღება არ მიიქციოს ზმირი თხოვნით იარაღის შეტანაში. მისი მიღებაზე, ზოსიტოვს განზრახვა აქვს ბათალიონის ბეკედი გააყაღოს და იარაღი ყალბი მოწმობით შეიძინოს<sup>1)</sup>.

თავის მხრივ პოლიციის გამგემ კავკასიაში 1905 წლის 16 აგვისტოს ასეთივე შინაარსის საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა განჯის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს და დასძინა:

„ზემოაღნიშნულს ვაცნობებ თქვენს მაღალკეთილშობილებას ამ საქმის შესახებ სრულიად საიდუმლო გამოძიების მოსახდენად და, საქმის ვითარების გამორკვევისას, ჩემთვის მოსახსენებლად“<sup>2)</sup>.

იმავე აგვისტოს შუა რიცხვებში ეედოშვილი, ვითომცდა ავადმყოფობის გამო, ნამდვილად კი, როგორც სჩანს სოციალ-დემოკრატული პარტიისათვის ცნობების უშუალოდ მიწოდებისა და მისგან ახალი დავალებების მიღების მიზნით, დაეთხოვა სამსახურს და გამოემგზავრა ტფილისს. ტფილისში ეედოშვილი, საბუთების მოწმობით, ცხოვრობდა არალეგალურად („გარედ გამოდიოდა მხოლოდ გადაცმულ ტანისამოსში“. ნათქვამია საბუთში) და, როგორც ეტყობა, ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას. ამის შესახებ ჟანდარმთა როტმისტრის ხუციევის 1905 წლის 18 აგვისტოს საიდუმლო მოხსენებაში პოლიციის გამგის სახელზე ნათქვამია:

...„ზოსიტოვი, ქართულ ლიტერატურაში ეედოშვილის ფსევდონიმით ცნობილი, გასულ იელისის 16-ს გაემგზავრა ელისავეტპოლიდან ტფილისს თავის უფროსისაგან ნებადართოვლად, მაშინ, როდესაც ის, ავადმყოფობის შესახებ მის მიერვე წარმოდგენილი პატაკის საფუძველზე, ითვლება ავადმყოფად თავის ბინაზე ქ. ელისავეტპოლში. ტფილისში ზოსიტოვი დადის სამოჭალაჭო ტანისამოსში და გვიან საღამოობით დიხარება პირდაპირ მის კუთვნილ ტრაქტირში — სადღაც სადგურის ახლოს. ევონებ, ავქალის ჭურაზე“<sup>3)</sup>.

რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ 21 აგვისტოს, იმავე ხუციევაშემდეგი დამატებითი ცნობები მიაწოდა ეედოშვილის შესახებ პოლიციის გამგეს:

„ჩემ მიერ საიდუმლო გზით მიღებული ცნობებით, ა/კ რკინის გზის სადგურ ავტაფიდან ოთხი ვერსის მოშორებით, ზოლერის ბარაკის შენობაში, ზოლო ზოგჯერ პირდაპირ ბაღებში ამ ბარაკის მახლობლად, სწარმოებს რკინის გზის მუშების, უმთავრესად იმერლებისა და ქართველების, კრება. პროპაგანდისტად ამ კრებაზე არის ა/კ

<sup>1)</sup> ფონ. 1, საქ. 48, ფურ. 1.

<sup>2)</sup> იქვე, ფურ. 4.

<sup>3)</sup> იქვე, ფურ. 5. პოლიციის გამგემ ეს ამბავი 22 აგვისტოს საიდუმლო მიმართვით (№ 553-ით) აცნობა ტფილისის „ორანკას“ (იქვე, ფურ. 1).

რკინის გზის ტექნიკოსი — ყიასოვი, რომელმაც ელისავეტპოლის სადგურის უფროსის ყოფ. თანაშემწესთან, უკვე აქსტაფაში გადაყვანილ იაზონ კალაიანთან და ამავე რკინის გზის მეორე ტექნიკოსთან გიორგი როსტომის-ძე ბერიძესთან ერთად მოაწყო სოციალ-დემოკრატების, ელისავეტპოლის რაიონული კომიტეტის (საქმის) დასარსება, კვე-კომიტეტი. ამ უკანასკნელის თითბირები ხდებოდა წინათ ელისავეტპოლში, საქ. რკინის გზის სადგურის ახლოს, სახაზინო შენობაში მცხოვრებ მღვდელ მირიანოვისა და იქვე მყოფ ზემოხსენებული კალაიანის ბინებზე, ასლანდუზის სამარქაფო ბატალიონის სთადარიგო პრაპორჩიკის იროდიონ ხოსიტოვის, ვითარცა მთავარი ზელმძღვანელის, მონაწილეობით<sup>1)</sup>.

ზემომოყვანილი პირველი საბუთის მიხედვით ეედოშვილი ელისავეტპოლიდან „უნებართვოდ“ წამოსულა ტფილისში 16 აგვისტოს. საქმეში დაცულია მეორე საბუთი, საიდანაც სჩანს, რომ იგი ტფილისში დარჩენილა 17 აგვისტოდან 19 აგვისტომდე. ეანდარმთა სამმართველოს როტმისტრის, იმავე ხუციევის 1905 წლის 22 აგვისტოს საიდუმლო პატაკში პოლიციის გამგისადმი ნათქვამია, რომ „პრაპორჩიკი იროდიონ ხოსიტოვი დაბრუნდა ქ. ელისავეტპოლში ამა აგვისტოს 20-ს“<sup>2)</sup>.

როტმისტრ ხუციევსა და პოლიციის გამგეს შორის ეედოშვილის გამო გამართულ მიწერ-მოწერაში ამის შემდეგ აღარ მოიპოვება აღარავითარი ცნობა ეედოშვილის შესახებ. მაგრამ თვით ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი ს ზემო დასახელებულ „ნამსახურობის სიაში“ აღნიშნულია, რომ ელისავეტპოლში დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 6 სექტემბერს, ეედოშვილი ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან 28 დღით (ე. ი. 4 ოქტომბრამდე) და რომ ის, ამ შვებულების თანახმად, გაემგზავრა ელისავეტპოლიდან ტფილისის და თავის სოფელ ბოდბისხევეში. იქვე აღნიშნულია, რომ ეედოშვილი შვებულებიდან დაბრუნდა „ოთხი დღის დაგვიანებით“ (ე. ი. 8 ოქტომბერს)<sup>3)</sup> და რომ ამ დაგვიანების მიზეზი მას საპატიო მიზეზად ჩაეთვალა.<sup>4)</sup> თუ რა იყო ეს მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა თუ სხვა რამ), საბუთში აღნიშნული არ არის.

ამის შემდეგ, როგორც უკვე ვიცით, ეედოშვილი დიდხანს არ დარჩენილა სამხედრო სამსახურში: ორიოდ თვის შემდეგ დაბრუნებიდან (1905 წლის 31 დეკემბერს ის დაითხოვეს ნამდვილ სამხედრო სამსახურიდან და კვლავ სათადარიგო ჯარში გადარიცხეს<sup>5)</sup>).

<sup>1)</sup> იქვე, ფურ. 6.

<sup>2)</sup> იქვე, ფურ. 8.

<sup>3)</sup> „ნამსახურობის სიაში“ ეედოშვილის დაბრუნების დროდ ნაჩვენებია 10 ოქტომბერი, რაც არ უდგება სინამდვილეს, თუ კი ის მართლა ოქტომბრამდე იყო შვებულებაში და დაბრუნდა 4 დღის დაგვიანებით.

<sup>4)</sup> ფონ. 31, საქ. 564. ფურ. 16.

<sup>5)</sup> 1905 წლის შემდეგ ეედოშვილი, როგორც აღნიშნული იყო, სამხედრო სამსახურში აღარ ყოფილა.

# ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა უ ზ ი ა

კალე ბოზოხიძე — "ლექსიკონი-მარქსისტული

გეოგრაფიული

ფილარატიანა" ს. გამომცემი, 1938 წ. გვ. 80 ფასი ჯლით 4 მ. 50 კ.

პოეტის ყოველი ახალი წიგნი საყურადღებოა იმდენათ, რამდენადაც იგი ავტორის შემოქმედებითი წინსვლას მოასწავებს. ამ თვალსაზრისით კალე ბოზოხიძის ლექსების ეხლახან გამოცემული კრებული უდავოთ დადებითს შეფასებას იმსახურებს. პოეტური ფრაზის დახვეწილობისა, ლექსის მელოდურობისა და სახეთა სიმკვეთრის მხრივ ავტორს საგრძნობლად გაუძლიერებია საყოთარო შემოქმედებითი ლაბორატორია. ამავე დროს პოეტი ისწრაფვის გამოეხმაროს ჩვენი დიადი სოციალისტური თანამედროვეობის ყოველ მოვლენას. ლექსთა ეს კრებული თემატიკურად საეგზეთი აქტუალურია და ჯანსაღ იდეურ საფუძველზეა აგებული.

კრებულში მოთავსებული პოეტური მასალა სამ ციკლად განიყოფება: პირველი შეიცავს მიძღვნილი ხასიათის ლექსებს, რომელშიაც პოეტი ისწრაფვის გამოხატოს საბჭოთა ხალხის განუსაზღვრელი ერთგულება და სიყვარული დიდი სტალინისადმი და მისი სახელგანთი თანამებრძოლებისა და მოწაფეების—კ. ვოროშილოვისა და ლ. პ. ბერიასადმი. ამავე ციკლს მიეკუთვნებიან ს. ორჯონიკიძის გარდაცვალების გამო დაწერილი ლექსი და აგრეთვე რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის მიმართ მიძღვნილი საიუბილეო ლექსები.

ლექსების მეორე ციკლი განახლებული ოდიშისა და ახალ კლხიდის პეიზაჟს ასახავს, ხოლო მესამე ციკლი შეიცავს ჩვენი სოციალისტური საშრობლოს თავდაცვის დიად თემაზე დაწერილ ლექსებს.

გულწრფელი ლირიზმით და პატრიოტულ იდეოლოგიანებით უმღერის პოეტი მას:

- „ვინც ცხოვრებას
- გვიქმნის ნეტარს,
- ვინც სიამის
- გვისმევს ნეტარს
- ვინც ცხოვრებას
- წაღმა მართავს,
- ვინც ამალღებს
- შრომას მართაღს“;

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ბედნიერი და ნათელი ცხოვრების ამსახველ სურათს პოეტი ორგანიულად აკავშირებს საბჭოთა ხალხის ძლევა-მოსილუბასთან, რომელშიც დიდი სიბრძნე და ძალა გამოიხატება:

- ანთებულა
- ციცხლის ალაღ
- მოწმენდილი
- ზეცის თაღი
- ბელაღია
- ხალხის ძალა,
- მისი ძალა —
- არის ხალხი“

საბჭოთა ხალხის გმირობა და საბრძოლო მზადყოფნა შთაგონებულია დიდი ბედნიანადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით:

„მზად ვართ ცეცხლშიც  
გადავიარდეთ,  
რომ დარცოს  
ბრძოლის წაშმა,  
ვაუმარჯოს  
მზნე შევარდენს,  
ღიად ბელადს —  
ხალხთა მამას“



მშრომელ კაცობრიობას გენიალური მასწავლებლისა და მამისადმი მიძღვნილი ყოველი ჰიმნი ამავე დროს საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი სიყვარულის უწყმინდესი იდეით შთაგონებული საგალობელია:

„ეაღღებებლოთ  
საქართველო  
მზიურ ბაღად  
გადაშლილი,  
გაიხარე  
გზანათვლო,  
ხალხებს სარდლობს  
შენი შვილი!“

საბჭოთა კავშირის პირველ მარშალის, კ ვ ო რ ო შ ი ლ ო ე ი ს სახეს პოეტი ხატავს, როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს უძლეველობისა და სიმტკიცის განსახიერებას:

„ის სამშობლოს  
მკერდით იცავს,  
დიდ ს ტ ა ლ ი ნ ი ს  
სახელს ჰფიცავს: —  
მტერს შეუნგრებს  
გულის ფიცარს!“

ქართველ ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს, ამხანაგ ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს პოეტი მადლიერებისა და ერთგულობის გრანობით გამსჭვალულ სტრიქონებს უძღვნიხ:

„შენ მზადა ხარ  
სამშობლოსთვის  
თვით სიცოცხლაც  
გაწირო,  
იდღებებლე  
დიდ ს ტ ა ლ ი ნ ი ს  
გამოზრდილო  
არწივო!“

ლეკსში, ლეილ სერგოს სტირის კავკასიონი“ იეტორი გამოხატავს დიდი პროლეტარული რევოლუციონერის — ამხანაგი ს ე რ გ ო ო რ ჯ ო ნ ი ე ი ძ ი ს გარდაცვალებით გამოწვეულ სახალხო მწუხარებას და ამავე დროს იმ ოპტიმისტურ რწმენას, რომელიც ყოველთვის განუყრებლად ახლავს საბჭოთა ხალხს — დიდი მწუხარების მომენტშიაც კი:

„თუმც მოკვდა მშობელ ჰვეენის სიმაგრე —  
და ვართ მდღლარე ცრემლების მღვრელი,  
ცოცხლობს პარტია, ამაგრებს სანგრებს

დიდი სტალინის ფოლადის ხელით  
და კომუნისმის შენობას აგებს“.

რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსებზე პოეტმა სწორად და მხატვრულად ძალით ასახავს საბჭოთა ხალხის ლენინურ-სტალინურ და პარტიზანულ-მედიკალურ მემკვიდრეობის და საამაყო ძეგლებისადმი.

საკოლმურნეო სოფელში დამკვიდრებული ბედნიერი ცხოვრებისა და ახალი კოლხიდის ამსახველ ლექსებში კ. ბობოხიძე ხშირად აღწევს პეიზაჟის კოლორიტულ მხატვრობას, აღფრთოვანებული განკდის გამოსახატავად შესაფერ პოეტურ სამუღლებებს:

„ელნათურების ელვით ნაისრი,  
ბრწყინავს საღამო ცეცხლის თვალემა  
და ტბის სარკეში მოჩანს დაისი,  
ვით ოჭროს თაისს აელეარება“.

(„კოლხიდა“)

ან კიდევ:

„ზეცა იფარებს ოჭროსფერ ზეწარს,  
ჩემი შრიალი გააქვთ ფშიარებს,  
ტოტებდახრილი ირზევა ძეწნა  
და ტირიფების რივი ბრიალებს“

(„ორსანტია“)

და შემდეგ:

„ზღვა სიხარულით მხნედედა გული,  
შრომა ატეებს მუშათა მკლავებს  
და სილაფეარდე პირგაბადრული  
ცაზე ალაგებს ოჭროს ვარსკვლავებს“

(„ენგურმშენის კოშკიდან“)

თავდაცვითი თემებზე დაწერილ ლექსებიდან გამოირჩევა „სიმღერა ესპანეთზე“ და „მხედრული“. ამ ლექსის სტრიქონები ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გამორული სულისკვეთებითაა გამსჭვალული:

„ჩვენ დამკრული მხედრები ვართ  
ზარდამცემი შავი მტრისა,  
დიდ სამშობლოს კედლები ვართ  
შეუდრაველ საღი კლდისა“.

პოეტის შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელ ღირსებებთან ერთად სარეცენზიო წიგნი შეიცავს ისეთ ნაკლოვანებებსაც, რომლებსაც პოეტი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს მათი დაძლევის მიზნით მომავალ მუშაობაში.

ზოგჯერ მთავარი თემა ლექსის უკანა პლანზეა დაყენებული და მასთანადავე თემა დაუძლეველი რჩება. მაგალითად, ახალი ტფილისისადმი მიძღვნილ ლექსებში ვერა ეგრძობით ტფილისის თავისებურს, ინდუსტრიულ პეიზაჟს, ქალაქის რიტმს, მშენებლობისა და ზრდის ტემპს.

ზოგჯერ თემის ღრმად პოეტური გააზრებისა და შინაგანი გახსნის ნაცვლად პოეტი გეაწეფდის საგნის გარეგან, ზედაპირულ ანარეკლს: აი მაგალითად:

„ლალისფერად რომ კრიალებს,  
ებრაელთა ველაა,  
დროშას რომ აფრიალებს,  
იგი ებრაელია“.







**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ლ. ბერია — ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმალლესი საბჭოს არჩევნებს . . . . .	83 3
ალექსანდრე ქუთათელი — ჩემი სამშობლო . . . . .	13
კონსტანტინე გამსახურდია — ევროპა ვალიაში (ნაწყვეტი რომა- ნიდან) . . . . .	15
ოვ. თუმანიანი — ახთამარი (ბალადა) . . . . .	70
ვასილ ბარნოვი — შურისგება (ისტორიული მოთხრობა) . . . . .	73
ვლადიმერ მაიაკოვსკი — კარგია (თავი პოემიდან) . . . . .	127

**დასავლეთის ლიტერატურა**

ჰაინრიხ ჰაინე — ლირიკული ინტერმეცო (თარგმ. ხარიტ. ვარდო- შვილისა) . . . . .	132
ინგლისური პოეზიიდან — ლექსები (თარგ. გივი გაჩეჩილაძისა) . . . . .	141

**კრიტიკა და კუზლიცისტიკა**

ლევან ახათიანი — აკაკი წერეთლის პროზა . . . . .	145
დავით შამათავა — გ. ქალაღიდელი . . . . .	158
გიორგი ნადირაძე — ბარათაშვილი და ლიხევიცი . . . . .	170

**სალიტერატურო აკჰივი**

შ. ჩხეთია — ისტორიული საბუთები ევდოშვილის შესახებ . . . . .	180
---	-----

**ბიბლიოგრაფია**

ბეს. ფდენტი — კალე ბობოხიძე — ლექსები . . . . .	188
---	-----